


რეპეზ კიკნაძე



საქართველოს
ისტორიის
წყაროთმცოდნეობის
საკითხები

I



„მეცნიერება“, თბილისი, 1982

902 2 (6 44)
63 2 42 17
902 (42. 922)
კ 499

წიგნში განხილულია საქართველოს ისტორიის კონკრეტული წყარომცოდნეობის საყურადღებო საკითხები: „ქართლის ცხოვრების“ შედგენის დრო და პირობები, მისი შედგენილობა და თანდათან შეესება; ქართულ საისტორიო თხზულებათა ქართული და სპარსული წყაროები; „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებში მოხსენიებულ პირთა და გეოგრაფიული სახელების იდენტიფიკაცია და განმარტება, აღმოსავლური ტერმინების ახსნა; ეამთაალმწერლის თხზულების ნაკლები ადგილების შეესება; XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგია და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ზოგადწყარომცოდნეობით საკითხებს, კერძოდ, ეამთაალმწერლის ტექსტის რეკონსტრუქციის მეთოდოლოგიას, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლთა მეცნიერული პუბლიკაციის პრინციპებს და ა. შ.

რედაქტორი ჯ. ო დ ი შ ე ლ ი

წიგანის ტყვობა

წყაროთმცოდნეობით კვლევა-ძიებას დიდი ხნის ისტორია აქვს საქართველოში. XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX ს-ის დამდეგის ისტორიოგრაფიას მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდა წერილობითი წყაროების გამოვლენის, პირველადი დამუშავებისა და გამოცემის საქმეში. არსებითად ეს იყო ფაქტების დაგროვების ხანა, ქართული ისტორიოგრაფიის ის ხანა, როცა თითქმის ყველა გამოჩენილი ისტორიკოსი იმავე დროს წყაროთმცოდნე იყო. საკმარისია დავასახელოთ მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, დ. ბაქრაძე, ა. ცაგარელი, ა. ხახანაშვილი, თ. ჟორდანიას, მ. ჯანაშვილი, ე. თაყაიშვილი, ს. კაკაბაძე... მათ თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიაჩნდათ საქართველოს ისტორიის წყაროების დაუღალავი ძიება და გამომზეურება.

წყაროთმცოდნეობა როგორც ისტორიული მეცნიერების აუცილებელი დარგი შემდგომშიც ისტორიოგრაფიის მხარდამხარ ვითარდებოდა ჩვენში და წერილობითი წყაროების შესწავლით და გამოცემით მტკიცე საფუძველს უქმნიდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური ისტორიის კონკრეტული პრობლემების კვლევას.

წერილობითი წყაროების გამოცემა ფილოლოგიური და ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ამ ამოცანის წარმატებით შესრულების საწინდარია ტექსტის მეცნიერული პუბლიკაციის ტიპებისა და სახეების განსაზღვრა, საისტორიო წყაროების ტექსტების რადგენისა და გამოცემის ძირითადი პრინციპების დამუშავება.

უკანასკნელ ხანებში ჩვენს ისტორიოგრაფიაში არაერთხელ დაამუშავდა საკითხი ისტორიული ტექსტების გამოცემის სხვადასხვა სახეთა შესახებ. ზოგჯერ ცდილობენ განასხვავონ „ფილოლოგიური“ და „ისტორიული“ გამოცემა ტექსტისა. ხანდახან საყვედურიც გაი-

სმის იმის გამო, რომ გამოცემულ ტექსტს არ ახლავს ისტორიული კონტარი და მოცემული არ არის წყაროში ასახული მოვლენების შეფასება. ასეთი საკითხების წამოჭრა უტყუარი ნიშანია ჩვენი წყაროთმცოდნეობის დაწინაურებისა. როგორც ჩანს, დადგა დრო, როცა საჭიროა დაგროვილი გამოცდილების უფრო ფართოდ განზოგადება, როცა უფრო მეტი უნდა ვიფიქროთ ზოგადწყაროთმცოდნეობით პრობლემებზე.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა წყაროთმცოდნეობაში საკმაოდ კარგად არის გარკვეული ისტორიული ტექსტების პუბლიკაციის ტიპებისა და სახეების საკითხი. „სსრ კავშირში ისტორიული დოკუმენტების გამოცემის წესების“ მიხედვით, პუბლიკაცია შეიძლება იყოს სამი ტიპისა — სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული და სასწავლო. ჩვენს პირობებში ასეთი ვიწრო დანაწილება შეიძლება ყოველთვის არ იყოს გამართლებული. მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ ს. ყაუხჩიშვილისეული გამოცემა შესანიშნავად ასრულებს სამივე დასახელებულ დანიშნულებას. ამ გამოცემით მეცნიერებიც სარგებლობენ კვლევით საქმიანობაში, ისტორიის საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებაც კითხულობს მას და სტუდენტებთან მუშაობის დროსაც წარმატებით იყენებენ.

რაც შეეხება ე. წ. ფილოლოგიურ და ისტორიულ გამოცემებს, არსებითი ნიშანი ასეთი გამოცემებისა ალბათ იმაში მდგომარეობს, რომ პირველი ფილოლოგის მიერ არის მომზადებული, ხოლო მეორე — ისტორიკოსისა (საერთოდ კი ტექსტის მეცნიერული პუბლიკაციის ასეთი სახეები არ არსებობს. შეიძლება საუბარი ტექსტის ისტორიკოსებისა და ფილოლოგებისათვის (განსაკუთრებით ლინგვისტებისათვის) განკუთვნილ გამოცემებზე, მაგრამ ქართული საისტორიო ტექსტების პუბლიკაციის დროს ასეთი ვიწრო სპეციალური დანაწილება არ ჩანს მიზანშეწონილი). წერილობითი ისტორიული წყაროს გამოსაცემად მომზადების დროს ტექსტოლოგმა თანაბრად უნდა მოიმარჯვოს ფილოლოგიური და ისტორიული კვლევის მეთოდები. კერძოდ, ე. წ. გარეგანი კრიტიკა ტექსტისა ძირითადად ფილოლოგიური ხერხებით ხორციელდება, ხოლო შინაგანი კრიტიკის დროს გამოყენებული უნდა იყოს ისტორიული კვლევის ხერხები. ამიტომაც არის, რომ ამჟამად საკმაოდ მწვავედ დგება საკითხი საფუძვლიანი ისტორიულ-ფილოლოგიური ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდების მომზადებისა წყაროთმცოდნეობით პრობლემებზე სამუშაოდ.

წყაროს პუბლიკაციისათვის ტექსტში გადმოცემული კონკრეტული მოვლენების შეფასების შემკველი ისტორიული კომენტარის დართვის მოთხოვნის გამო უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტის გამოცემა და ამ ტექსტის საფუძველზე მეცნიერული გამოკვლევის დაწერა სხვადასხვა პროცესია. ისტორიული წყარო, როგორც წესი, მრავალფეროვან ინფორმაციას შეიცავს, მასში ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეა ასახული. მკვლევართ სხვადასხვა ინტერესი აქვთ წყაროს მიმართ, განსხვავებული კუთხით სწავლობენ და იყენებენ მას. ტექსტოლოგი, რა თქმა უნდა, წინასწარ ვერ განსაზღვრავს და ვერ დააკმაყოფილებს ისტორიკოს მკვლევართა ყველა მოთხოვნას. იგი ვალდებულია მკვლევრისთვის გასაგები სახით გამოსცეს ტექსტი, მისი შენიშვნებიც ტექსტის შინაარსში ჩაწვდომას უნდა ემსახურებოდეს და არა წყაროში ასახული მოვლენების კონკრეტულ-ისტორიულ კვლევას. შესავალ წერილში მოცემული უნდა იყოს ძეგლის მთლიანი შეფასება როგორც ისტორიული წყაროსი, ნაჩვენები უნდა იყოს მისი მნიშვნელობა ამა თუ იმ პრობლემის შესასწავლად; კომენტარებში კი, ჩვენი რწმენით, გამომცემელმა თავს არ უნდა მოახვიოს მკვლევარს ტექსტის რომელიმე ადგილის თავისებური ინტერპრეტაცია.

წყაროთმცოდნეობა რთული და შრომატევადი დისციპლინაა, ამიტომ ამ დარგში მკვლევარმა შეიძლება უფრო ძნელად მიადწიოს წარმატებას. დიდ შრომისმოყვარეობასთან და, თუ გნებავთ, თავდადებასთან ერთად ეს დარგი საგანგებო პროფესიულ ცოდნას და დაოსტატებას, წყაროთმცოდნეობითი კვლევისა და პუბლიკაციის მეთოდის ათვისებას მოითხოვს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ყოველგვარი შემთხვევითობა ისტორიული წყაროების გამოცემის საქმეში. ეს გაპირობებულია როგორც წყაროების ტექსტების გამოსაცემად მომზადების დიდი სიბრტულით, ისე იმ მაღალი პასუხისმგებლობით, რასაც ტექსტის გამომცემელი უნდა გრძნობდეს ფართო საზოგადოების წინაშე.

ასეთია ზოგიერთი (რა თქმა უნდა, მხოლოდ ზოგიერთი) შეხედულება საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის სადღეისო პრობლემებზე. ქართული თუ უცხოური ისტორიული ტექსტების გამოსაცემად მომზადებასთან და კონკრეტულ-წყაროთმცოდნეობითი საკითხების დამუშავებასთან ერთად მომავალში თანდათან მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს წყაროთმცოდნეობის ზოგადთეორიულ პრობლემებსაც.

წინამდებარე წიგნში შესული გამოკვლევები სხვადასხვა დროს არის დაწერილი და გამოქვეყნებული, მაგრამ მათ ერთი მიზანი აერთიანებს: ყველა მათგანი ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლთა წყაროთმცოდნეობითი შესწავლის საქმეს ემსახურება. ბუნებრივია, განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი „ქართლის ცხოვრებას“, ქართველი ხალხის ამ „წმინდა“ და „პატიოსან“ წიგნს. კერძოდ, კრებულის შედგენის დროს, შედგენილობის და თანდათან შევსების საკითხებთან ერთად აქ განხილულია „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი ძეგლებისა და ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ ტექსტების გენეტიკური ურთიერთობის პრობლემა და შესწავლილია ქართული ისტორიული თხზულებების მეცნიერული პუბლიკაციის მეთოდის საკითხები.

ხელახალი გამოცემისათვის მომზადების დროს ნაშრომებში არაარსებითი ხასიათის ცვლილებები იქნა შეტანილი და აღმოსავლური ტექსტების ხარჯზე გამარტივდა ზოგიერთი სქოლიო.

„ქართლის ცხოვრების“ შესწავლის ისტორიიდან

ძველქართულ საისტორიო თხზულებათა კრებული „ქართლის ცხოვრება“ გაგრძელებებითურთ ძირითადი პირველწყაროა საქართველოს ისტორიისა უძველესი ხანიდან XVIII საუკუნემდე. ნ. ბერძენიშვილის ხატოვანი თქმით, „იდეურ-პოლიტიკურად ფეოდალური საქართველოს ცივილიზაცია სამ სვეტს ემყარებოდა. სახარება, „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართლის ცხოვრება“ იყო გამარჯვებული ფეოდალური ურთიერთობის სამი „წმინდა“ წიგნი“. მასვე აღნიშნული აქვს, რომ „სახარებისა და „ვეფხისტყაოსნის“ გვერდით, „ქართლის ცხოვრება“ მოწოდებული იყო ფეოდალური საქართველოს იდეურ-მორალური დასაყრდენი ყოფილიყო და, შეიძლება ითქვას, ის წარმატებით ასრულებდა ამ თავის დანიშნულებას“¹.

„ქართლის ცხოვრების“ შედგენის დროის, შედგენილობის, ცალკეულ ნაწარმოებთა ავტორების ვინაობისა და კრებულის თანდათანობით შევსების საკითხები მათი დიდი სირთულის გამო, რაც პირდაპირი მონაცემების ნაკლებობით არის გამოწვეული, ჯერაც არასაკმარისად არის დამუშავებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში. XIX ს-ში „მკვლევართ განსაკუთრებით ის აწუხებდათ, თუ ვინ და როდის შეადგინა თვით კრებული და უცხოელ კრიტიკოსთა აზრისდასაწინააღმდეგოდ უნდოდათ დაეწკიცებინათ, რომ ქ-ის თითოეული ნაწილი თანამედროვის მიერ არის დაწერილი“². განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მ. ბროსეს და დ. ბაქრაძის გამოსვლას „ქართლის ცხოვრების“ დასაცავად ზოგიერთი მეცნიერის (ო. სენკოვსკი, ქ. პატკანოვი) თავდასხმებისაგან, რომლებიც უარყოფდნენ ქართულ მატრიანეთა ამ კრებულის სიძველეს. დასახელებული მეც-

¹ ნ. ბერძენიშვილი, სიტყვა აკად. ე. თაყაიშვილის დაბადების ასიწლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე 1963 წ. 15 იანვარს. — წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 131.

² ივ. ჭავჭავაძის თქმით, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. — თხზულებანი, VIII, თბ., 1977, გვ. 25.

ნიერნი არ მუშაობდნენ საქართველოს ისტორიის დარგში, არ იკოდნენ ქართული ენა, საფუძველიანად არ იცნობდნენ ქართულ წყაროებს. ქართულ მატრიანეთა მხოლოდ ზერელე ცოდნის საფუძველზე ისინი ხელაღებით ამტკიცებდნენ, „ქართლის ცხოვრება“ ვახტანგ VI-ის დაწერილი ან შედგენილიაო XVIII საუკუნეში და, ამდენად, როგორც საისტორიო წყარო მოკლებულიაო ყოველგვარ მნიშვნელობას³.

მ. ბროსემ და დ. ბაქრაძემ მეცნიერულ უპატიოსნობასა და ფაქტობრივი მასალის უცოდინარობაში აწილეს „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკოსები და დამაჯერებლად აჩვენეს შათი მსჯელობის სრული უსაფუძველობა⁴. რამდენადაც უკვე ცნობილი იყო „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი, შესრულებული ჯერ კიდევ XII ს-ში, და სულ მალე გამოვლენილ იქნა ქართული ტექსტის ერთ-ერთი უძველესი ნუსხა, ე. წ. მარიაშიაეული „ქართლის ცხოვრება“, გადაწერილი 1634—1645 წლებში, საბოლოოდ გაირკვა, რომ 1675 წელს დაბადებული ვახტანგი ვერ იქნებოდა კრებულის ავტორი ან შენდვენილი.

ამის შემდეგ მკვლევართა ძირითადი ყურადღება „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობის გარკვევისაკენ იყო მიმართული. ჯერ კიდევ მ. ბროსე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ქართლის ცხოვრება“ კრებული იყო და არა ერთიანი თხზულება. მანვე გამოთქვა ზოგიერ-

³ О. П. Сенковский. Некоторые сомнения касательно истории грузинов. — «Библиотека для чтения», т. ХХХ, отд. III, СПб., 1838; К. П. Патаканов, О древней грузинской хронике. — ЖМНП; ч. 130, декабрь, 1883.

⁴ M. Brosset, Revue des antiquités géorgiennes. — Bulletin scientifique, vol. V, Spb., 1839; დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები, თბ., 1884. იხ. აგრეთვე, Е. С. Такайшвили, Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. I, вып. 1—4, Тифлис, 1904, с. 38—44; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, с. 32; გ. მელიქიშვილი, საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები. — წიგნი: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 66—67; შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, მარი ბროსე (ისტორიოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1966, გვ. 47—51; მ. დ უ მ ბ ა ძ ე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1950, გვ. 64 — 65; ე. გ რ ი გ ო ლ ი ა, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 93—95; ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიიდან, თბ., 1979, გვ. 15—26; გ. ა ნ ჩ ა ბ ა ძ ე, დიმიტრი ბაქრაძე — ქართული წყაროთმცოდნეობის თვალსაჩინო წარმომადგენელი. — „ქართული წყაროთმცოდნეობა“, V, თბ., 1978, გვ. 81—82.

თი მოსაზრება კრებულის შემადგენელი ცალკეული ნაწარმოებების შესახებ⁶. საყურადღებო შეხედულებები გვხვდება ამავე საკითხზე დ. ბაქრაძის, თ. ჟორდანიას, მ. ჯანაშვილის, ს. კაკაბაძის ნაშრომებში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი გადაუჭრელი დარჩა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX ს-ის დასაწყისის ქართული ისტორიოგრაფიას.

V „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობის ძირითადი საკითხების წარმატებით გადაჭრა დაკავშირებულია ივ. ჯავახიშვილის სახელთან. ჯერ კიდევ თავისი მეცნიერული მოღვაწეობის პირველ პერიოდში შექმნილ კაპიტალურ მონოგრაფიაში, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის მთავარი მეთოდური საკითხების დამუშავებასთან ერთად ივ. ჯავახიშვილმა მნიშვნელოვანი შეხედულებები წამოაყენა „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შედგენის დროის, შედგენილობის, თანდათან შევსებისა და გაგრძელების თაობაზე⁷. „ქართლის ცხოვრების“ ცალკეული ნაწარმოებებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში დადგენილია (მეტწილად, პირობითად) თხზულებათა მოცულობა, სავარაუდო სათაურები, შედგენის დრო და ავტორები, შესწავლილია მათი მუდრეკილი, ნაშრომთა იდეური მიმართულება და სხვა პირველხარისხოვანი წყაროთმცოდნეობითი საკითხები. და თუმცა ამ წიგნს პირველი გამოცემიდან (1916 წ.) გასული დროის მანძილზე, ახალი მასალების გამოვლენისა და შესწავლის შედეგად ზოგიერთი საკითხი დაზუსტდა და ზოგი დასკვნა შეიცვალა, მაგრამ ივ. ჯავახიშვილის ძირითადმა დებულებებმა „ქართლის ცხოვრების“ შესახებ შეინარჩუნეს თავიანთი მეცნიერული მნიშვნელობა⁸.

ივ. ჯავახიშვილის მიერ შემოთავაზებული სქემის მიხედვით „ქართლის ცხოვრების“ ძველ ნაწილში შემდეგი ნაწარმოებები შედის: ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, რომელშიც გადმოცემულია ამბები უძველესი ხანიდან V საუკუნემდე; ჟუანშერის „ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასალისა“, რომელიც V—VII სს მოვლენებს ეძღვნება; ლეონტი მროველის „წამება წმიდისა და დიდებუ-

⁶ შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, მარი ბროსე, გვ. 89—90.

⁷ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული ისტორიო გრაფიკა, გვ. 176—262.

⁸ ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, ივანე ჯავახიშვილი და „ქართლის ცხოვრება“. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1966, გვ. 13.

ლისა არჩილისი“: ანონიმური თხზულება პირობითი სათაურით „მატიანე ქართლისა“ (VIII—XI სს.); XII ს-ის ანონიმური ავტორის „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“; სუმბატ დავითის-ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“, უძველესი ხანიდან XI ს-მდე; ე. წ. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულება, სადაც აღწერილია XII—XIII სს პირველი მეოთხედის ისტორია; თამარის ორი უცნობი მემატიანის თხზულება — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“; მონღოლთა ბატონობის ხანის ისტორიისადმი მიძღვნილი ვრცელი თხზულება ანონიმური ავტორის, ე. წ. ჟამთააღმწერლისა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თხზულების შემკველი ხელნაწერი „ქართლის ცხოვრებისა“ არ არსებობს. ვახტანგამდელი რედაქციის ყველა ხელნაწერში მხოლოდ პირველი ხუთი ნაწარმოებია შესული. შემდგომში „ქართლის ცხოვრებისა“ ნუსხები, როგორც ჩანს, სხვადასხვანაირად ივსებოდა. ამის გამო, სუმბატ დავითის-ძის, თამარის პირველი ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის თხზულებები შეასულა მხოლოდ მარიამისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებში და მცხეთური „ქართლის ცხოვრების“ 1697 წელს გადაწერილ პირში⁹, თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულება (ნაკლები ტექსტი, მარტო პირველი ნაწილი) მხოლოდ ჭალაშვილისეულ ნუსხაშია, ხოლო ე. წ. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულება — მხოლოდ ანასეულ ნუსხაში¹⁰. ერთად ყველა ეს ნაწარმოებები „ქართლის ცხოვრების“ ს. ყაუხჩიშვილისეულ გამოცემაშია თავმოყრილი¹¹.

უნდა ითქვას, რომ ყველა მკვლევარი როდი ეთანხმება „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობის ასეთ სქემას. მაგალითად, კ. კე-

⁹ ყველა ეს ნუსხა ერთი არქეტიპიდან მომდინარეობს და ერთნაირ ტექსტს შეიცავს, ამიტომ საურმაგ კაკაბაძე „მცხეთური“ რედაქციის ნუსხებს უწოდებდა მათ (ს. კაკაბაძე, „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ტექსტოლოგიური შესწავლის საკითხები. — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1977, № 2, გვ. 49—50, 59—60).

¹⁰ ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულების პირველი ნაწილი (დომიტრი I-ის მეფობა) არის აგრეთვე ჭალაშვილისეულ ნუსხაში, ხოლო თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულების მეორე ნაწილი და ჟამთააღმწერლის თხზულების სრული ტექსტი თეიმურაზისეულ ნუსხაში, რომლის მეორე ნაწილი რედაქტირებულ არ არის ვახტანგის კომისიის მიერ.

¹¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955; ტ. II, თბ., 1959. (მეორე ტომში შეტანილია აგრეთვე „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებები, იხ. გვ. 327—540).

კელიძეს მიაჩნდა, რომ ლეონტი მროველს ეკუთვნის „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილი ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ჩათვლით, ხოლო ჯუანშერს — მომდევნო თხრობა XI ს-ის 70-ან წლებამდე (ე. ი. ეგრეთ წოდებული „მატიანე ქართლისას“ ჩათვლით)¹².

3. ინგოროყვას აზრით, „ქართლის ცხოვრების“ დასაწყის ნაწილში შეტანილია შემდეგი ნაწარმოებები: ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“; იოანე დეკანოზის მიერ შედგენილი მოთხრობა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ, რომელიც ლეონტი მროველის თხზულებაშია ჩართული; ვინმე უჭარმელის „ჰანბავი ვახტანგ გორგასარისა“; ჯუანშერის „წიგნი ქართველთა ცხოვრებისა ვახტანგ მეფისითგან ვიდრე არჩილ მეფისაღმდე“; „წამება არჩილისა“, ლეონტი მროველის მიერ მოკლედ აღწერილი ამბის საფუძველზე განახლებული და გავრცობილი იოანე დეკანოზის მიერ. ე. წ. „მატიანე ქართლისა“, 3. ინგოროყვას ვარაუდით, სამი ნაწილისგან შედგება: 1. „წიგნი ქართველთა ცხოვრებისა არჩილ მეფისითგან ბაგრატ III-მდე“; 2. „ცხოვრება გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ისა“; 3. „ცხოვრება გიორგი II-ისა“ (1072—1089)¹³.

ნ. ბერძენიშვილი ფიქრობდა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ის ნაწილი, რომელსაც ჯუანშერს მიაწერენ, ლეონტი მროველს ეკუთვნის¹⁴, ჯუანშერს კი საერთოდ არ იხსენიებდა XI ს-ის ისტორიკოსთა შორის¹⁵.

¹² კ. ე. კ. ე. ლ. ი. ძ. ე. ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი და მისი ისტორია. — ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957, გვ. 187—201; კ. ე. კ. ე. ლ. ი. ძ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი ლიტერატურა, II, თბ., 1958, გვ. 252—262.

¹³ 3. ინგოროყვა, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. — თხზულებათა კრებული, IV, თბ., 1978, გვ. 422—429.

¹⁴ „მეფეიქრობ: ლეონტი მროველი ... ავტორია როგორც „მოქცევისა“ და მოქცევამდე, ისე ჯუანშერის თხზულებისაც“. „ჯუანშერი იგივე ლეონტია“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, თბ., 1979, გვ. 17, 23). ასეთივე მოსაზრება დასაბუთებული აქვს ა. ბოგვერაძეს (ა. ბოგვერაძე, „ქართლის ცხოვრების“ პირველი მათიანე და მისი ჯავტორი. — „ქართული ისტორიოგრაფია“, I, თბ., 1968, გვ. 17, 23—37).

¹⁵ ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XI—XVIII საუკუნეებში. — საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 33. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ბერძენიშვილის ზოგიერთ ნაშრომში ჯუანშერიც არის დასახელებული (იხ. მაგალითად, ნ. ბერძენიშვილი, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მთავარი ხაზი, თბ., 1964, გვ. 4; ნ. ბერძენიშვილი, XII—XIII

(გ. მელიქიშვილის აზრით, უკვე არსებული კრებულისათვის, სადაც მოთხრობილი იყო ქართლის ისტორია უძველესი ხანიდან ვახტანგ გორგასლანდე, ჭუანშერს მიუმატებია ვახტანგის შემდგომი აპბები არჩილ მეფემდე და „არჩილის წამების“ მოკლე თხრობაც შეუტანია მასში¹⁶)

კ. გრიგოლია ვარაუდობს, რომ „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილი უძველესი ხანიდან XI ს-ის 70-იან წლებამდე, ე. ი. ჭავჭავიძის სქემით, ლეონტი მროველისა და ჭუანშერის თხზულებები და ე. წ. „მატიანე ქართლისა“, ერთი პირის, ლეონტი მროველის მიერ არის დაწერილი¹⁷.

არანაკლებ რთულია საკითხი იმის შესახებ თუ როდის და რა მიზნით შეადგინეს „ქართლის ცხოვრება“. მკვლევართ სხვადასხვა ვარაუდი აქვთ გამოთქმული კრებულის შედგენის დროის თაობაზე. კერძოდ, დასახელებულია VII—VIII¹⁸, VIII—IX საუკუნეები¹⁹, X

საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან.—საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974, გვ. 45, 51; 92, 179, 182, 204).

¹⁶ Г. А. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, с. 30—31; გ. მ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები, გვ. 52.

¹⁷ კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, „მატიანე ქართლისა“ და მისი დასათაურების საკითხისათვის.—ივ. ჭავჭავიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 227—231. დღემდე საკამათოა აგრეთვე ლეონტი მროველის ავტორობის საკითხი. ბევრ მკვლევარს არცთუ უსაფუძვლოდ „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის მხოლოდ გადამწერად ან რედაქტორად მიაჩნია ის (თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტფ., 1892, გვ. XXXVI; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, კორნ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები. ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი (რეცენზია).—საისტორიო კრებული, I, თბ., 1924, გვ. 283; Г. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, с. 30—31; გ. მ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები, გვ. 51—52; შ. ბ ა დ რ ი ძ ე, ლეონტი მროველის ავტორობის საკითხისათვის.—„მნათობი“, 1962, № 7; რ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ქართული ისტორიული პროზა, თბ., 1971, გვ. 77—78).

¹⁸ В. Д. Д о н д у а, Источниковедение. — В кн.: Грузинская советская историография (на правах рукописи), Тбилиси, 1964, с. 95.

¹⁹ გ. მ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები, გვ. 52—53.

საუკუნე²⁰, XI ს-ის მიწურული²¹, XI—XII სს. მიჯნა²², XII საუკუნე²³, XII ს-ის მეორე ნახევარი²⁴.

აზრთა ასეთი სხვაობა „ქართლის ცხოვრების“ შედგენის დროის საკითხში აიხსნება, პირველ რიგში, იმით, რომ არ არსებობს პირდაპირი დამადასტურებელი მასალა ამა თუ იმ მოსაზრების სასარგებლოდ.) ასეთ ვითარებაში, ჩვენი აზრით, აუცილებელია ყველა არაპირდაპირი მონაცემის სრულად გამოყენება და შეძლებისდაგვარად დამაჯერებელი დასაბუთება გამოთქმული ვარაუდებისა. მაგრამ მკვლევარნი ძირითადად კმაყოფილდებოდნენ „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ზოგიერთი ტექსტობრივი თავისებურების განხილვით და კრებულის ორი რედაქციული მინაწერის შესწავლით და ამაზე აგებდნენ თავიანთ ვარაუდებს. ამავე დროს ყურადღების გარეშე რჩებოდა კონკრეტული ისტორიული ვითარება ქვეყნის შიგნით იმ დროს, როცა უნდა შექმნილიყო კრებული. ნებისმიერი საისტორიო წყარო შესწავლილ უნდა იქნეს იმ ვითარებისა

²⁰ პ. ინგოროყვა, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, გვ. 426.

²¹ კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 91; კ. გრიგოლია, რას მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“, თბ., 1971, გვ. 8, 10. А. П. Новосельцев, Раннесредневековая культура народов Закавказья. — Вопросы истории, 1973, № 6, с. 112; А. П. Новосельцев, Генезис феодализма в странах Закавказья, М., 1960, с. 40. ბ. ბერძენიშვილის აზრით, სარედაქციო მუშაობა „ქართლის ცხოვრებაზე“ XI-სში დაიწყო (ბ. ბერძენიშვილი, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მთავარი ხაზი, გვ. 19, შენ. 2).

²² შ. მესხია, ვ. გუჩუა, საქართველოს ისტორია. VII—X კლასების სახელმძღვანელო, თბ., 1969, გვ. 91.

²³ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 309; ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა. — წიგნში: ქართლის ცხოვრება, I, გვ. 08; В. Н. Габашвили, Историография Грузии (X—XVII вв.). — В кн.: Очерки истории исторической науки в СССР, I, М., 1955, с. 143—144; М. Д. Лордкипанидзе, История Грузии XI—нач. XIII в. (научно-популярный очерк), Тбилиси, 1974, с. 177—178; М. Д. Лордкипанидзе, Картлис цховреба. — СИЭ, т. 7. М. 1965, с. 76 (ერთერთ გვიანდელ ნაშრომში მ. ლორთქიფანიძე „ქართლის ცხოვრების“ XI ს-ში შედგენის აზრს იზიარებს: — М. Д. Лордкипанидзе, Сумбат Давитис-дзе и его историческое сочинение. — В кн.: Сумбат Давитис-дзе, История и повествование о Багратногах, Тбилиси, 1979, с. 9); თ. პაპუაშვილი, ისტორიოგრაფია. — წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979, გვ. 432; Г. В. Цулая, Предисловие. — В кн.: Мровели Леонти, Жизнь Картлийских царей, М., 1979, с. 3.

²⁴ კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 241.

და პირობების გათვალისწინებით, რომელშიც ის შეიქმნა. ის უნდა განხილულ იქნეს როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტი, როგორც კლასობრივი და შიდაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება (პირდაპირი ან არაპირდაპირი), როგორც თავისი დროის საწარმოო ურთიერთობათა გამოხატულება²⁵. ამავე დროს, ზოგადი მსჯელობანი „ქართლის ცხოვრების“ შედგენის დროის თაობაზე ქვეყნის კონკრეტული ისტორიული ვითარების გათვალისწინების გარეშე, მოკლებულია სათანადო დამაჯერებლობას.

(რაც შეეხება „ქართლის ცხოვრების“ შედგენის მიზანს, მის დანიშნულებას, ცნობილია, რომ კრებულის ძველ ციკლში მოცემულია საქართველოს ისტორიის თანმიმდევრული თხრობა უძველესი დროიდან XIV საუკუნემდე. მკვლევართა აზრით, კრებული შედგენილია საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოდ და, აგრეთვე, შინ საკითხავ წიგნად. ამ მიზნით შეარჩიეს ცალკეული ეპოქების ისტორიის ამსახველი თხზულებები და გააერთიანეს კრებულში. ამასთან, იმისათვის, რომ თხრობას გაბმული ხასიათი ჰქონოდა და გაეორებებოდა არ ყოფილიყო, ზოგიერთ თხზულებას დასაწყისი ჩამოაცილეს, ზოგსაც დაბოლოება მოაშორეს ან გადაუკეთეს და ა. შ. ასე შედგა „ქართლის ცხოვრების“ პირველი კრებული, რომელიც შემდეგ თანდათან ივსებოდა ახალი ნაწარმოებებით²⁶.

ივ. ჭავჭავაძის თქმით, რომ „ქართლის ცხოვრება“ საგანგებოდ შერჩეული საისტორიო თხზულებებისაგან შედგება. კრებულში შეტანილი ყველა ნაწარმოების ავტორები სამეფო ხელისუფლების აქტიური მომხრეები და დიდებულთა მოწინააღმდეგენი არიან. თავისი ისტორიკოსები უთუოდ ეყოლებოდათ მეფეთა მოწინააღმდეგეებსაც, მაგრამ მათი ნაწარმოებები არ იქნა შეტანილი კრებულში. „ქართლის ცხოვრების“ შექმნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამან შემოგვინახა არაერთი პირველხარისხოვანი

²⁵ С. Н. Азбелев, Текстология как вспомогательная историческая дисциплина. — «История СССР», 1966, № 4, с. 91. იხ. აგრეთვე А. П. Пронштейн, Методика исторического источниковедения, Ростов-на-Дону, 1976, с. 23.

²⁶ ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრების წინასიტყვაობა. — წიგნში: ქართლის ცხოვრება, I, გვ. 05; ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა, გვ. 07—08; ნ. ბერძენიშვილი, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მთავარი ხაზი, გვ. 7; М. Д. Лордкипанидзе, История Грузии XI—нач. XIII в., с. 177; М. Д. Лордкипанидзе, Введение. — В кн.: Матiane Картлиса, Тбилиси, 1976, с. 14.

საისტორიო თხზულება. მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ შედგენამ ხელი შეუწყო მეფეთა მოწინააღმდეგე მემკვიდრეთა მიერ დაწერილი თხზულებების დალუპვას²⁷.

ამგვარად, „ქართლის ცხოვრება“, ეს „წმინდა“ და „პატიოსანი“ წიგნი, როგორც ძველი ქართველი მწიგნობრები უწოდებდნენ²⁸, შედგენილ იქნა სახელმძღვანელოდ და საუკუნეთა განმავლობაში ქართული ფეოდალური საზოგადოებისათვის ძირითადი საკითხავი წიგნი იყო საქართველოს ისტორიაში. „ქართლის ცხოვრება“ ცენტრალური ხელისუფლების მითითებით შედგა, ქართული სახელმწიფოს ისტორიის ოფიციალური კრებული იყო და მხოლოდ მეფეთა მომხრე მემკვიდრეთა თხზულებებს შეიცავდა. ასეთი კრებული შეიძლებოდა შეედგინათ მხოლოდ მტკიცე ცენტრალური ხელისუფლების დროს და მისი მხარდაჭერით, სახელმწიფოს ისეთი ძლიერების პერიოდში, როცა ქვეყანაში წარმატებით იქნა გადაჭრილი ძირითადი შინა- და საგარეო-პოლიტიკური საკითხები და შეიქმნა შეაფერისი პირობები კულტურის განვითარებისათვის. ყველა ეს ნიშანი ახასიათებს დავით IV აღმაშენებლის ხანას (1089—1125), კერძოდ, XII ს-ის პირველ მეოთხედს.)

დავით IV-ს სიჭაბუკეში მოუხდა ტახტის დაკავება და სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის მძიმე საქმეში ჩაბმა. ქვეყანა სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. XI ს-იდან საქართველოში „დიდი თურქობა“ დაიწყო და სახელმწიფო იძულებული იყო ყოველწლიურად უზარმაზარი ხარკი — 5 მლნ. დინარი²⁹ გადაეხადა

²⁷ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 41, 310; С. Н. Джанашиа, Иван Александрович Джавахишвили. — «Известия» Груз. ФАН, т. I, № 9, 1940, с. 643; ქ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 89; რ. კიკნაძე, ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორიის წყარომცოდნეობა. — „ქართული წყარომცოდნეობა“, V, თბ., 1978, გვ. 93; М. Д. Лордкипанидзе, Сумбат Давитис-дзе и его историческое сочинение, с. 9.

²⁸ ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა. დასაბუქდად მოამზადა ფილოლოგიის განყოფილებამ ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1942, გვ. 236; ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოც. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1906, გვ. 336; ქართლის ცხოვრება, I, გვ. 364, 272; II, გვ. 222.

²⁹ XIV ს-ის ირანელი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ჰამდალაჰ ყაზვინის „გულთა სიამეში“ („ნოზაჰთ ალ-ყოლუბ“) დასახელებული ეს თანხა ქართულ ისტორიოგრაფიაში თამარის ხანის საქართველოს სახელმწიფო შემოსავლად არის მიჩნეული. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ჰამდალაჰ ყაზვინის არ შეიძლებოდა ჰქონოდა

სელჩუკიანი თურქებისათვის. ამავე დროს, დიდგვარიან დიდებულთა რეაქციული ნაწილი დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობდა და აქტიურად იბრძოდა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. ასე რომ, ახალგაზრდა მეფეს ერთდროულად უხდებოდა ბრძოლა გარეშე და შინაურ მტრებთან. მოუხედავად ამისა, მან კვიანი გამგებლისა და დიდი მხედართმთავრის განსაკუთრებული ნიჭი გამოიჩინა და წარმატებით განახორციელა მთელი წყება სახელმწიფო რეფორმებისა, რომელთა მიზანი იყო მსხვილი ფეოდალების დასუსტება და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება³⁰. XI ს-ის დასასრულს დავითმა მარჯვედ გამოიყენა ხელსაყრელი ვითარება და ხარკი შეუწყვიტა თურქებს, მერე კი თანდათანობით განდევნა ისინი საქართველოდან.

დავით IV-ის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყვეს საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობა XII ს-ის პირველ მეოთხედში. სახელმწიფო რეფორმებთან ერთად დავითმა მნიშვნელოვანი ზომები გაატარა მშენებლობის დარგშიც.

ცნობა დამოუკიდებლობის ხანის საქართველოს სახელმწიფო შემოსავლის შესახებ. ეგი აღმოსავლური საგადასახადო წიგნებით სარგებლობდა და იკიდან კრებდა ცნობებს სხვადასხვა ქვეყნების შემოსავლიანობის შესახებ. საქართველოს შემოსავალი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაიწერებოდა დავთარში, თუ ის ხარკად იქნებოდა შეტანილი რომელიმე აღმოსავლური სახელმწიფოს ხაზინაში. რამდენადაც კამალაჰ ყაზინი თავის თხზულებაში რამდენიმეჯერ ახსენებს „მალიქშაჰის რესალეს“, რომელიც სელჩუკიანთა სახელმწიფოს ოფიციალურ აღწერას წარმოადგენდა, გამოთქმულია ვარაუდი, რომ მონაცემები სხვადასხვა ქვეყნების შემოსავლიანობაზე სელჩუკიანთა ხანაში მას ამ წყაროდან უნდა ჰქონდეს ამოღებული (И. П. Петрушевский, Земледелие и аграрные отношения в Иране XIII—XIV вв., М.—Л., 1960, с. 94). ზემოთ დასახელებული 5 მილიონი დინარიც, როგორც ჩანს, „მალიქშაჰის რესალედან“ უნდა იყოს ამოღებული და არის სათურქო ხარკი, რომელიც საქართველოს სელჩუკიანთა ხაზინაში შეჰქონდა (დაწერ. იხ. რ. კიკნაძე, XIV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან. — კვებ.: ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 206—208).

³⁰ ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 191—220; ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XI—XVIII საუკუნეებში, გვ. 34—47; მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს ფეოდალური მონარქიის გაძლიერება. დავით IV-ის რეფორმები. — წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 212—231; რ. მეტრეველი, XI საუკუნის შორეულ ნახევარსა და XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1978, გვ. 64—129.

მისი განკარგულებით აგებდნენ ხიდებს, გაჰყავდათ გზები, აშენებდნენ ფუნდუკებს და ქარავასლებს³¹.

დავითი დიდად განათლებული სახელმწიფო მოღვაწე იყო. მან იცოდა აღმოსავლური ენები, დაუფლებული იყო სხვადასხვა მეცნიერებათა საფუძვლებს, შესწავლილი ჰქონდა როგორც ქრისტიანული ღვთისმეტყველება და საეკლესიო მწერლობა, ისე ყურანი და ისლამის დოგმებიც. კარგად ერკვეოდა დავითი ისტორიის საკითხებშიც, თანაც არა მარტო თავისი ქვეყნის, არამედ მეზობელი სახელმწიფოებისაც. მეფე ბევრს კითხულობდა და მუდამ თან დაატარებდა თავის სალაშქრო ბიბლიოთეკას. მეცნიერების განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა იმაშიც გამოიხატა, რომ დავითი ბიზანტიაში აგზავნიდა ახალგაზრდებს განათლების მისაღებად³².

რამდენადაც შუა საუკუნეებში მეცნიერებისა და განათლების მთავარი ცენტრები ეკლესია-მონასტრები იყო, დავითი დიდ ყურადღებას აქცევდა საეკლესიო მშენებლობას. მისი თაოსნობით გელათში, ქუთაისის მახლობლად, დაიწყო სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა და მასთან დააარსეს აკადემია — ბიზანტიური ტიპის უმაღლესი სასწავლებელი³³. ასეთივე აკადემია დაარსდა აღმოსავლეთ საქართველოშიც, იყალთოში (თელავის მახლობლად)³⁴. გადმოცემის თანახმად, რომელიც ჭერჭერობით დადასტურებული არ არის წერილობითი წყაროთი, კიდევ ერთი აკადემია არსებობდა

³¹ ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი.— წიგნში: ქართლის ცხოვრება, I, გვ. 353; ივ. ჯაფარიძე, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 218; ი. ბერიძე, სიბტიანი აღწერის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ. — მსუ შრომები, ტ. 118, თბ., 1967, გვ. 204—205.

³² Вардаян Великий, Всеобщая история. Перевод Н. Эммина, М., 1861, с. 147.

³³ ს. ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, თბ., 1949; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 83—84; ნ. ბერიძე, საქართველო XI—XVIII საუკუნეებში, გვ. 48; ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, თბ., 1962, გვ. 524—527, 532—536; ი. ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი, თბ., 1978, გვ. 63—65; თ. პაპუაშვილი, განათლება და კულტურის ცენტრები.— წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 374—380.

³⁴ ა. მამულაშვილი, იყალთოს აკადემია, თბ., 1948; Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетин, Тбилиси, 1979, с. 563—569; ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, გვ. 329—334; ი. ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი, გვ. 84—86.

გრემში³⁵. ეს უმაღლესი სასწავლებლები შიომღვიმის მონასტერთან ერთად³⁶ ქართული კულტურის მნიშვნელოვან ცენტრებად იქცნენ დავით აღმაშენებლის ხანაში.

ს. ყაუხჩიშვილმა გამოარკვია, რომ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებში, კერძოდ, გელათის აკადემიაში, ისწავლებოდა იგივე ძირითადი საგნები, რაც ბიზანტიის ასეთსავე სასწავლებლებში: გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია და, აგრეთვე, მედიცინა³⁷. სასწავლებლების მსმენელებს უთუოდ ასწავლიდნენ უცხო ენებს და ისტორიასაც.

აკადემიების მასწავლებლებად დავითი უცხოეთიდან იწვევდა სახელგანთქმულ ქართველ მოღვაწეებს და ყოველგვარ პირობას უქმნიდა მათ ნაცოფიერი სამეცნიერო საქმიანობისათვის. მოწვეულთა შორის იყვნენ დიდი მოაზროვნენი — იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი, რომელთაც მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით შუა საუკუნეთა ქართული მეცნიერების განვითარებაში.

ასეთი იყო კულტურული ვითარება საქართველოში XII ს-ის პირველ მეოთხედში. ქვეყანაში არსებობდა რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი, სადაც თავისი დროის დიდი სწავლულნი მოღვაწეობდნენ. მნიშვნელოვან სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდნენ აგრეთვე ეკლესია-მონასტრები. იმ ხანაში საქართველოში იქმნებოდა ორიგინალური მეცნიერული შრომები, სხვადასხვა ენებიდან ითარგმნებოდა საეკლესიო, ფილოსოფიური და ისტორიული თხზულებები, თეოლოგიური ტრაქტატები და სხვ. (ბუნებრივია, რომ სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური აყვავების პერიოდში, ისეთ შემოქმედებით ვითარებაში, როცა განათლებული მეფე დავით IV ყოველნაირად უწყობდა ხელს კულტურის განვითარებას და პირადად ლებულობდა მონაწილეობას ლიტერატურულ და სამეცნიერ-

³⁵ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 83; თ. პაპუაშვილი, განათლება და კულტურის ცენტრები, გვ. 379.

³⁶ ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, გვ. 184—186, 192—193; ი. ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი, გვ. 58—63.

³⁷ ს. ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, გვ. 15—18, 24. ი. ბერიტაშვილი ფიქრობდა, რომ გელათის აკადემიაში ბუნებისმეტყველებასაც ასწავლიდნენ (ი. ბერიტაშვილი, მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში, თბ., 1957, გვ. 132—234). არსებობს მოსაზრება, რომ იყალთოს აკადემიაში მსმენელები სწავლობდნენ აგრეთვე მეთუნეობას და მკვდლობას და მევენახეობა-მელვინეობასაც (ა. მამულაშვილი, იყალთოს აკადემია, გვ. 23—33).

რო საქმიანობაში, შემუშავდა აზრი საისტორიო თხზულებათა კრებულის შედგენისა, რომელშიც მოთხრობილი იქნებოდა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ეს ჩანაფიქრი წარმატებით განხორციელდა დავით აღმაშენებლის უშუალო განკარგულებით. ასე შეიქმნა „ქართლის ცხოვრება“ — ქართული ოფიციალური ისტორიოგრაფიის შესანიშნავი ძეგლი³⁸)

* * *

(ჭერაც საბოლოოდ არ არის გარკვეული საკითხი თუ რომელი ნაწარმოებებისგან შეადგინეს თავდაპირველად „ქართლის ცხოვრება“, როგორ და რა დროს ხდებოდა მისი შევსება. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ „ქართლის ცხოვრება“ პირველად ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებებს შეიცავდა³⁹. დანარჩენი ნაწარმოებები, მისი აზრით, სამ წყებად უნდა შეეთანათ კრებულში, პირველ რიგში მას დაუმატეს ე. წ. „მატიანე ქართლისა“ და „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისა“. ამით დასრულდა „ქართლის ცხოვრების“ პირველი ციკლის შედგენა.) რამდენადაც ზემოთ ჩამოთვლილი ნაწარმოებები არის ვახტანგაშდელი რედაქციის ყველა ნუსხაში, მათ შორის 1222—1223 წლებში შესრულებული ხელნაწერიდან გადაწერილ ანასეულ ნუსხაშიც, ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ „მატიანე ქართლისა“ და დავითის ისტორიკოსის თხზულება 1223 წლამდე იყო შეტანილი „ქართლის ცხოვრებაში“⁴⁰.

შემდეგ „ქართლის ცხოვრებაში“ დამატებით შეუტანიათ სუმბატ დავითის-ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“) რომელიც ქრონოლოგიისა და თხრობის თანმიმდევრობის დარღვევით არის ჩასმული კრებულში. რამდენადაც სუმბატის ქრონიკა არ არის ანასეულ ნუსხაში, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი XV ს-ის უკანასკნელი მეოთხედით ათარიღებდა, მეცნიერმა გადაწყვიტა, რომ ის მხოლოდ XVI ს-ში შეიტანეს კრებულში⁴¹.

(დაბოლოს, „ქართლის ცხოვრება“ შეივსო თამარის პირველი ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის თხზულებებით. ივ. ჯავახიშვილს ისიც კი მიაჩნდა შესაძლებლად, რომ ეს ორი ნაწარმოები ჭერ კიდევ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანამდე იყო შეერთებული.)

³⁸ Ш. А. Хантадзе, К историографической характеристике «Картлис цховреба». — «Грузинская историография», II, Тбилиси, 1972, с. 211.

³⁹ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 307.

⁴⁰ იქვე, გვ. 307—308.

⁴¹ იქვე, გვ. 308.

ამ ვარაუდის დასამტკიცებლად დასახელებული იყო ის ფაქტი, რომ XVII ს-ის მიწურულს ფარსადან გორგიჯანიძეს ეს ორი ნაწარმოები ერთმანეთზე გადაბმული ჰქონია ხელთ. რაკი თამარის პირველი ისტორიკოსისა და უამთააღმწერლის თხზულებები არ არის ანასეულ ნუსხაში, ხოლო მარიამისეულში კი არის, ივ. ჭავჭავიძემ გადაწყვიტა, რომ ეს ნაწარმოებები საერთოდ არ ყოფილა „ქართლის ცხოვრებაში“ XV ს-ის ბოლომდე და ალბათ მხოლოდ XVI ს-ში შეუტანიათ კრებულში⁴².

ივ. ჭავჭავიძელის მიერ შემოთავაზებული სქემა და ქრონოლოგია „ქართლის ცხოვრების“ შევსებისა უყოყმანოდ არის გაზიარებული თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში⁴³, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს სქემა აუცილებლად საკიროებს ზოგიერთ სერიოზულ შესწორებასა და დაზუსტებას.

უპირველეს ყოვლისა მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ივ. ჭავჭავიძელი აშკარად გადაჭარბებით აფასებდა ანასეული ნუსხის მნიშვნელობას, მთელი „ქართლის ცხოვრების“ ეტალონად მიაჩნდა ის. მკვლევარი ანგარიშს არ უწევდა იმას, რომ ანასეული ნუსხა სხვა შედგენილობის კრებულია, განსხვავებული მარიამისეული ნუსხისაგან და ფიქრობდა, რომ თუ რომელიმე თხზულება არ გვხვდება ანასეულ ნუსხაში, ის საერთოდ არ იყო შეტანილი „ქართლის ცხოვრებაში“ XV ს-ის ბოლოსათვის⁴⁴.

რაც შეეხება უფრო კონკრეტულ შენიშვნებს, უნდა ითქვას, რომ სწორი არ არის შეხედულება თითქოს „ქართლის ცხოვრება“

⁴² ივ. ჭავჭავიძე ილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 308—310.

⁴³ В. Н. Г а б а ш в и л и, Историография Грузин, с. 144—145; კ. გ რ ი გ ლ ი ა, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 3—4; კ. გ რ ი გ ლ ი ა, რას მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“, გვ. 10; ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა, გვ. 08; М. Д. Л о р д к и п а н и д з е, Введение. — В кн.: Матиане Картლისა, с. 14; თ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი, ისტორიოგრაფია, გვ. 432—433.

⁴⁴ ამჟამად ანასეული ნუსხა, პალეოგრაფიული მონაცემებით და ქალაღლის ჭეირნიშვნების მიხედვით, XVI ს-ის მიწურულითა და XVII ს-ის დამდეგით თარიღდება (С. С. К а к а б а д з е, Установление критического текста начальной части «Картлис цховреба». — «Палестинский сборник», 15 (78), М., 1968, გვ. 172 (შენიშვნაში მოყვანილია სარგის კაკაბაძის მოსაზრება მისი გამოუქვეყნებელი ნაშრომიდან); ს ა უ რ მ ა გ კ ა კ ა ბ ა ძ ე, „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ტექსტოლოგიური შესწავლის საკითხები. — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1977, № 2, გვ. 48; ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, „ანასეული ქართლის ცხოვრების“ პირის გადაწერის თარიღი. — „მრავალთავე“, V, თბ., 1975, გვ. 45—55.

თავდაპირველად მხოლოდ ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებებისგან შეადგინეს, ხოლო „მატიანე ქართლისა“ და „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“ ერთად დაუმატეს კრებულს მოგვიანებით. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ივ. ჯავახიშვილი იმაჱ ასახელებდა, რომ ორი ნაწარმოების შეერთების დროს დავითის ისტორიკოსის თხზულებას დასაწყისი ჩამოაშორეს, რათა „მატიანე ქართლისას“ გაგრძელების სახე მისცემოდა⁴⁵. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს რომ დასახელებული ორი თხზულება ერთად იქნა შეტანილი „ქართლის ცხოვრებაში“.

რამდენადაც „მატიანე ქართლისა“ (დამთავრებული, ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, 1072—1073 წლებში⁴⁶) თითქმის ლეონტი მროველის თხზულებებთან ერთდროულად იწერებოდა⁴⁷, გაუგებარია, რატომ ნაშინვე არ უნდა შეეტანათ ის კრებულში. ძნელი დასაჯერებელია, რომ „ქართლის ცხოვრების“ შედგენის დროს კრებულში შეიტანეს საქართველოს ისტორიის ამსახველი თხზულებები მხოლოდ VIII საუკუნემდე და არ გაითვალისწინეს უკვე არსებული ნაწარმოები, რომელშიც მოვლენები XI ს-ის 70-იან წლებამდე იყო მოყვანილი⁴⁸.

რაც შეეხება სუმბატ დავითის-ის თხზულებას, ის შართლაც ცალკე უნდა იყოს შეტანილი კრებულში, ოღონდ, ცხადია, არა XV ს-ის შემდეგ, როცა საერთოდ აღარ ხდებოდა „ქართლის ცხოვრების“ შევსება.

თამარის პირველი ისტორიკოსისა და ქამთაღმწერლის თხზულებათა „ქართლის ცხოვრებაში“ ერთდროულად შეტანის ერთ-ერთ არგუმენტად ის არის დასახელებული, რომ „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტს დასაწყისი მთლიანად აქვს შენარჩუნებული, ბოლო

⁴⁵ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 308.

⁴⁶ იქვე, გვ. 203—204.

⁴⁷ კ. კეკელიძის ლეონტი მროველი XI ს-ის 60—70-იანი წლების მოღვაწედ მიაჩნდა, რაც დადასტურდა 1957 წ. გამოვლენილი, 1066 წლით დათარიღებული წარწერითაც (კ. კეკელიძე, ნინოს ცხოვრების მატანიისეული რედაქციის ავტორი. — „ეტოლოები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, II, თბ., 1945, გვ. 269—280; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 239; გ. გაფრინდაშვილი, ლეონტი მროველის 1066 წლის საამშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბებიდან. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზ. მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1961, № 1).

⁴⁸ ა. ბოგვერაძე, „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატანე და მისი ავტორი. — „ქართული ისტორიოგრაფია“, I, თბ., 1968, გვ. 42, შენ. 103.

კი მოკვეცილია, ხოლო უამთაღმწერლის თხზულებას, პირიქით, დასაწყისი აკლია⁴⁹. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თხრობის თანმიმდევრობისა და ორ ნაწარმოებს შორის ლოგიკური კავშირის შესანარჩუნებლად სულაც არ არის აუცილებელი მათი ერთად შეტანა კრებულში. ხოლო მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს ორი დსახელებული თხზულება ჯერ კიდევ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანამდე იყო შეერთებული და ამ სახით არსებობდა XVII ს-ის დასასრულამდე, სრულიად არარეალურია. მართალია, ფარსადან გორგიჯანიძემ გამოიყენა თამარის პირველი ისტორიკოსისა და უამთაღმწერლის თხზულებები, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს რომ ისინი „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანამდე იყვნენ შეერთებული. ფარსადანი ქართლის მეფის როსტომის კარზე იზრდებოდა სწორედ იმ დროს, როცა დედოფალ მარიამის განკარგულებით ხდებოდა „ქართლის ცხოვრების“ გადანუსხვა, და შესაძლებლობა ჰქონდა მთლიან კრებულსაც გაცნობოდა⁵⁰. ყოველ შემთხვევაში, ახლა უკვე ვიცით, რომ თავისი თხზულების პირველ ნაწილში გორგიჯანიძემ სუმბატ დავითის-ძის ქრონიკის ერთი ფრაგმენტიც გამოიყენა⁵¹. უნდა ვიფიქროთ, რომ მოგვიანებით, როცა შორეულ ისფაჰანში წერდა თავის „საქართველოს ცხოვრებას“, ფარსადანს ხელთ ჰქონდა „ქართლის ცხოვრების“ ნაკლული ხელნაწერი, რომელშიც მხოლოდ თამარის პირველი ისტორიკოსისა და უამთაღმწერლის თხზულებათა ტექსტები იყო შემორჩენილი მეტნაკლები სიძრულთ.

ამრიგად, „ქართლის ცხოვრების“ შედგენისა და თანდათანობით შევსების სურათი ჩვენ შემდეგნაირად წარმოგვიდგება: „ქართლის ცხოვრება“ შედგენილ იქნა XII ს-ის პირველ მეოთხედში დავით აღმაშენებლის თაოსნობითა და განკარგულებით. შედგენისთანავე კრებულში შეიტანეს ამჟამად ლეონტი მროველისა და ჯუანშერის ავტორობით ცნობილი ნაწარმოებები და, აგრეთვე, ე. წ. „მატიანე ქართლისა“, ე. ი. თხზულებები, რომლებშიც გადმოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან XI ს-ის 70-იან წლებამდე. „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“ მაშინ ჯერ არ

⁴⁹ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 308—309.

⁵⁰ იხ. რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, თბ., 1975, გვ. 25.

⁵¹ რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ერთი ქართული წყაროს შესახებ. — „მატენი“, ისტორიის სერია, 1971, № 2.

იყო დაწერილი. ამ თხზულების დაწერა დასრულდა დავითის ვაჟის დემეტრე I-ის მეფობაში (1125—1156)⁵² და „ქართლის ცხოვრებაშიც“ მაშინ იქნა შეტანილი (XII ს-ის შუა წლებში, როცა „ქართლის ცხოვრება“ სომხურად ითარგმნა, ის უკვე შეიცავდა დავითის ისტორიას⁵³). შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“ საგანგებოდ დაიწერა „ქართლის ცხოვრებისათვის“ და ამიტომ ის უშუალოდ აგრძელებს „მატიანე ქართლისას“ თხრობას.

ასე დასრულდა „ქართლის ცხოვრების“ უძველესი, ყველა ნუსხისათვის საერთო ნაწილის შედგენა. შემდგომში კრებული სხვადასხვა ნაწარმოებებით ივსებოდა, რის გამოც მიღებულ იქნა განსხვავებული შედგენილობის ნუსხები. უპირველეს ყოვლისა ეს არის ე. წ. მცხეთური „ქართლის ცხოვრებიდან“ მომდინარე ნუსხები (მარიამისეული, მაჩაბლისეული და 1697 წლისა), ანასეული ნუსხა და ქალაშვილისეული ნუსხა⁵⁴. მათგან, დავითის ისტორიის შემდეგ ანასეულ ნუსხაში შეტანილია ე. წ. ლაშა გიორგის დროი-

⁵² თ. უორდანი, ს. კაკაბაძე და ა. ბოგვერაძე XII ს-ის 30-იანი წლებით ათარიღებენ თხზულებას (თ. უორდანი, ქრონიკები, I, გვ. XLIV; ს. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლის მემატანის ვინაობა, თბ., 1913; ა. ბოგვერაძე, დავით აღმაშენებლის ისტორიის თარიღისა და ხაიათის შესახებ.— „ქართული ისტორიოგრაფია“, II, თბ., 1971, გვ. 71—83). ივ. ჭავჭავაძისა და კ. კეკელიძის 1123—1126 წლები შიანდათ დავითის ისტორიის დაწერის თარიღად (ივ. ჭავჭავაძის შვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 212—213; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 262).

⁵³ ი. აბულაძე „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანს XII ს-ის მეორე ნახევრით ათარიღებდა, საურმაგ კაკაბაძე კი ფიქრობდა, რომ რამდენადაც მთარგმნელი დავით აღმაშენებლის უმცროსი თანამედროვე იყო, თარგმანი ამავე საუკუნის შუა წლებში უნდა იყოს შესრულებული (ი. აბულაძე, „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომეხი მთარგმნელი და მისი მოღვაწეობის ხანა.— კრებ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 213; ს. კაკაბაძე, „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ტექსტოლოგიური შესწავლის საკითხები, გვ. 50, შენ. 14).

⁵⁴ ქალაშვილისეული ნუსხა ორი ნაწილსაგან შედგება. ძველი ნაწილი, პალეოგრაფიულად და ქალაქის მიხედვით, XVI ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება. 1731 წელს ერაჭ ქალაშვილმა ვახტანგისეული რედაქციის ნუსხიდან შეავსო ხელნაწერის თავსა და ბოლოში ნაწილი ტექსტი (ივ. ჭავჭავაძის შვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 373—375; კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 118—124; ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა, გვ. 015—016).

წდელი მემატინის თხზულება⁵⁵, ქალაშვილისეულ ნუსხაში — თამარის ე. წ. მეორე ისტორიკოსის „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“⁵⁶, ხოლო მცხეთური ციკლის ნუსხებში — სუმბატ დავითის-ძის, თამარის პირველი ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის თხზულებები. ცალკე დგას თეიმურაზისეული ნუსხა, რომლის მხოლოდ პირველ ნაწილს გაუვლია ვახტანგის კომისიის რედაქცია. „ისტორიათა და აზმათა“ მეორე ნაწილი და ჟამთააღმწერლის თხზულება აქ პირვეანდელი სახით არის წარმოდგენილი.

როგორც ჩანს, ანასეული ნუსხის არქეტიპი ისეთ პირობებში აღმოჩნდა, რომ დიდი ხნის განმავლობაში აღარ შეუვსიათ ახალი ნაწარმოებებით. ქალაშვილისეული ნუსხა მხოლოდ თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებით შეივსო. მცხეთური ნუსხა კი მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის წიგნსაცავში ინახებოდა, ერთგვარად ოფიციალურ კრებულად ითვლებოდა და ცენტრალური ხელისუფლებაც და სამღვდელოებაც საგანგებოდ ზრუნავდნენ მის დროულად შევსებაზე.

ამიტომ, მხოლოდ ანასეული ნუსხის მონაცემებით არ შეიძლება მთლიანად „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობაზე მსჯელობა. ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება იმის თქმა, რომ რაკი სუმბატ დავითის-ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ არ არის ანასეულ ნუსხაში, ის საერთოდ არ ყოფილაო „ქართლის ცხოვრებაში“

55 ამ მცირე მოკულობის თხზულებაში (ხელნაწერში უჭირავს გვ. 412—425) მოკლედ არის მოთხრობილი დემეტრე I-ის, გიორგი III-ის, თამარისა და გიორგი IV-ის მეფობა. ივ. ჭავჭავაძის თხზულება პირობითად 1222—1223 წლებით დაათარიდა (ი ვ ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 244). ნ. შოშიაშვილის აზრით, ე. წ. ანასეული ნუსხა სინამდვილეში მხოლოდ პირია ამ ნუსხისა, გადაწერილი XVI—XVII სს. მიჯნაზე. ავტორი ვარაუდობს, რომ სწორედ მაშინ უნდა შეეტანათ ხელნაწერში ე. წ. ლაშა გიორგის-დროინდელი მემატინის თხზულებაც, რომელიც, როგორც ჩანს, თითონ გადამწერის შეთხზულია (ნ. შოშიაშვილი, „ანასეული ქართლის ცხოვრების“ პირის გადაწერის თარიღი).

56 თხზულება არასრული სახით არის შემონახული ქალაშვილისეულ ნუსხაში, თხრობა 1202 წ. ამბებზე წყდება. რამდენადაც „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეულ რედაქციაში თამარის მეფობის ხანის ისტორია ძირითადად პირველი და მეორე ისტორიკოსების თხზულებათა მიხედვით არის გადმოცემული, ივ. ჭავჭავაძის გამოცხადების მეთოდით პირობითად აღადგინა „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“-ს ტექსტის მეორე ნაწილი. მანვე თხზულების ავტორად ივარაუდა ტექსტში მოხსენიებული ბასილი ეზოსმოდვარი, რომელსაც ბასიანის ბრძოლის წინ მეფესთან ერთად ეკირა ჭვარი (ი ვ ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 390).

XV ს-ში. სუმბატის ქრონიკა, ისევე, როგორც „ისტორიანი და აზმანი“ და ჟამთაღმწერლის თხზულება მხოლოდ მცხეთური ციკლის ნუსხებშია შესული, ანასეული ნუსხა კი სხვაგვარი შედგენილობის კრებულია.

ამრიგად, სუმბატ დავითის-ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ შეიძლებოდა ქართლის ცხოვრებაში შეეტანათ XII ს-ის მეორე ნახევარში. ეს თხზულება „ქართლის ცხოვრებისთვის“ არ იყო განკუთვნილი. გამოთქმულია ვარაუდი, რომ იგი XI ს-ის 30-იან წლებში უნდა იყოს დასრულებული და თბრობაც ამავე დრომდეა მოყვანილი. რამდენადაც სუმბატის თხზულება „ქართლის ცხოვრებაში“ ჩასმულია ქრონოლოგიის დარღვევით, დავითის ისტორიის შემდეგ, მან მთლიანად შეინარჩუნა დასაწყისი ნაწილი, სადაც აღნიშნულია ნაწარმოების სათაური და ავტორიც არის დასახელებული. ამის წყალობით ჩვენ დღეს დანამდვილებით ვიცით ვინაობა „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შეტანილი ერთადერთი ნაწარმოებისა (იქნებ ეს იმის გამოც მოხდა, რომ როგორც ვარაუდობენ, სუმბატი ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელი იყო).

რამდენადაც თბრობა სუმბატის თხზულებაში XI ს-ის 30-იან წლებზე წყდება, თამარის პირველი ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი“ კი გიორგი III-ის (1156—1184) მეფობის აღწერით იწყება, ეს თხზულება მთლიანად, ყოველგვარი შემოკლების გარეშე შეიტანეს „ქართლის ცხოვრების“ მცხეთურ ნუსხაში. ეს უნდა მომხდარიყო ალბათ XIII ს-ის პირველ ნახევარში თამარის მემკვიდრეთა, გიორგი IV-ის (1207—1222) ან რუსუდანის (1222—1245) დროს. მონღოლთა შემოსევები ვერ შეუშლიდა ხელს ამას. პირიქით, პოლიტიკური ვითარების მკვეთრ გაუარესებას და მოსალოდნელ საშიშროებას შეიძლებოდა დაეჩქარებინა კიდევ „ქართლის ცხოვრების“ შეესება, რადგან ცნობილი იყო, რომ მცხეთის სვეტიცხოველში ხელნაწერი შედარებით ჯკეთ იქნებოდა დაცული ყოველგვარი მოულოდნელობისაგან.

(დასასრულ, დაახლოებით XIV ს-ის მეორე მეოთხედში, გიორგი V ბრწყინვალის დროს „ქართლის ცხოვრებაში“ შეიტანეს ჟამთაღმწერლის თხზულება. შესაძლებელია ეს თხზულებაც საგანგებოდ „ქართლის ცხოვრებისთვის“ იყოს დაწერილი. ის უშუალოდ აგრძელებს „ისტორიანთა და აზმათა“ თბრობას.

ასე დასრულდა XIV ს-ის პირველ ნახევარში „ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქციის ე. წ. მცხეთური ნუსხის შევსების ხან-

გრძლივი პროცესი. XV—XVII საუკუნეებში „ქართლის ცხოვრება“ აღარ შეუესიათ. ამ ხანაში კიდევ თუ შეიქმნა საისტორიო ნაწარმოებები, ისინი უკვალოდ დაიკარგა, იქნებ სწორედ იმის გამო, რომ დროულად არ იქნენ შეტანილი „ქართლის ცხოვრებაში“.

ქართულ წყაროთმცოდნეობით ლიტერატურაში არაერთხელ გამოთქმულა მოსაზრება, რომ „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შეტანის დროს საისტორიო თხზულებებს, როგორც წესი, დასაწყისსა და ბოლოს აცილებდნენ, რის გამოც ჩვენ დღეს არ ვიცით ამ ნაწარმოებთა ავტორების ვინაობა და შედგენის დრო, ზოგჯერ კი სახელწოდებაც. ამ საკითხზე მსჯელობის დროს უთუოდ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი თხზულება ალბათ იმთავითვე კრებულისათვის იყო გამიზნული და საგანგებოდ იწერებოდა წინა თხზულების გაგრძელების სახით. ცალკეული ნაწარმოებების ავტორთა სახელები იმიტომ კი არ დარჩა უცნობი, რომ ამ თხზულებებს დასაწყისი შეუმოკლეს (როგორც ცნობილია, „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტს საკმაოდ ვრცელი შესავალი უძღვის წინ, მაგრამ ავტორი მაინც არ არის დასახელებული). როგორც ჩანს, ეს საგანგებოდ კეთდებოდა იმისათვის, რომ შექმნილიყო ერთიანი ოფიციალური ისტორია საქართველოსი — „ქართლის ცხოვრება“ — და არა ცალკეული ავტორების ნაწარმოებთა მექანიკური გაერთიანებით მიღებული კრებული.

ИЗ ИСТОРИИ ИЗУЧЕНИЯ «КАРТЛИС ЦХОВРЕБА»

Резюме

Вопросы о времени составления, содержания, авторах отдельных произведений и постепенном пополнении свода древнегрузинских исторических сочинений «Картлис цховреба» все еще недостаточно разработаны в грузинской историографии. Интересные наблюдения о сборнике и его отдельных произведениях имеются в работах М. Броссе, Д. З. Бакрадзе, Ф. Д. Жордания, М. Г. Джанашвили, С. Н. Какабадзе и других исследователей. Успешное решение основных вопросов о составе «Картлис цховреба» связано с именем И. А. Джавахишвили, который установил (большей частью, условно) объем, названия, время написания и авторов сочинений сборника.

По предложенной И. А. Джавахишвили схеме, в древнюю часть «Картлис цховреба» входят следующие исторические произведения: «История царей» Леонтия Мровели, «История Вахтанга Горгасала» Джуаншера, «Мученичество Арчила» Леонтия Мровели, сочинение под условным названием «Летопись Грузии», «Жизнеописание Давида Строителя», хроника Сумбата Давитис-дзе, т. н. Летопись времени Лаша Георгия, произведения двух безымянных историков Тамар и сочинение анонимного историка XIV века. Однако не все исследователи согласны с приведенной условной схемой состава «Картлис цховреба». В частности, К. С. Кекелидзе, П. И. Ингороква, Н. А. Бердзеншвили, Г. А. Меликишвили, К. Г. Григолия предложили ряд существенных поправок к данной схеме.

Не менее сложен вопрос о времени составления «Картлис цховреба». Исследователи называли различные даты, начиная с VII века, до второй половины XII в. В работе высказана мысль, что поскольку любой исторический источник должен рассматриваться как продукт определенных политических и культурных условий, как факт общественной жизни, то при его датировании обязательно должна быть принята во внимание конкретно-историческая обстановка в стране. На основе изучения назначения сборника, его идейной и политической целенаправленности и содержания, а также анализа внутреннего положения в Грузии, в работе сделан вывод, что «Картлис цховреба» составлена в первой четверти XII века, в период существования сильной центральной власти, когда в стране были успешно решены основные внешне- и внутривластные вопросы и созданы благоприятные условия для развития культуры.

И. А. Джавахишвили предложил также схему и хронологию составления и пополнения «Картлис цховреба», которые без изменения приняты современными исследователями. В работе дана обстоятельная критика этой условной схемы и ее хронологии и предложена следующая картина составления и пополнения «Картлис цховреба»: при

составлении сборника в первой четверти XII века в него были включены произведения, приписываемые Леонтию Мровели и Джуаншеру, а также т. н. «Летопись Грузии». «Жизнеописание Давида Строителя» тогда еще не было написано, оно по-видимому, включено в сборник во второй четверти XII века. Так завершилось составление старейшей, общей для всех списков части «Картлис цховреба». Впоследствии происходило пополнение сборника разными произведениями, в результате чего были получены списки различного состава. В частности, в списки т. н. Мцхетского цикла включены хроника Сумбата Давитисдзе, «История и восхваление венценосцев» и сочинение историка XIV века. Хроника Сумбата могла быть включена в сборник во второй половине XII века. При преемниках Тamar — Лаша Георгии или Русудан в «Картлис цховреба» была внесена «История и восхваление венценосцев». И, наконец, примерно во второй четверти XIV века сборник пополнился сочинением анонимного историка XIV века. Так завершился длительный процесс пополнения т. н. Мцхетского списка «Картлис цховреба». В XV—XVII веках сборник не пополнился.

ფარსადან გორგიჯანიძის ერთი ქართული წყაროს შესახებ*

ქართველ მემატიანეთაგან ფარსადან გორგიჯანიძემ პირველმა სცადა შეედგინა ჩვენი ქვეყნის ისტორია ძველი ხანიდან თავის დრომდე. მისი საისტორიო თხზულება, რომელიც XVII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედშია შედგენილი, მოიცავს საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ისტორიას ქართლში ქრისტიანობის გავრცელებიდან XVII ს-ის მიწურულამდე. ასეთი ხანგრძლივი პერიოდის ამბების გადმოცემისას ავტორს, ბუნებრივია, სათანადო საისტორიო წყაროები უნდა გამოეყენებინა და გამოუყენებია კიდევც. ამ წყაროების ხასიათის მიხედვით. ივ. ჯავახიშვილმა ფ. გორგიჯანიძის თხზულება პირობითად ოთხ ნაწილად დაყო და თითოეული ნაწილის შეფასებაც მოგვცა.

პირველ ნაწილად ივ. ჯავახიშვილმა მიიჩნია თხრობა თხზულების დასაწყისიდან თამარის გამეფებამდე. მეორე ნაწილი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით არის შედგენილი. იგი თამარის გამეფებით იწყება და XIV ს-ის დამდეგამდე გრძელდება. მესამე ნაწილი მოიცავს XIV—XVII ს-ის პირველი მესამედის ამბებს და ძირითადად სპარსულ წყაროებს ემყარება. უკანასკნელ, მეოთხე ნაწილს შეადგენს თხრობა 1636 წლიდან ნაწარმოების დასასრულამდე. აქ ავტორი აღწერილი ამბების თვითმხილველი და თანადამხდურია¹.

* პირველად დაბეჭდა 1971 წელს („მაცნე“, ისტორიის სერია, 1971, № 2, გვ. 115—122).

¹ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 291—298.

ასეთი დაყოფა ფარსადანის თხზულებისა ახლაც გაზიარებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში².

ივ. ჯავახიშვილმა საგანგებოდ აღნიშნა ფ. გორგიჯანიძის საისტორიო ნაწარმოების ე. წ. მესამე და მეოთხე ნაწილების დიდი მნიშვნელობა XIV—XVII სს საქართველოს ისტორიის შესასწავლად. რაც შეეხება თხზულების პირველ ორ ნაწილს, ივ. ჯავახიშვილი, ვფიქრობთ, ზედმეტ სიმკაცრეს იჩენდა მათს შეფასებაში. მისი აზრით, პირველი ნაწილი „განსაკუთრებით ზეპირსა და „გაგონილ“ ამბებზეა დამყარებული და ამის გამო მას ზღაპრული ხასიათი აქვს“³, ხოლო „მეორე ნაწილსაც ისტორიისათვის არავითარი მნიშვნელობა არცა ჰქონია და არცა აქვს, რადგან თვით მისი წყაროს დედანმა, საუცხოო ღირსებისამ⁴, ჩვენამდის მოაღწია“⁵.

უნდა აღინიშნოს, რომ ფ. გორგიჯანიძის ნაღვაწის მკაცრ შეფასებაში ივ. ჯავახიშვილს წინამორბედიც ჰყავდა და მიმდევრებიც. ჯერ კიდევ დ. ჩუბინაშვილი წერდა, რომ ამ ნაწარმოებში „თხრობა მეფე როსტომამდე შედგენილია ხალხური თქმულებებს მიხედვით, თხრობის მკაცრი თანმიმდევრობის გარეშე და თარიღების აღუნიშნავად“⁶. ან კიდევ: „ცნობები მეფეთა შესახებ ვიდრე როსტომამდე, ამოღებულია ხალხური გადმოცემებიდან, მკაცრი თანმიმდევრობისა და კავშირის გარეშე და კრიტიკულ მიდგომას საჭიროებენ“⁷. როგორც ვხედავთ, დ. ჩუბინაშვილმა არათუ პირველი, მეორე და მესამე ნაწილებიც ხალხური გადმო-

² В. Н. Г а б а ш в и л и, Историкография Грузии (X—XVII вв.).—В кн.: Очерки истории исторической науки в СССР, М., 1955, с. 147; რ. კ ი კ ნ ა ძ ე. კიდევ ერთი ქართული წყარო ლაშა გიორგის ისტორიისათვის.— კრებ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 96; დ. გ ვ რ ი ტ ი - შ ვ ი ლ ი, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიული კონცეფცია,— თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის II სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1966, გვ. 7; დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, III, თბ., 1968, გვ. 97—98.

³ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 291.

⁴ ივ. ჯავახიშვილს „ქართლის ცხოვრების“ მარიაპისეული ნუსხა ჰქონდა მხედველობაში.

⁵ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 292.

⁶ Д. Ч у б и н о в, Известия об исторических сочинениях о Грузии на грузинском языке, и о тех, кои вошли в состав II части Истории Грузии.— წიგნბო: ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან შეათხრობა მტეხ საუკუნემდის, ნაწ. მეორე, დ. ჩუბინაშვილის გამოც., სპბ., 1854, გვ. XVI.

⁷ იქვე, გვ. XXXII.

ცემების მიხედვით შედგენილად გამოაცხადა და საერთოდ უარყო ფარსადანის მიერ წერილობითი საისტორიო წყაროების გამოყენება.

ს. კაკაბაძეც არ ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას ფ. გორგიჯანიძის თხზულებას ე. წ. პირველსა და მეორე ნაწილებს. ის წერდა: „ფარსადანს განუზრახავს საქართველოს ისტორიის, უკეთ მატია-ნის დაწერა დაწყებული უძველეს დროიდან. მაგრამ თვით მის დროინდელ ლიტერატურულ შკოლის გაუვლელობის გამო ამ ამოცანისათვის ვერ უძლევია და ამიტომ მის ისტორიას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ ნაწილებში, სადაც ფარსადანი რამოდენადმე სპარსულ წყაროებზე დაყრდნობით თავისებურს და ადგილობრივ გადმოცემათა მიხედვით შესაძლებელ გაშუქებას აძლევს ისტორიულ მოვლენებს“⁸.

ივ. ჯავახიშვილის მიერ მოცემულ შეფასებას ემყარებიან ფ. გორგიჯანიძის თხზულების პირველი ნაწილის დახასიათების დროს ალ. ბარამიძე⁹, ვ. გაბაშვილი¹⁰ და დ. გვრიტიშვილი¹¹.

ამგვარად, როგორც ვნახეთ, ჩვენს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია შეხედულება, თითქოს ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო ნაწარმოების პირველი ნაწილი, ე. ი. თხრობა ქართლში ქრისტიანობის გავრცელებიდან თაპარის გამეფებამდე. მხოლოდ ზეპირ გადმოცემებზე იყოს დამყარებული. უნდა ითქვას, რომ ასეთი შეხედულება არ არის სწორი და მისი ასე ფართოდ გავრცელება თხზულების ტექსტის სრული შეუსწავლელობით აიხსნება.

ჩვენ ერთხელ უკვე გამოვთქვით აზრი გორგიჯანიძის საისტორიო ნაწარმოების ე. წ. მეორე ნაწილის გამო და მისი ერთი მონაკვეთის ანალიზის საფუძველზე ვცადეთ გვეჩვენებინა, რომ იგი სრულიადაც არ არის მოკლებული მნიშვნელობას როგორც საისტორიო წყარო¹². ამჯერად ფარსადანის თხზულების პირველ ნაწილს შევხებით.

⁸ ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. — „საისტორიო მოამბე“, II, თბ., 1925, გვ. 198.

⁹ ალ. ბარამიძე, „ხოსრო-შირინიანის“ ქართული ვერსიებისათვის. — „ლიტერატურული ძიებანი“, I, თბ., 1943, გვ. 68.

¹⁰ В. Н. Г а б а ш в и л и, Историография Грузии (X—XVII вв.), с. 147.

¹¹ დ. გვრიტიშვილი, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიული კონცეფცია, გვ. 7 (თეზისებში ავტორი წერს: „პირველი ორი ნაწილი უფრო ფანტაზიას წარმოადგენს და ნაკლები მეცნიერული ღირებულებისა“); დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, III, გვ. 97.

¹² რ. კიკნაძე, კიდევ ერთი ქართული წყარო ლაშა გიორგის ისტორიისათვის.

სავესებით სამართლიანად შენიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, რომ ამ ნაწილში ავტორს ბევრი უხეში შეცდომა აქვს დაშვებული. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს მაინც არ ნიშნავს, რომ იგი საისტორიო წყაროებით არ სარგებლობდა. პირიქით, შეცდომების უდიდესი ნაწილი სწორედ ფარსადანის მიერ გამოყენებული წყაროებიდან უნდა მომდინარეობდეს. ამ წყაროებს შორის, როგორც ჩანს, უპირატესი ადგილი ზომბურ ენაზე არსებულ თხზულებებს ეკირათ¹³. ამავე დროს ფ. გორგიჯანიძეს ხელთ ჰქონია აგრეთვე სპარსული ლიტერატურული წყაროები, საიდანაც ამოღებული აქვს მოთხრობა ხოსროვისა და შირინის მიჯნურობის შესახებ¹⁴.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში კარგად არის ცნობილი ფარსადანის მიერ თავისი თხზულების ე. წ. მეორე ნაწილის შესადგენად „ისტორიათა და აზმათა“ და ეამთაღმწერლის საისტორიო ნაწარმოების გამოყენების ფაქტი, მაგრამ პირველი ნაწილისათვის ქართული წყაროებით სარგებლობის საკითხი ჯერჯერობით დასმული არ ყოფილა¹⁵.

ჩვენ სწორედ ერთ ასეთ ქართულ წყაროზე გვინდა შევიჩერდეთ.

ვახტანგ გორგასლის გარდაცვალებისა და დაკრძალვის ამბის მოთხრობის შემდეგ გორგიჯანიძეს მოტანილი აქვს სათაური: „რაც

¹³ ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ „ავტორს რომელიდაც შეცდომებით სახე მოკლე ზომბური ხრონოგრაფი უნდა ჰქონოდა“ (ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 289).

¹⁴ აღ. ბარამიძე, „ხოსროვ-შირინიანის“ ქართული ვერსიებისათვის, გვ. 68—69.

¹⁵ ს. კაკაბაძის აზრით, „ფარსადანი იცნობდა უსახელო შრომას ქართლის ვაჭრისტიანებისა და ვახტანგ გორგასლის მეფობის შესახებ, რომელიც შედგენილი უნდა იყოს მე-8—9 ს-ნის მიჯნაზე, რადგან მხოლოდ ამ შრომაშია ვახტანგის ჯაქვის განახევის შესახებ მოთხრობილი... საზოგადოდ, ძველი ხანის შესახებ ქართული წყარო, გარდა ამ ცნობისა, ფარსადანს ხელთ არ უნდა ჰქონოდა“ („საისტორიო მოამბე“, II, გვ. 201). მოგვიანებით ს. კაკაბაძემ საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა ამავე ეპიზოდის გამო: „საფიქრებელია, რომ ეს თხრობა მან გადმოიღო პატარა თხრობათა შემკველ ერთერთ სპარსულ ქრესტომატიიდან, სადაც ეს საქართველოს ისტორიისათვის მეტად საყურადღებო ამბავი შემთხვევით შემონახულა“ (ს. კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი, თბ., 1959, გვ. 62). ორივე ეს ვარაუდი მდლარია, რადგან მირიან მეფისა და ვახტანგის შესახებ თხრობის დასაწყისში ფარსადანი საგანგებოდ შენიშნავს: „აქა ცოტას რასმე ანბავს ვაგონებულსა მირიან კემშიფისასა და მისის შეილის (sic) ვახტანგ გორგასლისას დავსწერ, მაგრა წიგნი არ მინახავს. თუ ამათ ანბავი ვინმე წიგნათ ნახეთ, აქედამენ ჩაუმატეთ“ (ხელნაწ. H 2492, ფ. 11v).

ამბავი ბაგრატონთა, რომ სომეხთ ცხოვრებაში სწერია მათი მოსვლა საქართველოში“¹⁶.

ამ სათაურის გამო ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „თვით გორგიჯანიძე ერთს უცნაურად გამოთქმულს სათაურში ერთს თავის წყაროს ასახელებს. 28-ე გვერდზე¹⁷ იგი წერს: „რაც (sic) ანბავი ბაგრატონთა (sic), რომ სომეხთ ცხოვრებაში სწერია მათი მოსვლა“¹⁸. ამ უთაებლო წინადადებითგან მხოლოდ იმის გაგება შეიძლება, რომ ფარსადან გორგიჯანიძეს წყაროდ „სომეხთა ცხოვრება“ ჰქონია. იქ წერებულა ის ცნობები, რომლითაც ასე უხვად ავსებს იგი თავისი თხზულების პირველ ნაწილს“¹⁹.

დასახელებული სათაურის ქვეშ გორგიჯანიძე მოგვითხრობს, რომ ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ, „დარჩა დარბაზი და პალატნი საკეწიფო უმამაცოთ და დედანი და ქალნი და მხლებლებნი თავ-ცემით მტირალნი, უპატრონონი. მოგროვდნენ კარსა კელმწიფისასა მეფენი, თავადნი ერისთავნი. და ხევისბერნი და თემის უფროსნი ზოგნი ზოგთ მიუვიდნენ, ემსახურებოდნენ, ზოგნი ერთმანერთის ჯავრით არბევდენ და აოჯრებდენ თემსა. და მეფის კარით შიში და მორიდება აღარვის აქონდა. და ცხეთის ქალაქსა და საკეწიფოს სახლსა და სალაროსსა, ქვეყანასა და კარის მოხელე [ე]ბსა დაეპატრონა კაცი საძლოთ საქმის მეცნიერი, ჰკვიანი და წმინდათ გაზდილი და მართალმადიდებელი, სამართლის მოქმედი, მდიდართა და მდაბალთ შეფერებით პატივისმცემელი, გლახათა და ქვრივ-ობოლთა შემბრალეებელი-შემნახველი ბატონი კათალიკოზი მანაველ²⁰. პატრონობდა სახლსა და ქვეყანას საკელმწიფოსა მეფეთა მაგიერათ“²¹. შემდეგ გორგიჯანიძე აღნიშნავს, რომ თით-

¹⁶ ფ. გორგიჯანიძის საისტორიო თხზულების პირველი და მეორე ნაწილები ჯერაც არ არის გამოცემული. ორად გაყოფილი ავტოგრაფული ნუსხა დაცულია საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ე. ჯეველიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (H 2492 და H 2140). ავტოგრაფიდან გადაწერილი ორი ნუსხა არის ავრეთუე სსრკ მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში (შიფრები H 23 და H 41).

¹⁷ ივ. ჯავახიშვილი H23 ხელნაწერით სარგებლობდა.

¹⁸ ეს სათაური განსხვავებული პუნქტუაციით გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემაც: „რაც ამბავი ბაგრატონთა რომ სომეხთ ცხოვრებაში სწერია, მათი მოსვლა“ („საისტორიო მოამბე“, II, გვ. 202).

¹⁹ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 289.

²⁰ ვახტანგის გარდაცვალების წამს კათალიკოსად იყო სამოელ I (474—502)-

²¹ ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ხელნაწ. H 2140, ფ. 2v.

ქოს ამ კათალიკოსმა მოიწვია კრება და მისი რჩევით, „გამოარჩივეს ქვეყნის თავად და თავიანთზედ უფროსათ გურამ, ნათესავი დავითიანთ“²².

შემდგომი ნაწყვეტის შინაარსმა გვაფიქრებინა მისი შედარება სუმბატ დავითის-ძის თხზულების შესაბამის მონაკვეთთან. გამოირკვა, რომ გორგიჯანიძეს თითქმის სიტყვასიტყვით გადმოუწერია ზოგიერთი ადგილი სუმბატის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“-დან.

სუმბატ დავითის-ძე

მას ეამსა კათალიკოსი იყო მცხეთას სამოელ, და ერთად შეკრბა ყოველი ქართლი და გამოარჩიეს გუარამ, დავითის ნათესავისაგან, მოწვენული ძმათა მისთა თანა, ასაჲს და ვარაზერდს, რომელნი იგი ზემო ვაქსენენით. ესენი წარმოვიდეს ეკლესიით, რომელნი მონათლნა რაქაელ დედოფალმან, ძმანი შუდნი ჰურიანი, ტყუურობით მოსრულნი ქუეყანით ფილისტიმით, და ნათელ ილეს ეკლეს ქელითა რაქაელ დედოფლისათა, რომელმან სამთა მათგანთა უცვალა სახელი: რამეთუ ერთსა სახელ სდვა მუშელ, და ერთსა ბაგრატ, რომელ არს მამა ბაგრატიონიანთა, ერთსა აბგავარ; ერთი შემოიყვანა სიძედ და ორნი მათგანნი ამზახნა სომხითის მეფეთა.

ხოლო ოთხნი ესე ძმანი წარმოემართნეს ქართლს, ვითა ზემო ვაქსენეთ, და გუარამ განაჩინეს ერისთავად. და მოსცა ამას მეფემან ბერძენთამან პატივად კურაპალატობა და წარმოგზავნა მცხეთას. და ამან დადვა საფუძველი ჭუარისა ეკლესიასა, რომელ არს მცხეთას.

ფ. გორგიჯანიძე

ამან (კათალიკოსმა — რ. კ.) ქნა რჩევა და კრება, მოიხმო მეფენი და ერისთავნი, თავადნი და ქვეყნის უფროსნი და კეისიბერნი აფხაზეთით გილანის ზღამდისნი, ვინცავენი თავადობდა ჯვარცმის მწამებლნი ქრისტიანნი. შექნა კრება მცხეთას ქალაქს შიგან. რაც ამან არჩივა, ყველამ მოუსმინა და დაუჭერეს ბრძანება. გამოარჩივეს ქვეყნის თავად და თავიანთზედ უფროსათ გურამ, ნათესავი დავითიანთ, რომელი [მოსულიყო] ძმასთანა ილევითა, რომელმან მასთან ნათელი ილეს არაქიელ დედოფლისაგან, რომელი ზემორე დაიწერაქ, შეიღნი ძმანი ნათესავნი ჰურიანთა, მოსულნი ფილისტიანთა არაქიელს თანა; სამმა (ხელნაწერებში: მამა) იცვალეს სახელები: ერთმან დაირქვა მუშიელ, მეორემ ბაგრატ, რომ მამა არს ბაგრატიონთა, მესამემ დაირქვა აფქარ. ერთი თავისას მიიყვანა ზედსიძეთ, ამაღან ორნი დაამზახლა სომეხთა მეფესა.

და ოთხნი ძმანი წავიდნეს ქართლსა, ვითაც რომ ზემო დაიწერა. გურამ გააჩინეს ერისთავად და კურატპალატად დასვეს. მან დასდვა საფუძველი ჯვარისქ ეკლესიისა მცხეთისასა.

²² იქვე. ამგვარად, გორგიჯანიძემ დაახლოებით სამი მეოთხედი საუკუნე გამოსტოვა და ერთ პირად წარმოადგინა კათალიკოსები სამოელ I (გორგიჯანიძესთან — მანაველ) და სამოელ III (575—582).

ხოლო სამნი ესე ძმანი წარვიდეს კახეთს და საპაკ დაემზახა (გამოცემადი: დაუზახა) ბაკურს, ძესა ნერსესსა, ხოლო ასამ და ვარაზეარდ წარვიდეს კამბეჩოანს, და გარდაუქციეს ერი ევხანს, ერისთავსა ბაპარ ჩუბინისსა, და ევხან მოკლეს და დაიხყრეს მათ კამბეჩოანი.

და იყო მას ქაშსა მცხეთას კათალიკოსი სამოელ²³.

და სამნივე ძმანი წავიდნენ ნერსესისასა, ბაკურიძისასა, დაემძახლნეს. და უსამან და ვარაზამ და ვარდან კანბეჩოანით წავიდნენ ერზნგეს, ერისთავს ბაპარ ჩუბინისასა, და ევხან მოკლეს და დაიხყირეს კანბეჩოანი.

იმ დროს სამოველ კათალიკოზი იჭდა მცხეთასა²⁴.

როგორც ვხედავთ, გორგიჯანიძე ისე ბრმად მისდევს თავის წყაროს, რომ მისი მიზანძვით ორჯერ იმეორებს — „რომელი ზემორე დაიწერა“ და „ვითაც რომ ზემო დაიწერა“-ო, თუმცა კი ზემოთ არ უხსენებია ის ამბები, რომელთაც სუმბატი მართლაც ორჯერ გადმოგვცემს.

ამგვარად ირკვევა, რომ თავისი „საქართველოს ცხოვრების“ შედგენის დროს გორგიჯანიძეს ქართული წყაროებიდან გამოუყენებია სუმბატ დავითის-ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“, თამარის პირველი ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და ჟამთააღმწერლის თხზულება. აღსანიშნავია, რომ ვახტანგამღელი ნუსხებიდან სამივე ეს ნაწარმოები მოიპოვება მარიამისიეულ „ქართლის ცხოვრებამი“ და მცხეთური ნუსხის პირში, რომელიც 1697 წელს არის გადაწერილი²⁵ (არის აგრეთვე მაჩაბლისეულ ნუსხაშიც, რომელიც თუნცა 1736 წელს არის გადაწერილი, მაგრამ შედგენილობითა და მოცულობით მარიამისიეულის მსგავსია). როგორც ჩანს, ფარსადანსაც ხელთ ჰქონია „ქართლის ცხოვრების“ ამავე შედგენილობის ნუსხა. ეს სავსებით ბუნებრივიც არის, თუ გავიხსენებთ, რომ ჩვენი ისტორიკოსი როსტომ მეფის გაზრდილი იყო²⁶ და სამეფო კარზე იმყოფებოდა იმ დროს, როცა მარიამ დედოფლის განკარგულებით „ქართლის ცხოვრების“ გადანუსხვა ხდებოდა.

ფ. გორგიჯანიძემ სუმბატის თხზულების მხოლოდ ერთი მცირე

²³ სუმბატ დავითის-ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა.—
წიგნი: ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 374.

²⁴ ფ. გორგიჯანიძე, ხელნაწერი H 2140, ფ. 2v.

²⁵ ა. კლიშიაშვილი, „ქართლის ცხოვრების“ ერთი ახალი ნუსხა 1697 წლისა. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXIV, № 3, 1960.

²⁶ „როსტომ მეფემ ვითაც შვილი გამზარდა“, — წერს ფარსადანი (ს. კაკაბაძის გამოც., გვ. 297).

შონაკვეთი გამოიყენა. ძნელი სათქმელია, მხოლოდ ეს ნაწყვეტი იყო შემორჩენილი მის ხელნაწერში, თუ საკიროდ არ სცნო დანარჩენის გადმოღება. სამაგიეროდ, სუმბატისაგან განსხვავებით, გორგიჯანიძეს მოეპოვება გუარამის ძმების მიერ ვეზანის მოკვლისა და კამბეჩოანის დაკავების ამბის ორიგინალური და საინტერესო გაგრძელება:

„ამაზედ თბილის ქალაქის უფროსნი და ქალაქთ უხუცესნი და მემკვიდრენი²⁷ იწყინეს და ნამეტნავად გაჭავრდნეს და იწყინეს მოკლა ვეზანისა. კაცი აახლეს სამაველ კათალიკოზსა²⁸ და [უწყეს] სტუმართა და მძახალთაგან სიკვდილი სჯლის პატრონისა, კანბეჩოანის პატრონისა. იწყინა ეს ებავი კათალიკოზმან, ვითაც იუდა კარიოტელი, მწვალბელი იესოს ქრისტესი, შვიდ გზით დაჰკრულა და შეაჩვენა მრავლის წყველითა, და წარმოსთქვა სიტყვანი ძნელი, და ძველნი ზნენი დაეთიანთა — მოკვლინება მემშურნობითა თავისის ძმისა ურისი, მეუღლის შეენებისათვის და სიტურფის დომისათვის მოსაკლავად გაგზავნა, — კათალიკოზმან გახედა ძნელად სათქმელნი სიტყვანი: გაცხადებით, მალის სმით წამოიძახა მიუნდობლობა ნათესავთა დავითისათა და საქმე მათი“²⁹.

საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ფარსადანმა თვითონ შეთხზა ეს პასაჟი, უფრო მოსალოდნელია, რომ მან რაღაც წყაროთი ისარგებლა. მაგრამ, თუ დავითიანთა „ძველ ზნეთა“ ასეთი მკაცრი შეფასების ავტორად სუმბატ დავითის-ძეს დავიჯულებთ, მაშინ უთუოდ გადასასინჯი შეიქნება ჩვენს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულება ბაგრატიონთა გვარისადმი მისი კუთვნილების შესახებ.

ფარსადან გორგიჯანიძის მიერ სუმბატ დავითის-ძის თხზულების გამოყენების ფაქტის დადგენა მრავალმხრივ არის საყურადღებო.

1. ირკვევა, რომ ფ. გორგიჯანიძის საისტორიო ნაწარმოების ე. წ. პირველი ნაწილი ზეპირი და გაგონილი ამბების საფუძველზე არ არის შეთხზული. სომხურსა და სპარსულ წერილობით წყაროებთან ერთად ჩვენს ავტორს XI საუკუნის ქართული ძეგლიც გამოუყენებია.

2. კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ „უკვე XV—XVII სს. ნუსხებში მოიპოვება ზოგიერთი ის შესწორება და შევსება, რომელიც XVIII ს-ის ნუსხებს ახასიათებს“³⁰.

²⁷ „მემკვიდრე“ ფარსადანი მკვიდრის მნიშვნელობით ხმარობს.

²⁸ იგულისხმება სამოელ IV (582—591).

²⁹ ხელნაწერი H 2140, ფ. 2v—3r.

³⁰ ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ქართლის ცხოვრება და მისი ანასეული ხელნაწერი. — წიგნში: ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლის ნუსხა, თბ., 1942, გვ. XLVI. შდრ. მისივე, ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა. — წიგნში: ქართ-

როგორც ცნობილია, სუმბატის „ქრონიკის“ სრული ტექსტი „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ ნუსხაშია დაცული³¹. ამ ნუსხის მიხედვით: „უსამ ვარაზვარდ წარვიდეს კამბეჩოანს და გარდაუქციეს ერი ვეზანს ერისთავი და დაიპყრეს მათ კამბეჩოანი“³². „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეულ ნუსხაში (XVIII ს-ის პირველი ნახ.), სადაც სუმბატის თხზულება ვახტანგ VI-ის კონიისის მიერ დაშლილად არის შეტანილი სხვადასხვა ადგილას, იკითხება: „ასამ და ვარაზვარდ წარვიდეს კამბეჩოანს, და გარდაუქციეს ერი ვეზანს; ერისთავსა ბაჰარ ჩუბინისსა და ვეზან მოკლეს, და დაიპყრეს მათ კამბეჩოანი“³³. როგორც ვხედავთ, XVII ს-ის ნუსხისაგან განსხვავებით თეიმურაზისეულში აღნიშნულია, რომ ვეზანი ბაჰარ (ბაჰარ) ჩუბინის მიერ იყო დანიშნული ერისთავად და რომ ეს ვეზანი გუარამის ძმებმა მოკლეს. ფარსადანსაც უწერია: „უსამან და ვარაზამ და ვარდან კანბეჩოანით წავიდნეს ერზნგეს, ერისთავს ბაჰარ ჩუბინ [ი]სასა, და ვეზან მოკლეს და დაიპყრეს კანბეჩოანი“³⁴. ამგვარად, ირკვევა, რომ ფ. გორგიჯანიძეს ხელთ ჰქონია ისეთი ხელნაწერი, სადაც ეწერა ზემოთ გახაზული სიტყვები, რომლებიც არ არის მარიამისეულ ნუსხაში და ვახტანგისეული ნუსხებიდანაც მხოლოდ თეიმურაზისეულში მოიპოვება.

3. შესაძლებელი ხდება სუმბატ დავითის-ძის თხზულების ერთი ადგილის დაზუსტება.

სუმბატი აღნიშნავს, რომ „ძმა მისი (გუარამის—რ. კ.) სახელით საჰაკ, წარვიდა კახეთს და დაემზახა იგი ნერსეს“. ცოტა ქვემოთ კი იგი წერს: „საჰაკ დაემზახა ბაკურს, ძესა ნერსესა“. ამგვარად, ერთი ცნობით, საჰაკი ნერსეს დამოყვრებია, ხოლო მეო-

ლის ცხოვრება, I, თბ., 1955. გვ. 025: „ამიერიდან ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ვახტანგის მეცნიერ კაცებს ვერ მივაწერთ იმ შესწორებებს, რომლებსაც აქამდე ვაწერდით მათ. ამ შესწორებათა თუ დამატებათა ერთი ნაწილი უკვე ძველი ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში მოიპოვება“.

³¹ აგრეთვე მაჩაბლისეულ ნუსხაშიც და „მცხეთური“ ნუსხის პირში.

³² ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1906, გვ. 339.

³³ ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან შეათცხრამეტე საუკუნემდის, I, მ. ბროსეს გამოც., სპბ., 1849, გვ. 165, შენ. 1 (ხაზგასმა ჩვენია).

³⁴ ფარსადანთან სუმბატის „ქრონიკის“ ტექსტი შერყენილია: საერთოდ არ ძხვნიება საჰაკი, სახელი „ვარაზვარდ“ გაყოფილია ორად—ვარაზ და ვარდან; შეცდომით არის აღნიშნული, რომ ძმები „კანბეჩოანთ წავიდნეს ერზნგეს“ (უნდა: „კანბეჩოანს წავიდნეს ვეზანისას“).

რეთი — ბაკურს, ნერსეს ძეს³⁵. ფარსადანის მიხედვით, — „სამნივე ძმანი წავიდნენ ნერსესისასა, ბაკურიძისასა, დაემძახლნეს“³⁶. ფ. გორგიჯანიძის ამ ჩვენების საფუძველზე, სუმბატის მეორე წინადადება, ეფიქრობთ, შეიძლება ასე იფარმოვანოს: „საჰაკ დაემზახა ბაკურის ძესა ნერსეს“³⁷. ამით მოისპობა წინააღმდეგობა სუმბატ დავითის-ძის ორ ცნობას შორის. ასეთი გასწორება მით უფრო მართებული ჩანს, რომ ჯუანშერის ცნობით, სწორედ ამ ხანებში, VII ს-ის დამდეგს, კახეთის ერისთავად ყოფილა ადარნასე³⁸ ბაკურის ძე, რომელიც სტეფანოზ I-ის შემდეგ ქართლის ერისმთავარი გახდა³⁹.

4. რაც შეეხება ფ. გორგიჯანიძის მიერ მოხსენიებულ „სომეხთა ცხოვრებას“, მას, რა თქმა უნდა, არავითარი კავშირი არა აქვს სუმბატ დავითის-ძის თხზულებასთან. როცა მიუთითებს, — „სომეხთ ცხოვრებაში სწერია მათი მოსვლა საქართველოში“—ო, ფარსადანს მხოლოდ იმის თქმა სურს, რომ ბაგრატიონთა საქართველოში მოსვლის ადრე მოთხრობილი ამბავი⁴⁰ სომხური წყაროდან აქვს ამოღებული.

ОБ ОДНОМ ГРУЗИНСКОМ ИСТОЧНИКЕ ПАРСАДАНА ГОРГИДЖАНИДЗЕ

Р е з ю м е

Историческое сочинение Парсадана Горгиджанидзе, составленное в последнем десятилетии XVII века, охватывает Историю Грузии и соседних стран со времени распространения в Картли христианства до конца XVII века.

³⁵ ასევეა ე. თაყაიშვილის რუსულ თარგმანშიც: «Брат же Гуарама, по имени Саак, отправился в Кахетию и посредством брака породнился с Нерсесом», «Саак породнился посредством брака с Бакуром, сыном Нерсеса» (СМОМПК-28, Тифлис, 1900, с. 121, 123).

³⁶ როგორც ვნახეთ, ფარსადანი არ იცნობს ს ა ჰ ა კ სახელს, ამიტომ მან საბივე ძმა „დაამძახლა“ ნერსეს.

³⁷ შესაბამისად გასწორდება რუსული თარგმანიც: «Саак породнился посредством брака с Нерсе, сыном Бакура».

³⁸ საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზ. ალექსიძის ცნობით, ა დ ა რ ნ ა ს ე ს (აღრნერსე, ატრნერსე) ნაცულად ნ ე რ ს ე ს ხმარების შემთხვევა გვხვდება „ეპისტოლეთა წიგნის“ უხტანესისეულ ვერსიაშიც.

³⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 225.

⁴⁰ ხელნაწერი H2492, ფ. 4v—5r.

И. А. Джавахишвили сочинение Горгиджанидзе по характеру использованных автором источников условно разделил на четыре части и дал оценку каждой из них. В грузинской историографии до последнего времени было распространено мнение, будто до сих пор не изданная, т. е. первая часть сочинения (от его начала до 80-х годов XII в.) основана лишь на устных преданиях и лишена всякого научного значения.

В историографии справедливо указывалось, что в первой части труда Горгиджанидзе допущено много грубых ошибок. Но это совсем не значит, что он не опирался на исторические источники. Часть ошибок историка должна восходить именно к использованным им источникам. В частности, известно, что Горгиджанидзе пользовался армянскими и персидскими письменными памятниками.

В работе выяснено, что для описания некоторых событий истории Грузии VI века Горгиджанидзе использовал «Историю и повествование о Багратионах» грузинского историка XI века Сумбата Давитис-дзе. Из этого сочинения заимствовал он рассказ об избрании Гуарама: верховным правителем Картли.

„ისტორიათა და აზმათა“ რამდენიმე გეოგრაფიული სახელის განმარტებისათვის*

თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულების „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტმა გადამწერთაგან დაშვებული შეცდომების გამო იმდენად დამახინჯებული სახით მოაღწია ჩვენამდე, რომ ხშირ შემთხვევაში საერთოდ შეუძლებელია აზრის გაგება.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ უკვე სამჯერ არის გამოცემული¹ და თარგმნილია რუსულად², მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს ა. შანიძე, „ტექსტში ჯერ კიდევ ბევრია ბუნდოვანი და გასაკრვევი ადგილები“³. წინამდებარე წერილში განმარტებულია რამდენიმე აღმოსავლური გეოგრაფიული სახელი, რომლებიც „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში გვხვდება.

თამარის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ ტახტის მემკვიდრის გიორგი ლაშას დაბადების აღსანიშნავად ქართველებმა რამდენიმე მარბიელი ლაშქრობა მოაწყვეს სხვადასხვა მიმართულებით. ერთ-ერთი ლაშქრობის დროს, ისინი „შეყრილნი გავიდეს გელაქუნად და ჩაიარეს ხაჩიანი და ჩავიდეს ქუეყანად ყუარყუარისისა და მიუწიეს ბლაცუნამდის და მოარბიეს ყოველი არსი. და ამოიარეს კარი განძისა და შეიქნა კართა ზედა დიდი შულლი და განალამც გაიქცეს და შეიხუწნეს ქალაქად. ყარყრით შანქორამდის ექუსი დღე იარეს“⁴.

* პირველად დაიბეჭდა 1976 წელს („მაცნე“, ისტორიის სერია, 1976, № 4, გვ. 89—95).

¹ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1906, გვ. 462—535; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა), კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკლეუვით, თბ., 1941; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი.—ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 1—114.

² История и восхваление венценосцев. Грузинский текст перевел, предисловием и примечаниями снабдил К. С. Кекелидзе, Тб., 1954, (გეორგ გამოც.—1974).

³ ა. შანიძე, დღევანდელი ვითარება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის საკმეში. — „მნათობი“, 1965, № 10, გვ. 126.

⁴ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 450—451.

ამ ვრცელი ამონაწერიდან ჩვენ ამჟამად საგანგებოდ გვინტერესებს ნაწყვეტი:

„ჩავიდეს ქუეყანად ყუარყუარისისა და მიუწიეს ბლაცუნამდის და მოარბიეს ყოველი არსი“. როგორც ვხედავთ, ტექსტის მიხედვით გამოდის, რომ ხაჩიანის (ხაჩენის) გავლის შემდეგ ლაშქარი მისულა „ქუეყანად ყუარყუარისისა“. ცხადია, ეს შეცდომაა. აქ საგულგებელია არა ადამიანის სახელი (ყვარყვარე), არამედ გეოგრაფიული სახელწოდება. ასევე შერყვნილია (თუმცა ნაკლებად) „ბლაცუნი“ და გაუგებარია, რას ნიშნავს „ყოველი არსი“.

დამახინჯებული გეოგრაფიული სახელების გასწორება სცადა ჯერ კიდევ ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიამ, რომელმაც ზემოთ ნოტანილი ნაწყვეტი ასე გამართა: „ჩავიდეს ქუეყანასა ყარყრისასა და მიუწიეს ბლაცუნამდის და მოარბიეს ყოველი არანი“⁶.

ანგვარად, კომისიამ „ყუარყუარეს ქუეყნის“ ნაცვლად ტექსტში შეიტანა „ყარყრის ქუეყანა“⁷. ამ შემთხვევაში ალბათ გადაწყვეტი აღმოჩნდა ის გარემოება, რომ „ყარყრი“ თამარის ისტორიკოსთან კიდევ ერთხელ იხსენიება იმავე ლაშქრობის აღწერაში („ყარყრით შანქორამდის ექუსი დღე იარეს“). ეს გასწორება გაიზიარეს ივ. ჯავახიშვილმა⁸, კ. კეკელიძემ⁹ და ს. ყაუხჩიშვილმა¹⁰.

⁶ კომისიამ თამარის პირველი და მეორე ისტორიკოსების თხზულებები შერწყმულად შეიტანა „ახალ ქართლის ცხოვრებაში“. ეს ტექსტი გაოსცა და ფრანგულად თარგმნა მ. ბროსემ (ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთატხრამეტე საუკუნემდის, I, სპბ., 1849, გვ. 264—338: Histoire de la Géorgie, trad. du géorgien par M. Brosset, SPb., 1849, p. 383—480).

⁷ ქართლის ცხოვრება. დასაბამითგან მეთატხრამეტე საუკუნემდის, I, გვ. 299, ვახუშტისთან ეს ტომონომი; „ყარაყარ“—„ყარაყერ“ ფორმით გვხვდება (ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., ტფ., 1885, გვ. 205), იოანე ბაგრატიონს აქვს „ყარაყარისი“, და „ყარაყური“ (იოანე ბაგრატიონის, ისტორია ქართლისა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწ. H 2134, ფ. 634 r).

⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 265 („ჩავიდეს ქუეყანად ყარყრისასა“). შტრ. საძიებელი, გვ. 466: „ყარყრის ქუეყანა (ყარყრისის ქუეყანა)“.

⁹ ისტორიანი და აზმანი, გვ. 99 („ჩავიდეს ქუეყანად ყარყრისისად“). შტრ. საძიებელი, გვ. 164: „ყარყრისის ქუეყანა“. იხ. აგრეთვე მისივე რუსული თარგმანი: «Некогда собравшись, вышли к Гелакунам, пройдя Хачнани, достигли Кархрисской страны... От Каркри до Шамхора наши войска шли шесть дней» (История и восхваление, с. 54—55).

¹⁰ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 60 („ჩავიდეს ქუეყანად ყარყრისისად“). შტრ. საძიებელი, გვ. 692: „ყარყრის ქუეყანა“.

„ისტორიათა და აზმათა“ ტექსტის მიხედვით მ. ბერძნიშვილმა სამართლიანად ივარაუდა, რომ „ყარყარს ქვეყანა ბელაყანსა და არეზთან (არეზის ქვედა წელზე) მდებარეობს“¹¹. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ იმ ადგილზე, ე. ი. მდ. არაქსის ქვემო წელში, მის მარცხენა ნაპირზე, ხაჩენის აღმოსავლეთ მხარეში, ასეთი „ქვეყნის“ არსებობა არ დასტურდება წყაროებით.

XIII—XIV საუკუნეთა სომხურ, არაბულ და სპარსულ გეოგრაფიულ და საისტორიო თხზულებებში იხსენიება „კარკარი“ (*kyarkara*) და „ქარქარი“ (ან „გარგარი“ — *كرگر*). ამ სახელწოდების ციხე და ქალაქი, როგორც ჩანს, რამდენიმე ყოფილა. მაგალითად, იაკუთის ცნობით, ქარქარი ქალაქია არანში, ბაილაყანის მახლობლად. ავტორისათვის იბნ ალ-ასირს უთქვამს, რომ ქარქარის ციხე იყო მალათიასა და ამიდს შორის; ამავე სახელწოდების ციხე ყოფილა აგრეთვე სუმაისატსა და ზიადის ციხეს შორის¹² (მცირე აზიაში).

კირაკოს განმარტების ცნობით, ჩრდილოეთის ულუსის მბრძანებელმა ბათო-ხანმა 1252 წელს მასთან მისულ ჰასან ჯალალს, ხაჩენის პატრონს, დაუბრუნა მისი მამაპაპეული სამფლობელოები ჩარაბერდი, აჯანა და კარკარი, რომლებიც ადრე თურქებსა და ქართველებს წაერთმიათ მისთვის¹³. ტ. ტერ-გრიგორიანის აზრით, კარკარის ციხე მდ. ქარქარ-ჩაის ნაპირზე უნდა ყოფილიყო, შესაძლებელია, ასკერანის ხეობის დასაწყისში¹⁴. მდინარე ქარქარს ახსენებს აგრეთვე ნესაიცი, ხორეზმშაპ ჯალალ ად-დინის პირადი მდივანი. ამ მდინარის ხეობაში ყოფილა დაბანაკებული ჯალალ ად-დინი 1230 წელს¹⁵.

¹¹ მ. ბერძნიშვილი, საქართველოს სახელმწიფო საზღვრები XIII ს-ის დამდეგს. — კრებ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 61.

¹² იაკუთის ცნობები საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე. სიხარულიძემ, თბ., 1964, გვ. 79—80.

¹³ Киракос Гандзакечи, История. Перевод с древнеармянского Т. Тер-Григорьяна, Баку, 1946, с. 181. ი. ორბელი ფიქრობს, რომ ქართველებმა სწორედ ამ ლაშქრობის დროს წაართვეს ხაჩენის პატრონს კარკარის ციხე, და დაახლოებით 1195 წლით ათარიღებს ამ ამბავს (И. А. Орбели, Асан Джалал хиязь Хаченский. — Избранные труды, Ереван, 1963, с. 154, 170).

¹⁴ Киракос Гандзакечи, История, с. 289, прим. 920. მისივე ცნობით, კიდევ ერთი კარკარის (გარგარის) ციხე იყო ლორეში.

¹⁵ Шихаб ад-дин Мухаммад ан-Насави. Жизнеописание султана Джалал ад-Дина Манкбурны. Перевод с арабского, предисловие, комментарии и примечания З. М. Бунятова, Баку, 1973,

ჰამდალამ ყაზვინის მიხედვით, ქარქარი (გარგარი) ყასაბა იყო ირანის აზერბაიჯანში, მარანდის თემანში. მის მიდამოებში ზია ალ-მულქმა ხიდი ააგო მდინარე არაქსზე¹⁶. თლილი ქვით მოპირკეთებული ეს ხიდი ერთ-ერთი ულამაზესი და მტკიცე ნაგებობა ყოფილა¹⁷. მისი ნანგრევები (ხუთი მძლავრი ბურჯი) ახლაც არის შემორჩენილი სოფ. ჭულფის აღმოსავლეთით. ზია ალ-მულქის ხიდი ირანთან აკავშირებდა ამიერკავკასიასა და მცირე აზიას¹⁸. სწორედ აქ, მდინარე არაქსის მარჯვენა ნაპირზე, მარანდისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს ჰამდალამ ყაზვინის მიერ ნაანსენები ქარქარი (გარგარი).

აღმოსავლურ წყაროებში დამოწმებული რამდენიმე კარქარ-ქარქარიდან ჩვენთვის ამჟერად ყველაზე მისაღები ჩანს არანში, ბაილაყანის მანლობლად მდებარე ქალაქი, ციხე და მდინარე. თუ დავუშვებთ, რომ ეს ტოპონიმი (კარქარ-ქარქარი) ქართულში „ყარყარ“ ფორმით იყო ცნობილი¹⁹, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ის-

ც. 280. ვ. მინორსკი აღნიშნავს, რომ ჩვ. წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ბარდავის მიდამოებში ცხოვრობდა გარგარების ალბანური ტომი, რომლის სახელწოდებაც მდინარის სახელშია შემონახული (В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, М., 1963, с. 28).

¹⁶ The Geographical Part of the Nuzhat-al-Qulub composed by Hamd Allah Mustawfi of Qazwin. Ed. by G. Le Strange. CMS, XXIII, Leyden-London, 1915, p. 88—89. თითქმის სიტყვასიტყვით ამავე იმეორებს XVIII-ის თურქი ავტორი ქათიბ ჩელები (ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანამ, თბ., 1978, გვ. 105). გ. ლე სტრენჯის აზრით, ეს ხიდი სელჩუკიანი სულთნის მალიქშაჰის ცნობილი ვაზირის, ნიზამ ალ-მულქის ვაჟის, ზია ალ-მულქის აგებული იყო (G. Le Strange, The Lands of the Eastern Caliphate, Cambridge, 1905, p. 167).

¹⁷ ზია ალ-მულქის ხიდი დაწერილებით აღწერა შარათ აღ-დინ ალი იეზიდმ, რომელმაც, როგორც ჩანს, 1386 წელს თემურის ლაშქართან ერთად გადმოიარა ზედ (შარათ აღ-დინ ალი იეზიდი, ზაფარ-ნამე, II, კალკუტა, 1888; გვ. 99). იხ. აგრეთვე, С. В. Тер-Аветисян, Город Джуга, Тб., 1937, с. 114—115; A. U. Pope, Bridges, Fortifications and Caravanserais. — A Survey of Persian Art, II, London and New York, 1939, p. 1233; Л. С. Бретаницкий, Зодчество Азербайджана XII—XV вв., М., 1966, с. 136.

¹⁸ С. В. Тер-Аветисян, Город Джуга, с. 6—7. ამავე ხილით გადავიდნენ არაქსზე XIII საუკუნის დამდეგს ირანში სალაშქროდ მიმავალი ქართველი მებრძობი. თამარის ისტორიკოსის სიტყვით, მოლაშქრეებმა „ჩავლეს პირი ნახჭევნისა და გავიდეს ჭულას და რაქსსა, და შევლეს ვიწრო იგი კევი დარღუხისა, და აღვიდეს მარანდსა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 104).

¹⁹ შ. ბროსემ ფრანგულ თარგმანში შეიტანა არა „ყარყარი“ ან „ყარყარისი“, არამედ სწორედ „ყარყარი“ — Qarqar (Histoire de la Géorgie, I, p. 433).

ტორიათა და აზმათა“ „ყარყრის“ თუ „ყარყრისის“ ქვეყანაში მდ. ქარქარის (თანამედროვე ქარქარ-ჩაის) ხეობა და იქვე მდებარე ქალაქი და ციხე იგულისხმება. მათი მდებარეობა სავსებით შეესატყვისება „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში მოცემულ აღწერას. მდ. ქარქარ-ჩაი სამხრეთიდან ჩრდილოეთით მიედინება და ქალ. აგ. დამთან აღმოსავლეთისაკენ უხვევს. ხაჩენიდან ბაილაყანს მიმავალი ლაშქარი ჭერ აუცილებლად მდ. ქარქარს მიაღებოდა²⁰.

ჩვენთვის საინტერესო კონტექსტის მეორე გეოგრაფიული სახელი „ბლყუნი“, როგორც აღვნიშნეთ, ნაკლებად არის დამახინჯებული და ადვილი გამოსაცნობია, მაგრამ ჭერჭერობით არც მისი იდენტიფიკაციის საკითხია საბოლოოდ გადაწყვეტილი.

„ისტორიათა და აზმათა“ ავტორი სულ ოთხჯერ იხსენიებს ამ ტოპონიმს:

1. გიორგი III „ოდესმე გამგზავნელი სპათა და სპასალართა მძათა, ოდესმე მიუწიის ნახუნის კარამდის, ოდესმე მისისამდეს და ლალუდის, ოდესმე ბარდავამდის და ბელყნამდის“²¹.

2. თამარის პირველი ქორწინების აღსანიშნავად „დიდი და სასახელო ილაშქრეს განძას ქუემო შლუყონმად“²².

3. ჩვენი განსახილველი შემთხვევა, როცა ქართველებმა „მიუწიეს ბლყუნამდის“.

4. აწერბაიჯანის ათაბეგი აბუ ბაქრი შირვანშაჰსა და მის სიძეს, თავის ძმას ამირ-მირანს „ბულანისა კარსა ზედა დაესხა და გააქციენა“²³.

ამგვარად, „ქართლის ცხოვრების“ უძველეს ნუსხაში გვხვდება „ბელყნამდის“, „შლუყონმად“, „ბლყუნამდის“ და „ბულანისა“. ვახტანგის კომისიამ პირველმა სცადა ამ ტოპონიმის აღდგენა

²⁰ რაც შეეხება „ქუეყანა“ სიტყვას, ასეთი განსაზღვრა („ყუარყუარეს ქუეყანა“, „ყარყრის ქუეყანა“), ჩვენი აზრით, არ შეესაბამება მდ. ქარქარის ხეობას ან ქალაქ ქარქარს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იქნებ გადამწერმა ჩაუმატა ეს სიტყვა, რადგან შერყენილ დედანში ამოკითხული „ჩაეიდეს ყუარყუარისად“ უცნაური ეჩვენა, ყუარყუარეს ქუეყანად“ ჩასვლა კი უფრო ვასაგები იყო. შემდგომში „ყუარყუარე“ გასწორდა და მისი ადგილი ტექსტში „ყარყრიმ“ დაიჭირა, მაგრამ ჩამატებული სიტყვა („ქუეყანა“) დარჩა როგორც ნიმუში გადამწერის თვითნებობისა.

²¹ ქართლის ცხოვრება, მარიამ ღვთისმშობლის ვარიანტი, გვ. 385.

²² იქვე, გვ. 421.

²³ იქვე, გვ. 455.

და თამარის პირველ და მეორე ისტორიკოსთა თხზულებების შერწყმულ ტექსტში შეიტანა „ბალყუნამდის“²⁴ და „ბალყუანი“²⁵.

ივ. ჭავჭავაძის მიერ „ქართველი ერის ისტორიაში“ ორჯერ იხსენიებს ამ ტოპონიმს. მისი სიტყვით, თამარის პირველი ქორწინების აღსანიშნავად „ქართველებმა განძას ილაშქრეს ბელაყონამდის“²⁶, ხოლო გიორგი ლაშას დაბადების გამო მოწყობილი ლაშქრობის დროს მათ „მიუწიეს ბალყუნამდის“²⁷.

კ. კეკელიძემ პირველ შემთხვევაში ვახტანგის კომისიის ვარიანტი აირჩია, მეორედ ივ. ჭავჭავაძის კონიექტურა ამჯობინა, ხოლო დანარჩენ ორ შემთხვევაში ისევ კომისიის გასწორებას დაეყრდნო. ასე გაჩნდა კ. კეკელიძის მიერ აღდგენილ ტექსტში ერთი და იმავე გეოგრაფიული სახელის სამი სხვადასხვა ვარიანტი: „ბალყუნამდის“, „ბელაყონამდის“, „ბალყუნანისა“²⁸. ამას მოჰყვა ტექსტის აღმდგენლის დასკვნაც, „ბალყუანი, ბალყუნი და ბელაყონი, ტექსტის მიხედვით, სხვადასხვა ადგილია“²⁹.

ს. ყაუხჩიშვილმა არც ერთი ზემოთ დასახელებული ვარიანტი არ გაიზიარა და „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული და მჩაბლისეული ნუსხების ერთ-ერთი ჩვენების საფუძველზე („ბელყუნამდის“) ტექსტში ყველგან შეიტანა „ბელაყანი“ („ბელაყნამდის“)³⁰.

ტექსტზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ თამარის ისტორიკოსს ყოველთვის მხედველობაში აქვს ერთი და იგივე ადგილი, არანის ცნობილი საეპრო და სახელოსნო ცენტრი, დიდი და მდიდარი ქალაქი ბაილაყანი (ან ბეილაყანა — بيلقان). „ისტორიათა და აზმათა“ სათანადო კონტექსტები საკმაოდ ზუსტად მიგვანიშნებენ მის მდებარეობას: „მიუწიის... ბარდაყამდის და ბელაყნამდის“, „ილაშქრეს განძას ქვემოთ ბელაყანდის“, „ჩავიდეს ქუეყანად ყარყრისად და მიუწიეს ბელაყნამდის“. ერთგვარი ეჭვი შეიძლება გამოეწვიო

²⁴ ქართლის ცხოვრება, უძველესი ხანიდან მეთატხრამეტე საუკუნემდის, I, გვ. 272, 287, 299.

²⁵ იქვე, გვ. 301. ვახუშტისა და იოანეს აქვთ „ბალყუნი“ და „ბალყუნდი“.

²⁶ ივ. ჭავჭავაძის მიერ, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 257.

²⁷ იქვე, გვ. 265.

²⁸ ისტორიანი და აზმანი, გვ. 66, 84, 99, 101. შდრ. მისივე რუსული თარგმანი: «Балкун», «Белакони», «Балуқан» (История и восхваление, с. 28, 43, 54, 57). ასევე სამი ვარიანტი გვხვდება მ. ბროსეს ფრანგულ თარგმანშიც: «Balqoun», «Belaqoun», «Balouqan» (Histoire de la Géorgie, I, p. 397, 416, 433, 436).

²⁹ ისტორიანი და აზმანი, გვ. 161, შენიშვნა.

³⁰ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 17, 40, 60, 63. ამავე დროს ს. ყაუხჩიშვილმა საჭიროდ მიიჩნია აღენიშნა, რომ „კეკელიძის დაკვირვებით ბალყუანი, ბალყუნი და ბელაყონი სხვადასხვა ადგილია“ (იქვე, საკუთარ სახელთა საძიებელი, გვ. 640: ბ ე ლ ა ყ ა ნ ი).

მხოლოდ ბოლო ცნობას, რომ აბუ ბაქრი თავს დაესხა შირვანშაჰსა და ამირ-მირანს „ბულანისა კარსა ზედა“. აქ მართლაც არა გვაქვს ზუსტი მინიშნება ბაილაცის მდებარეობაზე, მაგრამ XVII ს-ის იტალიური ფარსადან გორგიჯანიძე პირდაპირ აღნიშნავს, რომ აბუ ბაქრი „შ[ი]რვანშაჰს ბილალანში დაესხა და გააქცია“³¹.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ თამარის ისტორიკოსის ზემოთ მოტანილი ცნობები განხილული აქვს ე. პახომოვს, რომელმაც „ბალაყუნ-ბელაყონ-ბალაყანის“ ხსენების ყველა შემთხვევა ასევე ბაილაცის მიაკუთვნა³².

„ისტორიათა და აზმათა“ იმავე ნაწყვეტში აღნიშნულია, რომ ყარყარანდე და ბაილაცანამდე ჩასულმა მოლაშქრეებმა „მოარბიეს ყოველი არაი“. ვახტანგის კომისიამ აქ აღადგინა „არანი“³³. ასეთი გასწორება (თუკი ეს საერთოდ გასწორებაა და არა კომისიის ხელთ ნაქონი ნუსხების ჩვენება) სავსებით სამართლიანია, რადგან მდინარე არაქსის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას სწორედ არანი ერქვა³⁴.

ივ. ჭავჭავაძის ამ ტექსტის აღდგენა არ უცდია. მან მხოლოდ აღნიშნა, რომ „ბალაყუნამდის“ მისულმა ქართველებმა „მოარბიეს არეზის პირი“³⁵. შემდეგ ეს „არეზი“ კ. კეკელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში შეიტანეს („მოარბიეს ყოველი არეზი“)³⁶. ამგვარად, ივ. ჭავჭავაძის „არეზი“ იხმარა მისი ნამდვილი, ერთადერთი მნიშვნელობით, როგორც მდინარის სახელი („არეზის პირი“), გამოცემებში კი ის უკვე ტერიტორიის აღმნიშვნელი გახდა. ამის გამო ს. ყაუხჩიშვილმა „არეზი“ განმარტა როგორც „მდ. არაქსი, არაქსის მხარე“³⁷.

³¹ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწ. H 2140, ფ. 21v.

³² E. A. Пахомов, Паїтакаран — Байлакан — Орен-кала. — МАК, № 67, М.—Л., 1959, с. 26—27.

³³ ქართლის ცხოვრება, უძველესი ხანიდან მეათეხარამეტე საუკუნემდის, I, გვ. 299.

³⁴ В. В. Бартольд, Арран. — Сочинения, III, М., 1965, с. 334; В. В. Бартольд, Историко-географический обзор Ирана. — Сочинения, VII, М., 1971, с. 213.

³⁵ ივ. ჭავჭავაძის, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 265.

³⁶ ისტორიანი და აზმანი, კ. კეკელიძის გამოც., გვ. 99; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 60. იხ. აგრეთვე კ. კეკელიძის რუსული თარგმანი: «Разорили окрестности Арзиз» (История и восхваление, с. 54).

³⁷ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 636: არეზი.

უნდა ითქვას, რომ „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი საერთოდ არ იცნობს „არეზ“ სახელს. ამ მდინარის აღსანიშნავად თხზულებაში მხოლოდ „რაჯი“ გვხვდება³⁸. ასევე „რაჯს“ უწოდებენ მას ლეონტი მროველი³⁹, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი⁴⁰, ლაშა გიორგის დროინდელი მემკვიდრე⁴¹, თამარის მეორე ისტორიკოსი⁴², ჟამთააღმწერელი⁴³. ამასთან, დასახელებული ავტორები მდინარის სანაპირო ტერიტორიას უწოდებენ „რაჯსის პირს“, ხოლო საკუთრივ მდინარეს „რაჯსს“. რაჯი არასოდეს არ აღნიშნავს ტერიტორიას. ამავე დროს, ხაზგასმულია ისიც, რომ „რაჯსის პირში“ არასოდეს არ იგულისხმება მდ. არაქსის ქვემო წელის მიდამოები. ქართველი ისტორიკოსებისათვის „რაჯსის პირი“ ყოველთვის არაქსის შუა წელს მიმდებარე ტერიტორიაა (რაჯსის პირი ქართულ წყაროებში ძირითადად მარბიელი ლაშქრობების დროს იხსენიება. ამ ლაშქრობათა მარშრუტები კი ერთგვარად „სტანდარტული“ იყო. კერძოდ, არანის დასარბევად წასული ლაშქარი არასოდეს არ აღწევდა არაქსამდე, რადგან იქაური მდიდარი ქალაქები განჯა, ბარდავი, ბაილაცანი დიდი მანძილით იყო დაშორებული მდინარეს).

რაც შეეხება „ქართლის ცხოვრების“ მარიამიხეული და მაჩაბლძესეული ნუსხების ჩვენებას („ყოველი არსი“), შეიძლება გვეფიქრას, რომ ისტორიკოსმა ეს ცნობა რომელსაღმადმოსაველურ წყაროში ამოიკითხა, ვერ გაახმოვანა არაქსის აღმოსავლური სახელი „არას“-ი (ارس) და მიიღო „არს“-ი. მაგრამ ასეთი ახსნა ალბათ არ გამოდგება, რადგან ისტორიკოსი ამ შემთხვევაშიც „არსის პირს“ დაწერდა, ვინაიდან, ვიმეორებთ, არაქსი (არასი, არეზი) მდინარის სახელწოდებაა და არა ტერიტორიისა.

³⁸ იქვე, გვ. 40, 60, 100, 104, 109.

³⁹ ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 5, 70.

⁴⁰ იქვე, გვ. 334.

⁴¹ იქვე, გვ. 368.

⁴² ქართლის ცხოვრება, II, გვ. 144.

⁴³ იქვე, გვ. 184, 212, 254, 258. „არეზ“ სახელი შედარებით გვიან გაჩნდა. მაგალითად, „არაზსა“ და „არაზის წყალს“ ხმარობს მდინარის სახელად ფარსადან გორგიჯანიძე (დასახ. ხელნაწერი, ფ. 8r, 11r, 15r, 20v, 21r, 24r, 28v, 29v, 30v).

ამგვარად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორია ვახტანგის კომისიის ვარიანტი — „ყოველი არანი“.

მთელი ამ მსჯელობის საფუძველზე „ისტორიათა და აზმათა“ განხილული წინადადება ასე შეიძლება გასწორდეს: „ჩავიდეს ყარყარად, და მიუწიეს ბელაყნაშდის და შოარბიეს ყოველი არანი“.

РАЗЪЯСНЕНИЕ НЕКОТОРЫХ ГЕОГРАФИЧЕСКИХ НАЗВАНИЙ «ИСТОРИИ И ВОСХВАЛЕНИЯ ВЕНЦЕНОСЦЕВ»

Р е з ю м е

Текст сочинения первого историка царицы Тамар «История и восхваление венценосцев» (XIII в.), из-за ошибок допущенных переписчиками, дошел до нас в сильно искаженном виде. Несмотря на то, что существует три издания сочинения на грузинском языке (Е. С. Такайшвили, 1906 г.; К. С. Кекелидзе, 1941 г.; С. Г. Каухчишвили, 1959 г.) и полный русский перевод (К. С. Кекелидзе, 1954 г.; второе изд. 1974 г.), все же многие места текста не совсем ясны и требуют дополнительного разъяснения. В специальном исследовании и исправлении нуждаются, в частности, названия некоторых пунктов, находящихся на территории соседних республик.

В рассмотренном в настоящей статье отрывке «Истории и восхваления» упоминается несколько географических названий. По словам историка, в ознаменование рождения наследника царицы Тамар было предпринято несколько походов. Во время одного из них, воины, «собравшись, вышли к Гелакунам, пройдя Хачиани, достигли Каркрисской страны и добравшись до Балкуна, разорили окрестности Арези, а потом поднялись до ворот Ганджи... От Каркри до Шамхора наши войска шли шесть дней» (Перевод К. С. Кекелидзе, с. 54—55)..

В работе установлено, что вместо искаженных топонимов — «Қаркрисокая страна» или «Қарқри», «Балкун», «Арези» — в первоначальном тексте сочинения должны были упоминаться: Қарқар, Байлакан и Арран (в Азербайджанской ССР). С учетом этих уточнений вышеприведенный отрывок может быть исправлен следующим образом: «Пройдя Хачнани, достигли Қарқара и, добравшись до Байлакана, разорили весь Арран».

ჟამთააღმწერლის თხზულების დასათაურების საკითხისათვის

ძველი „ქართლის ცხოვრების“ ნუსხათა ერთ ჯგუფში (მარია-მისეული, 1697 წლისა, მაჩაბლისეული) და, აგრეთვე, თეიმურაზისეულ ნუსხაში¹, რომლის პირველი ნაწილი რედაქტირებულია ვახტანგის კომისიის მიერ, „ისტორიათა და აზმათა“ შემდეგ შეტანილია უსახელო ისტორიკოსის უსათაურო თხზულება, რომელიც მოიცავს პერიოდს ლაშა გიორგის გამეფებიდან 1317 წლამდე². ეს თხზულება პირველმა დეტალურად შეიწავლა თ. ჟორდანიამ, რომელმაც თავისი შეხედულება გამოთქვა მისი შედგენილობისა და სავარაუდო ავტორების შესახებაც. თ. ჟორდანიამ ფიქრობდა, რომ თხზულება დაწერილია ღრმად განათლებული პირების, აღწერილი ამბების თანდაამხდურთა და თვითმხილველების, ალბათ ჭაყელ-ციხისჯვარელთა საგვარეულოს წარმომადგენლების მიერ. კერძოდ, მისი აზ-

¹ ყველა ეს ნუსხა ერთი საერთო დედნიდან, „ქართლის ცხოვრების“ „მცხეთური“ ნუსხიდან მომდინარეობს და ერთნაირ ტექსტს შეიცავს. ამის გამო საურმაგ კაკაბე პირობითად მცხეთური რედაქციის ნუსხებს უწოდებდა მათ (ს. კაკაბეძე, „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ტექსტოლოგიური შესწავლის საკითხები. — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1977, № 2, გვ. 49—50, 59—60).

² ამ თხზულების როგორც საისტორიო წყაროს მნიშვნელობის შესახებ იხ. ივ. ჭავჭავაძის ნაშრომი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. — თხზულებანი, VIII, თბ., 1977, გვ. 257—262; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. ძველი ლიტერატურა, II, თბ., 1958, გვ. 300—305; ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრების მეორე ტომის შედგენილობა. — წიგნში: ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 022—023; რ. კიკნაძე, ჟამთააღმწერლის სპარსული წყაროები. — „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“, II, თბ., 1962, გვ. 127—128, 155—159; კ. გრიგოლია, ჟამთააღმწერელი და მისი თხზულების სამეცნიერო მნიშვნელობა. — „ქართული ისტორიოგრაფია“, I, თბ., 1968, გვ. 86—195; ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის მასალები ჟამთააღმწერლის თხზულებაში. — წიგნში: მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები, თბ., 1968, გვ. 26.

რით, სამცხის გამგებელს სარგისს თითქოს დაუწერია თხზულების პირველი ნაწილი (დაახლოებით 1285 წლამდე), ხოლო მის ვაჟსა და მემკვიდრეს ბექას — მეორე ნაწილი. ამ ვარაუდს თ. ჟორდანიას იმით ასაბუთებდა, რომ თხზულების პირველ ნაწილში განსაკუთრებით ვრცლად არის აღწერილი სარგისის საქმიანობა, ხოლო მეორე ნაწილში — ბექასი³.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, თ. ჟორდანიას აზრით, სარგის და ბექა ჯაყელებს თვითონ დაუწერიათ თავიანთი საგვარეულოს ისტორია. მისივე სიტყვით, ბექას გარდაცვალების შემდეგ (1306 წ.) თხზულება ხელში ჩაეკარდნია ვილაც „ვარძიელ“ წინამძღვარს თუ ბერს, რომელმაც რედაქცია გაუკეთა მას, შეავსო და გააგრძელა თხრობა. კერძოდ, მას შეუტანია ცნობები წმინდანთა შესახებ, სასწაულების მოთხრობა, საეკლესიო ისტორიის ზოგიერთი ეპიზოდი და ა. შ. ეს მომხდარა თ. ჟორდანიას ვარაუდით, 1310—1320 წლებში⁴.

მ. ჭანაშვილმა ამავე თხზულების ქრონოლოგიური ჩარჩო 1222—1289 წლებით განსაზღვრა და მის ავტორად XIII ს-ის ცნობილი ქართველი მოღვაწე აბუსერიძე ივარაუდა⁵.

უსახელო ისტორიკოსის თხზულების ყოველმხრივი შესწავლა და შეფასება ივ. ჯავახიშვილის სახელთან არის დაკავშირებული. კერძოდ, მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ ჩვენი ავტორი ისტორიას და ისტორიკოსობას „უამთაღმწერლობას“ უწოდებს, ხოლო ისტორიკოსს — „უამთაღმწერელს“. რამდენადაც არავითარი პირდაპირი მონაცემი ავტორის ვინაობის დასადგენად თხზულებაში არ მოიპოვება, ივ. ჯავახიშვილმა პირობითად „უამთაღმწერელი“ შეარქვა მას, ხოლო რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომებში XIV ს-ის ქართველ ანონიმურ ისტორიკოსს უწოდებდა⁶. ივ. ჯავახიშვილის მიერ ვარაუდით შერქმეული პირობითი სახელი ერთხმად იქნა მიღებული ქართველ მეცნიერთა მიერ და თითქმის საკუთარ

³ თ. ჟორდანია, ქრონიკები, III, თბ., 1967, გვ. 577—584.

⁴ იქვე, გვ. 564—577, 584—585.

⁵ მ. ჭანაშვილი, ქართველთა მატიაზე, 1903, გვ. 12, 27; М. Г. Джанашивили, Картлис цховреба—Жизнь Грузии.—СМОМПК, т. XXXV, Тифлис, 1905, с. 124—125, 143.

⁶ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 249; И. А. Джавахишвили, Об одном анонимном грузинском историке XIV века. — ИР АН, VI серия, № 17, Пгр., 1917, იხ. აგრეთვე, Б. Я. Владимирцов, Анонимный грузинский историк XIV века о монгольском языке. — ИР АН, VI серия, № 17, Пгр., 1917.

სახელდაც იქცა⁷. ამან ფრიად დადებითი როლი შეასრულა ქართულ ისტორიოგრაფიაში, ჩადგან მნიშვნელოვნად გააიოლა წყაროს გამოყენება და ციტირება, ხელი შეუწყო მის წყაროთმცოდნეობით შესწავლას.

ყამთაღმწერლის თხზულებაში არ გვხვდება არავითარი პირდაპირი მითითება ავტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხანაზე. იმის გამო, რომ ისტორიკოსმა კარგად იცის გიორგი V ბრწყინვალის მეფობის ამბები, ივ. ჭავჭავიძის მის თანამედროვედ მიაჩნდა ჩვენი ავტორი. ამავე დროს, მეცნიერმა უყურადღებოდ არ დასტოვა ისტორიკოსის სიტყვები იმის შესახებ, რომ გიორგი „უკანასკნელ ძმათა მისთა მეფე იქმნა და განდიდნა უმეტეს შემდგომთა მეფეთა“⁸. ამის გამო ივ. ჭავჭავიძელი შენიშნავდა, რომ თუ სიტყვა „შემდგომთა“ მერე არ არის დამატებული, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს ავტორს გიორგის V-ის შემდეგ უცხოვრია, მაგრამ მაინც არა უგვიანეს XIV საუკუნისა, და მისი მეკვიდრეების მეფობასაც მოსწრებია⁹. სხვა ნაშრომში ივ. ჭავჭავიძის გიორგი V-ის უმცროს თანამედროვედ მიაჩნდა ყამთაღმწერელი¹⁰.

პ. ინგოროყვას აზრით, ყამთაღმწერელი დაიბადა XIII საუკუნის ბოლოს (და, ამდენად, მართლაც უმცროსი თანამედროვე იყო გიორგი V-სა), თავისი თხზულება კი XIV საუკუნის შუა წლებში დაწერა¹¹.

XIV საუკუნის მწერლად მიაჩნიათ ყამთაღმწერელი კ. კეკელიძეს, ს. ყაუხჩიშვილს, ნ. ბერძენიშვილს, დ. გვრიტიშვილს, ვ. გაბაშვილს, კ. გრიგოლიას, მ. ლორთქიფანიძეს, გ. წულაიას¹² და სხვებს,

⁷ იქამდეც მივიდა საქმე, რომ ზოგიერთ ავტორს რუსულში უცვლელად გადააქვს ეს შერქმეული სახელი (Жамтагмцერели).

⁸ ყ ა მ თ ა ღ მ წ ე რ ე ლ ი. — წიგნი: ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის გამოც., ტფ., 1906, გვ. 734.

⁹ ივ. ჭავჭავიძელი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 248.

¹⁰ И. А. Джавахишвили, Об одном анонимном грузинском историке XIV века, с. 1483. კ. თუმანოვიც ფიქრობს, რომ ყამთაღმწერელი გიორგი V-ის უმცროსი თანამედროვე იყო (С. Туманов, Medieval Georgian Historical Literature (VII-th XV-th centuries). — Traditio, vol. I, New York, 1943, p. 176.

¹¹ პ. ინგოროყვა, რუსთველიანა. — თხზულებათა კრებული, I, თბ., 1963, გვ. 119.

¹² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 301; ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრების მეორე ტომის შედგენილობა, გვ. 023; ნ. ბერძენიშვილი, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მთა-

ზოლო ი. სიხარულიძე XIV ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს მის მოღვაწეობას¹³.

პ. ინგოროყვას აზრით, ქამთაღმწერელი დიდგვარიან ფეოდალთა, თორელთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. იგი მმართველ წრეებთან დაახლოებული პირი იყო და თვითონაც სახელმწიფო მოღვაწე უნდა ყოფილიყო. თხზულების დაწერის დრონათვის კი ის ბერად არის შემდგარი და ნაშრომიც დაარულებულია მონასტერში. პ. ინგოროყვა იმასაც ფიქრობს, რომ შესაძლებელია ისტორიკოსი კლარჯეთში მოღვაწეობდა, ოპიზის სახელგანთქმულ მონასტერში¹⁴.

კ. გრიგოლიაც იმ აზრის არის, რომ ქამთაღმწერელი სასულიერო პირი იყო, მაღალ სამღვდელოებას ეკუთვნოდა და მაწყვერელი ან, უფრო, ოპიზარ-მაწყვერელი უნდა ყოფილიყო¹⁵.

1980 წელს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა და ასპირანტთა სამეცნიერო სესიაზე ვ. კიკნაძემ წაიკითხა მოხსენება, რომელშიც გამოთქვა ვარაუდი, რომ XIV საუკუნის ანონიმური ისტორიკოსის თხზულება დაწერილი უნდა იყოს ტექსტში მოხსენიებულ მღვდელ-მონაზონ მოსეს მიერ (მოსე თან ახლდა მონღოლთა ურდოში დაბარებულ დიმიტრი II-ს, შეესწრო მისი სიკვდილით დასჯას და მონაწილეობა მიიღო უფლისწულ დავითის გადარჩენასა და მეფის ცხედრის საქართველოში გადმოსვენებაში).

ამგვარად, ქამთაღმწერელი გიორგი V-ის თანამედროვე ყოფილა და, როგორც ჩანს, XIV ს-ის პირველ ნახევარში დაუწერია

ვარი, ხაზი, თბ., 1964, გვ. 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, თბ., 1979, გვ. 201; დ. გერტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII—XIV სს.), თბ., 1962, გვ. 113; კ. გრიგოლია, ქამთაღმწერელი და მისი თხზულების სამეცნიერო მნიშვნელობა, გვ. 80; В. Н. Г а б а ш в и л и, Историография Грузии (X—XVII вв.). — В кн.: Очерки истории исторической науки в СССР, I, М., 1955, с. 144; М. Д. Л о р д - х и п а н и д з е, Картлис 'цховреба. — СИЭ, т. 7, М., 1965, с. 76; Г. В. Ц у л а я, Грузинский «Хронограф» XIV в. о народах Кавказа. — «Кавказский этнографический сборник», VII, М., 1980.

¹³ ი. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII—XIV საუკუნეებში, თბ., 1967, გვ. 3.

¹⁴ პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, გვ. 119.

¹⁵ კ. გრიგოლია, ქამთაღმწერელი და მისი თხზულების სამეცნიერო მნიშვნელობა, გვ. 80.

თავისი თხზულება. ტექსტის მრავალი რეალია მოწმობს, რომ ისტორიკოსი წარმოშობით მესხეთიდან იყო და თხზულებაც იქვე უნდა დაეწერა. „ქართლის ცხოვრების“ ამჟამად ცნობილ ნუსხებში ქაშთალმწერლის თხზულება 1317 წლამდეა მოყვანილი. ავტორს მიზნად ჰქონია გიორგი V-ის მეფობის ამბებიც აღეწერა, მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა, შესაძლებელია, რომ მან არ შეასრულა ჩანაფიქრი¹⁶.

რაც შეეხება ისტორიკოსის სიტყვებს იმის შესახებ, რომ გიორგი „განდიდნა უმეტეს შემდგომთა მეფეთა“, ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად ვარაუდობდა, რომ ტექსტი ამ ადგილას დამახინჯებული უნდა იყოს გადანწერთა მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული ვიქნებით ვალიაროთ, რომ ისტორიკოსი გიორგი V-ის მომდევნო ორი მეფის ზეობას მაინც უნდა მოსწრებოდა, რათა უფლება ჰქონოდა ასეთი შედარებისა. მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ გიორგი V-ის მომდევნო მეფეებიდან დავით IX 1346—1360 წლებში იჭდა ტახტზე, ხოლო ბაგრატ V — 1360—1393 წლებში, გამოვა, რომ ქაშთალმწერელს XIV ს-ის ბოლომდე უცხოვრია და მაშინ დაუწერია თავისი თხზულება; რომ ის თემურ ლენგის შემოსევებსაც მოსწრებია და, საერთოდ, სხვა ისტორიული ეპოქის წარმომადგენელი ყოფილა.

მკვლევართა სხვადასხვა მოსაზრებანი იმის თაობაზე, რომ ქაშთალმწერელი აბუსერიძეთა, ჯაყელთა ან თორელთა საგვარეულოდან იყო, აწყურის ეპისკოპოსი, ოპიზის მონასტრის წინამძღვარი თუ მღვდელმონაზონი იყო, მოკლებულია დამაჯერებლობას და ჯერჯერობით დაუსაბუთებელ ვარაუდებად რჩება. საქართველოში მონღოლთა შემოსევებისა და ბატონობის ამბებზე შემცველი თხზულების ავტორის ვინაობა დღესაც უცნობია ჩვენთვის. ის კვლავაც ქაშთალმწერლის სახელით მოიხსენიება ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ამ შემთხვევაში, ისევე როგორც „ისტორიათა და აზმათა“ ატრიბუციის დროსაც¹⁷, აშკარად ვლინდება ანონიმური ნაწარმოებების თავისი დროის გამოჩენილი პირებისადმი მიწერის ტენდენცია,

¹⁶ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 247.

¹⁷ ამის შესახებ დაწერ. იხ. P. K. Kiknadze, Очерки по источниковедению истории Грузии. Парсадан Горгиджанидзе и «Картлис цховრება», Тбилиси, 1980, с. 39—42.

რაც დ. ლიხაჩოვმა რუსულ ლიტერატურათმცოდნეობაშიც შენიშნა¹⁸.

როგორც უკვე ითქვა, ქამთააღმწერლის თხზულება დასათაურებული არ არის „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში. ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ თხზულებას „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შეტანის დროს ჩამოაცილეს დასაწყისიც და დასასრულიც, რის გამოც დაიკარგა როგორც სათაური ნაწარმოებისა, ისე ავტორის სახელიც და დაწერის თარიღიც. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია ქამთააღმწერლის თხზულება საგანგებოდ დაიწერა „ქართლის ცხოვრებისათვის“ როგორც „ისტორიათა და აზმათა“ გაგრძელება და, ამდენად, არსებითი ცვლილებები არ უნდა განეცადა კრებულში შეტანის დროს¹⁹.

იმის გამო, რომ ტექსტში შემონახული არ არის სათანადო პირდაპირი მონაცემები, ივ. ჯავახიშვილს არ შემოუთავაზებია რაიმე პირობითი სათაური ქამთააღმწერლის თხზულებისათვის. მან მხოლოდ ყურადღება მიექცია იმას, რომ „ჩვენი ავტორი ისტორიას და ისტორიის წერას „ქამთააღმწერლობას“ ეძახის“, რაც შეიძლება ბერძნულ „ხრონოგრაფიას“ უდრიდეს²⁰. ამავე ცნობის საფუძველზე პ. ინგოროყვამ ივარაუდა, რომ ანონიმური ავტორის თხზულება, როგორც ჩანს, „ქამთააღმწერლობის“ სახელს ატარებდა²¹. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, „ქამთააღმწერლობა“ არის არა კონკრეტული ნაწარმოები, არამედ „მატიანის წერა“, „ისტორიკოსობა“²². კიდევ რომ დავუშვათ, რომ ჩვენი ავტორი ამ სიტყვას მართლაც საკუთრივ საისტორიო თხზულების აღსანიშნავად ხმარობდა, ამ შემთხვევაში ის მაინც არ გამოდგება ნაწარმოების სათაურად, რადგან მაშინ უარი უნდა ვთქვათ ისტორიკოსის სახელად პირობით მიღებულ და საყოველთაოდ გავრცელებულ „ქამთააღმწერელზე“ (თორემ შეიძლება ერთი უცნობის მეორე უცნობით ახსნა გამოგვივიდეს: „ქამთააღმწერელმა“ დაწერა „ქამთააღმწერლობა“).

რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომებშიც იყო ცდა თხზუ-

¹⁸ Д. С. Лихачев, Текстология. На материале русской литературы X—XVII вв., М., 1962, с. 289—290.

¹⁹ ამის შესახებ იხ. აგრეთვე Р. К. Кикнадзе, Очерки по источниковедению истории Грузии, с. 39.

²⁰ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 249.

²¹ პ. ინგოროყვა, რუსთველანა, გვ. 118.

²² ქართლის ცხოვრება, II, ლექსიკონი, გვ. 591.

ლების დასათაურებისა. კერძოდ, მ. ლორთქიფანიძე „ქრონოგრაფია“ (Хронография) უწოდებს ამ ნაწარმოებს, გ. წულაია — „ქრონოგრაფს“ (Хронограф), ხოლო ვ. გაბაშვილი ერთდროულად „ქრონოგრაფსაც“ და „ქრონოგრაფიასაც“²³. უნდა ითქვას, რომ არც ერთი ეს ვარაუდი არ არის მისაღები. „ქრონოგრაფია“ მოვლენათა წლების მიხედვით აღწერას ნიშნავს, ეპითალოგურის თხზულებას კი სწორედ ქრონოლოგიური მონაცემები აკლია და ხშირად თხრობის თანმიმდევრობაც ირღვევა. რაც შეეხება „ქრონოგრაფს“ ეს საისტორიო ნაწარმოების სპეციფიკური სახეობაა, ფართოდ გავრცელებული ბიზანტიაში, ბულგარეთში, სერბიასა და რუსეთში, მაგრამ სრულიად უცნობი ქართულ ისტორიოგრაფიაში.

კ. თუმანოვი „მონღოლთა შემოსევების ისტორიას“ უწოდებს ეპითალოგურის თხზულებას²⁴, მაგრამ ეს სათაური კი არა, უფრო განსაზღვრაა ნაწარმოებისა, თანაც არაზუსტი, რადგან თვითონ კ. თუმანოვსაც აქვს აღნიშნული, რომ ანონიმურ ისტორიკოსს მარტო მონღოლთა შემოსევების ისტორია კი არა აქვს მოთხრობილი, არამედ მათ მფლობელობასაც აგვიწერს 1317 წლამდე.

ამგვარად, „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ყველაზე ვრცელი თხზულება, რომელშიც ას წელზე მეტი ხნის ისტორიაა გადმოცემული და რომლითაც მთავრდება კრებულის ძველი რედაქცია, ჭეგრობით უსათაუროდ არის დარჩენილი იმის გამო, რომ თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა არ გამოუჩინა მას სახელი.

ამავე დროს, თ. ყორღანიამ ჭერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს საკმაოდ მოხდენილად დაასათაურა ეპითალოგურის თხზულება. მან „ასწლოვანი მატრიანე“ უწოდა ამ ნაწარმოებს²⁵. ეს სათაური თითქმის ზუსტად ასახავს ფაქტობრივ მდგომარეობას.

²³ М. Д. Лордкипанидзе, Картлис цховреба, с. 76; Г. В. Цулая, Грузинская книжная легенда о Чингисхане. — «Советская этнография», 1973, № 5; Г. В. Цулая, Грузинский «Хронограф» XIV в. о народах Кавказа; В. Н. Габашвили, Историография Грузии, с. 144—145.

²⁴ С. Туманов, Medieval Georgian Historical Literature, p. 149, 157, 176.

²⁵ თ. ყორღანია, ქრონიკები, III, გვ. 563—567 და შმდ. სამწუხაროდ, ეს გამოკვლევა მხოლოდ 1967 წელს გამოქვეყნდა, მანამდე კი თ. ყორღანიას მიერ შემოთავაზებული სახელწოდება ეპითალოგურის თხზულებისა უცნობი იყო მეკლევარათა ფართო წრისათვის.

შართლაც, ჟამთააღმწერლის თხზულებაში გადმოცემულია საქართველოს ისტორია ას წელიწადზე ცოტა მეტი ხნისა. ქართველ მეცნიერთ არაერთხელ აღუნიშნავეთ, რომ ჟამთააღმწერლის თხზულება სწორედ ასი წლის ისტორიაა²⁶. ამდენად, შემოთავაზებული სათაური მარჯვე, მოხერხებული და ყოველმხრივ გამართლებული ჩანს, ხოლო თ. ჟორდანიას მაღალი მეცნიერული ავტორიტეტი და დანსახურება ქართული წყარომცოდნეობის წინაშე მისაღებს ხდის მის წინადადებას. ამიტომ, იმისათვის, რათა გაადვილდეს წყაროს გამოყენება და ციტირება, მიზანშეწონილია, რომ ისტორიულ და წყარომცოდნეობით გამოკვლევებში, აგრეთვე ტექსტის პუბლიკაციებში და თარგმანებში ჟამთააღმწერლის თხზულებას ეწოდოს „ასწლოვანი მატყანე“ (რუსულად — „Столетняя летопись“). ეს უთუოდ ხელს შეუწყობს ძეგლის უფრო ღრმად და ყოველმხრივ შესწავლას.

К ВОПРОСУ О ЗАГЛАВИИ СОЧИНЕНИЯ ГРУЗИНСКОГО АНОНИМНОГО ИСТОРИКА XIV ВЕКА

Резюме

В списках т. н. мцхетского цикла древней редакции «Қартлис цховреба» после «Истории и восхваления венценосцев» следует сочинение анонимного автора, охватывающее события истории Грузии со времени вступления на трон Георгия IV до 1317 года. В тексте сочинения не имеется никаких прямых указаний на время жизни и деятельности автора. На том основании, что историк хорошо знаком с эпохой царствования Георгия V (1314—1346) его обычно считают современником этого царя. Многие реалии текста свидетельствуют, что родом историк был из Месхети и там же проходила его деятельность.

²⁶ ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 245. 255; ი. ა. ჯავახიშვილი, Об одном анонимном грузинском историке XIV века, с. 1485; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 301; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, გვ. 201.

Сочинение анонимного историка не озаглавлено в списках «Картлис цховреба». В грузинской историографии распространено мнение, что начало и окончание сочинения были, вероятно, сокращены при внесении сочинения в сборник «Картлис цховреба», когда и были утрачены как название произведения и дата его написания, так и имя автора. В работе выдвинуто предположение, что возможно сочинение анонимного историка XIV века было специально написано для «Картлис цховреба» в виде продолжения «Истории и восхваления венценосцев» и при внесении в сборник оно не претерпело существенных изменений.

Из-за отсутствия в тексте каких-либо указаний, И. А. Джавахишвили, подробно исследовавший сочинение анонимного историка, не предложил для него условного названия и памятник остался не озаглавленным. Между тем, Ф. Д. Жордания еще в конце прошлого века назвал сочинение историка XIV века «Столетней летописью» («Асцловани матиане»). Это заглавие довольно точно соответствует фактическому положению: действительно, в сочинении изложена история Грузии чуть больше чем за столетний период. В историографии не раз отмечалось, что произведение историка XIV века является именно столетней историей (И. А. Джавахишвили, К. С. Кекелидзе, Н. А. Бердзенишвили). Поэтому в работе предлагается в целях более глубокого изучения источника, для облегчения его использования и цитирования, в исторических и источниковедческих исследованиях, а также при издании и переводе на другие языки вслед за Ф. Д. Жордания именовать сочинение грузинского анонимного историка XIV века «Столетней летописью».

უამთააღმწერლის სპარსული წყაროები

ჯუვიინი*

მონღოლთა შემოსევებისა და ბატონობის ხანა ვრცლად არის აღწერილი თვითმხილველ და თანდამხდურ ისტორიკოსთა და მოგზაურთა თხზულებებში. ა. იაკუბოვსკის სიტყვით, მონღოლთა შემოსევებმა XIII ს-ის დამდეგს იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვეებზე და მათს უახლოეს მემკვიდრეებზე, რომ მონღოლების შესწავლა თითქმის მათს დაპყრობით ომებთან ერთად დაიწყო¹. მართლაც, უკვე XIII—XIV სს-ში სხვადასხვა ქვეყნებში არაბულ, სპარსულ, სომხურ, ქართულ, რუსულ და დასავლეთევროპულ ენებზე შეიქმნა მრავალი ნაწარმოები, რომლებიც მნიშვნელოვან პირველწყაროებს წარმოადგენენ როგორც საკუთრივ მონღოლთა, ისე მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნების ხალხთა ისტორიისათვის.

მონღოლური ხანის ისტორიოგრაფიაში საპატიო ადგილი უჭირავს XIV ს-ის ქართველი ანონიმური ისტორიკოსის — უამთააღმწერლის ვრცელ თხზულებას, რომელშიც დაწერილებით არის აღწერილი მონღოლთა შემოსევებისა და ბატონობის ამბები. ქართველი ისტორიკოსის ეს ნაწარმოები თვალსაჩინო წყაროა არა მარტო საქართველოს, არამედ აზერბაიჯანის, სომხეთის, შუა და მცირე აზიის, ირანის და საკუთრივ მონღოლთა ისტორიისთვისაც.

ივ. ჯავახიშვილის შეფასებით, „უამთააღმწერლის თხზულება შინაარსიანი ნაწარმოებია და თვით მოთხრობის ასპარეზიც ფართოა: იქ მარტო პოლიტიკური თავგადასავალი კი არ არის აღწერილი, არამედ სახელმწიფო ცხოვრება და წესწყობილებაც ცხოვლად

* პირველად დაიბეჭდა 1962 წელს („კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებულები“, II, თბ., 1962, გვ. 127—156).

¹ А. Ю. Якубовский, Из истории изучения монголов XI—XIII вв. — Очерки по истории русского востоковедения, I, М., 1953, с. 31.

არის დასატული. მრავალი ძვირფასი ცნობა მოიპოვება მოხელეობისა და მართვა-გამგეობისა, გადასახადებისა და ბეგარისა, მეხარკეობისა და მელაშქრეობისა, მცხოვრებთა რაოდენობისა და მოძრაობის შესახებ, საეკლესიო საქმეებიც, ქვეყნის ზნეობრივი მდგომარეობაც, შინაური საცოლქმრო ვითარებაც საკმაოდ არის დასურათებული. ჩვენი ავტორის ისტორია აუარებელ ცნობებს შეიცავს და მისი ღირსება იმიტომ უფრო იზრდება, რომ XIII ს-ის საბუთები ცოტაა შემორჩენილი და ბევრს შემთხვევაში ეს თხზულება მკვლევრისთვის ერთადერთი წყაროა².

როგორც აღვნიშნეთ, საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ქართველი ისტორიკოსი საკუთრივ მონღოლთა და მათ მიერ ირანის ტერიტორიაზე შექმნილი ილხანთა სახელმწიფოს ისტორიისათვის. ამასთან ერთად, მის თხზულებაში შემონახულია ზოგიერთი ისეთი ცნობაც აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიისათვის, როგორც ჯერჯერობით არ შეგვხვედრია ჩვენთვის ცნობილ სხვა წყაროებში. ზოგჯერ ქამთაღმწერელი უფრო ვრცლად და ზოგიერთი ახალი დეტალის დამატებით მოგვითხრობს აღმოსავლურ თხზულებებში აღწერილი ამა თუ იმ მოვლენის შესახებ.

საინტერესო ცნობები მოეპოვება ქამთაღმწერელს XIII ს-ის მონღოლთა ენის შესახებაც. მის თხზულებაში დაცული ენობრივი მასალა შეისწავლა ცნობილმა მონღოლისტმა ბ. ვლადიმირკოვმა, რომელმაც აღნიშნა ქართველი ისტორიკოსის ცნობათა სიზუსტე და მათი ღირებულება XIII ს-ის დასავლეთ მონღოლთა ენის შესწავლისათვის³.

ამჟამად ჩვენ მიზნად არ გვაქვს რამდენადმე სრულად დავახასიათოთ ან შევაფასოთ ქამთაღმწერლის თხზულება როგორც წყარო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისათვის. ეს თემა სპეციალური კვლევის საგანს შეადგენს. წინამდებარე წერილში ჩვენ გვინდა ქართველი ისტორიკოსის აღმოსავლური, კერძოდ სპარსული წყაროების საკითხს შევეჩხოთ მხოლოდ⁴.

² ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 262.

³ Б. Я. Владимирцов, Анонимный грузинский историк XIV века о монгольском языке — ИР АН, VI серия, № 17, 1917, с. 1487—1501.

⁴ 1952 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტთა VI სამეცნიერო კონფერენციაზე ჩვენ წაიკითხეთ მოხსენება ქამთაღმწერლის ერთი სპარსული წყაროს შესახებ (იხ. ამ კონფერენციის მუშაობის გეგმა და მოხსენებთა თეზისე-

ივ. ჯავახიშვილმა ქამთაღმწერლის თხზულებაში დაცული ცნობების ანალიზის საფუძველზე გამოთქვა ვარაუდი, რომ ისტორიკოსი გიორგი V ბრწყინვალის თანამედროვე უნდა ყოფილიყო⁵. ცხადია მას „ასი წლისა და მეტის ამბები ზეპირ გადმოცემით და „თავით თუსით“ არ შეეძლონ დაეწერა“⁶, მას უჩათუოდ უნდა გამოეყენებინა საისტორიო წყაროები. ასეთი წყაროებით ქამთაღმწერელს, როგორც მისი თხზულებიდან ჩანს, უსარგებლია კიდევ. კერძოდ, გამოარკვეულია, რომ ჩვენს ავტორს გამოუყენებია ვინმე ბერი მღვიმელის თხზულება, „წიგნი მეფეთა ბალუშისთა და ნათესავთა მისთა“, ყოველთაღმწერლის თხზულება⁷ და სხვ. გარდა ამისა, ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ ქართველ ავტორს ხელთ უნდა ჰქონოდა იმდროინდელი ხალხის აღწერისა და შემოსავლის დეტალები და გადასახადისა და ბაჟის წიგნები. ამასთან ერთად, მას თქმულებებითა და ზეპირგადმოცემებითაც უსარგებლია⁸.

ივ. ჯავახიშვილს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ქამთაღმწერელს სპარსული ენაც უნდა სცოდნოდა⁹. ამის დამადასტურებელია ერთი სპარსული ფრაზა, რომელიც ჩვენს ავტორს ზუსტი ქართული თარგმანითურთ აქვს მოტანილი¹⁰. ქართველი ისტორიკოსის

ბი, თბ., 1952, გვ. 39). სამწუხაროდ, ჩვენ მიერ დადგენილი სპარსული წყარო ქამთაღმწერლისა „ქართლის ცხოვრების“ ახალ გამოცემის II ტომის შესავალში მონღოლური წყაროების რიგში მოხვდა (ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 036). ამას გარდა, 1960 წელს გამოცემულ ნაშრომში ი. ცინცაძემ აღნიშნა, რომ „სამწუხაროდ, ქამთაღმწერლის ქართული წყაროები აღმოჩენილი არ არის, არც მისი უცხო წყაროებია ზუსტად დადგენილი“ (ი. ცინცაძე, მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები, თბ., 1960, გვ. 15).

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 248. უნდა აღინიშნოს რომ ივ. ჯავახიშვილს შესაძლებლად მიაჩნდა აგრეთვე, რომ ქამთაღმწერელს გიორგი V-ის შემდგომ ხანაშიც ეცხოვრა, მაგრამ მაინც არა უგვიანეს XIV საუკუნისა (იქვე).

⁶ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 255.

⁷ იქვე, გვ. 255—256; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1949, გვ. 133—134.

⁸ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 256.

⁹ იქვე, გვ. 260.

¹⁰ „მაშინ გამოვიდა კაცი ერთი ლერწმანით... და ძლიერად ემა ყო: „მან ქუშტემ ჩალატა“, რომელ არს ენითა სპარსულითა, „მე მოვეალ ჩალატა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 210). „ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქციის ნუსხებში ფრაზა დამახინჯებულია („მანქუტმა ჩალატ“, „მენაქუთმნ ჩალატ“). ვახტანგისული რედაქციის ნუსხებში უფრო ხშირად „ჩალატარ“ გვხვდება. შესაძლებელია

მიერ სპარსული ენის ცოდნასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, რომ მის მიერ შედგენილი საისტორიო ნაწარმოების სპარსული წყაროების საკითხიც დაისვას.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქამთაალმწერელი უცხოური წყაროებით სარგებლობდა¹¹. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, „ქამთაალმწერლისათვის კარგად არის ცნობილი ალექსანდრე მაკედონელის ისტორია და ბიზანტიურ წყაროებში მოთხრობილი ამბები ძველი ელინებისა“¹². მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ისტორიკოსის მიერ სპარსული წყაროების გამოყენების საკითხი დასმული არ ყოფილა¹³.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ქამთაალმწერლის თხზულების ერთ-მა აღვლიმა, სადაც ავტორი გარკვევით ასახელებს მის მიერ გამოყენებულ ერთ სპარსულ წყაროს. მონღოლთა მიერ ქალაქ ნიშაბურის აღებას რომ აღწერს, ქამთაალმწერელი მოგვითხრობს: ჩინგიზ-ხანმა „წარმოავლინა შვილი მისი უმრწამესი თული ხუარასნისა მოთუალვად. გამოვლო ჭეონი და მივიდა ნიშაბურს, სადაც ნიშაბურელთა სამგზის წყობა ყვეს ბრძოლისათჳს. პირველსა ომს კელად იგდო ქალაქი, სადა-იგი მოკლა სამასი ათასი კაცი თავ-დაკუეთითა, ხოლო მეორესა ჭერსა ასი ათასი და შესამესა ომსა ოცდაათორმეტი ათასი. უკეთუ არა ჭერ ხართ, სამართლადცა არს: დიდისა სიბდიენისა ხოჯა შამშადინის ძმა თანადამხუდარი იტყოდა ამას ნიშაბურისა მოოჯრებასა“¹⁴.

ამგვარად ირკვევა, რომ ქამთაალმწერელს გამოუყენებია დიდი

ბოლოკიდური „რ“ სპარსული აკუზატივის ნიშნის „რა“-ს ნაშთი იყოს. ალბათ იმ სპარსულ თხზულებაში, რომლითაც ჩვენს ავტორს უსარგებლია (თუკი ეს ამბავი მას წერილობითი წყაროს საფუძველზე აქვს მოთხრობილი), ეწერა: من كشم جغتارا. ამ შემთხვევაში ფრაზა შეიძლება შემდეგნაირად გაიზარტოს: „მან ქუშტემ ჩალათარ[ა]“.

¹¹ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 256—261.

¹² ქართლის ცხოვრება, II, გვ. 035—036; იხ. აგრეთვე, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ფირესტე || ორესტე, — „ლიტერატურული ძიებანი“, II, თბ., 1944, გვ. 159—165.

¹³ ს. ყაუხჩიშვილის აღნიშნული აქვს ქამთაალმწერლის „ფართო განათლება, წყაროების კარგი ცოდნა (როგორც ქართული, ისე ბერძნული, სპარსული და მონღოლური წყაროებისა)“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 022).

¹⁴ ქამთაალმწერელი. — წიგნში: ქართლის ცხოვრება, II, გვ. 181—182 (ქვემოთ: ქართლის ცხოვრება, II).

საქებ-დივანის, ხოჯა შამს ად-დინის ძმის თხზულება, რომელშიც მონღოლთა შემოსევების ამბები ყოფილა მოთხრობილი¹⁵.

დიდი საქებ-დივანი შამს ად-დინ მოჰამედ ჭუვეინი იყო ილხანთა სახელმწიფოს პირველი მბრძანებლების ჰულაგუსა (1256—1265) და აბალას (1265—1282) პირველი ვაზირი, ხოლო მისი ძმა, ილხანთა ხანის გამოჩენილი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოხელე, ალ ად-დინ ათა მალიქ ჭუვეინი.

ჭუვეინების გვარი ერთ-ერთი ცნობილი გვარი იყო ირანში¹⁶. მის წარმომადგენლებს დიდი თანამდებობები ეპირათ როგორც სელჩუკიანთა, ისე ხორეზმშაჰების კარზე. განსაკუთრებით ხშირად ინიშნებოდნენ ამ გვარის პირნი საქებ-დივანის — ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე, რის გამოც ეს წოდებულება მათი ერთ-ერთი ზედმეტი სახელიც კი გამხდარა¹⁷.

მონღოლებს, რომლებიც საზოგადოებრივი განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე იდგნენ, არა ჰქონდათ სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის საკმარისი გამოცდილება. ამიტომ ისინი მაღალ სამოქალაქო-ადმინისტრაციულ თანამდებობებზე ადგილობრივი სამოხელეო არისტოკრატის წარმომადგენლებს აწინაურებდნენ.

¹⁵ უნდა აღინიშნოს, რომ ემთაღმწერლის თხზულების ამ ადგილისათვის იე. ჯავახიშვილსაც მიუქცევია ყურადღება და იმეორებს კიდევ მას, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რათა უჩვენოს, რომ „მონღოლების შემოსევის აღწერილობა ჩვენს ისტორიკოსს დამყარებული აქვს სხვათა შორის ერთს წყაროზე, რომელიც თურმე „თანამხუდარი“ ცნობებისა მიხედვით ყოფილა შედგენილი“ (იე. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 256).

¹⁶ ცნობები ჭუვეინების გვარის ისტორიისა და ათა მალიქ ჭუვეინის ბიოგრაფიისათვის ამოკრებილი გვაქვს მისივე საისტორიო ნაწარმოებიდან, რაშიდ ად-დინის „ისტორიათა კრებულიდან“, ცნობილი ირანელი მეცნიერის მ. ყაზვინის შესავალი წერილიდან, რომელიც ჭუვეინის თხზულების ევროპული გამოცემის პირველ ტომს აქვს წამძღვარებული, და ამავე თხზულების ინგლისური თარგმანის შესავლიდან.

¹⁷ ასე, მაგალითად, შამს ად-დინ ჭუვეინი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ილხანთა პირველი ვაზირი იყო, შინც საქებ-დივანის წოდებულებას ატარებდა. ამავე სახელით იხსენიებს მას ემთაღმწერელიც (ქართლის ცხოვრება, II, გვ 182, 251, 257, 272, 273). საქებ-დივანის წოდებულება ჰქონდა ათა მალიქ ჭუვეინისაც, რომელსაც არ სჭერია ეს თანამდებობა (იგი არაბეთის ერაყის გამგებელი იყო).

ასე, უკვე პირველი მონღოლი გამგებლების დროს ირანში სახელმწიფო სარბიელზე წინაურდება ჯუვეინების ოჯახი.

ალა ად-დინ ათა მალიქ ჯუვეინი დაიბადა 1226 წელს ჯუვეინის ოლქის პატარა ქალაქ აზადეარში (ხორასანში). იგი ახალგაზრდობიდანვე ხორასანისა და მაზანდარანის მონღოლ გამგებელთა სამსახურში იმყოფებოდა. მონღოლთა სახელმწიფოს დასავლეთის სამფლობელოთა გამგებელ არღუნ ამირთან ერთად მან რამდენიმეჯერ იმოგზაურა მონღოლეთსა და უიღურეთში. 1256 წლიდან ათა მალიქ ჯუვეინი იმყოფება ილხანთა სახელმწიფოს მბრძანებლის ჰულაგუ-ხანის კარზე. ჰულაგუმ იგი დანიშნა მთელი იმ ტერიტორიის გამგებლად, რომელსაც ერთ დროს ხალიფა ფლოზდა, ე. ი. არაბეთის ერაციისა და ხუზისტანის. ამავე თანამდებობას ასრულებდა ჯუვეინი მომდევნო ილხანის, აბალას დროსაც, თუმცა ნომინალურად იგი მონღოლი ამირის სუნჯაყ-აღას ნაიბად ითვლებოდა. 1281 წელს მას სახელმწიფო თანხების მითვისება დაბრალდა. აბალა-ხანმა თანამდებობიდან გადააყენა ათა მალიქი, მთელი ქონება ჩამოართვა, საჯაროდ აწამებინა და საპყრობილეში მოათავსა. მალე ჯუვეინის მომხრეებმა აბალა დაარწმუნეს მის უდანაშაულობაში. ილხანმა ბრძანა გაეთავისუფლებინათ ათა მალიქი, მაგრამ მანამდე თვითონ გარდაიცვალა. ილხანის ტახტზე ახლად ასულმა აბალას ძმამ აჰმედ-თეგუდარმა ჯუვეინი საპატიმროდან გაათავისუფლა და კვლავ ბაღდადის გამგებლად დანიშნა. 1283 წლის 5 მარტს ათა მალიქ ჯუვეინი გარდაიცვალა. მალე აჰმედ-თეგუდარსა და შიჰ ძინსწულ არღუნს შორის წარმოებულ ბრძოლის მსხვერპლი შეიქნა საჰებ-დივანი შაჰს ად-დინ ჯუვეინი. მას აბალას მოწამლევაში დასდეს ბრალი და სიკვდილით დასაჯეს 1284 წ. ოქტომბერში. მასთან ერთად დაიხაჯა მისი ოთხი ვაჟიც და მალე ჯუვეინების ოჯახი მთლიანად ამოწყდა.

ალა ად-დინ ათა მალიქ ჯუვეინის კალამს ეკუთვნის სპარსული ისტორიოგრაფიის შესანიშნავი ძეგლი — „ქ ე ე ყ ნ ის დ ა მ კ ყ რ ო ბ ის ის ტ ო რ ი ა“ (تاریخ جهانگشاہی). ავტორი თვითმხილველია ამ თხზულებაში აღწერილი ამბების დიდი ნაწილისა. მასვე გამოყენებული აქვს თანადამხდურთა მიერ მიწოდებული ცნობები. კერ-

ძოდ, ბევრი რამ მოისმინა მან მამამისის, ბეჰა აღ-დინისაგან, რომელიც ხორასნისა და შაზანდარანის პირველ მონღოლ გამგებელთა დროს (ჩინ-თემური, გურგუზი, არლუნ ამირი) ამ სამფლობელოთა საჰებ-დივანი იყო. ამას გარდა, ჭუეეინის ხელთ ჰქონდა ოფიციალური საბუთები და სხვა წერილობითი წყაროები, რომელთაც არ მოუღწევიათ ჩვენამდე. თავისი საისტორიო ნაწარმოების წერა ჭუეეინიმ მონღოლთა სახელმწიფოს დედაქალაქ ყარაყორუმში ყოფნის დროს დაიწყო 1252 ან 1253 წელს და დაამთავრა 1260 წელს, თხრობა კი 1257 წლამდეა მოყვანილი.

„ჭუეეინის დამპყრობის ისტორია“ სამი ტომისაგან შედგება. პირველ ტომში მოთხრობილია ჩინგიზ-ხანისა და მისი უახლოესი მემკვიდრეების ისტორია პირველი დაპყრობითი ომებიდან გუილქ ყაენის სიკვდილამდე. აქვე ისტორიკოსს დაწვრილებით აქვს აღწერილი ის საყოველთაო ნგრევა-განადგურება, რაც თან სდევდა მონღოლთა ლაშქრობებს. მეორე ტომში გადმოცემულია ხორეზშაჰების (განსაკუთრებით ვრცლად ორი უკანასკნელის — მოჰამედისა და ჯალალ აღ-დინის) და ხორასნის მონღოლ გამგებელთა ისტორია. მესამე ტომში აღწერილია მანგუ ყაენისა და ირანელ იმპალიტთა ისტორია ჰასან საბაჰიდან ვიდრე როქნ აღ-დინ ხორშაჰამდე, და მონღოლთა მიერ ალამუთის ციხის აღება 1257 წელს.

ჭუეეინის მონღოლთა ლაშქართან ერთად პირადად მიუღია მონაწილეობა ალამუთის ციხის აღებასა და აღებაში. ჰულაგუ-ხანის ნებართვით მან გადაათვალიერა ალამუთის სახელგანთქმული ბიბლიოთეკა და აარჩია ბევრი საინტერესო წიგნი, რომლებშიც იმპალიტთა მოძღვრება იყო გადმოცემული. ამიტომაც, რომ მის თხზულებაში ბევრი ისეთი ცნობა მოიპოვება იმპალიტთა ისტორიისათვის, როგორც არ გვხვდება სხვა წყაროებში. კერძოდ, ამ წიგნებით გაეცნო ათა მალიქი ჰასან საბაჰის ავტობიოგრაფიას, საიდანაც ვრცელი ნაწყვეტები აქვს მოტანილი თავისი საისტორიო ნაწარმოების მესამე ტომში.

ჭუეეინი, ისევე როგორც რაშიდ აღ-დინი, ვასაფი და ჰამდალაჰ

ყავინი, მონღოლ ილხანთა ოფიციალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელია. ამ ისტორიკოსებს ამავე დროს მაღალ სახელმწიფო მოხელეთა თანამდებობები ეკირათ ილხანთა ირანში და თავიანთი კეთილდღეობით მთლიანად დამოკიდებული იყვნენ მონღოლებზე. მათ, როგორც კარის ისტორიკოსებს, თავიანთ ნაწარმოებებში უნდა შეექმთ ჩინგიზ-ხანი და მისი მემკვიდრენი. ამ ისტორიკოსებმა შეასრულეს მბრძანებელთა შეკვეთა — ხოტბა შეასხეს მონღოლებს, მაგრამ, როგორც ი. პეტრუშევსკი შენიშნავს, საკმაოდ უხალისოდ გააკეთეს ეს. „ოფიციალური ისტორიკოსების მდგომარეობამ ხელი არ შეუშალა ჯუვეინისა და რაშიდ ად-დინს დაეხატათ მონღოლთა შემოსევების საშინელებანი, ეჩვენებინათ მკიდროდ დასახლებული ქალაქების დაღუპვის, საყოველთაო ხოცვა-ჟლეტის, მთელი ოლქების განადგურების სურათი თითქმის ისეთივე გულახდილობით, როგორც ამას აკეთებდნენ მონღოლთა მიმართ ნეტრულად განწყობილი ისტორიკოსები (იბნ ალ-ასირი, ნესავი, ჯუნჯანი)“¹⁸.

ცნობილი რუსი ორიენტალისტი ვ. ბარტოლდი 1912 წელს გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ აღმოსავლეთკოდნეოპის დარგში ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი ფილოლოგიური და საისტორიო მეცნიერების ყოველი დარგის უპირველესი ამოცანა — ბეჭდური გამოცემებისა და თარგმანების საშუალებით მისაწვდომი გახადოს მკვლევართათვის მთავარი ლიტერატურული და საისტორიო წყაროები¹⁹. ვ. ბარტოლდის ამ სიტყვების შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა და როგორც ჩვენში, ისე უცხოეთშიც მრავალი აღმოსავლური წყაროს ტექსტი და თარგმანი გაჩოცა. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ბევრი ძვირფასი წყარო იშვიათი ხელნაწერის სახით არის დაცული ამა თუ იმ ქვეყნის სიძველეთსაცავეებში და ხშირად სპეციალისტებისთვისაც კი ძნელად მისაწვდომია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ათა მალაქ ჯუვეინის

¹⁸ И. П. Петрушевский, Рашид-ад-Дин и его исторический труд.— В кн.: Рашид-ад-Дин, Сборник летописей, т. I, кн. 1, М.—Л., 1952, с. 32.

¹⁹ В. Бартольд, E. Blochet, Introduction à l'histoire des Mongols de Fadl Allah Rashid ed-din, Leyden-London, 1910 (рецензия), «Мир ислама», СПб., 1912, т. I, № 1, с. 56—57.

თხზულება შედარებით იბღლიანი გამოდგა. ცალკე ნაწყვეტებზე რომ არაფერი ვთქვათ, „ქუეყენის დამპყრობის ისტორიის“ სრული ტექსტი უკვე სამჭერ გამოიცა სტამბური წესით²⁰ და ინგლისურ ენაზეც ითარგმნა მთლიანად²¹.

ჭუეეინის საისტორიო ნაწარმოების პირველ ტომში, როგორც აღვნიშნეთ, მონღოლთა დაპყრობითი ლაშქრობებია აღწერილი. ეს ტომი შესავლია და ორმოცდაერთი თავისაგან შედგება. ოცდამეორე თავში მონღოლთა მიერ ნიშაბურის აღების ვრცელი მოთხრობაა მოცემული²².

უნდა აღინიშნოს, რომ ჭუეეინის არ მოეპოვება ცნობა ნიშაბურის აღების დროს დახოცილ მეომართა და მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ. იგი მოგვითხრობს, ჩინგიზ-ხანმა რომ მდინარე ამუდარია გადმოლაზა, თავისი ვაჟი თული²³ ხორასნის დასალაშქრავად

²⁰ ცნობილმა ირანელმა მეცნიერმა მირზა მოჰამედ ყაზვინიმ 1912, 1916, 1937 წლებში ინგლისელი ორიენტალისტის გიბის სამახსოვრო სერაში გამოსცა ქუეეინის თხზულების სამივე ტომი ვრცელი შესავლითურთ სპარსულ და ინგლისურ ენებზე (ინგლისური თარგმანი ედ. ბროუნისა). სადაც მოტანილია სხვადასხვა წყაროდან ამოკრებილი ცნობები ჭუეეინების გვარის ისტორიისათვის და აგრეთვე ათა მალიქ ქუეეინისა და მისი საისტორიო ნაწარმოების შესახებ (The Tarikh-i-Jahan-Gusha of 'Ala ud-din 'Ala Malik-i-Juwaini, ed. by Mirza Muhammad Qazwini, GMS, XVI, 1, 2, 3, Leyden-London. 1912, 1916, 1937. ქვემოთ: ქუეეინი).

1932—33 წლებში ირანელმა მეცნიერმა სეიდ ჯალალ ად-დინ თეჰრანიმ თეირანში დაბეჭდა ჭუეეინის ისტორიის სრული ტექსტი. პირველი ორი ტომი იმეორებს მ. ყაზვინის გამოცემას. ხოლო მესამე (რამდენადაც მ. ყაზვინის პუბლიკაციის მესამე ტომი მხოლოდ 1937 წელს გამოქვიდა) დამოუკიდებელ გამოცემას წარმოადგენს: كتاب تاريخ جهانگشای آلیف علاء الدین عطا ملک بن بها الدین محمد بن محمد الجوينی، بمعى سيد جلال الدین طهرانی طبع گردید، جلد اول، جلد ثانی، جلد سوم، طهران، ۱۳۵۱—۱۳۵۳. ორივე პუბლიკაციის მესამე ტომს დართული აქვს მონღოლთა მიერ ბაღდადის აღების აღწერა, რომელიც XIII ს-ის ცნობილი მეცნიერის ნასირ ად-დინ ტუსუს კალამს ეკუთვნის.

1958 წელს მოჰამედ რამაზანიმ თეირანში ერთ წიგნად გამოსცა „ქუეეინის დამპყრობის ისტორიის“ სამივე ტომი მ. ყაზვინის გამოცემის მიხედვით, ოღონდ შესავალი წერილისა და კომენტარების გარეშე.

²¹ Ala Malik Juwaini, The History of the World-Conqueror. Translated from the persian by J. A. Boyle, vol. I—II, Manchester, 1958-

²² ქუეეინი, I, გვ. 133—140.

²³ ტექსტში: الخ نون (დიდი ნოინი). ამ სახელით იხსენიებდნენ მონღოლები თულის მისი სიკვდილის შემდეგ (იხ. J. A. Boyle, On the Titles Given in Juwaini to Certain Mongolian Princes.—HJAS, 19, 1956, p. 146—148).

გამოგზავნა. თულიმ ჩინგიზ-ხანის სიძე თოღაჩარ ნოინი ათი ათასი მეომრით მეწინავე ლაშქარში გაგზავნა, თვითონ კი ქალაქ მერვის აღებას შეუდგა. თოღაჩარმა ალყა შემოარტყა ნიშაბურს, მაგრამ მალე ქალაქის გალავნიდან ნატყორცნმა ბრმა ისარმა იმსხვერპლა (1220 წლის ნოემბერში)²⁴. მერვის აღების შემდეგ თული ნიშაბურს მიადგა უზარმაზარი ლაშქრით (1221 წ. გაზაფხულზე). მან არ მიიღო მცხოვრებთა წინადადება დამორჩილების შესახებ და ბრძოლით აიღო ქალაქი. ნიშაბურის კედლებთან მოკლული თოღაჩარის სისხლის საზღაურად თულიმ ბრძანა მიწასთან გაესწორებინათ ქალაქი ისე, რომ მის ადგილზე ხენა-თესვა ყოფილიყო შესაძლებელი, და ერთიანად გაეუღიბათ მოსახლეობა, ძაღლები და კატებიც კი არ დაეტოვებინათ ცოცხალი²⁵. საყოველთაო ხოცვა-ჟლეტას გადაურჩა მხოლოდ ოთხასი ხელოსანი, რომელთაც მონღოლებმა სიცოცხლე შეუუნარჩუნეს და თურქესტანში გადაასახლეს²⁶. XIII ს-ის ისტორიკოსი ჭუსჩანი მოგვითხრობს, ქალაქის დაქცევის შემდეგ მონღოლებმა გალავანი მოთხარეს და ნაქალაქარზე გუთანის გაატარეს, ასე რომ, ნაგებობათა კვალიც კი აღარ დარჩაო²⁷.

ანგვარად, ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება შეიქმნას, თითქოს ეამთაღმწერელს ხელთ არა ჰქონია ჭუვეინის თხზულება და რომელიღაც სხვა წყაროდან ამოღებული ცნობა მიაწერა მას²⁸. მაგრამ ქართველი ისტორიკოსის მიერ თავისი ერთ-ერთი

²⁴ ჭ უ ე ე ი ნ ი, I, გვ. 137—138.

²⁵ იქვე. იხ. აგრეთვე, რ. კ ი კ ნ ა ძ ე, მონღოლთა შემოსევები. — ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 173.

²⁶ დაპყრობილი ქვეყნების ხელოსანთა მიმართ მონღოლების დამოკიდებულების შესახებ იხ. რ. კ ი კ ნ ა ძ ე, მონღოლთა შემოსევები, გვ. 167—169.

²⁷ The *Tabaqat-i-Nasiri of Aboo Omar Minhaj al-din Othman ibn Siraj al-din al-Jawzjani*, ed. by Nassau Lees and Mawlawis Khadim Hosain andl Abdal-Hai, Calcutta, 1863—1864, p. 351.

²⁸ თუმცა სრულიად არ არის გამორიცხული, რომ ჭუვეინის თხზულების იმ ნუსხაში, რომლითაც ეამთაღმწერელი სარგებლობდა, მართლაც დასახელებული ყოფილიყო დახოცილთა რაოდენობა. საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ გვიანდელ ავტორებს (მირხონდს, ხონდემირს) მოუპოვებათ ცნობა თულის მიერ ნიშაბურის აღების დროს დახოცილთა რაოდენობის შესახებ. კერძოდ, მირხონდი მოგვითხრობს, ზოგიერთ საისტორიო წიგნში სწერია, ნიშაბურში დახოცილთა დათვლას თორმეტდღეს მოუწოდნენ და მოკლულთა რიცხვი ქალებისა და ბავშვების გამოკლებით მილიონ 47 ათასს აღწევდაო (მ ი რ ხ ო ნ დ ი, როუზათ ას-საფა, ტ. V, ბოშბეი, 1845, გვ. 46). ხონდემირიც ამასვე იმეორებს, ოღონდ იგი „ხორასნის ისტორიის“ (تاريخ خراسان) დამოწმებით 1.747.000 მოკლულს ასახელებს (ხ ო ნ დ ე მ ი

სპარსული წყაროს ნიშანდობლივ დასახელება უთუოდ ანგარიშგასაწვევია²⁹. გარდა ამისა, ჩვენ ხელთ ვვაქვს აზერთი საბუთი, რომლებითაც საკმაოდ დამაჯერებლად დასტურდება, რომ ქართველ ავტორს სხვა წყაროებთან ერთად ათა მალიქ ჭუვეინის „ქვეყნის დამპყრობის ისტორიაც“ გამოუყენებია. ქვემოთ ჩვენ მოვიტანთ რანდენიმე ასეთს საბუთს და ქართული და სპარსული ტექსტების სათანადო ადგილების შედარების საფუძველზე ეამთაღმწერლის თხზულების ზოგიერთი დანახინჯებული ადგილის შესწორების ცდასაც წარმოვადგენთ³⁰.

„ამათნი ნათესავნი მრავალ გუარად განყოფილ იყვნეს და არიანცა ჭერეთ, — მოგვითხრობს ეამთაღმწერელი.—...ხოლო ამათთა ნათესავთა ყიათთა გუარისათა გამოჩნდა კაცი ერთი, სახელით თემურჩი, რომელ არს ჩინგიზ ყაენი“³¹.

ჭუვეინიც აღნიშნავს, რომ მონღოლები მრავალ ტომად და შტოდ არიან გაყოფილი, მაგრამ მათ შორის თავისი კეთილშობილებითა და სიდიდით დღეს ცნობილია ყიათის ტომი, რომელიც უპირველესია სხვა ტომთა შორის იმის გამო, რომ პინგიზ-ხანის წინაპარნი და მამა-პაპა ამ ტომის მეთაურები იყვნენ და ამავე ტომს

რ ი, ჰაბიბ ას-სიბარ, ტ. III, თეირანი, 1954, გვ. 41). მართალია, ეამთაღმწერლის მიერ დასახელებული 422 ათასი რამდენიმეჯერ ნაკლებია სპარსულ ისტორიკოსთა მიერ ხაჩვენებ რიცხვზე (საერთოდ კი ერთიცა და მეორეც აშკარად ვაზიადებული ჩანს), მაგრამ ამ შემთხვევაში საყურადღებოა ის გარემოება, რომ, როგორც მირხონდისა და ხონდემირის თხზულებებთან ჩანს, არსებულა ისეთი საისტორიო ნაწარმოებები (კერძოდ, „ხორასანის ისტორია“). რომლებშიც დასახელებული ყოფილა ნიშაბურის ალების დროს დახოცულ მცხოვრებთა რაოდენობა. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტად აცხოველებს ინტერესს ეამთაღმწერლის სპარსული წყაროების მიმართ.

²⁹ მონღოლთა მიერ ნიშაბურის ალებასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ეამთაღმწერელს ესამბავი საქართველოში ხორეზშმაჰ ჯალალ ად-დინის შემოსევისა და თბილისის ალების შემდგომ აქვს მოთხრობილი. ჯალალ ად-დინის საქართველოში ლაშქრობა და თბილისის დაკავება 1225 წლით თარიღდება, ნიშაბური კი მონღოლებმა, როგორც ვნახეთ, 1221 წ. აპრილში დააქციეს. შავჯავი შეუსაბამობანი სხვაგანაც გვხვდება ეამთაღმწერლის თხზულებაში, რაც შესაძლებელია. ხელნაწერში ფურცლების არევიით ან გადამწერის უყურადღებობით იყოს გამოწვეული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჭუვეინი ვერ იქნებოდა ნიშაბურის ალების თანდამხდური, რადგან ის მხოლოდ 1226 წ. დაიბადა.

³⁰ ერთ წერილში შეუძლებელია ეამთაღმწერლისა და ჭუვეინის თხზულებათა დეტალური შედარება, ამიტომ ამჯერად ვიფარგლებით ეამთაღმწერლის ცნობებით ჩინგიზ-ხანის პერიოდის მონღოლთა შესახებ.

³¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 160.

ეკუთვნოდნენ. ჩინგიზ-ხანს თემურჩინი ერქვა სახელად, სანამ დე-
დანიწის დასახლებული ნაწილის მბრძანებელი გახდებოდა³².

როგორც ვხედავთ, ქართველი და სპარსელი ისტორიკოსები
მაგვასად მოგვითხრობენ ერთი და იმავე ამბის შესახებ. რა თქმა
უნდა, ჟამთააღმწერელს შეეძლო იგივე ამბავი სხვა წყაროშიც ამო-
ეკითხა, მაგრამ არაუბობს ერთი საბუთი, რომლის საფუძველზე შეი-
ძლება დავასკვნათ, რომ ქართველ ისტორიკოსს სწორედ ჯუვეინის
თხზულება ჰქონია ხელთ. სხვა წყაროებით ცნობილია, რომ სანამ
მონღოლთა სახელმწიფოს უზენაესი მბრძანებელი გახდებოდა, ჩინ-
გიზ-ხანს თემუჯინი (თემუჩინი) ერქვა სახელად, ჯუვეინის თხზულე-
ბის გამოცემებში კი თემურჩინი (تمرجين)³³ წერია. თუ გავითვალის-
წინებთ იმასაც, რომ „ქვეყნის დაპყრობის ისტორიის“ ერთ-ერთ
ხელნაწერში, რომელიც ხელთ ჰქონია ამ თხზულების გამომცემელს
მ. ყაზვინის, ეს სახელი تمرجی (თემურჩი) ფორმით ყოფილა და-
ცული³⁴, მაშინ გასაგები გახდება, თუ საიდან მომდინარეობს ჟამთა-
აღმწერლის მიერ ნახსენები „თემურჩი“. როგორც ჩანს, ქართველ
ავტორსაც ჯუვეინის თხზულების ისეთი ნუსხა ჰქონია ხელთ, სა-
დაც ჩინგიზ-ხანის სახელად თემურჩი იყო მოხსენიებული.

ესე წარვიდა ნიჟისა და პატივისა მოღებად უმთავრესისა მათისა, რომელსა
ხანობით უკმობდეს კელმწიფეთა მათისა, რომელსა ერქუა ონხანდ. ვითარ იხილა,
შეიყუარა სიკეთისა მისისათუს, და დიდსა პატივს აღიყვანა, უწარჩინებულეს ყო-
ველთა სწორთა მისთა. და მკედართამთავრობა კელთ უღდა ლაშქართა მისთა, და
ყოველნით მოსწყუედლიან ურჩთა და გამდგომთა მისთა, ვინაცა ყოველნით გამარ-
ჯებული მივიდის პატრონსა მისსა ონხანს კელმწიფეს წინაშე. ხოლო მან უაღ-
რესსა პატივსა აღიყვანის.

ესე შვიშურა ძმამან ონხანისმან, სახელით უთქინ, და ძემანვე მისმან ქო-
ლავ³⁵, და შეასმინეს ონხანს, ვითარმედ: „ნებავეს დაპყრობად მეფობისა შენისა,
რომელსა ხანობით, გინა ყაენობით უკმობენ“. და მან განიზრახა მოკლეა მისი,
გარნა აგრძნა თემურჩი განზრახვა ესე. რამეთუ უთხრეს ორთა ვიეთმე კაცთა,
რომელთა სახელი ერთისა ქოლავ³⁶ და მეორესა ბად, ვითარმედ „ნებავეს სიკუდი-
ლი შენი ონხანსო“.

ხოლო იგი ივლტოდა და ორნიცა იგი კაცნი მის თანა. და მივიდა სახლსა შინა

³² ჯ უ ვ ე ი ნ ი, I, გვ. 25—26.

³³ „ქვეყნის დაპყრობის ისტორიის“ ინგლისურ ენაზე მთარგმნელი ჯ. ბოილი
შენიშნავს, რომ ორივე დასახლებული ფორმა ამ სახელისა შესაძლებელია, მაგრამ
თემუჯინი უფრო ძველია, რადგან იგი მონღოლურ და ჩინურ წყაროებშია დამოწ-
მებული (The History of the World-Conqueror, I, p. 35, n. 31).

³⁴ ჯ უ ვ ე ი ნ ი, I, გვ. 25, შენ. 1.

³⁵ ქურაქ (MTM).

³⁶ ქლავ (M), ქალავ (m), ქლქ (T), ბროსეს გამოცემაში—ქოლავ.

თხსსა და ხართგა, აპყარა დედა-წული და იარა ერთი დღე და ერთი ღამე და მერმე: დაპყარა დედა-წული და ბარგი და ხვასტავი, და მივიდა წყლისა მის პირსა, რომელსა ჰქვან ბლაჭუნის³⁷, და განაშორა ლაშქარი მცირედ და უკუ დგა კვესა რას-მე.

და ცნა ონხან სივლტოლა თემურჩისა, მსწრაფლ დევნა უყო, და მოეწია დედა-წულსა და ბარგსა მისსა. აღიღეს ტყუე ურცხუ, და დამძიმდეს ალაფითა. ლაშქარი მისი. მაშინ ზედა მოუქდა თემურჩი ყოველთა ლაშქართა ონხანისთა. იქმნა ბრძოლა სასტიკი და ძლიერი, მოსწყდა ორგნითვე ურცხუ და იძლია ონხან, დევნა უყვეს და შეიპყრეს, და მოკლეს ონხან. და მსწრაფლ დაესხა დედა-წულსა ონხანისსა და კელთ იგდო ცოლი და შვილნი, და ყოველს სიმდიდრე მისი, თხნიერ კოლაქ. უხუცესისა შვილისა ონხანისსა-³⁸.

თემურჩინისა და ქერაითების ტომის მეთაურის ონ-ხანის ურ-თიერთობის შესახებ ვრცელი მოთხრობა მოეპოვება რაშიდ ად-დინს³⁹. ასევე ვრცლად არის აღწერილი ეს ამბები მონღოლურ ქრონიკაშიც („იუან ჩაო ბი ში“, 1240 წ.)⁴⁰, რომლითაც, როგორც ჩანს, უსარგებელია რაშიდ ად-დინს. მაგრამ ამ ორი წყაროსა და ეპითაღმწერლის ცნობები დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც მოცულობით, ისე მასალის დასაყრდენითა და შინაარსით⁴¹. სამაგიეროდ, ეპითაღმწერლის მოთხრობა ძალიან ახლოს დგას ჭუვეინის თხზულებაში მოტანილ ცნობებთან, სადაც აგრეთვე მოკლე აღწე-

³⁷ ბლაჭუნის (MT), ბლაჭუნის (m).

³⁸ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 160—161.

³⁹ Рашид-Эддин, Сборник летописей. персидский текст с предисловием И. Н. Березина, — ТВО, XIII. СПб., 1868, с. 172—239; Рашид-ад-Дин, Сборник летописей, т. I, кн. 2, перевод с персидского О. И. Смирновой, 1952, с. 108—135.

⁴⁰ С. А. Козин, Сохрвенное сказание, Юан чао би ши, т. I. М.—Л., 1941, с. 121 и др.

⁴¹ შეიძლება დავასახელოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ წყაროების მიხედვით, თავის მტრებთან ბრძოლაში დამარცხებულმა ონ-ხანმა მთელი სამფლობელო დაქონება დაკარგა და დაუძლურებული მიაღდა თემურჩინს, რომელმაც პატივით მიიღო ის და დაეხმარა მოწინააღმდეგეთა დამარცხებაში. ამის შემდეგ მათ არა ერთი ბრძოლა მოიგეს ერთად (Рашид-Эддин, Сборник летописей. — ТВО, XIII, с. 176—179 и др., Рашид-ад-Дин, Сборник летописей. I, 2, с. 109—110 и др.; Юан чао би ши, с. 122—127).

რილობაა მოცემული ამ აშპებისა⁴². ჭუვეინი გადმოგვცემს, რომ ქერათებისა და საყიათის⁴³ ტომთა მეთაური ონ-ხანი იმ დროს გამოირჩეოდა სხვებისგან ძლიერებით, შეიარაღებითა და ხალხის სიმრავლით. მაშინ მონღოლი ტომები ჭერ არ იყვნენ გაერთიანებული და ერთმანეთს არ ემორჩილებოდნენ. როცა ჩინგიზ-ხანი წაშოიზაჲდა, კარგი მეომარი დადგა. რაკი მათი სამფლობელოები ერთმანეთს ესალვებოდა, იგი ონ-ხანთან დაიარებოდა ხოლმე და მათ შორის მეგობრული ურთიერთობა არსებობდა. ონ-ხანი ხედავდა მის გონიერებას, გამჭიანობას, სიმამაცესა და დიდებულ გარეგნობას, აღფრთოვანებული იყო მისი მამაცობით და, რაც შეეძლო ყველაფერს აკეთებდა მის განსადიდებლად და პატივის საცემად. დღითი დღე თემუჩინის გავლენა იზრდებოდა და ბოლოს სახელმწიფოს მთელი საქმეები მის ხელთ აღმოჩნდა და ლაშქარიც მის ბრძანებას ემორჩილებოდა. ონ-ხანის ძაებს, ვაჟებსა და მახლობლებს შურდათ თემუჩინის დაწინაურება და ყოველგვარ ზომას ხმარობდნენ, რათა სახელი გაეტეხათ მისთვის. ბოლოს მათ მიადწიეს იმას, რომ ონ-ხანს ექვი შეეპარა და შიში გაუჩნდა თემუჩინისა. რაკი აშკარად შებრძოლება და დამარცხება შეუძლებლად მიაჩნდა, მან გადაწყვიტა მოხერხებითა და ეშმაკობით შეეშალა ხელი თემუჩინის გაძლიერებისათვის. გადაწყდა, რომ განთიადის ეამს, როცა ყველა ღრმა ძილში იქნებოდა, თავს დასხმოდნენ თემუჩინსა და მის მომხრეებს. როცა უკვე მზად იყვნენ განზრახული საქმის შესასრულებლად, ონ-ხანის ორი ახალგაზრდა მსახური, რომელთაგან ერთს ქიშლიქ ერქვა, მეორეს კი ბადე⁴⁴, გაიქცა და თემუჩინს აცნობა ეს ამბავი. მან მაშინვე დასძრა თავისი ხალხი და მახლობლები და აპყარა კარავები. როცა დანიშნულ დროს, განთიადზე, მტერი დაეახა მის ბანაკს, კარავები ცარიელი დაუხვდათ. ჭუვეინი აღნიშნავს, რომ აქ ცნობები გან-

⁴² ჭუვეინი საგანგებოდ აღნიშნავს სათაურში, რომ მას მოკლედ აქვს გადმოცემული ეს ამბები: ჭუვეინი, I, გვ. 25: ذكر خروج چنگر خان و ابتدای انتقال دوك و مملكت ملوك جهان بدو و احوال آن بر سبيل ابجاز

⁴³ ბექლურ გამოცემებშია ساقيز (საყიზ), რასაც ე. ბლოშე და მ. ყაზვინის ნიმუშების ტომთან აიგივებენ. ჯ. ბოილი აღნიშნავს, რომ ონ-ხანს მტრობა კქონდა ნამანებთან და ამიტომ არ შეიძლება ისინი ვიგულისხმოთ. მისი აზრით, აქ უნდა იყოს „საყიათი“ — ქერათების ტომის ერთ-ერთი შტო (The History of the World-Conqueror, I, p. 35, n. 6). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ერთ ხელნაწერში ყოფილა ساقير (საყირ). შესაძლებელია ამასვე გულისხმობდეს ეამთა-იღმწერელი „საყიათი“ ტომში (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 160).

⁴⁴ ამ სახელების შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

სხვაედება ერთმანეთისაგან იმ საკითხში, ჯკან გაბრუნდა ონ-ხანი, თუ მაშინვე დაედევნა თემუჩინსო⁴⁵. ერთი სიტყვით, ონ-ხანი დიდი ლაშქრით მის ძებნას შეუდგა, თემუჩინს კი მცირერიცხოვანი რაზმი ჰყავდა. იმ ადგილებში ერთი წყარო არის, სახელად ბალჯუნე (بالجونه). იქ შეხვდნენ ერთმანეთს და სასტიკი ბრძოლა გაიმართა. ბოლოს თემუჩინის მცირე რაზმმა დაამარცხა ონ-ხანის მრავალრიცხოვანი ლაშქარი და დიდი ალაფი აიღო. ეს ამბავი მოხდა 509 (1202/1203) წელს. როცა ჩინგიზ-ხანის ლაშქარი გაძლიერდა⁴⁶, მან გადაწყვიტა არ მიეცა ონ-ხანათვის ძალების მოკრების საშუალება და რაზმები დაადევნა. ერთი-ორჯერ შეებრძოლნენ ერთმანეთს და გამარჯვება ორივეჯერ ჩინგიზ-ხანს დარჩა. ბოლოს ონ-ხანის ყველა მომხრე და მთელი ოჯახი ცოლებისა და ქალიშვილების ჩათვლით, ტყვედ ჩაკვიდნენ და თვითონაც ნოკლეს⁴⁷.

ამ ორი ვრცელი ამონაწერის შედარება გვაფიქრებინებს, რომ უამთააღმწერელს ჯუვეინის თხზულებასთან ერთად შეიძლება რაღაც სხვა წყაროც გამოეყენებინა. ეს შემდეგიდან ჩანს: ჯუვეინი, როგორც ვნახეთ, არ იხანეებს ონ-ხანის ძმისა და ვაჟიშვილის სახელებს, უამთააღმწერელს კი იანინი, მართალია, არასწორად, მაგრამ მაინც დასახელებული ჰყავს⁴⁸. ჯუვეინი აღნიშნავს, ჩინგიზ-ხანმა რომ ონ-ხანის ლაღატს ამბავი გაიგო, აჰყარა კარვები და დაიძრა თავის

⁴⁵ როგორც ჩანს, ჯუვეინისაც სხვადასხვა წყაროების მიხედვით აქვს მოთხრობილი ეს ამბავი.

⁴⁶ აქ ვტოვებთ ჯუვეინის მოთხრობას იმის შესახებ, თუ როგორ დააჩილდოვა და განაღდა ჩინგიზ-ხანმა ბალჯუნესთან მომხდარი ბრძოლის მონაწილენი, განსაკუთრებით, ქიშლიქი და ბადე (ჯუვეინი, I, გვ. 27—28). ეს ცნობები საინტერესოა საკუთრივ მონღოლთა ისტორიის, კერძოდ, თარხნობის ინსტიტუტის შესასწავლად, შდრ. Рашид-Эддин, Сборник летописей. — ТВО, VII, с. 221—222; ТВО, XIII, с. 211—212; Рашид-ад-Дин, Сборник летописей, т. I, I, с. 171; т. I, 2, с. 124; იხ: აგრეთვე, С. М. Шапшал, К вопросу о тарханых ярлыках.—Сборник статей к 75-летию В. А. Гордлевского, М., 1953.

⁴⁷ ჯუვეინი, I, გვ. 26—28.

⁴⁸ რაშიდ აღ-დინის ცნობით, ონ-ხანს ორი ძმა ჰყოლია: ერქე-ყარა და ჯაქამ-ბუ, მის შეილებს კი სანგუნი და იყუ ერქვათ (Рашид-Эддин, Сборник летописей.—ТВО, XIII, с. 174—176), მონღოლური ქრონიკის მიხედვით ონ-ხანის ძმებს ერქვათ ჯახაქამბუ და ერქე-ხარა, შვილი კი მას ერთი ჰყავდა—სანგუმი (Юан чао бн ши, с. 102, 122, 126). ამგვარად, ძნელი სათქმელია, საიდან, აილო უამთააღმწერელმა „უთქინ“ და „ქოლაქ“. შესაძლებელია მას ერთმანეთში აერია ონ-ხანისა და ჩინგიზ-ხანის ძმების სახელები. როგორც ცნობილია, ჩინგიზ-ხანის უმცროს ძმას ოჩიგინი (او تحکين—რაშიდ აღ-დინთან) ერქვა, მაგრამ ეს სახელი ჯუვეინის სწორედ „უთქინ“ (او تحکين) ფორმით აქვს მოტანილი.

ხალხთან ერთად. შემდეგ კი მოგვითხრობს, როგორ დაესხა თავს ონ-ხანი მის დაცარიელებულ ბანაკს⁴⁹. ეპითაღმწერლის მოთხრობა ამ შემთხვევაში უფრო თანმიმდევრული და გასაგებია. მისი ცნობით, ჩინგიზ-ხანი „მივიდა სახლსა შინა თუსსა და ხარგთა, აჰყარა დედაწული და იარა ერთი დღე და ერთი ღამე. და მერმე დაჰყარა დედაწული და ბარგი და ხემატაგი“⁵⁰. ამ ორ აღწერილობაში არის კიდევ ზოგიერთი სხვა განსხვავება, რაც, როგორც აღვნიშნეთ, გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ეპითაღმწერელს აქ სხვა რომელიმე წყაროც ჰქონდეს გამოყენებული. ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ გამორიცხავს იმას, რომ ძირითად წყაროდ ქართველ ავტორს მაინც ჯუვეინის თხზულება ჰქონია. ამას ადასტურებს თუნდაც ის გარემოება, რომ სხვა წყაროები არაფერს ამბობენ ბალჯუნესთან მომხდარი ბრძოლის შესახებ⁵¹, ჯუვეინისა და ეპითაღმწერელს კი ორივეს აქვთ აღწერილი ეს ბრძოლა. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ეპითაღმწერლის მიერ მოხსენიებული სახელები ონ-ხანის ორი ახალგაზრდა შახუჩისა, რომელთაც აცნობეს ჩინგიზ-ხანს მოსალოდნელი თავდასხმის ამბავი. ეპითაღმწერლის მიხედვით ერთ მათგანს ერქვა ქოლაქ, მეორეს ბად. რაშიდ ად-დინის თხზულებაში მათი სახელებია — ყიშლიყ (قشلق) და ბადაი (بداي)⁵², მონღოლურ ქრონიკაში — ქიშლიხ და ბადაი⁵³. ჯუვეინის თხზულებაში ეს სახელები კსკ და აას ფორმით არის მოტანილი. „ქვეყნის დამპყრობის ისტორიის“ სპარსული ტექსტის გამომცემელი მ. ყაზვინი პირველი სახელის შესახებ შენიშნავს, შესაძლებელია, თავდაპირველი ფორმა كسك (ქისლიქ) იყო, გადამწერის უყურადღებობის შედეგად კი კსკ შივიღეთო⁵⁴. ამგვარად, ქართველ ავტორს სწორედ აქ შეეძლო ამოკითხა ამ ფორმით ეს სახელი და მისი თხზულების სხვადასხვა ნუსხებში დაცული ვარიანტებიც (ქლექ, ქალექ, ქლქ) შესაძლებელი წაკითხვებია კსკ-ისა.

⁴⁹ ჯ. ბოილიე შენიშნავს, შემდეგი თხრობიდან არა ჩანს, რომ კარვებიც თან წაეღოთ (The History of the World-Conqueror, I, p. 37, n. 8).

⁵⁰ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 161.

⁵¹ შდრ. ჯ. ბოილის შენიშვნა (The History of the World-Conqueror, I, p. 27, n. 11).

⁵² Рашид-Эддин, Сборник летописей. — ТВО, VIII, с. 133, 221—222; ТВО, XIII, с. 211—212.

⁵³ Юанчаобиши, с. 129.

⁵⁴ ჯუვეინი, I, გვ. 27, შენ. 1.

გორ-ხანის დამარცხებისა და მისი ლაშქრის დაშორჩილების შემდეგ⁵⁵ ჩინგიზ-ხანი „უილურთა ზედა წარემართა, რამეთუ უილურნი კელმწიფესა მათსა ედუთობით უქმობდეს. ხოლო მან ეამსა სარჩუყ ვინმე იყო ემურთა უილურთა“, — წერს ეამთაალმწერელი⁵⁶.

ჭუვეინის ამავე ამბის შესახებ ასეთი ცნობა მოეპოვება: „უილური თურქები თავიანთ ამირს იდი-ყუთს უწოდებენ, რაც სახელმწიფოს მბრძანებელს ნიშნავს. იმ დროს ბარჩუყი იყო იდი-ყუთად⁵⁷“. აქ მსგავსება ქართული და სპარსული ტექსტებისა იმდენად აშკარაა, რომ კომენტარს აღარ საჭიროებს.

უილურთა შესახებ ეამთაალმწერელს აღნიშნული აქვს, რომ მათი „გუარიაა საქენი განსაკრვებელ არიან ვითა ზღაპარნი, და არიანცა ზღაპარ და ცუდ, ამისთვის უჭერო აზა აწ თქანა⁵⁸“. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „თუ თვით უილურული ენა არა, უილურთა შესახები ისტორიული გადმოცემაც, როგორც ჩანს, ავტორს შესწავლილი ჰქონია“⁵⁹. მასვე აღნიშნული აქვს, რომ ეამთაალმწერელს „უილურთა გვარისა“ საქმეების აღწერა ხელთა ჰქონია⁶⁰.

ათა მალიქ ჭუვეინის უილურთა ამბები თავისი საისტორიო ნაწარმოების პირველი ტომის სამ თავში აქვს აღწერილი. ერთ-ერთი თავი⁶¹ იწყება იმ სიტყვებით, ზემოთ რომ გვქონდა მოყვანილი. შემდეგ თავში⁶² გრძელდება მონღოლთა მიერ უილურთა ქვეყნის დაპყრობის თხრობა, ხოლო მომდევნო თავში გადმოცემულია იდი-ყუთისა და უილურთა ქვეყნის წარმოშობის ამბები მათივე საკუთარი წარმოდგენის მიხედვით⁶³. აქ ჭუვეინი ეოგვიითხრობს, რომ როცა მათს ამბავს აღწერდა, აღნუსხა ზოგი რამ, რაც მათსავე წიგნებში ჰწერია მათი რჯულისა და სარწმუნოების შესახებ. მაგრამ იქვე დასძენს, იმიტომ კი არ დამიწერია ეს ამბები, რომ სარწმუნო და დასაჭერებელია⁶⁴. შემდეგ ჭუვეინის მოთხრობილი აქვს ნამ-

⁵⁵ გურ-ხანი ყარა-ხითაის მბრძანებელთა წოდებულება იყო. აქ შეიძლება იგულისხმებოდეს ონ-ხანის ბიძა, რომელსაც აგრეთვე გურ-ხანი ერქვა.

⁵⁶ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 161.

⁵⁷ ჭუვეინი, I, გვ. 32.

⁵⁸ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 162.

⁵⁹ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 259.

⁶⁰ იქვე, გვ. 261.

⁶¹ ჭუვეინი, I, გვ. 32—34.

⁶² იქვე, გვ. 34—39.

⁶³ იქვე, გვ. 39—45.

⁶⁴ იქვე, გვ. 39.

დვილად ზღაპრული ამბები უიღურთა პირველი მბრძანებლის ბუყუხანის წარმოშობის თაობაზე⁶⁵, მაგრამ მათი აქ მოტანა, ვფიქრობთ, მართლაც „უჭერო არს“.

ამგვარად, უიღურთა საზღაპრო ამბები ჯუვეინიმ მათსავე საკუთარ წიგნებში ამოიკითხა, არ მიიჩნია საარწმუნოდ, მაგრამ მაინც შეიტანა თავის საისტორიო ნაწარმოებში. უამთაღმწერელი ჯუვეინის თხზულების საშუალებით გაეცნო უიღურთა გვარის განსაკვირებელ საქმეებს და საჭიროდ არ სცნო მათი გამეორება⁶⁶.

„და ვითარ მოიწყო თათართა ზედა, გამოჩნდა კაცი ვინმე საკრველი, რომელსა თებთუნ გუარობით უქმობდეს. ესე მივიდა ყაენს წინაშე, ეტყოდა ვითარმედ: „მე მას მთასა, რომელსა უწოდენ ბალიყ, წარვალ, ღმრთისა სიტყუა მესმის. ამას ბრძანებს ღმერთი: ყოველი ქუეყანა თემურჩის და მისთა ლაშქართათუს მიმიცემია, და სახელადცა ჩინგიზ-ყაენი ერქუეს“ (უამთაღმწერელი⁶⁷).

„ამ დროს გამოჩნდა კაცი ერთი. სანდო მონღოლთაგან მამენია, რომ დიდ სიცივეში, რომელიც იმ მხარეში იცოდა, რამდენიმედღე შიშველი დაიარებოდა უდაბნოსა და მთაზე, უკან ბრუნდებოდა და ამბობდა: „ღმერთი მესაუბრა და მითხრა, მთელი ქვეყანა თემურჩინისა და მისი შვილებისათვის მიმიცია, და სახელად ჩინგიზხანი უწოდა. უთხარი მას, როგორ იბრძანებლოს სავართლიანად“. იმ კაცს თებ-თენგრი⁶⁸ ერქვა სახელად. ის რაჟაყ იტყოდა, [ჩინგიზხანი] ზუსტად აჩულებდა. ამგვარად, ისიც გაძლიერდა“ (ჯუვეინი)⁶⁹.

⁶⁵ ჯუვეინი, გვ. 39—47.

⁶⁶ უამთაღმწერლის თხზულებაში შეტანილია ზოგიერთი სხვა არანაკლებ ზღაპრული ამბავი (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 202—203, 236, 271), რამაც საფუძველი მისცა ივ. ჯავახიშვილს აღენიშნა, რომ „უამთაღმწერლის აზროვნებისათვის ეს ბავშვური გულუბრყვილობა და ცრუმორწმუნეობა მეტად დამახასიათებელია... ჩვენი უამთაღმწერლის ზემოაღნიშნული გულუბრყვილობა ნათლად გვიჩვენებს, რამდენად დაქვეითდა მონღოლთა ბატონობის დროს ქართველთა გონებრივი ცხოვრება და აზროვნება“ (ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა გვ. 251), ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო საფუძველიანი უნდა იყოს ივ. ჯავახიშვილის მიერ ექვის სახით გამოთქმული მოსაზრება, — მერმინდელი ვადამწერის მიერ ხომ არ არის ეს ადგილები ჩამატებული (იქვე, გვ. 261).

⁶⁷ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 162.

⁶⁸ ჯუვეინის, რაშიდ ად-დინს და სხვა სპარსულენოვან გვიანდელ ავტორებსაც

تنگری უწერიათ, მაგრამ მონღოლურ ქრონიკაშია „თებ-თენგრი“. როგორც ჩანს, ქართველ ავტორსაც სწორად ჰქონია ეს სახელი მოხსენიებული.

⁶⁹ ჯუვეინი, I, გვ. 28—29.

მოტანილი ტექსტების შედარება გვიჩვენებს, რომ ჟამთააღმწერელს თითქმის სიტყვასიტყვით უთარგმნია ჯუვეინის თხზულების ეს ნაწილები. ყურადღებას იპყრობს მხოლოდ ის გარემოება, რომ ქართველ ავტორს მთის სახელიც (ბალიყ⁷⁰) აქვს დასახელებული. სპარსული ტექსტის საფუძველზე შეიძლება გასწორდეს ჟამთააღმწერლის თხზულების დამახინჩებული და გაუგებარი ადგილი: „რომელსა თებთუნ გუარობით უქმობდეს“. უნდა იყოს — „რომელსა თებ-თენგრობით უქმობდეს“⁷¹.

ქართველ ავტორს ცნობა მოეპოვება აგრეთვე ჩინგიზ-ხანის ცოლებისა და შვილების შესახებაც. იგი მოგვითხრობს: „აწ ვაკუნოთ შვილთათჳსცა ჩინგიზ-ყაენისათა მცირედ რამე. ხოლო ამა ჩინგიზ-ყაენსა ცოლნიცა მრავალნი ესხნეს და შვილნიცა. და უზუცესის ცოლის სევენჩისაგან⁷² ესუა შვილი, რომელსა ერქუა თუბი, რომელსა ქართველნი ჯოჩიდ უწოდდეს; მეორე ჩალათა, მესამე ოქროფა, მეოთხე თული“⁷³.

ჯუვეინის თხზულებაში ვკითხულობთ: „ჩინგიზ-ხანის ვაჟი-შვილთა შესახებ⁷⁴. ჩინგიზ-ხანს ცოლებსა და მხევლებთან ბევრი ვაჟი და ქალი ჰყავდა. მისი უფროსი ცოლი იესუნჯინ ბიქი იყო. მონღოლური წესის მიხედვით ერთი მამის შვილთა გავლენა მათი დედების მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ვისი დედაც უფროსია, ამის შესაბამისად შეილსაც მეტი პატივი და უპირატესობა აქვს. ამ ცოლთან [ჩინგიზ-ხანს] ოთხი ვაჟი ჰყავდა“⁷⁵. შემდეგ ჯუვეინი ჩამოთვლის ჩინგიზ-ხანის ოთხი უფროსი ვაჟის სახელებს: თუში (توشی), ჩალათაი (چالطای), ოქოთაი (او کتای) და თული (تولی), და დაწერილებით აღნიშნავს, რომელ მათგანს რა საქმე ჰქონდა. დავალებული მამისაგან⁷⁶.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სხვა წყაროების მიხედვით

⁷⁰ ბალიყ (baliq, baligh) თურქულად ქალაქს ნიშნავს.

⁷¹ თებ-თენგრი წოდებულება იყო მონღოლი შამანისა, რომელსაც სახელად ქოქეჩუ (کو کچو) ერქვა. თებ-თენგრის ეტიმოლოგიის შესახებ იხ. В. Я. Владимирцов, Упоминание Теб-тенгри в монгольской письменности. — ДАН, 1924, с. 116—117.

⁷² სევენჩებისაგან (MTM).

⁷³ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 163.

⁷⁴ როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ჟამთააღმწერელს სპარსულიდან უთარგმნია თვით სათაურიც ამ აღწერილობისა.

⁷⁵ ჯუვეინი, I, გვ. 29.

⁷⁶ იქვე.

(მონღოლური ქრონიკა, რაშიდ ად-დინი) ჩინგიზ-ხანის უფროს ცოლს ბურთე ფუჯინი ერქვა, ჯუჯეინი კი იესუნჯინს ასახელებს. მ. ყაზვინი ფიქრობს, იქნებ, ბურთე ფუჯინი მისი სახელი იყო, თუნიჯინი კი წოდებულბაო („იესუნჯინ“ მონღოლურად ლამაზ ქალს ნიშნავს)⁷⁷. ჯ. ბიოლის ვარაუდით, შესაძლებელია, ჯუჯეინის ერთმანეთში აერია ჩინგიზ-ხანისა და ჰულაგუ-ხანის ცოლების სახელები⁷⁸. ასეა თუ ისე, აშკარაა, რომ იესუნჯინი ჩინგიზ-ხანის უფროს ცოლად ჯუჯეინის ჰყავს შეცდომით მოხსენიებული და ქართველ ავტორს ნხოლოდ აქ შეეძლო ამოეკითხა ეს ცნობა. რაც შეეხება სევირაქიუსევირაქებ ფორმას, იგი სრულიად ადვილად შეიძლება გადაიხედოს არაბული დამწერლობით შესრულებული უცნობი სახელის (سوجين) წაკითხვისას.

ქამთალმწერელი გვატყობინებს და სხვა წყაროებითაც ცნობილია, რომ ჩინგიზ-ხანის უფროს ვაჟს ჯოჩი ან ჯუჩი ერქვა სახელად. ჯუჯეინის მიერ ნახმარი „თუში“ თურქული ფორმაა ამ სახელისა. ქამთალმწერლის „თუბი“ კი სწორედ თუშისაგან უნდა იყოს მიღებული ნუახური დამწერლობის შ-სა და ბ-ს არევის შედეგად⁷⁹.

ქამთალმწერელს ვრცელი ცნობები მოეპოვება ჩინგიზ-ხანის მიერ თავისი ვაჟებისათვის სამფლობელოთა განაწილების შესახებაც⁸⁰.

⁷⁷ ჯუჯეინი, I, გვ. 29, შენ. 3.

⁷⁸ The History of the World-Conqueror, I, p. 40, n. 1; შტრ. რაშიდ ად-დინი, სადაც მოხსენიებულია ჰულაგუს ერთ-ერთი ცოლი აისუნჯინი—سوجين (Рашид-ад-Дин, Джамн-ат-таварих, т. III, Составитель научно-критического текста на персидском языке А. А. Али-заде, перевод с персидского языка А. К. Арендса, Баку, 1957, სპარს. ტექსტი, გვ. 8, რუსული თარგმ., გვ. 16).

⁷⁹ სამისო მაგალითები სხვაე გვხვდება ქამთალმწერლის თხზულების ნუსხებში. მაგ., ბუხარა—შუხრი, აბალა—აშალა (Mm). როგორც ჩანს, ქამთალმწერელს თავიდან სწორად ჰქონია ეს სახელები ნუსხურად დაწერილი, მაგრამ გადამწერმა უცნობი სახელების ამოკითხვისას ერთმანეთში აურია მსგავსი ასოები.

⁸⁰ ჩინგიზ-ხანის მიერ შეიღებს შორის ქვეყნების დანაწილებას რომ ეხებოდა, ჯუჩის კუთვნილი ქვეყნების ჩამოთვლის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი ე. ბარტოლდის ნაშრომის დამოწმებით აღნიშნავდა, რომ „ჩინგიზის დანარჩენი შვილების ხვედრის შესახებ ჩინურსა და სპარსულ წყაროებში პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1949, გვ. 83). მაგრამ ე. ბარტოლდი მხოლოდ შენიშნავს, ცნობები არ მოგვეპოვება იმის შესახებ, თუ როდის იქნაო გამოყოფილი ჩინგიზ-ხანის ორი მომდევნო ვაჟიშვილი—ჩალა-

აღწერილი აქვს ეს ამბები ჯუვეინისა⁸¹. ამ შემთხვევაში ძნელია იმის მტკიცება, სარგებლობდა თუ არა ეპითაღმწერელი ამჭერადაც ჯუვეინის თხზულებით, რადგან მას ზოგიერთი ისეთი ქვეყანაც აქვს დასახელებული, რომლებიც „ქვეყნის დამპყრობის ისტორიაში“ არ გვხვდება⁸², მაგრამ ამ ცნობათა შედარების საფუძველზე მაინც ხერხდება ქართულ ტექსტში დამახინჯებული ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის გასწორება.

ჯუვეინი მოგვითხრობს, რომ რაკი ჩინგიზ-ხანის მბრძანებლობის დროს სახელმწიფოს საზღვრები ძალიან გაიზარდა, მან ყველას განუსაზღვრა საცხოვრებელი ადგილი, რომელსაც იურთს უწოდებენ. უფროს ვაჟს თუშის უბოძა ქვეყანა ყაიალიყიდან და ხორეზმიდან ვიღრე საყსინისა და ბულღარის უშორეს კიდემდე და იმავე მიპართულებით იქამდე, საცა კი თათართა ცხენს ფეხი დაუდგამს⁸³. ჩალათაის მისცა ულუსი უილურთა ქვეყნიდან სამარყანდსა და ბუხარამდე, მისი სადგომი ადგილი კი ყუიასში⁸⁴ იყო, აღმა-

თაი და უგედი (В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, II, СПб., 1900, с. 421—422). შემდეგ ვ. ბარტოლდს მოტანილი აქვს ჯუვეინის ცნობა უგედის კუთვნილი ქვეყნების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ჯუვეინის ეს ცნობა ივ. ჯავახიშვილსაც აქვს იქვე დამოწმებული ვ. ბარტოლდის ნაშრომიდან.

⁸¹ ჯუვეინი I, გვ. 31. ჩინგიზ-ხანის შვილებს შორის ქვეყნების განაწილების შესახებ მოგვითხრობენ აგრეთვე XIV-სი ავტორები ვასაფი და მოჰამედ შებანგარაი. ვასაფი, როგორც ჩანს, „ქვეყნის დამპყრობის ისტორიით“ სარგებლობდა, ამიტომ მისი ცნობები თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა ჯუვეინისას (В. Тизенгаузен, Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, II, М. — Л., 1941, с. 80—81). მოჰამედ შებანგარაის „მაჰმა აღ-ანსაბ“ მცირე მოცულობის მსოფლიო ისტორიაა, რომლის მეორე რედაქციის შედგენა ავტორმა 1337 წ. დაამთავრა. ამ თხზულების ავტოგრაფი დაცულა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში (თხზულებისა და მისი ხელნაწერების შესახებ იხ. А. М. Мухинов, Исторический труд Мухаммеда Шибангарая. — УЗ ИВАН, IX, 1954). მონღოლთა ისტორიის თხრობისას შებანგარაი ხშირად იძულებს ჯუვეინის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩინგიზ-ხანის ვაჟების კუთვნილ სამფლობელოთა შესახებ იგი რამდენადმე განსხვავებულ ცნობებს იძლევა (ხელნაწ. С 372, ფ. 214r—214v).

⁸² შტრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, III, გვ. 83—84.

⁸³ ეპითაღმწერლის ცნობით, ჯუჩის ჩინგიზ-ხანმა „მისცა ლაშქრისა ნახევარი და წარავლინა დიდსა საყიჩაყეთსა ზედა, ოკსეთს, ხაზარეთს და რუსეთს, ვიღრე ბნელეთამდე“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 163; იხ. აგრეთვე გვ. 181).

⁸⁴ გამოცემულ ტექსტებსა და ხელნაწერ ნუსხებშია — قانسა და قوناس — მაგრამ ქ. ბოილის აზრით, უნდა იყოს ყუიასი (The History of the World-Conqueror, I, p. 29, n. 11).

ლივის მახლობლად⁸⁵. სატახტო ქალაქი უგედღისა, რომელიც ტახტის მემკვიდრე იყო, მამამისის დროს მისი იურთი იყო ეველისა (إبيل) და ყობაყის ქვეყნებში. როცა უგედღი ყაენის ტახტზე დაჯდა, სადგომი გადაიტანა თავიანთ სამკვიდრო ქვეყანაში, რომელიც ჩინეთსა და უილურთა ქვეყანას შორის მდებარეობს⁸⁶. თულიც მისი მომიჯნავე და მეზობელი იყო⁸⁷.

ავგვარად, ჩალათაის სამფლობელოს ჩამოთვლაში ქართულ ტექსტში — „ვიდრე აღმუთის ქვეყანამდე“ აუცილებლად უნდა გასწორდეს შემდგენარად: „ვიდრე აღმალიყის⁸⁸ ქვეყანამდე“ (ჯერ ერთი, აღამუთი ციხეა და არა ქვეყანა; მეორეც, ეს ციხე ირანშია, ყაზვინის ჩრდილოეთით⁸⁹, ირანი კი, როგორც ცნობილია, ჩანკიზ-ხანის არც ერთ ვაჟიშვილს არ რეგებია⁹⁰).

⁸⁵ „მეორესა შვილსა ჩალათას მისცა ლაშქარი და უილურთა ქვეყანა სამარყანამდე და ბუხარა ვიდრე აღმუთის ქვეყანამდე“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 161).

⁸⁶ „მესამესა შვილსა ოქოთას მისცა თვთ მისი ტახტი საქდომად და ყარაყურუმი, ჩინ-მაჩინი, ეველისა და ყუთაყისა ქვეყანა და ხატაეთი“ (იქვე).

⁸⁷ თულის მამამისმა, ქართველი ისტორიკოსის ცნობით, „მისცა ლაშქარი და ოქოთას ზედამოკიდებით ქვეყანა აღმოსავლეთით“ (იქვე).

⁸⁸ უნდა აღინიშნოს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქციის ნუსხებში ეს სახელი სწორად არის დაცული: აღმალიყი (M), აღამალაყი (m), აღმ-ყი (T).

⁸⁹ The Geographical Part of the Nuzhat-al-Qulub composed by Hamdallah Mustawfi of Qazwin. Ed. by G. Le Strange (GMS, XXIII, 1), Leyden-London, 1915. სპარს, ტექსტი, გვ. 61; В. В. Бартольд, Историко-географический обзор Ирана, СПб., 1902, с. 139.

⁹⁰ ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია შებანგარაის ცნობები. იგი მოგვითხრობს, რომ ჩინკიზ-ხანმა უფროს შვილს თუშის (ჯუჩის) უბოძა ყიჩაყთა, ალანთა, რუსთა და ბოლღარის ქვეყნები და მთელი ის მხარე საქართველოს, ევროპის (فرنگ), თბილისისა და აზერბაიჯანის საზღვრებამდე (ხელნაწ. С 372, ფ. 214r). თულიცის, კი, რომელიც თითქოს სხვა დედის, ონ-ხანის ასულის, შვილი იყო, და ამის გამო მამას სხვა ვაჟებზე მეტად უყვარდა (იქვე, ფ. 213v), შებანგარაის სიტყვით, ჩანკიზ-ხანს მიუცია დასავლეთის ქვეყნები ანუ ირანი მდინარე ამუ-დარიდან შამისა და მისრის (სირიისა და ეგვიპტის) საზღვრამდე და ხალიფას აღვლასმყოფელიც (იქვე, ფ. 214v). ცნობილია, რომ როცა მანგუ ყაენმა თავისი ძმა ჰულაგუ დასავლეთის ქვეყნების დასაპყრობად გამოგზავნა, მან ბრძანა, ჩინკიზ ყაენის მთელი ლაშქრიდან, რომელიც მის ვაჟებს, ძმებსა და ძმისშვილებს შორის განაწილდა, ყოველ ათ კაცზე ორი გამოეყოთ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად. ავგვარად, ირანის დასაპყრობად წამოსულ ლაშქარში ყველა ულუსის წარმომადგენლები იყვნენ (ჯუეინი, III, გვ. 90—92; Пашид-ад-Дин, Джамхи ат-таварих, III, სპარს. ტექსტი, გვ. 22, რუს. თარგმ., გვ. 21; იხ. აგრეთვე, რ. კიქნაძე, ილხანთა ირანი XIII ს-ის მეორე ნახევარში. — ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, გვ. 178). ამის გამო ჭუჩისა და ჩალათაის შთამომავლები ხშირად აცხადებ-

უგედის კუთვნილ ქვეყნებში ყუთაყის ნაცვლად უნდა იყოს ყუბაყი (ყობაყი)⁹¹.

ჯუვეინის ჯებესა და სუბუდაის ლაშქრობის შესახებაც მოეპოვება ვრცელი მოთხრობა⁹². მართალია, იგი არაფერს ამბობს მათი საქართველოში შემოჭრისა და ქართველთა ლაშქრის დამარცხების შესახებ, მაგრამ საინტერესოა, რომ სპარსულ წყაროშიც ჯებე ნონის სახელი იმავე ფორმით არის ნახმარი, როგორც უამთაღმწერელთან. იამა (ياما) მონღოლური ჯებეს თურქული ფორმა⁹³, ხოლო სალპიანი ან სანპაიანი არის დამახინჯებული სუბუდაი⁹⁴ (سبتاي — ჯუვეინისთან, سواداي რაშიდ ად-დინთან).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ უამთაღმწერლის სიტყვით, ჩინგიზ-ხანმა „წარმოაგვლინა ორი თავადნი ზემოქსენებულნი, იაჰა და სალპიანი“⁹⁵. მაგრამ ამ საისტორიო თხზულების დღეისათვის ცნობილ ტექსტში ეს ორი მონღოლი სარდალი ზემოთ არსად არის მოხსენიებული. რომ ავტორს მართლაც არ ჰყოლოდა ისინი ნახსენები, არა გვგონია, ასე დაეწერა. ჩვენი ავტორი საერთოდ

დნენ პრეტენზიებს ილხანთა სამფლობელოებზე. განსაკუთრებით ცხარე ბრძოლა წარმოებდა ილხანებსა და ოქროს ურდოს მბრძანებლებს შორის (იხ. А. А. Алхазадзе, Борьба Золотой Орды и государства ильханов за Азербайджан.— ССИА, I, с. 55—94). როგორც ჩანს, შებანგარაის სურდა ისტორიულადაც „დაეკანონებინა“ ილხანთა უფლება ირანსა და მეზობელ ქვეყნებზე, ამიტომ ჯუჩის მკაცრად შემოუფარგლა სამფლობელო (საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრამდე), თულის კი (ჰულაგუს მამას) ისეთი ქვეყნები არგუნა, რომლებიც მას არა სოდეს სჭერია და მხოლოდ ჰულაგუ-ხანის დროს იქნა შემომტკიცებული.

⁹¹ ნაბეჰ-ტექსტებშიا قانق — იმ ხელნაწერებში, რომლებიც მ. ყაზვინის კქონია ხელთ, გვხვდება: قاق، قاق، قاق. ამგვარად, საესებით დასაშვებია. რომ უამთაღმწერლის მიერ გამოყენებულ ნუსხაში „ყუთაყი“ (قوتاق) ყოფილიყო. სწორია ყუბაყი ან ყობაყი (В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, II, с. 422; The History of the World-Conqueror, I, p. 43, n. 14).

⁹² ჯუვეინი, I, გვ. 112—116.

⁹³ The History of the World-Conqueror, I, p. 142, n. 1. ამავე ფორმას ხმარობენ ნესაივი და ჯუზჯანი. სხვა ისტორიკოსებს (მათ შორის რაშიდ ად-დინსაც) აქვთ ჯებე (جبه).

⁹⁴ შდრ. ქართლის ცხოვრება, II, საკუთარ სახელთა საძიებელი, გვ. 683 (სება); ი. ცინცაძე, მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები, პირთა საძიებელი, გვ. 199(იამა), გვ. 201 (სალპიანი, სუბუდაი).

⁹⁵ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 164.

დაკვირვებული ადამიანია. თავის თხზულებაში იგი არაერთხელ გვიხსენებს ამა თუ იმ ავტორის შესახებ საუბრის დროს — „ვითარცა ქვემოთ სიტყვამან ცხად ყოს“-ო, და თითქმის ყოველთვის ასრულებს დაპირებას. ამიტომ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჟამთააღმწერლის თხზულებას მართო შესავალი და წინა ნაწილი კი არ უნდა აკლდეს, როგორც ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა⁹⁶, არამედ თვითონ ტექსტშიც ზოგიერთი ადგილი აშკარად ნაკლულია.

ჟამთააღმწერლისა და ჯუვეინის თხზულებებში მოიპოვება სხვა რამდენადმე მსგავსი ადგილებიც (უიღურთა დამწერლობის, მონღოლთა საკვების, ჩინგიზ-ხანის მიერ შედგენილი კანონების — „იასას“ — შესახებ და სხვ.), მაგრამ მათზე აღარ შეეჩერდებით.

ამგვარად, ამ ორი საისტორიო ნაწარმოების სათანადო ადგილების შედარებით დასტურდება იმ ცნობების სანდოობა, რასაც ქართველი ავტორი მონღოლთა შესახებ გვატყობინებს. გარდა ამისა, ჯუვეინის თხზულების დახმარებით შეაძლებელი ხდება ჟამთააღმწერლის მიერ არასწორად ამოკითხული თუ გადამწერთა მიერ დამაზინებელი ზოგიერთი აღმოსავლური სიტყვის (პირთა და გეოგრაფიული სახელები, წოდებულებანი) გასწორება. მაგალითად:

| | | |
|--------------|---|-----------------|
| ქოლაქ | — | ქისლიქ (ქიშლიქ) |
| ბად | — | ბადე (ბადაი) |
| ბლაჯუნი | — | ბალჯუნე |
| ელუთ | — | ილი-ყუთ |
| სარჩუყ | — | ბარჩუყ |
| თებთუნ გუარი | — | თებ-თენგრი |
| სეინჯი | — | იესუნჯინ |
| თუბის | — | თუში |
| ალმუთი | — | ალმალიყი |
| ყუთაყი | — | ყუბაყი და სხვ. |

ქართული და სპარსული ტექსტების შედარებამ გვიჩვენა, რომ ჩინგიზ-ხანის პერიოდის მონღოლთა ისტორიის აღწერის დროს ჟამთააღმწერელს ძირითად წყაროდ ჰქონია ათა მალიქ ჯუვეინის „ქვეყნის დამპყრობის ისტორია“. მაგრამ ამავე დროს ქართველი ისტორიკოსის ცნობებში ჩანს კიდევ სხვა რომელიღაც, ჭერჯერობით

⁹⁶ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 249.

უცნობი წყაროს კვალად, რომელშიც ზოგ შემთხვევაში ჯუვეინის თხზულებაზე უფრო ვრცელი და დაწვრილებითი ცნობები ყოფილა შემონახული. ამას გარდა, როგორც ბ. ვლადიმირცოვი აღნიშნავდა, ქართველ ავტორს ზოგი რამ მონღოლთა შესახებ შეეძლო ზეპირი გზით გაეგო იმ პირთაგან, ვინც კარგად იცნობდა ამ ხალხს და მათი ენაც იცოდა⁹⁷.

დასასრულს, კიდევ ერთ საკითხს გვინდა შევეხოთ. ორი დავითის გამეფების ამბავს რომ აღწერს, ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს: „ხოლო მოწვეულ არს ესე სიტყვა, რომელ სხვა ვინმე ყოველთააღმწერელი იტყუს, ვითარმედ: „ყარაყურუმს ყოფასა ორთავე მეფეთასა, გუ[გუ]ქ ყაენმან ესრეთ გაბჰო, რომე მეფობა ლაშას ძესა დაუმტეიკონ და ესრეთ წარმოავლინა, და რუსუდანიასა ძე დავით მაშინვე ლტოლვილი ღამით განიპარა და წარვიდა აფხაზეთს, და მე არა შევიწყნარებ ამას“⁹⁸.

ჯუვეინის ვრცლად აქვს აღწერილი გუიუქ ყაენის ტახტზე ასვლის ამბები და საამისოდ მოწვეულ ყურულთაიზე ლაშასწრე პირთა შორის ასახელებს ორივე დავითს საქართველოდან (از گرجستان) (هراد و اوداو)⁹⁹ შენდღე იგი ნოვეითხრობს ახალი ყაენის მიერ სხვადასხვა ქვეყნების დასაპყრობად ლაშქრის გაგზავნის შესახებ და აღნიშნავს, ილჩივთაი დიდი ლაშქრით დასაველეთისკენ გაგზავნა და დაეალა, იქაურობის დაპყრობა ისპაილიტთა ციხეებით დაეწყო. თუმცა მთელი ის ლაშქარი და დაპყრობილი ხალხები ილჩივთაის დაუმორჩილა, განსაკუთრებით რუმის, საქართველოს, ჰალაბის, მოსულის და დიარბექრის¹⁰⁰ საქმეები ჩააბარა, რათა სხვა არავინ ჩარეოდა და იმ ადგილების სულთნები და პაქიმები მის წინაშე ყო-

⁹⁷ Б. Я. Владимирцов, Анонимный грузинский историк XIV века о монгольском языке, გვ. 1495—1496. ი. ცინცაძეც შენიშნავს, რომ მონღოლების გარეგნობა ჟამთააღმწერელს პირადად ნახვის შემდეგ უნდა ჰქონდეს აღწერილი და არა წერილობითი წყაროების საფუძველზე (ი. ცინცაძე, მონღოლები, და მონღოლთა დაპყრობები, გვ. 38).

⁹⁸ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 226.

⁹⁹ ჯუვეინი, I, გვ. 205.

¹⁰⁰ ჯ. ბოლი ფიქრობს, რომ ნაცვლად დიარბექრისა (ديار بكر), რომელიც ნაბეჰდ ტექსტებშია, უნდა იყოს ერთ-ერთ ხელნაწერში ნახსენები „თავაკორ“ (تاکور). ამ სიტყვას, რომელიც სომხურად მეფეს ნიშნავს, ჯუვეინი შეცდომით ქვეყნის—მცირე არმენიის—აღსანიშნავად ხმარობს (The History of the World-Conqueror, I, p. 250, n. 6; p. 257, n. 29).

ფილიყენენ იქაურ გადასახადებზე პასუხისმგებელი. ჩინეთის ვაჭრებლად მან მაჰმუდ იალავაჩი დანიშნა, მავერანნაჰრისა და თურქესტანის — მაჰმუდ-ბეგი, ხოლო ერაყი, აზერბაიჯანი, შირვანი, ლური, ქერმანი, ფარსი და ინდოეთის მხარე არღუნ ამირს ჩააბარა¹⁰¹. ყველა ამირსა და მალიქს, რომლებიც ზემოხსენებულ პირთ (ე. ი. ილჩიგთაის, იალავაჩს, მასუდ-ბეგსა და არღუნს) ემორჩილებოდნენ, იარლიყი და ფაიზა უბოძა და მნიშვნელოვანი საქმე ჩააბარა. რუჰის სასულთნოს მბრძანებლად სულთან იროქან ად-დინი¹⁰² დანიშნა, რაკი ის სამსახურად ეხსლა, მისი უფროსი ძმა კი გადააყენა¹⁰³. დედოფლის შვილი დავითი მეორე დავითის ბრძანებას დაუმორჩილა¹⁰⁴. ამასვე იმეორებს რაშიდ ად-დინი¹⁰⁵, რომლის თხრობა ამ შედეგებში სიტყვისიტყვით მისდევს ჯუვეინისას. ივ. ჯავახიშვილს ვერცლად აქვს განხილული ქამთააღმწერლისა და სპარსულ ისტორიკოსთა ცნობები ულუ დავითისა და დავით ნარინის გამეფების შესახებ და უპირატესობას სპარსულ წყაროებს ანიჭებს¹⁰⁶. იგი ეხება ყოველთააღმწერლის თხზულების საკითხსაც და წერს: „თვით ქამთააღმწერლის სიტყვებითგანაც ჩანს, რომ მასზე უწინარეს უკვე ყოფილა საზოგადო ხასიათის საისტორიო თხზულება, თავის თვისებების გამო, ალბათ, სხვადასხვა წყაროებზე დამყარებული კომპილაცია, რომელშიაც ეს ხანა და ამბები

¹⁰¹ რაშიდ ად-დინი აქ საქართველოსაც ახსენებს (Djami el-tévarikh. Histoire générale du monde par Fadl Allah Rashid ed-din. Ed. par E. Blochet, t. II, GMS, XVIII, Leyden—London, 1911, p. 246; Рашид-ад-Дян, Сборник летописей. II, Перевод с персидского Ю. П. Верховского, М.—Л., 1960, с. 120). ეს გაუგებრობით უნდა იყოს გამოწვეული, რადგან, როგორც ზემოთ ვნახეთ, საქართველო გუიუქ ყაენმა ილჩიგთაის დაუმორჩილა (ასეთივე ცნობა მოეპოვება რაშიდ ად-დინსაც).

¹⁰² როქან ად-დინ ყილიჩ არსლან IV (1257—1267).

¹⁰³ იგულისხმება იბ ად-დინ ქეიქაუს II (1245—1257). როქან ად-დინ ყილიჩ არსლანი დამოუკიდებელი გამგებელი ვახდა მხოლოდ თავის ძმის იბ ად-დინის სიყვდილის შემდეგ, მანამდე კი ისინი ერთად განაგებდნენ ქვეყანას (С. Лан-Пуль, Мусульманские династии, СПб., 1899, с. 128).

¹⁰⁴ ჯუვეინი, I, გვ. 212: داود پسر قیز ملک را محکوم حکم داود دیگر کرد.

¹⁰⁵ Djami el-tévarikh par Fadl Allah Rashid ed-din. Ed. par E. Blochet, p. 247.

¹⁰⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 127—137, განსაჯ. გვ. 133—136.

თურმე უკვე აღწერილი იყო¹⁰⁷. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ამ ისტორიკოსს, „ვითარცა ყოველთა მომთხრობელს. სხვადასხვა წყაროები უნდა ჰქონოდა და ეს ცნობებიც, ალბათ, იქითგანვე უნდა მომდინარეობდეს“¹⁰⁸. ივ. ჯავახიშვილი იხილავს აგრეთვე ამ ყოველთააღმწერლის სადაურობის საკითხს და, რადგან იმ დროისათვის სომეხი ისტორიკოსის ვარდანის „მსოფლიო ისტორიის“ გარდა სხვა ასეთი ტიპის ნაწარმოები არ ეგულება (ვარდანს კი მსგავსი ცნობები არ მოეპოვება), ყოველთააღმწერელს ქართულ ავტორად მიიჩნევს¹⁰⁹.

ივ. ჯავახიშვილს მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ მის მიერვე გამოყენებული თხზულება რაშიდ ად-დინისა სწორედ მსოფლიო ისტორიის ტიპის ნაწარმოებია და სხვადასხვა წყაროების საფუძველზე არის დაწერილი¹¹⁰, ხოლო მისი ავტორი მართლაც რომ ყოველთააღმწერელია.

ამიტომ, ყამთააღმწერლის სიტყვები — „სხუა ვინმე ყოველთააღმწერელი იტყვს“ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ჩვენს ავტორს მხედველობაში აქვს არა მის მიერ ფართოდ გამოყენებული თხზულება ჭუვეინისა, არამედ სხვა წყარო, მსოფლიო ისტორიის ტიპის ნაწარმოები ვიღაც სხვა ყოველთააღმწერელისა. ასეთი საისტორიო თხზულება არის რაშიდ ად-დინის „ისტორიათა კრებული“, რომელშიც, ისევე როგორც ჭუვეინის „ქვეყნის დამპყრობის ისტო-

¹⁰⁷ იქვე, გვ. 134.

¹⁰⁸ იქვე.

¹⁰⁹ იქვე.

¹¹⁰ ცნობილია, რომ რაშიდ ად-დინს შეუქმნია მთელი „კომისია“, რომელიც „ისტორიათა კრებულის“ შედგენაზე მუშაობდა. მის თანამშრომელთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მისი ორი მდივანი — ცნობილი ისტორიკოსი აზდალამ ქაშანი და აჰმედ ბუხარი. ამას გარდა, რაშიდ ად-დინს დამხმარებელად ჰყოლია მონღოლთა ისტორიისა და თქმულებების საუკეთესო მცოდნე, ჩინეთიდან ჩამოსული ფულად ჩინსანგი და თვითონ ილხანი ყაზანი. სხვა ქვეყნების ისტორიის წერის დროს რაშიდ ად-დინს ეხმარებოდნენ ორი ჩინელი მეცნიერი და ერთი ბუღისტი ბერი. არსებობს მოსაზრება, რომ კათოლიკე მისიონერსაც უნდა მიეღო მონაწილეობა მისთვის წყაროებისა თუ ცნობების მიწოდებაში (В. Бартольд, E. Blochet. Introduction à l'histoire des Mongols de Fadl Allah Rashid ed-Din (рецензия), с. 91, 94; В. В. Бартольд, История изучения Востока в Европе и России, Л., 1925, с. 60; В. В. Бартольд, Иран, Ташкент, 1926, с. 75—76; И. П. Петрушевский, Рашид-ад-Дин и его исторический труд, с. 25—26; И. П. Петрушевский, Земледелие и аграрные отношения в Иране XIII—XIV вв., Л., 1960, с. 15).

რიაშიც“, მართლაც მოიპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ გუიუჭი ყენმა დავით რუსუდანის ძე დავით ლაშას ძის ბრძანებას დაუმორჩილა.

რა თქმა უნდა, ეს ერთი მაგალითი არ კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ ქართველი ისტორიკოსი მართლაც სარგებლობდა რაშიდ ად-დინის თხზულებით, მაგრამ საამისო სხვა საბუთებიც არსებობს. ამგვარად, „სხუა ვინმე ყოველთაადმწერელის“ სახით ქართველმწერელი შესაძლებელია ასახელებდეს თავის მეორე სპარსულ წყაროსაც. — რაშიდ ად-დინის „ისტორიათა კრებულს“.

ПЕРСИДСКИЕ ИСТОЧНИКИ ГРУЗИНСКОГО АНОНИМНОГО ИСТОРИКА XIV ВЕКА

ДЖУВЕЙНИ

Р е з ю м е

Сочинение грузинского анонимного историка XIV века занимает видное место среди источников по истории монгольской эпохи. Оно содержит ценнейшие сведения по истории не только Грузии, но и сопредельных стран (Армении, Азербайджана, Ирана), а также и монголов. К сожалению, сочинение грузинского автора еще недостаточно использовано специалистами-востоковедами как источник по истории стран Востока. Между тем, грузинский анонимный историк сообщает ряд таких подробностей по истории монголов, а также созданного ими на территории Ирана государства ильханов, которые не встречаются в других источниках.

В грузинской историографии отмечено, что аноним XIV века был широко образованным человеком и при составлении своего сочинения пользовался различными источниками, в том числе и иностранными. И. А. Джавахишвили установил также, что наш автор владел персидским языком, однако вопрос об использовании им персидских источников не был поставлен. Между тем, сообщаемые грузинским автором некоторые сведения по истории восточных народов заставляют думать, что наряду с другими источниками он должен был использовать и сочинения персоязычных историков.

Один из своих персидских источников автор довольно определенно называет сам. Рассказывая о взятии войском сына Чингиз-хана Тули города Нишапура, он сообщает, что эти сведения заимствованы из сочинения брата великого сахиб дивана ходжи Шамс ад-Дина. Сахиб диван Шамс ад-Дин Мухаммад Джувейни, как известно, был первым вазиром ильханов Хулагу-хана (1256—1265) и Абака-хана (1265—1282). Его брат, известный историк Ала ад-Дин Ата Малик Джувейни также состоял на государственной службе ильханов и управлял Арабским Ираком. Перу Ата Малика Джувейни принадлежит замечательное творение персидской историографии монгольской эпохи «История миропокорителя» («Тарих-и джахан гушай»). К составлению своего трехтомного исторического сочинения Джувейни приступил в 1252 или 1253 году во время своего пребывания в столице монгольской империи Каракоруме и закончил в 1260 году.

Сопоставление грузинского и персидского текстов показывает, что свои сведения о монголах периода Чингиз-хана грузинский анонимный автор в основном черпал из сочинения Джувейни, однако некоторые расхождения в сообщениях Джувейни и грузинского автора заставляют предполагать, что этот последний пользовался также и другим каким-то источником. Кроме того, как отмечено Б. Я. Владимирцовым, ряд сведений он получил устным путем от людей владевших монгольским языком.

Изучение данного персидского источника грузинского анонимного историка подтверждает достоверность сообщаемых им о монголах сведений и позволяет исправить ряд искаженных мест его сочинения.

В частности, в статье предложено правильное чтение, упоминаемых анонимным автором некоторых восточных собственных имен, географических названий и титулов, неправильно вычитанных им в сочинении Джувейни, или искаженных переписчиками (напр., Колак—Кислик (Кишлик), Бад—Бадэ (Бадай), Бладжуни—Балджунэ, Эдуг—Иди-кут, Сарчук—Барчук, Тебтун гуари—Теб-тенгри, Севинджи—Иесунджики, Тубис—Туши, Алмут—Алмалык, Кутак—Кубак и др.).

კიდევ ერთი ქართული წყარო ლაშა გიორგის ისტორიისათვის*

XIII ს-ის პირველი მეოთხედი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდია ჩვენი ქვეყნის ისტორიისა. ეს ის ხანაა, როცა ეკონომიკური და კულტურული განვითარების ზენიტში მყოფმა საქართველომ მთელს იმდროინდელ მახლობელ აღმოსავლეთში უძლიერესი სახელმწიფოს სახელი ნიობოვა. მაგრამ ამავე ხანაში მისი დაქვეითების მათუწყებელი მოვლენებიც ნათლად გამოჩნდა. ამ დროს საქართველო ფეოდალური განვითარების კრიზისს განიცდიდა, „ქვეყანას შინაგანი სიმტკიცე აკლდა და ეს აშკარად იჩენდა თავს მის პოლიტიკურსა თუ სამხედრო წესწყობილებაში“¹. ამას თან დაერთო ისიც, რომ მსოფლიო ისტორიის სარბიელზე მონღოლთა გამოჩენის შედეგად მკვეთრად შეცვლილმა საგარეო-პოლიტიკურმა ვითარებამ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებებით გაღალბებული ქვეყანა საკუთარი საზღვრების დაცვის აუცილებლობის წინაშე დააყენა.

ასეთ რთულ საშინაო და საგარეო პირობებში მოუხდა ახალგაზრდა ლაშა გიორგის (გიორგი IV-ს) სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა. ამიტომაც იყო, რომ მისი ზოგიერთი მარცხი თუ პირადი ნაკლი განსაკუთრებით რელიეფურად გამოჩნდა თამარის ბრწყინვალე ეპოქის ფონზე. ამითვე შეიძლება აიხსნას ის გარემოებაც, რომ „ლაშა-გიორგის პიროვნების გამო და გარშემო, როგორც ირკვევა, დიდი მითქმა-მოთქმა და აზრთა სხვადასხვაობა ყოფილა“², რაც ისტორიოგრაფიაშიც სათანადოდ აისახა.

* პირველად დაიბეჭდა 1966 წელს („საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 93—104, რუსული რეზიუმე, გვ. 299—301).

¹ ნ. ბერძენიშვილი და სხვ., საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, I, თბ., 1958, გვ. 218.

² ივ. ჭავჭავაძის შრომა, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1949, გვ. 21.

ლაშა გიორგის მეფობის შესახებ საყურადღებო ცნობები მოიპოვება ქართულ, სომხურ, არაბულ, სპარსულ, ევროპულ წყაროებში. შეცდარებით უფრო ვრცლად არის მოთხრობილი ლაშას ამბები ქართულ ძეგლებში — ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანისა და ჟამთააღმწერლის (XIV ს.) თხზულებებში. ამავე დროს ეს ორი საისტორიო ნაწარმოები ლაშა გიორგის ისტორიის ორ სხვადასხვა რედაქციასაც წარმოადგენს³. კერძოდ, გარდა ფაქტობრივი განსხვავებისა⁴, ეს ორი წყარო არსებითად გიორგი IV-ის პიროვნებისა და მოღვაწეობის ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებას იძლევა. XIII ს-ის ავტორი, მეფის თანამედროვე, აღფრთოვანებულია ლაშა გიორგით და მას დავით აღმაშენებელს ადარებს⁵, ჟამთააღმწერელი კი, მართალია, აღიარებს ლაშას ზოგიერთ დადებით თვისებას⁶, მაგრამ საბოლოოდ მაინც უარყოფითად ახასიათებს⁷ და მზად არის, ყველა იმ უბედურების მიზეზადაც გამოაცხადოს, რაც მომდევნო ხანაში დაატყდა საქართველოს⁸.

გიორგი IV-ის პიროვნების შეფასებაში არსებულ სხვადასხვაობასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „მისი მეფუ-

³ კ. კეკელიძეს ლაშა გიორგის ისტორიის შესახებ რედაქციად მიაჩნდა „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქცია და მასზე დამოკიდებული ისტორია ვახუშტისა. ამასთან ერთად, მკვლევარი შენიშნავდა, ამ შესახებ რედაქციას დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს (კ. კეკელიძე, ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისათვის. პერიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956, გვ. 288).

⁴ ეს განსხვავებანი აღნუსხული აქვს კ. კეკელიძეს (იქვე, გვ. 289).

⁵ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955, გვ. 370. იხ. აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1949, გვ. 21—22; კ. კეკელიძე, ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისათვის, გვ. 289; დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII—XIV სს.), თბ., 1962, გვ. 113.

⁶ „იყო ტანითა ძლიერი, მკნედ მოისარი...“ (ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 151); „თუთ გოლიათი მკლავითა სკანითა და კელითა გოლიათითა“ (იქვე, გვ. 153); „იყო ყოველთა მეფეთა უმეტეს უხვ და არვისთვის მოწურნე, მლოცველ, მმარბველ, და განმკითხველ და მოწყალე...“ (იქვე, გვ. 154); „იყო ესე ლაშა-გიორგი მკნე, ახოვანი, ძლიერი...“ (იქვე, გვ. 156).

⁷ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 151, 154—157. იხ., აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22 შმდ.; კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 289; დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 113—114.

⁸ „ამისთვის აღმოაცენდეს მიზეზნი, ცოდვითა სმარავლითა, საქართველოსა მოკრებისანი, რომელი ქუეშორე სიტყუამან ცხად ყოს“ (ქართლის ცხოვრება II, გვ. 157).

რი და ადამიანური ქცევა სხვადასხვანაირად ყოფილა განსჯილი და დაფასებული როგორც თანამედროვეთა მიერ, ისევე მომდევნო თაობათა განმავლობაში და მთელი XIII ს. სიგრძეზე ქართული საზოგადოებრივი აზრი ორ ბანაკად გაყოფილი ჩანს და ლაშა-გიორგის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის ბრძოლა არ დამცხრალა... ანაიტომ ლაშა-გიორგის პიროვნების შესახებ პირუთენელი, დამწვიდებული, მიუდგომელი მსჯელობა არც მომდევნო თაობათა წარმომადგენლებს შეეძლოთ: ყოველი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე თუ ისტორიკოსი უნებლიედ ან მომხრეთა, ან მოწინააღმდეგეთა დასში იქნებოდა. ეს მედასეობა ქართველ ეპოქა-ალმწერლის წყაროსაც ემჩნევა⁹. კ. კეკელიძის აზრით, ეპოქაალმწერლისეულ დახასიათებაში უფრო მისი მორალიზატორული ტენდენციისა და მისტიურ-ასკეტური სულისკვეთების გამოვლინება უნდა დავინახოთ, ვიდრე რეალური სინამდვილის ანარეკლი¹⁰.

მომდევნო ხანის ქართულ ისტორიოგრაფიას უკრიტიკოდ არ გაუზიარებია ლაშა გიორგის პიროვნების გამკილავი დახასიათება და იყო ცდები მის მიმართ წამოყენებულ ბრალდებათა გაბათილებისა.

კ. კეკელიძემ ყურადღება მიაქცია იოანე ბაგრატიონის „ისტორია ქართლისაში“ ლაშა გიორგის შესახებ დაცულ ცნობებს¹¹. ეს თხზულება ძირითადად ვახუშტის ისტორიის მიხედვით არის დაწერილი, მაგრამ, ამასთან ერთად, ავტორს გამოუყენებია მრავალი სხვა ქართული თუ უცხოური წყარო და მათი მონაცემებით შეუესია თხრობა¹². საგულისხმოა, რომ იოანემ მიაკვლია იმ წყაროსაც, რომელიც თითქოს გამხდარა საფუძველი ლაშა გიორგის განმაქიქებელი დახასიათებისა. ამავე დროს მის თხზულებაში გაბათილებულია ის ბრალდებანი, რომლებსაც ქართველ მეფეს უყენებდნენ ეპოქაალმწერელი და ვახუშტი¹³.

წინამდებარე წერილში ჩვენ შევეხებით კიდევ ერთ ქართულ წყაროს, რომელიც აგრეთვე ეხმაურება ლაშა გიორგის პიროვნების შეფასების საკამათო საკითხს.

⁹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

¹⁰ კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 289.

¹¹ „ისტორია ქართლისა“ მოთავსებულია იოანე ბაგრატიონის „კალმასობაში“ როგორც მისი ორგანული ნაწილი და, მკვლევრის აზრით, 1825—1828 წლებში უნდა იყოს შედგენილი.

¹² კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 287—288.

¹³ იქვე, გვ. 292; დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, გვ. 122.

მხედველობაში გვაქვს XVII ს-ის ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულება, რომელშიც გიორგი IV-ის რეაბილიტაციის თავისებური, ორიგინალური ცდა არის მოცემული.

ფარსადან გორგიჯანიძის ნაწარმოები, როგორც ცნობილია, შეიცავს ძირითადად საქართველოს ისტორიის თხრობას ქართლში ქრისტიანობის გავრცელებიდან XVII საუკუნის მიწურულამდე. ივ. ჯავახიშვილმა ეს თხზულება მისი ავტორის მიერ გამოყენებული წყაროების მიხედვით პირობითად ოთხ ნაწილად გაჰყო და თითოეული ნაწილის შეფასება-დახასიათებაც მოგვცა. პირველ ნაწილად მან მიიჩნია თხრობა თამარის გამეფებამდე. მკვლევრის აზრით, „ეს ნაწილი განსაკუთრებით ზეპირსა და „გაგონილს“ ამბებზეა დამყარებული და ამის გამო მას ზღაპრული ხასიათი აქვს“¹⁴. მეორე ნაწილი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით არის შედგენილი. იგი თამარის გამეფებით იწყება და XIV ს-ის დამდეგამდე გრძელდება. ივ. ჯავახიშვილის შეფასებით, „ამ მეორე ნაწილსაც ისტორიისათვის არავითარი მნიშვნელობა არცა ჰქონია და არცა აქვს, რადგან თვით მისი წყაროს დედანმა, საუცხოო ღირსებისამ, ჩვენამდის მოაღწია“¹⁵. მესამე ნაწილი თხზულებისა მოიცავს XIV—XVII სს-ის ისტორიას და ძირითადად სპარსულ წყაროებს ემყარება. „რაკი ფარსადან გორგიჯანიძეს თავისი თხზულების მესამე ნაწილსათვის ასეთი საუცხოო წყაროები ჰქონია დედნად“¹⁶, რასაკვირველია, ამ ნაწილს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, განსაკუთრებით მაშინ და ახლაც კი მნიშვნელობა არ დაუკარგავს“¹⁷. უკანასკნელ, მეოთხე ნაწილს შეადგენს 1636—1696 წლების ამბების თხრობა. ფარსადანი თანადამხედველი და თვითმხილველია აღწერილი ამბებისა და თხზულების ამ ნაწილსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება XVII ს-ის საქართველოს ისტორიის შესასწავლად¹⁸.

სამწუხაროდ, ჩვენს ისტორიოგრაფიაში იმთავითვე დამკვიდრდა ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულების ძველი ნაწილის მიმართ; მკვლევარნი იმ-

¹⁴ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 291.

¹⁵ იქვე, გვ. 292.

¹⁶ ივ. ჯავახიშვილს მხედველობაში აქვს შარაფ ად-დინ ალი იეზიდისა და ისქანდერ მუნშის თხზულებები.

¹⁷ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 298.

¹⁸ იქვე, გვ. 288, 298.

ვითად, მხოლოდ ზოგიერთი კერძო საკითხის გასარკვევად მიმართავდნენ ამ ნაწილს, რის გამოც იგი არათუ სათანადოდ შესწავლილი, არამედ საერთოდ გამოცემულიც კი არ არის დღემდე¹⁹.

საისტორიო წყაროს მიმართ ასეთი სექტიკური დამოკიდებულება, ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, თხზულების ტექსტისა და მისი ავტორის მიერ გამოყენებული წყაროების სრული შეუსწავლლობით უნდა აიხსნას. მართალია, როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნა ივ. ჯავახიშვილმა, ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების ძველ ნაწილში ბევრი უხეში შეცდომაა დაშვებული, მაგრამ მათი უდიდესი ნაწილი თვით იმ წყაროთაგან მომდინარეობს, რომლებიც ხელთ ჰქონია ავტორს თხზულების შედგენის დროს²⁰. ამიტომ, ჩვენი აზრით, აუცილებელია იმ პრინციპების თავისებურებათა გათვალისწინება, რომლებითაც სარგებლობდა ფარსადანი თავისი საისტორიო ნაწარმოების წერის დროს, მის მიერ გამოყენებულ წყაროთა გამოვლენა და დაშვებული შეცდომების სათავის მოძებნა. ასეთი მუშაობის შემდეგ, ვფიქრობთ, შეიცვლება დამოკიდებულება ფ. გორგიჯანიძის ნაწარმოების ძველი ნაწილის მიმართ.

როგორც აღვნიშნეთ, ფარსადანის თხზულების ე. წ. მეორე ნაწილი „ქართლის ცხოვრების“ ან, ზუსტად, „ისტორიათა და აზმათა“ და ჟამთააღმწერლის ცნობებს ემყარება. ლაშა გიორგის მეფობის აპბები გ. გორგიჯანიძეს ძირითადად თითქოს ჟამთააღმწერლის თხზულების ნიხედვით გაუმართავს, მაგრამ ზოგი ადგილი გამოუტოვებია, ზოგი განუვრცია, ხოლო ზოგიც განსხვავებულად აქვს მოთხრობილი. განსაკუთრებით საყურადღებო კი მაინც ის არის, რომ ფარსადან გორგიჯანიძე არ ეთანხმება ჟამთააღმწერელს ლაშა გიორგის პიროვნების შეფასებაში.

¹⁹ ე. წ. მესამე ნაწილი ფ. გორგიჯანიძის თხზულებისა 1854 წელს გამოაქვეყნა დ. ჩუბინაშვილმა (ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთცხრაშეტე საუკუნემდლის, ნაწ. II, სპბ., 1854, გვ. 517—569), ხოლო მესამე და მეოთხე ნაწილები ერთად დაბეჭდა ს. კაკაბაძემ („საისტორიო მოამბე“, II, ტფ., 1924). გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ სრული ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ვ. ფუთუჩიძემ და ამ სტრუქტურების ავტორმა.

²⁰ ჩვენ არ ვიზიარებთ შეხედულებას თითქოს ფ. გორგიჯანიძის თხზულების ე. წ. პირველი ნაწილი ზეპირადმოცემებსა და ზღაპრებს ემყარებოდეს. ამ ნაწილის დასაწერად ავტორს გამოყენებული უნდა ჰქონდეს სომხური, სპარსული და ქართული წყაროები, ვარდა ერთი შემთხვევისა, როცა თვითონვე აღნიშნავს — „წიგნი არ მინახავს“ (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H 2492, ფ. 11 v).

„აქა სიკეთით ქებული თამარ მეფის შვილი გიორგი²¹ დედას უკან მეფედ აკურთხეს ქართველთა“, — ასე დაასათაურა ფარსადანმა თხრობა ლაშა გიორგის გამეფების შესახებ. აქ ვკითხულობთ:

„ლთით გამდიდრებულმან²², ქვეყანათა ზედან სიკეთითა დ[ა] სამართლით საკვლავანთქმულმან, მტერთა მძლემან და არვისგან ძლეულმან, დედა[თა] შიგან მეფეთ კურთხეულმან, მრავალჯერ სახელაანათ ომგამარჯვებულმან²³, მადლობქმელობით ქალწულთა²⁴ ზიარმან, დავით-სოლომონიანთ მეფეთა მეფემან თამარ“ თავის სიცოცხლეშივე მეფედ აკურთხებიანა ცამეტი წლის გიორგი და „ასწავლიდა დედა შვილსა კარგად სწემწიფოსა ზნე-საქციელსა“ (ფ. 33v). თამარი რომ გარდაიცვალა, გიორგი თვრამეტე წლისა იყო; „მოუდგნენ ქართველნი და ერთგულათ ემსახურებოდნენ და მორჩილობდნენ და ისიც კარგად ეპყრობ[ი]და და არვის არა შეუშალა, არცა მამული და არცა საკვლო, და სხვაჲ მრავალი წყალობა შეუმატა დედის მოცემულს ზედა, დაიპყრა საკემწიფო დედ-მამისა მისისა“ (ფ. 33v).

როგორც ვხედავთ, ფარსადანს ჟამთააღმწერელთან შედარებით უფრო ვრცლად აქვს მოთხრობილი ლაშა გიორგის ტახტზე ასვლის ამბავი, თუმცა არსებითი განსხვავება მათ შორის არ შეიძინევა. სამაგიეროდ, ლაშას პიროვნების დახასიათებისას ფარსადანი პირდაპირ ეწინააღმდეგება ჟამთააღმწერელს და ლაშა გიორგის დროინდელი მემკვიდრის მსგავსად²⁵, ისიც ქებით მოიხსენიებს მეფეს: „იყო გიორგი მეფე ტანად ახოვანი, კელძრიელი და შენე კეთილათ, კარგ ცხენოზან, კარგ ცეროსან, ნადირობაში ფიცხელი, კარგად მკვლელი, თავდაბალი, ლალი და მლთისაგა[ნ] მოშიშარი, სამართლიანი, უხვი და უშურველი, კვიანი და სიტყვაპარჯვე, მობეზღართ მძულველი და ყურის არმივადები“ (ფ. 33v).

ჟამთააღმწერელს აღნიშნული აქვს, ლაშა გიორგი იმიტომაც იყო გათავაზებული, რომ დედამისმა დანშვიდებული სამეფო დაუტოვა, მეზობლები მისი მოხარკენი იყვნენ და ძღვენსა და ხარაჯას მოართმევდნენ²⁶. ფარსადანი ამ შემთხვევაშიც რამდენადმე განს-

²¹ ხელნაწერში: შვილის გიორგის (H 2140, ფ. 33r).

²² ფარსადანი „გამდიდრებულს“ — განდიდებულს, ხოლო „გამდიდრებას“ — განდიდების მნიშვნელობით ხმარობს.

²³ ამ სიტყვის შემდეგ მეორდება „მტერთა მძლემან და არვისგან ძლეულმან“ (H 2140, ფ. 33r).

²⁴ ხელნაწერში: ქალწულმან (იქვე).

²⁵ ამით იმის თქმა არა გესურს, რომ ფარსადანი სარგებლობს ამ ნაწარმოებთ-სამისო კვალი არსად შეინიშნება მის თხზულებაში.

²⁶ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 151.

ხვევებულ ვერსიას გეთავაზობს და აქაც წარმოაჩენს ლაშას დამსახურებას: „ვითაც დედამ და[ა]წყნარა ქვეყანა და მეზობლნი დაიმორჩილა და ხარაჯა და წლის თავს ბეგარა აიღო, შვილმანც ისრე ქმნა. არ[ა]ზ[ს] აქეთი აზრუმამდისინ და ამ ზღვით იმ ზღვამდისინ ზძღვნიდენ და ბეგარას მოსცემდენ“ (იქვე).

ორივე ისტორიკოსი დაახლოებით ერთნაირად გადმოგვცემს განჯის განდგომისა და ხარკის გადახდაზე უარის შემოთვლის ამბავს, რასაც გიორგი IV-ის მეფობის პირველ წლებში ჰქონია ადგილი.

ჟამთააღმწერელი

ფ. გორგიჯანიძე

მაშინ იწყეს განძით განდგომა და არღარა მოსცეს მეფესა ხარკი. ხოლო ამისმან მცნობელმან მეფემან ლაშა მოუწოდა ყოველთა სპათა საქართველოსათა, იმერთა და ამერთა, მკარგძელს ივანეს... (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 152).

ამ დროს განჯის ქალაქს შიგან მყოფთა ურჩობა დაიწყეს და ხარაჯა აღარ მოსცეს. ამანვე გიორგი მეფემ იხმო მკარგძელი ივანე ათაბაგი და შემოიყარა ლაშქარი იმერისა და ამერისა. (H 2140, ფ. 33 v).

სამაგიეროდ, ფარსადანს ვრცლად აქვს მოტანილი მეფის სიტყვა, რომლითაც მას ივანე ათაბაგისათვის მიუმართავს²⁷. მოგვყავს ამ სიტყვის ტექსტი მთლიანად:

„ბაგარტანთ მეფე[ე]ბს არვის ჰყოლებია მამობილიო, რომე თურქნი ათაბაგობით იხმობენო. ვითაც შენ მრავალი ვალდებულობა და სამს[ა]ხური დასდევო დედასა და მამას ჩვენსაო, რომ არას დროს არ გაგონილოო სხვათა საქართველოს მეფე[ე]ბის ყმათავანო²⁸ ძველით აქნობამდისინო, რომ ერანი, არაყი და ხორასანი დაერბიოსო თქვენის მეტსაო, რომ თქვენ დაარბიეთო და ლაშქარი უზიანოთ გამარჯვებული მოასხიო და მრავალი აქლე[მე]ბი[ს] და ჯორების ყაზრებითაო ოქრო-ვერცხლი და ძვირფასის თვალ-მარგალიტნი[ე] აკიდებულნი მოიტანეთო და ჭერეც კელუხლებათ აწყვითა ჩვენს სალაროშიგანო. ამ სამს[ა]ხურის სამუქაფთოთო მრავალს სიკეთესსა და სიმდიდრეს ღირსნი იყვინითო და, ვითაც ერანის საყემფითოს შიგან ათაბეგობის უდიდესი სახელო არ იქნებისო, დედამან ჩემქმან თამარ მეფემანც ამისთვის მოგცა ათაბაგობაო, რომ ყველას უდიდესი იყვენო. და ახლა ნამეტნავად ჯართ ათაბაგი და მამო[ბ]ის ადგილს მისაჩენელი ჩენნი. და ახლა განჯელთ ჯარაჯა არ მოუტია და ათაბაგი ერანისა დიდის ლაშქრითა შროქველებია განჯელთა. და აწუ მე მინდა მათხედ ვალაშქრება, შურის მოგება სიახლობის ურჩობისათვის, ამისთვის რომე, თუ ამათ არ გარდავახდევინოთ, შორეულნი გაიგონებენ და ისინიც აღარ მოგვეცემენო“ (ფ. 33v—34r).

²⁷ ჟამთააღმწერლის მიხედვით, ლაშა გიორგის საგანგებოდ ათაბაგისთვის არ მიუმართავს სიტყვით. „მაშინ თქუა მეფემან, ვითარმედ“, — აღნიშნავს იგი (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 152).

²⁸ ხელნაწერში: ყმათავანო რომ.

ივანე ათაბაგმა დაუმოწმა მეფეს განჯელთა განდგომის ამბავი და აცნობა, — „იმათი ათაბაგი“ თორმეტი ათასი მეომრით მოსულა განჯაში და ის არ აძლევინებს ხარკს, თორემ განჯელების ბრალი არ არისო. მან მოუწონა გიორგის განჯელთა დასასჯელად ლაშქრობის მოწყობა და დასძინა: „ვითაც ამას წინათ თავი საწამებლათ დამედვა მეფეთა გზაზედანო, ახლა უფრო ნამეტნავად მართებულია თქვენს გზაზედ თავისა და სულის გარდაგებაო“ (ფ. 34r).

როგორც ვხედავთ, ფარსადანს საინტერესო, განსხვავებულ დეტალებით შეუვსია თავისი თხრობა. მეფესა და ათაბაგს შორის სრული თანხმობა და ურთიერთგაგება სუფევს. ლაშა დიდი მოწინააღმდეგეობით მიმართავს ივანეს და მამობილსაც უწოდებს მას. საყურადღებოა აგრეთვე „ერანის ათაბაგის“²⁹ თორმეტი ათასი კაცით განჯაში მოსვლისა და განჯელების განსადგომად წაქეზების ამბავი.

ცალკე თავად აქვს გამოყოფილი ფარსადანს განჯის დასამორჩილებლად ქართველთა ლაშქრობის აღწერა („აქა უწინ ვალაშქრება მეფის ვიორგისა განჯასზედა“). იგი მოგვითხრობს, რომ საქართველოს ჯარი თბილისში შეგროვდა, „შემოფიცეს მეფეს გიორგისა და ასრე მოახსენეს: მორჩილნი ვართ ბრძანებისა თქვენისაო და მლთისა შეწევნით ვანანიებთ ურჩსა თქვენსაო“ (ფ. 34r—34v). ჟამთააღმწერლისგან განსხვავებით, ფარსადანის ცნობით, ქართველებს თითქოს ბარდავამდე მიუღწევიათ. „გაუძახეს ლაშქარნი და ბარდა და ქვეყანანი არანისა მოარბიევს, და მოიღეს ტყვენი და ნაშოვარნი მრავალნი“. განჯის გარემოცვის, ლაშა გიორგის მიერ ქალაქის „გარშემოვლის“ და განჯელებთან ბრძოლის ამბავი დაახლოებით ერთნაირად აქვთ აღწერილი ჟამთააღმწერელსა და ფარსადანს. სამაგიეროდ ამ უკანასკნელმა ლაშას სასარგებლოდ შეცვალა ამ ეპიზოდის ფინალი. ჟამთააღმწერლის ცნობით, განჯელთა ათიათასიანი ლაშქრის დამარცხების მიუხედავად, „დიდებულნი მებრძოლნი და ლაშქარნი“ უკმაყოფილო იყვნენ მეფის თვითნებობით და „დაამტკიცებდეს არლარა ყოფად მოლაშქრედ და არცა ყოფად კარსა მეფისასა“, რის გამოც გიორგი იძულებული შეიქნა ცხენიდან ჩამომხდარიყო და „უმეცრებით ქმნულისათჳს“ შენდობა ეთხოვა³⁰. ფარსადან გორგიჯანიძეს კი საერთოდ

²⁹ ივლისხმება აზერბაიჯანის ილდეგიზანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი უზბეგი (1210—1225).

³⁰ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 154.

არაფერი აქვს თქმული ქართველ დიდებულთა უკმაყოფილებაზე და, ამგვარად, მეფეს ცხენიდან ჩამოხდომა და ბოდის მოხდაც აღარ სჭირდება. „მეფე იქნა მლთისაგან დაცულ-დაფარული თვით და მასთან მეომარნი თავადნი და აზნაურნი ომნაცადნი; გარდმოხდეს კარგებსა თავისასა, მოისვენეს და საკმელი მოითხოვეს“ (ფ. 35r).

უამთაღწერლის მიხედვით, ამის შემდეგ განჩელებმა შეატყვეს, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარა ჰქონდა, კვლავინდებურად „ხარკის გაჩენა“ იკისრეს და საქართველოს ლაშქარიც თბილისს დაბრუნდა³¹.

ფარსადან გორგიჯანიძე ამ შემთხვევაშიც მეტად მნიშვნელოვანი მონაცემებით ავსებს XIV ს-ის ავტორის ცნობებს. კერძოდ, მისი თხრობიდან ირკვევა, რომ მონღოლები არცთუ მთლად მოულოდნელად შემოსევიან საქართველოს, რომ ქვეყნის შესვეურთ აღრევე მიუღიათ ცნობა აღმოსავლეთიდან დაძრული დამპყრობელი ურდოების შესახებ. ფარსადანთან ვკითხულობთ:

„ამ დროს გამოგზავნა განჯის ათაბაგმან კაცი ჰკვიანი, დღითაც უფროსი, და შემოუთვალა მეფესა გიორგის: ანბაუი მოგვივიდაო ხვარაზმდამენო, რომე დაძრულა ჩინეთიდანო ლაშქარი ჩანგიზ-ხანისაო, ელი და ულუსიო ბევრჯელ ბევრი ათასიო, თათარი და თურქიო [ქ]ა ელმუხიო. ასი ათასი ზორასანს ზედანო გამოუძახებიაო, ცოლ-შვილით მოდიანო, და ასი ათასი დარუბანდს ზედანო, ამათაც ცოლ-შვილი თან ახლავთო. და ეს ამისი ნიშანი არისო, რომ სადგომათ მოდიანო. და ჩვენ თქვენი მეძღენე მეზობელნი ვართო, და სხვიენით მოჩანს დიდი გაქირვებაო, ჩვენ გემართებსო ამას იქით ერთმანერთის მოხმარებაო და ზურგის მობმაო. კმარაო ამდენი რბევა და სიკვდილი და აოჯრებაო. რაც ძღვენი და ბეგარა გვდებიაო, ისრევე მოგართმევთო და თქვენს საბატონოზედ წაბრძანდითო. მეფემანც იხმნო ივანე ათაბაგი და სხვანი დიდებულნი და შექნეს რჩევა, და მოიწონეს ნათქვამნი განჯის მოციქელისა და შეფჯერდენ სიტყვასა მათსა. და მოიღეს ძღვენი მეფისათვის ცალკე და მეფეთა და ერისთებთა და თავადთათვის ცალკე-ცალკე და აიყარნენ განჯით, გამარჯვებულნი მივიდნენ ქაღს“ (ფ. 35r).

მონღოლთა ურდოების დასავლეთისაკენ გამოლაშქრების ამ მეტად საინტერესო ცნობის მიმართ უნდა შევნიშნოთ, რომ იგი აშკარად ანაქრონიზმად მოჩანს. რადგან მონღოლები მხოლოდ 1218 წელს დაიძრნენ შუა აზიისკენ. საფიქრებელია, რომ გორგიჯანიძემ რომელიღაც სხვა წყაროდან ამოღებული ცნობა არასწორად დაუკავშირა განჯელთა დასასჯელად მოწყობილ ლაშქრობას. ამ ფაქტს,

³¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 154

რომლის სისწორეში ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, მოგვიანებით, ქართველთა სხვა ლაშქრობის დროს უნდა ჰქონოდა ადგილი³².

ამის შემდეგ გორგიჯანიძე უშუალოდ მონღოლთა ისტორიისა და მათი შეშინებების ამბების თხრობაზე გადადის („აქა ანბავი, ჩა [ნ] გიზხანის ლაშქრის გამოძახება ხორაზმელთა ზედან“). მას მთლიანად გამოუტოვებია რინდების მიერ ლაშა გიორგისთვის თვალის გამოთხრისა და მეფის მიერ ველისციხელი ქალის მოყვანის ამბები. გადაჭრით ვერ ვიტყვით, პირადად ფარსადანი ავტორი ასეთი რედაქციისა, თუ ქამთაღმწერლის თხზულების მის მიერ გამოყენებულ ხელნაწერში უკვე შესრულებული იყო მსგავსი სამუშაო. მაგრამ ის გარემოება, რომ გორგიჯანიძე აშკარად სიმბათიურად არის განწყობილი ლაშა გიორგის მიმართ, გვაფიქრებინებს, რომ სხვადასხვა წყაროების საფუძველზე მას ალბათ საკუთარი თვალსაზრისი ჰქონდა შემუშავებული გიორგი IV-ის მიმართ და ამის შესაბამისად შეცვალა ან სულაც გამოტოვა ქამთაღმწერლის ზოგიერთი ცნობა, რომელიც მეტად მკაცრი ან დაუსაბუთებელი ეჩვენა.

საკუთრივ მონღოლთა ისტორიის გორგიჯანიძე ქამთაღმწერლის მიხედვით გადმოგვცემს, მაგრამ რამდენადმე უფრო მოკლედ. ჯებესა და სუბუდაის ლაშქრობისა და ქართველების დამარცხების ამბავიც ორივე ისტორიკოსს ერთნაირად აქვს მოთხრობილი³³. აქ სანიტარეზოა ის გარემოება, რომ ფარსადანიც, ქამთაღმწერლის მსგავსად, ქართველთა „ურჯულობით“, ანუ რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შერყენით ხსნის მონღოლებთან ბრძოლაში საქართველოს ლაშქრის დამარცხებას: „მაშინ მოაწია რისხვა მლთისა ჩვენის ურჯულობისათვის. მეფე გიორგი თვითან და სრულ ქართველნი ძალმიცემით იბრძოდეს, მაგრა ამოსწყდა მრავალი ქართველნი... აქ იქნა რისხვა მლთისა ქრისტიანთ ზედან, გასწირა ქართველნი ურჯულებისათვის“, და ა. შ.³⁴ (ფ. 36v).

³² ქამთაღმწერლის თხზულებიდან ირკვევა, რომ ქართველებს გიორგი IV-ის მეფობაში კვლავც ულაშქრიათ განჯის წინააღმდეგ: „სთუელთა შთავიდის ტფილისის, ხოლო საზამთროდ დადგის ღურს სომხითისასა, და მიერ ბრძოდის განძელთა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 156).

³³ იქვე, გვ. 164—165; ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 35r.

³⁴ შდრ. ქამთაღმწერელი: „მაშინ მოიწია რისხვა ზეგარდმო უსჯულებათა და ცოდვათა ჩუენითათვის, და ივტოდეს ქართველნი და სპანი და თვთ მეფე ლაშა, და ურიცხვ სული ქრისტიანე მოკუდა... და აქა იქმნა მოწვენა სრულიადისა ღმრთისა რისხვისა და განწირვა ქართველთა ნათესავისა სიმრავლისათვის უსჯულებათა ჩუენთასა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 164—165).

მონღოლებთან ბრძოლის შემდეგ, გორგიჯანიძის სიტყვით, „გახდა ავად მეფეთა მეფე გიორგი, დასნეულდა“. სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, მან სახელმწიფოს დიდებულნი იხმო, თავისი და რუსუდანიც მოიწვია და ანდერძი დაუბარა ცალ-ცალკე³⁵ (ფ. 37r). რამდენადაც უამთაღმწერელს საერთოდ არაფერი აქვს თქმული რუსუდანიანთა დატოვებული ანდერძის შესახებ, მთლიანად მოგვაქვს გორგიჯანიძის ტექსტი: „დედამან ჩემ[მ]ან თამარმანო აჯობა ყოველთა მეფეთა და კემწიფეთა ბაგრატიონთა და დამიგდო საკემწიფო გარჩეგებულიო. და სოფლის წესი ადამიანთზედ დაუცდენ[ე]ლი არის და ჩემზედანაც აბიჰებს მასა, რაც სხვათა ზედან უქნია. აწე თქვენთვის მამიბარებია საკემწიფო მამა-პაპათა ჩვენი, იქეც ტკილათ და ყველას პატრივი ეც შეფეურებითა, წყალობა უყავ უყვედრებელი, შეიბრალე გლახა და ქვრივ-ობოლნი და ერთგულნი გა[ა]მდიდრე, თავგანზიდავნი მოამშვიდე და ორგულნი შეაშინეთ“ (ფ. 37r—37v).

ჩვენი აზრით, ეს ანდერძიც დადებითად ახასიათებს ლაშა გიორგის როგორც ადამიანსა და სახელმწიფო მოღვაწეს.

შემდეგ ლაშა გიორგიმ ათაბაგსა და სხვა დიდებულებს მიმართა: „ვატყობ თავსა ჩემსაო გარდას[ა]ხადსა სოფლისასაო, და ჩემად მაგიერად ჩემი და რუსუდან დედოფალი მეფობდესო ჩემის დავითის გაზდამდისინო. მონეთ, მორჩილეთ და ერთგულათ ემსაქურენით, ვითაც მამა და პაპანი თქვენნი ჩვენს მამა-პაპათათვის ემსაქურებინოს. და ნათქვამი არის ძველითა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, გინდა კვადია“³⁶. და ეს სიტყვა მეფეთ მეფეს დედას ჩემს თამარზედანც ითქვა. აწ მე მოგახსენებ დასა ჩემსა რუსუდანს [ზედა]“ (ფ. 37v).

აქ, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა გორგიჯანიძის მიერ რუსთაველის ცნობილი აფორიზმის მოხსენიება. ცხადია, ამ ერთი აფორიზმის მიხედვით არ შეიძლება გადაჭრით თქმა, იცნობდა თუ არა ფარსადანი „ვეფხისტყაოსანს“, მაგრამ უთუოდ საგულისხმოა ის გარემოება, რომ ისტორიკოსი ლაშა გიორგის ათქმევინებს, „ეს სიტყვა მეფეთ მეფეს დედას ჩემს თამარზედანც ითქვაო“. მართლაც, გორგიჯანიძე თამარის გამეფების ამბის სათაურშივე აღნიშნავს: „მეფემ გიორგიმ თავისი ასული თამარი მე-

³⁵ „აქა ა[ნ]დერძის ქნა მეფის ლაშა გიორგისა გან თავისი დის რუსუდანიანთა თვის“ (ფ. 37r).

³⁶ ხელნაწერში: კვადია.

ფეთ აკურთხა. აქ თქმულა, „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, გინდა კვალია“ (ფ. 9v). ფარსადანს ეს აფორიზმი ფოლკლორული გზითაც რომ ჰქონდეს შეთვისებულობა³⁷, თავისთავად ისიც უთუოდ საყურადღებოა, რომ XVII ს-ის საქართველოში (და, იქნებ, ირანში მცხოვრებ ქართველთა შორისაც, რამდენადაც გორგიჯანიძემ თავისი ზიკოცხლის უდიდესი ნაწილი ირანში, სეფიანთა სახელმწიფოს დედაქალაქ ისფაჰანში გაატარა) რუსთაველის აფორიზმი ანდაზად ყოფილა ქცეული და ხალხს მის გვირად თამარი ესახებოდა³⁸.

ასეთია, ძირითადად, ფარსადან გორგიჯანიძის ცნობები ლაშა გიორგის შესახებ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე ორი მნიშვნელოვანი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს:

1. იოანე ბაგრატიონზე ბევრად უფრო ადრე, XVII ს-ის უკანასკნელ ათწლეულში, ფარსადან გორგიჯანიძემ სცადა ლაშა გიორგის პიროვნების რეაბილიტაცია და წარმოგვიდგინა იგი არა მარტო როგორც გულადი მეომარი, არამედ როგორც თავმდაბალი, ღვთისმობში და გულუხვი ადამიანი, სამართლიანი, ჰკვიანი და ენერგიული გამგებელი ქვეყნისა.

2. გადასინჯვას საჭიროებს ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმად ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ მეორე ნაწილი, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს ემყარება, როგორც ისტორიული წყარო თითქოს მოკლებული იყოს ყოველგვარ ღირსებას.

ЕЩЕ ОДИН ГРУЗИНСКИЙ ИСТОЧНИК ПО ИСТОРИИ ГЕОРГИЯ ЛАША

Резюме

Первая четверть XIII века знаменует начало упадка грузинского могущественного феодального государства. В

³⁷ ასეთ ვარაუდს თითქოს მხარს უჭერს სიტყვები — „ნათქვამი არის ძველითა“ და, აგრეთვე, თვით აფორიზმის რამდენადმე გახალხურებული ფორმა („გინდა — „თუნდა“-ს ნაცვლად.).

³⁸ ეს აფორიზმი ივ. ჭავჭავაძის მიერ აქვს ციტირებული ფ. გორგიჯანიძის თხზულებიდან (ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 310).

этот период Грузия переживала кризис феодального развития. Стране не доставало внутренней спаянности, что отрицательно отражалось на устойчивости ее государственного строя и военной организации. Кроме того, из-за резко ухудшившейся в результате появления монголов общей политической ситуации, одержавшее в предыдущие десятилетия ряд блистательных побед, государство было поставлено перед необходимостью защиты собственных границ.

В такой сложной внутренней и внешнеполитической обстановке править страной пришлось молодому царю Георгию Лаша, и не удивительно, что некоторые его промахи и личные недостатки особенно рельефно стали видны на фоне блестящей эпохи царицы Тамар. Этим же можно объяснить, что в грузинской исторической литературе бытуют две противоположные версии в оценке личности и государственной деятельности Георгия IV. В частности, т. н. летописец времени Георгия Лаша, автор сочинения, охватывающего события XII — первой четверти XIII вв. всячески восхваляет Георгия и даже сравнивает его с Давидом Стропелем. А анонимный историк XIV в., хотя и признает некоторые положительные качества Георгия IV, но в целом дает ему резко отрицательную характеристику. Примерно такую же версию повторяет и Вахушти Багратиони (XVIII в.).

В грузинской историографии последующего периода также продолжалась борьба мнений вокруг личности Георгия IV и были попытки его реабилитации. Так, например, в «Истории Грузии» Иоанна Багратиони, составленной в первой половине XIX века, имеется даже указание на произведение, якобы ставшее источником отрицательной характеристики Георгия Лаша, и дано опровержение выдвинутых против него обвинений.

В настоящей статье рассмотрен еще один грузинский источник, в котором дана своеобразная попытка реабилитации Георгия. Это «История Грузии» («Сакартвелос цховреба») автора второй половины XVII века Парсадана Горгиджанидзе, рассказ которого о периоде царствования Георгия IV, хотя и основан на сочинении анонимного историка XIV века, однако автором опущены некоторые места, а

в ряде случаев изложение дается более пространно или же в ином освещении. Примечательно, что Парсадан Горгиджанидзе не согласен с историком XIV в. в оценке личности Георгия Лаша. В частности, им пропущены все отрицательные отзывы о Георгии и взамен добавлены хвалобные эпитеты. Кроме того, Парсадан Горгиджанидзе сообщает ряд ценных сведений по истории царствования Георгия IV (например, о первом появлении монголов), которых нет в его источнике — сочинении историка XIV в.

Трудно сказать, является ли сам Горгиджанидзе автором данной версии, или же использованный им список «Картлис цховреба» уже был подвергнут подобному редактированию. Однако, учитывая то обстоятельство, что Горгиджанидзе с явной симпатией относится к Георгию Лаша, можно предположить, что на основе различных источников у него сложилось свое собственное представление о Георгии и в соответствии с этим он изменил или же вовсе опустил некоторые сведения историка XIV в., показавшиеся ему излишне резкими или необоснованными.

На основе анализа сведений, сообщаемых Парсаданом Горгиджанидзе о Георгии Лаша можно сделать выводы:

1. Задолго до Иоанна Багратиони, в конце XVII века, Парсадан Горгиджанидзе попытался реабилитировать Георгия Лаша и представил его не только отважным воином, но и щедрым, справедливым, умным и энергичным правителем страны.

2. Следует пересмотреть высказанное в грузинской историографии мнение, будто т. н. вторая (до сих пор не изданная) часть сочинения Горгиджанидзе, основанная на сведениях «Картлис цховреба», не содержит ничего нового и лишена всякой научной ценности.

რამდენიმე დაკვირვება ჟამთააღმწერლის თხზულების ტექსტზე*

უკანასკნელ წლებში ჩვენში საგრძნობლად გაცხოველდა მეცნიერული მუშაობა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის დარგში. უფრო მრავალფეროვანი ხდება თემატიკა, ისახება ახალი პრობლემები, იხვეწება მეთოდოლოგია, ფართოვდება კვლევადიების სფერო. ამასთან დაკავშირებით მომწიფდა ქართული საისტორიო წყაროების ხელახალი პუბლიკაციის საკითხიც. საისტორიო მეცნიერების და, კერძოდ, წყაროთმცოდნეობის ახალი ამოცანების შესაბამისად მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლთა (მათ შორის „ქართლის ცხოვრების“ ციკლის თხზულებების) კრიტიკული ტექსტების ცალ-ცალკე გამოცემა ვრცელი გამოკვლევითა და კომენტარით¹. საამისოდ პირველ რიგში აუცილებელი შეიქნა საისტორიო ძეგლთა ტექსტების დადგენისა და გამოცემის წესების შემუშავება და დაზუსტება ქართული საისტორიო წყაროთმცოდნეობისა და ტექსტოლოგიის უმთავრეს მონაპოვართა გათვალისწინებით. ტექსტზე მუშაობის დროს მტიკედ დადგენილი პრინციპების გამოყენება და სრულყოფილი მეთოდოლოგიის მომარჯვება უზრუნველყოფს თხზულების ბევრი შერყვნილი და გაუგებარი ადგილის გაპართვას. ამავე დროს, შეეცინდება ტექსტში გაუმართლებელი, დაუსაბუთებელი კონიექტურების შეტანისა და გაპომცემლის შეცდომის შესაძლებლობა. ხშირ შემთხვევაში მოხერხდება აგრეთვე ზოგიერთი კარგად ცნობილი

* პირველად დაიბეჭდა 1976 წელს („მაცნე“, ისტორიის სერია, 1976, № 2, გვ. 145—155).

¹ უნდა აღინიშნოს, რომ ივ. ჯავახიშვილსაც ასე ჰქონდა დაგეგმილი ქართული საისტორიო თხზულებების გამოცემა (იხ. ივანე ჯავახიშვილის 34 კერძო წერილი. პუბლიკაცია ვ. დონდუასი. — „მნათობი“, 1968, № 9, წერილი № 33, გვ. 151; კომენტარები, გვ. 162. იხ. აგრეთვე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქივი, ფონდი 4, აღწ. 1, № 239, ფ. 15, 16, 18; № 258, ფ. 6, 7).

კონტექსტის ახლებურად წაკითხვა და გააზრება, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს საქართველოს ისტორიის შემდგომ ჩარჩოვებულ კვლევას.

წინამდებარე წერილში რამდენიმე დამახასიათებელი მაგალითით ილუსტრირებულია ზემოთ მოტანილი ზოგადი მსჯელობა, განხილულია ეპითაღმწერლის თხზულების კრიტიკული ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი და კვლევის კონკრეტული შედეგიანობაც არის ნაჩვენები.

XIII ს-ის 40-იანი წლების დამდგენისათვის საქართველო მონლოლებმა დაიპყრეს. როდესაც დასავლეთ საქართველოში გახიზნულმა მეფე რუსუდანმა ნახა, რომ მისი სარდალ-ვაზირნი მტერს დამორჩილდნენ, თვითონაც გადაწყვიტა მონლოლებთან შეთანხმება. სათანადო მოლაპარაკების შემდეგ რუსუდანი და მისი ვაჟი დავითი აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდნენ². ეპითაღმწერლის სიტყვით, მათ „წინა მიეგებნეს შანშა, ავაგ, რომელი თათართა დიდად პატივითა შე[ე]წყნარა არაართა ნიჟთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი შოთა კუპარი...“³ და ა. შ.

მოტანილ კონტექსტში გასაგები არ არის, ვინ იყო „არაართა ნიჟთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი“. როგორც ჩანს, ამის გამო მოხდა, რომ ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიამ ეს სიტყვები საერთოდ არ შეიტანა შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“. კომისიის მიერ რედაქტირებულ ტექსტშია: „გარდამოვიდა თუთ მეფე, და წარმოგზავნა ძე თვისი დავით, რომელთა წინა მიეგებნეს შანშე და ავაგ, რომელი თათართა დიდად პატივითა შეეწყნარა. შოთა კუპარი, თორელი...“⁴ ამრიგად, სწავლულ კაცთა კომისიის მიერ გამართული ტექსტის მიხედვით, თათართაგან „დიდად პატივითა შეწყნარებული“ ყოფილა ავაგი.

3. ინგოროყვას აზრით, სიტყვები „არაართა ნიჟთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი“ ნიშნავს ზარწმუნოებიდან გადაზღვარს, ყოველგვარ ადამიანურ ღირსებას მოკლებულს, და ეხება ჰერეთის

² ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1906, გვ. 600, 604; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 112—113.

³ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 605.

⁴ ქართლის ცხოვრება, დასაბამითან შეთცხრამეტე საუკუნედის, ტ. I, მ. ბროსეს გამოც., სპბ., 1849, გვ. 364.

ერისთავს შოთა კუპრის⁵. მკვლევარს ხაზგასმით აქვს აღნიშნული, რომ ჟამთააღმწერლის დახასიათებით, შოთა თავდადებული პატრიოტი და დიდი სახელმწიფო მოღვაწე იყო და მონღოლთა ბატონობის პირველი პერიოდის მძიმე წლებში აქტიურად მონაწილეობდა ყველა მნიშვნელოვანი საქმის გადაწყვეტაში⁶. მაგრამ, ამჟამად დროს, ჟამთააღმწერლის დამოკიდებულებაში შოთას მიმართ პ. ინგოროყვა დიდ სიძულვილსაც ხედავს. კლერიკალურად განწყობილი ისტორიკოსისათვის შოთა თითქოს მიუღებელია როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი და ორთოდოქსალური ქრისტიანობიდან განდგომილი პირი, და ამიტომაც უწოდებს მას „არარათა ნიქთა და ზნეთა სამაჰაჯაცოთა მქონებელს“⁷.

ს. იორდანიშვილი ფიქრობდა, რომ იმის მიხედვით თუ სად დაიწება წინადადებაში მძიმე, ხან ავაგი იქნება „არარათა ნიქთა მქონებელი“ და ხან შოთა. მეცნიერი აღნიშნავდა, რომ „არაღად პიროვნების სახელს წინ არ უსწრებს ასეთი დახასიათება“⁸. მისი აზრით, ეს დახასიათება ეხება ერთ პირს, კერძოდ, იმას, ვინც წინადადების დასაწყისშია დასახელებული. ამგვარად, ს. იორდანიშვილს დასაშვებად მიაჩნდა რომ სიტყვები „არარათა ნიქთა და ზნეთა სამაჰაჯაცოთა მქონებელი“ ეხებოდეს ავაგს. ის თუმცა აღიარებდა, რომ „სამწუხაროდ, არც ჟამთააღმწერლობით და არც ქართლის ცხოვრების სხვა რედაქციებით ავაგისა და შოთა კუპრის შესახებ ასეთი გარკვეული ჩვენებანი არ გვაქვს“, მაგრამ იქვე შენიშნავდა, რომ ჟამთააღმწერელს თითქოს არ მოსწონდა ის მთავრები, რომლებიც მონღოლებს შეეწყნარნენ და, ვინაიდან მათ შორის პირველი ავაგი იყო, შესაძლებელია ეს გამკიცხველი სიტყვები მას ეხებოდესო⁹. ეს მოსაზრება არ არის სწორი, რადგან ჟამთააღმწერელი არათუ არ კიცხავს ავაგს დამპყრობლებთან შეთანხმებისათვის, არა-

⁵ პ. ინგოროყვა, რუსთველიანა. — თხზულებათა კრებული, I, თბ., 1963, გვ. 124—126.

⁶ იქვე, გვ. 120—121, 123.

⁷ იქვე, გვ. 123—126.

⁸ ს. იორდანიშვილი, ჟამთააღმწერლის ერთი ცნობის შესახებ.—წიგნში: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1953, გვ. 47.

⁹ იქვე. დაახლოებით ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული ი. ლოლაშვილს (იხ. ი. ლოლაშვილი, ერთი ადგილის განმარტება ჟამთააღმწერლის თხზულებაში.—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოგრაფიული კომისიისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1978, გვ. 10—11).

მედ, პირიქით, მიაჩნია, რომ მან თავიც კი გაწირა მონღოლებთან წასვლით („წარვიდა ამირსპასალარი ავაგ, დაძღვები სულსა მისსა ქუეყანისა მისისათვის“)¹⁰.

ს. ყაუხჩიშვილმა ჩვენთვის საინტერესო ფრაზაში შემდეგნაირად განალაგა სასვენი ნიშნები: „გარდამოვიდა თვთ მეფე და წარმოგზავნა ძე თვისი დავით, რომელთა წინა-მიეგებნეს შანშე და ავაგ, რომელი თათართა დიდად პატივითა შეეწყნარა, არაათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი შოთა კუპარი...“¹¹ როგორც ვხედავთ, ამ პუნქტუაციით, დიდი პატივით შეწყნარებული ავაგია, ხოლო სიტყვები „არაათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი“ შოთა კუპარს მიეკუთვნა¹².

1966 წლის მარტში, შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილესათვის მზადების დღეებში, საქართველოს მწერალთა კავშირში გამართული დისკუსიის დროს გამოითქვა აზრი, რომ თითქოს „არაათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი“ მამათმავალს ნიშნავს (ს. კაკაბაძე)¹³. ამან ახალი სიძნელეები წარმოქმნა, რადგან ძველთაგანვე ზოგიერთი მკვლევარი (თეიმურაზ ბაგრატიონი, მ. ბროსე, პ. ინგოროყვა...) შოთა კუპარს (კუპარა) შოთა რუსთაველთან აიგივებდა.

ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად იმავე სხდომაზე წამოყენებული იყო წინადადება სასვენი ნიშნის (მძიმის) იმგვარად დასმისა, რომ საჩოთირო გამოთქმა ჩამოასცილებოდა შოთა კუპარს: „წინა-მიეგებნეს შანშე და ავაგ, რომელი თათართა დიდად პატივითა შეეწყნარა არაათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი, შოთა კუპარი“, და ა. შ.

უნდა ითქვას, რომ ტექსტის გამართვის თვალსაზრისით ასეთი ოპერაცია უთუოდ მართებულია. გამოთქმა — „რომელი თათართა დიდად პატივითა შეეწყნარა არაათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი“ მართლაც არ უნდა გაიყოს შუაზე. ეს სიტყვები,

¹⁰ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 597.

¹¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 195.

¹² შდრ. იქვე, გვ. 049: „არაათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი შოთა კუპარი“; აგრეთვე, გვ. 594, ლექსიკონი: „სამამაკაცო“, .

¹³ იმავე წელს გამოცემულ მონოგრაფიაში ს. კაკაბაძე აღნიშნავდა, რომ შოთა კუპარი იყო „ართუ ყოვლად უნიჭო, არამედ მამათმავლობითა დაავადებული“ (ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 281).

როგორც ს. იორდანიშვილი აღნიშნავდა, ერთ პირს ეხება, სახელ-
დობრ იმას, ვინც ფრანზის წინ არის დასახელებული და არა მის
შემდეგ. მაგრამ ამ შემთხვევაში თათართაგან „დიდად პატივითა.
წიწყნარებული“ და „არართა ნიკთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქო-
ნებელი“ აღმოჩნდება ავად მხარგრძელი, საქართველოს სახელმწი-
ფოს ამირსპასალარი და ათაბაგი.

შეიქმნა რთული ვითარება, რომელიც სცილდება საკუთრივ
ტექსტოლოგიური კვლევის ფარგლებს: მემკვიდრის მიერ ნაწესნებ
ორ პირს — ავაცსა და შოთა კუპრს შორის ერთ-ერთი უნდა იყოს
„არართა ნიკთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი“. მაგრამ ავ-
ტორის დამოკიდებულება მათ მიმართ არ იძლევა არავითარ საფუ-
ძველს იმისათვის, რომ რომელიმე მათგანს მივაკუთვნოთ ეს სიტ-
ყვები. უამთაღმწერლის თხზულებაში არა გვხვდება არავითარი მი-
ნიშნება ისტორიკოსის ათვალწუნებულ დამოკიდებულებაზე ავაცის
ან შოთა კუპრისადმი.

ჩანდენადაც „ქართლის ცხოვრების“ ტექსტების საფუძველზე
ვერ ჩერხდება ამ საკითხის გარკვევა, სხვა წყაროებს უნდა მივმარ-
თოთ. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს XVII ს-ის ისტორიკოსის
ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრება“, რომლის ე. წ.
მეორე ნაწილი ძირითადად „ისტორიათა და აზმათა“ და უამთაღ-
მწერლის თხზულების საფუძველზეა შედგენილი.

ფ. გორგიჯანიძე რუსუდანისა და მისი ვაჟის დავითის აღმოსავ-
ლეთ საქართველოში გადმოსვლაზე უამთაღმწერლის მიხედვით მო-
გვითხრობს. ის წერს: „რა ეს ანბავი ესმა რუსუდანს, რომე თურქნი
თავიანთ ნათქვამს არ გარდასცვლიან და ფიცსა და პირობას არ გას-
ტეხენ და ნინდობილს შეიწყალებენ, თვითან გარდმოვიდა ქართლ-
სა, და გაგზავნეს ბე თავისი, რომელსაც¹⁴ წინ მიეგებნენ შანშუ, ავაქ
და ევასლან, რომელნიც თათართ დიდის პატივით შეეწყალათ, და
შოთა კაპარი...“¹⁵ როგორც ვხედავთ, სწავლულ კაცთა კომისიის
მსგავსად ფარსადანსაც გამოუტოვებია სიტყვები სამამაკაცო ნიკთა
და ზნეთა შესახებ, ხოლო მონღოლთა მიერ შეწყალებულად სამი
პირი ჰყავს გამოცხადებული. მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებო
ის არის, რომ შემხვედრთა შორის ავაცის შემდეგ ფარსადანი ეგარ-
სლასნაც ასახელებს. უამთაღმწერლის თხზულების დღეს ცნობილ

¹⁴ ხელნაწერში — რომელიც.

¹⁵ ფ. გორგიჯანიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კე-
კელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწ. H 2140, ფ. 49v.

ტექსტში ეგარსლანი ამ ადგილას ნახსენები არ არის, თუმცა „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგანდელი რედაქციის ტექსტში მისი ადრინდელი დასახელების კვალი აშკარად ჩანს. ავაგის შემდეგ რომ კიდევ ვიღაც არ ყოფილიყო ნახსენები, მაშინ უამთააღმწერელს ექნებოდა არა „წინა მიეგებნეს შანშა, ავაგ“, არამედ „შანშა და ავაგ“, როგორც ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებშია (ეს ვარიანტი გაზიარებულია ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაშიც). „ქართლის ცხოვრების“ იმ ნუსხაში, რომლითაც გორგიჯანიძე სარგებლობდა, ეს ადგილი, როგორც ჩანს, უფრო სრულად იყო შემონახული. მისი წყალობით ჩვენ ახლა ვიცით, რომ რუსუდანისა და მისი ვაჟის დავითის შემხვედრთა შორის მემატიანეს ავაგის შემდეგ ეგარსლანიც ჰყოლია დასახელებული.

გორგიჯანიძის ამ ჩვენების მიხედვით რომ აღედგინოთ უამთააღმწერლის თხზულების შესაბამისი კონტექსტი გამოვა, რომ მონღოლთაგან „დიდად პატივითა შეწყნარებული“ და „არარათ ნიქთა და ზნეთა სავანაკაცოთა მქონებელი“ ყოფილა კახეთის ერისთავი ეგარსლან ბაქურციხელი. ერთი შეხედვით მოულოდნელი ეს დასკვნა არ მოგვეჩვენება მიუღებელი და ნაუცბათევი, თუ გავითვალისწინებთ ისტორიკოსის სხვა ცნობებსაც ეგარსლანის შესახებ.

უამთააღმწერელი არაფერს ამბობს ავაგის მიწართ მონღოლთა განსაკუთრებულ წყალობაზე. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ „თვით ავაგისადმი თათრებს მაინცდამაინც დიდი ნდობა არ გამოუჩენიათ, პირიქით, მათ, როგორც ეტყობა, ჰსურდათ, რომ ავაგისათვის ურჩობის გამოჩენისა და წინააღმდეგობის ყოველივე საშუალება მოესპოთ“¹⁶. კირაკოს განმარტები იმასაც მოგვითხრობს, როგორ სცემა ავაგს მათრახით ერთმა არც მაინცდამაინც წარჩინებულმა მონღოლმა იმის გამო, რომ საკმაოდ სწრაფად ვერ წამოდგა ფეხზე მის შესახვედრად¹⁷. ამდენად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისტორიკოსის ცნობა მონღოლთ წინაშე დიდი დაწინაურების შესახებ არ შეიძლება ეხებოდეს ავაგ ათაბაგს.

სამაგიეროდ, ეგარსლანზე უამთააღმწერელი საგანგებოდ აღნიშნავს, „ეზომ განდიდნა; რომელი კნინდა და სახელის დებადცა მეფისა იკადრა და ყოველი ქართველთა ნათესავი ბრძანებასა მისსა მორჩილობდეს“-ო¹⁸. ცოტა ქვემოთ მემატიანე დასძენს, რომ ეგარ-

¹⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართველის ერის ისტორია, III, გვ. 101.

¹⁷ Киракос Гандзакци, История, перевод с древнеармянского Т. Тер-Григорьяна, Баку, 1946, с. 133.

¹⁸ ქართლის ცხოვრება, მარამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 629.

სლანს „ვითარცა მეფესა მორჩილობდეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი“¹⁹, შერე კი ისევ იმეორებს, რომ მას „კნინლა სახელიცა მეფობისა ეპყრა“²⁰. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი უპირატესობის მოპოვება ეგარსლანს მხოლოდ დამპყრობთა დიდი მხარდაჭერით შეეძლო. ამიტომ მას სავსებით შეეფერება ჟამთააღმწერლის სიტყვები მონღოლთა განსაკუთრებული წყალობის შესახებ.

ახლა განვიხილოთ საკითხი, შეეძლო თუ არა მემართიანეს ეგარსლანისათვის ეწოდებინა „არარათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი“?

„ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქციის ნუსხებში ეგარსლანის სახელი სულ რვაჯერ გვხვდება. არის აგრეთვე კიდევ ერთი ადგილი, როცა ის აუცილებლად უნდა იხსენიებოდეს, მაგრამ ტექსტის დანაწინჯების გამო სახელი გამოტოვებულია. განვიხილოთ ეს ადგილი.

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ „გაჰხდეს ქართველნი უნუგუშინისმცემლოდ და უმეფოდ“. ამიტომ „თუთეული ერისმთავარი თუთოსა ნოინსა შეუდგა და განაჩინეს თათართა ბაჰერისა მთავარნი, რომელსა დუმნისა თავად უწოდეს, და გამოარჩიეს მთავარნი. ხოლო არა ნიჭთა მქონებელი სამკროთა და მას კელთ უღვეს“²¹ სპა ერეთისა და კახეთისა და კამბეჩიანისა“²².

როგორც ვხედავთ, მოტანილი ნაწყვეტის ბოლო ნაწილი გაუგებარია. კერძოდ, არა ჩანს, ვინ იყო „არა ნიჭთა მქონებელი სამკროთა“ და საერთოდ რას ნიშნავს ეს სიტყვები.

ფ. გორგიჯანიძესთან შესაბამის ადგილას იკითხება: „თითო მთავარი საქართველოსანი თითომ ნონიმ თავისთვის დაიჭირეს, და თითო ბევრის თავად, რომელსა დუმანი ჰქვიან თურქთ ენითა ბევრსა“²³, და საქართველოს დოყუზ დუმან გურჯისტანს ეძახიან, მთავრათ დასდგინეს. პირველ ეგასლან ბაკურციხელი, კაცი ღრმად განამზრახი, ნიჭთა მქონებელი სამკედროთ“²⁴.

¹⁹ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 645.

²⁰ იქვე, გვ. 650.

²¹ ტექსტში — რა სახელ უღვეს („მას კელთ უღვეს“ ს. ყაუხჩიშვილის კონიექტურაა, რომელსაც ფ. გორგიჯანიძე ადასტურებს: „ამას კელთ მისცეს“. — დასახ. ხელნაწერი, ფ. 53v).

²² ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 623.

²³ ხელნაწერში — და ბევრსა.

²⁴ ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 53 v.

ამგვარად, „ქართლის ცხოვრების“ იმ ნუსხაში, რომლითაც გორგიჯანიძე სარგებლობდა, პირველი დუმნის თავად დასახელებული ყოფილა ეგარსლან ბაკურციხელი. ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიაც ადასტურებს, რომ ქაშიათალმწერლის პირვანდელ ტექსტში შესაბამის ადგილას ეგარსლანი იხსენიებოდა²⁵.

„ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა პირველი დუმნის თავად სწორედ ეგარსლან ბაკურციხელი მიიჩნია და მისი საკმაოდ ბუნდოვანი დახასიათების საკუთარი გაგებაც წარმოადგინა. კერძოდ, მან დამახინჯებული „სამკეროთა“ აღადგინა როგორც „სამკედროთა“²⁶ და აღნიშნა, რომ ეგარსლანი იყო „არა ნიჭთა მქონებელი სამკედროთა“²⁷. ფ. გორგიჯანიძეც ადასტურებს, რომ განსახილველ კონტექსტში „სამკეროთა“-ს ადგილას „სამკედროთა“ უნდა იყოს.

უნდა ითქვას, რომ ფარსადან გორგიჯანიძე და სწავლულ კაცთა კომისია ვერ გაერკვნენ ეგარსლან ბაკურციხელის ქაშიათალმწერლისეული დახასიათების არსში. როგორც ჩანს, მათთვის ძნელად წარმოსადგენი შეიქნა, როგორ შეიძლებოდა კაცი „არა ნიჭთა მქონებელი სამკედროთა“ დუმნის თავად დაენიშნათ და უზარმაზარი ლაშქარი ჩაებარებინათ²⁸. ამის გამო გორგიჯანიძემ და სწავლულმა კაცებმა შეცვალეს ქაშიათალმწერლის სიტყვები და საპირიპირო მნიშვნელობა მისცეს მათ. კერძოდ, ფარსადანის აზრით, ეგარსლანი იყო „კაცი ღრმად განაპზრახი, ნიჭთა მქონებელი სამკედროთა“, ხოლო სწავლულ კაცებს იგი დახასიათებული ჰყავთ როგორც „კაცი ღრმად მოუბარი, მკნელ მეომარი, და არას საქონლისა პატრონი“.

ს. ყაუხჩიშვილმა არ გაიზიარა ივ. ჯავახიშვილის ზემოთ დასახე-

²⁵ ქართლის ცხოვრება, დასაბამიდან მეთცხრამეტე საუკუნემდის, I, გვ. 371.

²⁶ ეს სიტყვა უცნობი და მოულოდნელი არ არის ჩვენი ავტორისათვის. მას აღნიშნული აქვს დავით ლაშას ძის ვაჟის, გიორგის „სამკედროთა ზნეთაგან განსრულება“ (ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 697. „განსრულება“ ივ. ჯავახიშვილის კონიექტურაა, ტექსტშია — განსრულებულეზოსა). ქაშიათალმწერელს ნახსენები ჰყავს აგრეთვე „ერისთავი სამადავლა, კაცი ყოვლითა სამკედროთა ზნითა შემკული“ (იქვე, გვ. 755).

²⁷ ს. ყაუხჩიშვილის სიტყვით, ივ. ჯავახიშვილის წერის სტილი იყო, რომ რომელიც ისტორიკოსის ცნობის დამოწმების დროს მას ამ ცნობის თვით ტექსტიც მოჰყავდა, სათანადოდ შეჭერებული ვარიანტებით და, თუ ტექსტი ღედაწი დამახინჯებული იყო, ასწორებდა ხოლმე, ე. ი. იძლეოდა საკუთარ კონიექტურას (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 040).

²⁸ ამასვე აღნიშნავს ს. ყაუხჩიშვილიც (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 048).

ლებული კონიექტურა, „სამკედროთა“-ს ამჯობინა „საკმართა“ და მთლიანად ეს გამოთქმა შემდეგნაირად გამართა: „პირველად ეგარსლან ბაკურციხელი, კაცი ღრმად მოუბარი, ხოლო არა ნიჭთა მქონებელი საკმართა“²⁹. ლექსიკონში „საკმარი“ განმარტებულია როგორც „საპირო რამ“, „საპირო ნიეთი და საგანი“, „ქონება“³⁰. მთლიანად კი ეს წინადადება, გამომცემლის აზრით, ნიშნავს, რომ „ეგარსლან ბაკურციხელი ქონებრივად დაბალ საფეხურზე მდგარა“³¹.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორია ივ. ჭავჭავაძის კონიექტურა და მისეული გაგება მემატიაანის სიტყვებისა. საქმე ის არის, რომ ჟამთააღმწერელი განსახილველ ფრაზაში ანტითეზით ახასიათებს ეგარსლანს. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეგარსლანი იყო კაცი ღრმად მოუბარი (ან, ფარსადანის მიხედვით, „ღრმად განმზრახი“), მაგრამ სამხედრო საქმის ნიჭი არა ჰქონდა. სწორედ იმიტომ გახდა ეს აშბავი მსჯელობის საგანი, რომ მემატიაანის აზრით, სამხედრო ნიჭის არმქონე კაცი აღმოჩნდა ქვეყნის სათავეში.

ამგვარად, „ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქციის ნუსხებისა და ფ. გორგიჯანიძის ჩვენებათა და ივ. ჭავჭავაძის კონიექტურის საფუძველზე ჟამთააღმწერლის თხზულების განსახილველი ნაწყვეტი შემდეგნაირად გაიმართება: „პირველად ეგარსლან ბაკურციხელი, კაცი ღრმად მოუბარი³², ხოლო არა ნიჭთა მქონებელი სამკედროთა“. ეს კი თითქმის იგივეა, რაც „არართა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი“. რამდენადაც „მამაკაცი“ ნიშნავს არა მარტო კაცს, არამედ აგრეთვე „მამაცს“, „გმირს“³³, სამამაკაცი ზნე და ნიჭი იქნება სიმამაცე, გმირობა, გულადობა, კარგი მეომრობა, სარდლობა და ა. შ. აღსანიშნავია, რომ აღამიანის ფიზიკურ, მორალურ და გონებრივ ზნეობათა შორის არჩილს ჩამოთვლილი აქვს სარდლობა, სიმამაცე, სი-

²⁹ ტექსტსა და ლექსიკონში არის—„არა ნიჭთა მქონებელი საკმართა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 207, 599). ხოლო გამოკვლევასა და კითხვა-სვავობებში — „არა ნიჭთა მქონებელი და საკმართა“ (იქვე, გვ. 049, 207).

³⁰ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 599.

³¹ იქვე, გვ. 049.

³² ივ. ჭავჭავაძის განმარტებით, „ღრმად მოუბარი“ მკვერამტყველს ნიშნავს (ივ. ჭავჭავაძის ნიჭი, ქართული ერის ისტორია, III, გვ. 124).

³³ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 214. ამავე ლექსიკონის მიხედვით, „მამაკაცებრ“ არის „მამაკურად“, ხოლო „მამაკაცობა“ — „მხნეობა“, „ვეყაცობა“.

მარდე, რაზმის კარგად გაწყობა, იარაღისა და საკუთრების დამზადება, ცნობა და ხმარება, ეშვილდისრობა, მეთოფეობა, ცხენოსნობა, ბურთაობა, ნაღირობა და სხვ.³⁴ ამრიგად, „არაზათა ნიკთა და ზნეთა სამაწყაყოთა მქონებელი“ ისე უნდა იგვიფოთ, რომ ის პირი, ვისაც ეს სიტყვები ეხება, ცუდი სარდალი და მეომარი იყო, არ გამოიჩინებოდა სიმამაცით და ა. შ. ერთი სიტყვით, იყო „არა ნიკთა მქონებელი სამვედროთა“.

ალამუთის ციხის ახალბად გაუთავებელი ბრძოლის გამო ქართველთა დიდ გასაჰირს რომ აღნიშნავს, ჩვენი ისტორიკოსი შენდევ გვანცნობს, რომ „ზემოკსენებული ესე ეგარსელნი, კაცი საკვირველი და მკედრობის წესთაგან ცარიელი, ეზომ განდიდნა, რომელი კნილა და სახელის დებადცა მეფისა იყადრა“³⁵.

ფ. გორგიჯანიძემ ამჟობინა სულ გამოეტოვებინა ეს ფრაზა³⁶, ვახტანგის კომიჩიამ კი თავიდანვე აღებული ხაზის შესაბამისად კვლავ შეცვალა ისტორიკოსის სიტყვები და საწინააღმდეგო აზრი ჩადო შიგ: „ზემოკსენებული ესე ეგარსლან, კაცი საკვირველი და მკედრობის ცოდნითა აღსავეს“³⁷.

უნდა ითქვას, რომ უამთაღმწერელი აქაც ანტითეზით ახასიათებს ეგარსლანს: ის საკვირველი ადამიანი კი იყო, მაგრამ სამხედრო საქმისა არაფერი გაეგებოდა. ამიტომაც უამთაღმწერლის სავსებით გამართულ და გასაგებ წინადადებაში არავითარი ცვლილების შეტანა არ არის საჭირო. თხზულების შემდგომ გამოცემებში ზემოთ განხილული ნაწყვეტი უნდა შევიდეს ძველი რედაქციის „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით: „ზემოკსენებული ეგარსლან, კაცი საკვირველი და მკედრობის წესთაგან ცარიელი“. სწორედ ასე ესმოდა ტექსტის ეს ადგილი და მთლიანად ეგარსლანის უამთაღმწერლისეული დახასიათება ივ. ჯავახიშვილს. იგი წერდა, რომ ეგარსლან ბაკურციხელი „უამთაღმწერლის დახასიათების თანახმად იყო „კაცი ღრმად

³⁴ ა რ ჩ ი ლ ი, საქართველოს ზნეობანი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. I. ტფ. 1936, სტროფები 6, 14, 26, 27, 28, 29, 30, 69, 70, 71. იხ. აგრეთვე კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი ლიტერატურა, II, თბ., 1958, გვ. 578.

³⁵ ქართლის ცხოვრება, მარამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 629.

³⁶ ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 54 v.

³⁷ ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთოცხრამეტე სიუჟეტუნდის, I, გვ. 373. ეს წაკითხვაა გაზიარებული ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაშიც (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 212).

მოუბარი“ და „საკვირველი“, მაგრამ „არა ნიჭთა მქონებელი სამ-
ვედროთა“, „მევედრობის წესთაგან ცარიელი“³⁸.

ეგარსლანი დასახელებულია აგრეთვე კონტასთავის შეთქმულ-
თა შორის³⁹. ეს იმდენად კეთილშობილური საქციელი იყო, რომ ამ-
ჯერად მემბტიანეს აგდებულად არ მოუხსენიებია იგი. ივ. ჭავჭავიძე-
ლიც აღნიშნავდა: „ეს გარემოება ეგარსლანის მამულიშვილური
გრძნობებისა და მოქალაქეობრივი შეგნების დამამტკიცებელია“⁴⁰.

კონტასთავის შეთქმულების შემდეგ, ისტორიკოსის სიტყვით,
„განიყვნეს მთავარნი საქართველოსანი და წინააღმდეგომ იქმნეს ურ-
თიერთას“. სწორედ მაშინ დაუპირებია ზოგიერთ დიდებულს მთელი
ძალაუფლების ეგარსლანისათვის გადაცემა. ჟამთააღმწერლის ცნო-
ბით, „მაშინ შეკრბეს დიდებულნი ამის სამეფოსანი, რამეთუ ეგუ-
ლებოდა მთავარ ყოფა მათ ზედა ეგარსლნისი, არა საწუნოთა გა-
რეთგან აღმოჩენილსა“⁴¹.

წინადადების ბოლო ნაწილი შერყვნილი და გაუგებარია. შეი-
ძლება ამიტომ გამოტოვა გორგიჯანიძემ ეს ფრაზა მთლიანად⁴²,
სწავლულმა კაცებმა კი ამჯერადაც სხვაგვარად გაიაზრეს და გადა-
აკეთეს იგი. შევსებული „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, „მაშინ
შეკრბეს დიდებულნი ამის სამეფოსანი, რამეთუ პრცხვენოდათ
მთავარ ყოფა მათ-ზედა ეგარსლანისა, არა მათგან უგვარიანებისა
კაცისა“⁴³.

უნდა ითქვას, რომ ჟამთააღმწერლის ზემოთ მოტანილი წინა-
დადების დამახინჯებული ნაწილის აღდგენა არ არის რთული. სა-
ამისოდ გასაღებს გვაძლევს ვახტანგის კომისიის მიერ რედაქტირე-
ბული ტექსტის ის ადგილი, სადაც ნათქვამია, ეგარსლანი სხვა დი-
დებულებზე „უგვარიანესი“ არ იყო. აშკარა ხდება, რომ ავტორს
ეგარსლანის გვარიშვილობაზე აქვს საუბარი და „არა საწუნო გა-
რეთგან აღმოჩენილსა“ უნდა წავიკითხოთ როგორც „არა საწუნ-
ო გუარითგან აღმოჩენილსა“. ამგვარად, მემბტიან-
ე აქ გვამცნობს, რომ ქართველ დიდებულთა ერთი ნაწილი შეი-
ყარა და განიზრახეს მთელი ძალაუფლება გადაეცათ ეგარსლანისა-
თვის, რომელიც დასაწუნი გვარისა როდი იყო. ეს რომ გაიგეს აღ-

³⁸ ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 124.

³⁹ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 634.

⁴⁰ ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 143.

⁴¹ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 638.

⁴² ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 56 რ.

⁴³ ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთატხრამეტე საუკუნემდის, I, გვ. 377.

მოსავლეთ საქართველოს მთავრებმა, შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს რუმში დატყვევებული ლაშა გიორგის ძე დავითი მოეძებნათ და ის გაემეფებინათ⁴⁴.

რამდენადაც ეგარსლანი თვითონ აპირებდა მთელი ქვეყნის მესაქეობას, ის საერთოდ არ მიგებებია საქართველოში ტყვეობიდან მობრუნებულ დავით ლაშას ძეს⁴⁵. სამაგიეროდ, დავითი რომ მონღოლეთს გაისტუმრეს მეფედ დასამტკიცებლად, ეგარსლანმა, როგორც ჩანს, კვლავ მოიპოვა ძველებური გავლენა. როდესაც ჰულაგუ-ხანი (ულო) აზერბაიჯანში მოვიდა, მის შესახვედრად გაემართნენ აღრე მოსული მონღოლი ნოინები. მათ თან წაიყვანეს ქართველი წარჩინებულებიც, რომელთა შორის მემატიანე ასახელებს ეგარსლანს და აღნიშნავს, რომ მას „უითარცა მეფესა მორჩილობდეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი“⁴⁶.

ეგარსლან ბაკურციხელის ქაშითაღმწერლისეულ დახასიათებას აგვირგვინებს მოთხრობა ავაგ მხარგრძელის მონღოლეთიდან დაბრუნების შესახებ. შორეული ქვეყნიდან ჩამოსულ ათაბაგს მიეგებნენ ქართველი მთავარნი და წარჩინებულნი, რომელთა შორის ეგარსლანიც იყო⁴⁷. გალაღებულმა ერისმთავარმა, რომელსაც „კინი-და სახელიცა მეფობისა ეყარა“, ცხენიდან ჩამოხდომა არ ინება თურმე და ისე მიესალმა ავაგს. განრისხებულმა ათაბაგმა ჯერ „თავსა მათრავითა უხეთქნა“, მერე კი ცხენიდან ჩამოაგდებინა ეგარსლანი და „პატივისაგან უპატიო ყო და განძრცვილი განაძეს“⁴⁸.

⁴⁴ სწავლული კაცნი გადაკეთებულად და საქმოდ ულოგიოდ გადმოგვცემენ ამ ამბავს: ქართველი დიდებულები შეიკრიბნენ, რადგან რცხვენოდათ ეგარსლანის უფროსობისა, რომელიც მათზე უკეთესი გვარისა არ იყო. მაშინ შეიყარნენ შანშე, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჭაყელი, სარგის თმოგველი, გრიგოლ სურამელი და სხვა მთავრები და გადაწყვიტეს ლაშას ძის მოძებნა.

⁴⁵ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 641.

⁴⁶ იქვე, გვ. 645.

⁴⁷ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ არის აღნიშნული, რომ ქაშითაღმწერლის თხზულებაში ხშირია ანაქრონიზმები. ისტორიკოსს ამ შემთხვევაშიც არეული ამქვ მოვლენათა თანმიმდევრობა. ის ჯერ მოგვითხრობს ჰულაგუ-ხანის ირანში მოსვლის ამბავს (1256წ.), მერე კი ავაგის მონღოლეთიდან დაბრუნებას, რაც ივ. ჭავჭავაძისეულის დათარიღებით, 1246 ან 1247 წელს უნდა მომხდარიყო (ივ. ჭავჭავაძისეული, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 144). ავაგი საერთოდ არ მოსწრებია ჰულაგუს ირანში ლაშქრობას, ის 1249 წელს გარდაიცვალა (К и р а к о с Г а н д з а к е щ и, История, с. 161, 287).

⁴⁸ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 650. თანე ბაგრატიონი ამ ამბავს რამდენადმე უფრო ერცლად გადმოგვცემს. ის მოგვითხრობს, რომ მონღოლეთიდან მობრუნებულ ავაგს მიეგებნენ ქართველი დიდებულნი. „და რა იხილა ავაგმან დიდებულნი ესე, გარდახდა ცხენიდან და ესე-

როგორც ვნახეთ, ჟამთააღმწერლის თითქმის ყოველ ფრაზაში ეგარსლანის შესახებ საკმაოდ აშკარად გამოსკვივის, ხოლო ზოგიერთში ნათლად ჩანს იტორიკოსის ნეგატიური დამოკიდებულება ამ კაცისადმი⁴⁹. რამდენადაც დადასტურდა, რომ მეფე რუსუდანისა და დავითის შემხვედრთა შორის შანშესა და ავაგთან ერთად ეგარსლანიც უნდა იხსენიებოდეს და ამავე დროს გაირკვა, რომ ჟამთააღმწერლის მიხედვით ეგარსლანი ყოფილა „არა ნიქთა მქონებელი სამკედროთა“ და „მკედრობით წესთაგან ცარიელი“, ცხადია, მასვე ეხება სიტყვებიც — „არარათა ნიქთა და ზნეთა სამამაკეთოთა მქონებელი“. არსებითად სამივე გამოთქმა ერთსა და იმავეს ნიშნავს: ეგარსლან ბაქურციხელი ცუდი სარდალი და უხეირო მეომარი იყო, მას სამხედრო საქმის ნიჭი არა ჰქონდა.

ეგარსლანი რომ მართლაც „მკნედ მეომარი“ და „მკედრობის ცოდნითა აღსავსე“ ყოფილიყო, როგორც სწავლული კაციც ცდილობენ დაგვარწმუნონ, ეს სრულიად ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა და ამის საგანგებოდ ხაზგასმა არ დასჭირდებოდა იტორიკოსს. აქი არც აღნიშნავს ის, ვთქვათ, ავაგ ათაბაგის, შანშე მზარგრძელის, ვარამ გაგელის, გრიგოლ სურამელის, ყვარყვარე ჭაყელის, ცოტნე დადიანის და სხვა ქართველ სარდალთა შესახებ, დიდი სამხედრო ნიჭი და ცოდნა ჰქონდათო. უჩვეულო და განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი ის იყო, რომ დამპყრობლებმა „არა ნიქთა მქონებელი სამკედროთა“, „მკედრობის წესთაგან ცარიელი“ ადამიანი დააწინაურეს და დუმნის თავად დანიშნეს.

ნიცა გარდახდენ, და მიესალმნენ ურთიერთსა. გარნა სიამპარტავნითა არა გარდახდა ცხენილგან ეგარსლან. რა ესე იხილა ათაბეგმან და სხუათა, მიუხდენ და თავსა ჰსცეს მითრახნი და გარდმოაგდეს ცხენილგან, განძარცვეს შესამოსელი მისი და ესრეთ შეურაცხი, თავგატეხილი ტიტველი განაძქეს თვისგან და რქვეს: „შენს მსგავსსა მეფესა ესეგუარი დიდება შეენისო“. და მიერიდგან შეიქმნა იგი საცანელ ერთაგან“ (იოანე ბაგრატიონი, ისტორია ქართლისა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწ. H 2134, ფ. 665r—665 v).

⁴⁹ ჭერჭერობით აღსხნელი რჩება ისტორიკოსის სიტყვებიც — „გამრეკელ თორელსა მსგავსსავე ეგრსნისასა საკვაბუკოთა შინა ჯელთ უღვა ჯავახეთ, სამცხე და აღმართ ვიღრე კარნუ ქალაქამდე“ (ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 623—624). მკვლევართ ეს სიტყვები ისე ესმით, თითქოს გამრეკელი ეგარსლანს ჰგავდა რაინდობასა და სიამაყეში (Histoire de la Géorgie, trad. du géorgien par M. Brosset, I, SPb., 1849, p. 529; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 597, ლექსიკონი: „საკვაბუკო“). მაგრამ, ნიშნავს კი „საკვაბუკო“ რაინდობას და სიამაყეს? გამორიცხული არ არის, რომ ტექსტი აქაც დამახინჯებული

ამის შედეგ, ვფიქრობთ, თაქამდ შეიძლება ეპითაღმწერლის ტექსტში სათანადო კორექტივის შეტანა. დასავლეთ საქართველოდან გადმოსულ რუსუდანსა და მის ვაჟს დავითს „წინამიეგებნეს შანშა, ავაგ და ეგარსლან, რომელი თათართა დიდად პატივითა შეეწყნარა არართა ნიჭითა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი, შოთაკუპარი...“ და ა. შ.

ეპითაღმწერლის თხზულების მეცნიერული ტექსტის დასადგენად კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო. მართალია, უკანასკნელი 15—20 წლის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით, მაგრამ არაერთი დამახინჯებული, ბუნდოვანი თუ ნაკლული კონტექსტი ჭერაც ელოდება მკვლევარს. როგორც აღინიშნა, საისტორიო ტექსტების დადგენის საქმეში წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი საწინდარია სწორად შემუშავებული ზუსტი მეთოდოლოგია. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ძირითადი ტექსტოლოგიური მოთხოვნა გარკვეულია — ეპითაღმწერლის ტექსტის დასადგენად საფუძვლად უნდა იქნეს აღებული „ქართლის ცხოვრების“ პირვანდელი რედაქციის ერთ-ერთი უძველესი, კერძოდ, მარიამისეული ნუსხა. იმის გამო, რომ „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგამდელი რედაქციის შედგენილი ნუსხები (მარიამისეული, მცხეთურის პირი, მაჩაბლისეული, თეიმურაზისეული) ერთი არქეტაიდან მომდინარეობს და ძირითადად ერთნაირ ტექსტს შეიცავს⁸⁰, მართო ამ ხელნაწერთა საფუძვლებზე ვერ მოხერხდება თხზულების ყველა წაყვნილი ადგილის გამართვა. ამიტომ ტექსტოლოგს ხშირად მოუხდება ვახტანგისეული რედაქციის ნუსხების გამოყენებაც. ოღონდ თითოეული განსხვავებული სიტყვა ტექსტში შეტანამდე საგულდაგულოდ უნდა შემოწმდეს და ყო-

იყოს. პ. შურადიანის სომხური თარგმანის მიხედვით, გამრეკელი ეგარსლანს ჰვავდა ახალგაზრდობით, სიკაბუკით (Իկავ խամսնակսպուրսին (1207—1318). Խարգմանուկույն Պ. Մուսադյանի, სეხლინი, 1971, გვ. 88. სომხურ თარგმანში ჩვენთვის საინტერესო ადგილების შემოწმებისათვის ზ. ალექსიძეს მადლობას მოვახსენებთ).

⁸⁰ საუბრე კაკაბაძემ „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ტექსტოლოგიური ანალიზის შედეგად დაასკვნა, რომ პირველი სამი ხელნაწერი ერთი დენდიდან, კერძოდ, მცხეთური „ქართლის ცხოვრებიდან“ არის გადაწერილი (С. С. К а к а б а д з е, Установление критического текста начальной части «Картлис цховреба» — «Палестинский сборник», 15 (78), 1966, с. 174). ამავე რედაქციით არის შესული ეპითაღმწერლის თხზულება თეიმურაზისეულ ნუსხაშიც, რომელიც კომისიის მიერ რედაქტირებულ ტექსტს შეიცავს, მაგრამ თამარის ცხოვრების მეორე ნახევრიდან მოკიდებული „ქართლის ცხოვრების“ აღრინდელ ტექსტს იმეორებს.

ველმხრივ გაისინჯოს ისტორიულად და ფილოლოგიურად. როგორც დაერწმუნდით, ვახტანგის კომისიას არცთუ იშვიათად საკმაოდ თავისუფლად შეუცვლია, გადაუხსნავაფერებია ან სხვაგვარად გაუზარებია ტექსტი: ერთგან სიტყვები ან მთელი ფრაზები დაუკლია, სხვაგან მიუმატებია ფა ა. შ. ზემოთ მოტანილი მაგალითები თვალნათლივ მოწმობენ, რომ თუ ვახტანგისეული რედაქციის ნუსხათა ჩვენებებს ძველ რედაქციასთან შედარებით უპირატესობას მივანიჭებთ ან, თუნდაც, თანაბარი უფლებით გამოვიყენებთ, მიიღება შერეული, მოზაიკური ტექსტი. ეს უკვე არ იქნება არც ძველი რედაქცია და არც სწავლულ კაცთა კომისიის მიერ დადგენილი ტექსტი. ასეთ ნარევე ტექსტში, როგორც ვნახეთ, ავტორის აზრები და შეხედულებანი ზოგჯერ სწავლულ კაცთა თვალსაზრისით შესაბამისად არის შეცვლილი და გადაკეთებული⁵¹.

ყამთაღმწერლის ტექსტის მძიმე მდგომარეობის გამო, ცალკეულ შემთხვევებში ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია აგრეთვე ზოგიერთი სხვა წყაროს მოშველიებაც და მისი ჩვენებების მიხედვით დაჰახინჯებული და გაურკვეველი ადგილების გამართვა. ოღონდ ყოველი ასეთი გასწორება, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ ნუსხათა ჩვენებით არ იქნება შემაგარებული, საგანგებო კრიტიკის ობიექტი უნდა გახდეს, დამაჯერებლად უნდა იყოს არგუმენტირებული და ყოველმხრივ დასაბუთებული როგორც ტექსტობრივად, ისე ისტორიულადაც.

НЕСКОЛЬКО НАБЛЮДЕНИЙ НАД ТЕКСТОМ ГРУЗИНСКОГО АНОНИМНОГО ИСТОРИКА XIV ВЕКА

Резюме

В последние годы заметно активизировалась работа в области источниковедения истории Грузии. Наряду с изучением конкретных источниковедческих вопросов, приз-

⁵¹ ეს რა თქმა უნდა, სრულადაც არ ნიშნავს, კომისიის საქმიანობის შედეგების შეუფასებლობას ან მისდამი უნდობლობას. ყამთაღმწერლის თხზულების ბევრი შერყენილი ადგილის გასწორება მხოლოდ ვახტანგისეული ნუსხების საფუძველზე ხერხდება.

нано необходимым более глубокое изучение письменных памятников, издание и переиздание важнейших исторических источников, в том числе и сочинений летописного свода «Картлис цховреба». В этой связи одной из неотложных задач грузинских источниковедов стала разработка вопросов методики научной публикации текстов исторических сочинений.

В работе рассмотрен вопрос об установлении критического текста сочинения грузинского анонимного историка XIV века. Труд дошел до нас в двух редакциях. Первоначальный текст, сильно искаженный переписчиками, сохранился в четырех списках «Картлис цховреба» XVII — первой половины XVIII вв. (в списке царицы Марии, копии мцхетской рукописи, списках Мачабели и Теймураза). Все они содержат одинаковый текст, восходящий к одному архетипу. Текст сочинения, отредактированный в начале XVIII века комиссией, созданной царевичем Вахтангом, местами существенно отличается от первоначальной редакции: опущены некоторые малопонятные предложения, выполнены значительные лакуны текста, добавлены новые фразы, заменены отдельные слова и выражения и т. д.

В соответствии с общепринятыми принципами издания исторических источников при установлении текста сочинения анонимного историка XIV века за основу следует взять древнейший список первой редакции «Картлис цховреба» — список Марии (переписанный между 1634—1645 годами), и по разночтениям списков той же редакции исправить непонятные места. Если отдать предпочтение вахтанговским спискам или использовать их наравне со списками древней редакции, получится смешанный текст, который никогда реально не существовал. К вахтанговским спискам текстолог должен обратиться лишь в тех случаях, когда по спискам древней редакции невозможно восстановить то или иное сильно искаженное место текста. Выдвинутые общие положения о научной публикации текста сочинения историка XIV века иллюстрированы в статье конкретным материалом.

По словам анонима, бежавшая в Западную Грузию царица Русудан, убедившись в бесполезности борьбы с монголами, решила вступить с ними в соглашение. Когда после коротких переговоров Русудан и ее сын Давид вернулись в Восточную Грузию, их «встретили Шанше Аваг, с большим почетом принятый татарами, лишенный мужских способностей и нрава, Шота Купар» и т. д. Из этих слов невозможно понять кто был в большом почете у завоевателей и кто был лишен мужских способностей и нрава. Одни считали им ампрспасалара и атабага грузинского государства Авага Мхаргрдзели, другие эристава Эрети Шота Купри. Однако, надо сказать, что отношение историка к названным лицам не дает никакого основания, чтобы одному из них приписать столь нелестную характеристику. Он всегда с уважением отзывается об Аваге и Шота.

Рассказ о возвращении Русудан в Восточную Грузию имеется и в «Истории Грузии» Парсадана Горгиджанидзе (XVII в.). В основном повторяя сведения историка XIV века, Горгиджанидзе среди встречающих Русудан и Давида после Авага называет Эгарслана. Если учесть эту поправку к тексту сочинения анонимного историка, получится, что с большим почетом принятый монголами и лишенный мужских способностей и нрава был эристава Кахети Эгарслан Бакурцихели. В сочинении анонима неоднократно говорится, что Эгарслан был сильно возвеличен, что все жители и вельможи Грузии подчинялись ему, что он даже помогал царствованию. Такого привилегированного положения Эгарслан мог добиться только при активной поддержке завоевателей. Что касается слов — «лишенный мужских способностей и нрава», они означают, что человек, которому они адресованы, не отличался мужеством и отвагой, был плохим полководцем. Подобная характеристика целиком соответствует личным качествам Эгарслана, т. к. анонимный историк XIV века сообщает, что тот был красноречив, но не обладал способностями к военному делу, что он был удивительным человеком, но не знал военного дела. Таким образом, в рассмотренном отрывке летописец поведал нам, что в первый период монгольского владычества в Грузии,

при деятельной поддержке завоевателей, во главе государства оказался всеильный и предприимчивый временщик, который хоть и обладал даром красноречия, но совсем не разбирался в военном деле.

Члены комиссии Вахтаंगा, не разобравшись в обстановке, вопреки словам историка XIV века, наделили Эгарслана чертами отменного воина и славного полководца. В последнем издании текста памятника принята конъектура комиссии, в результате чего радикально изменена авторская характеристика Эгарслана Бакурцихели.

უამთაღმწერლის თხზულების ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი*

XIV საუკუნის ქართველი უსახელო ისტორიკოსის თხზულების ტექსტმა, გადაწერათაგან დაშვებული მრავალი შეცდომის გამო, დამახინჯებული სახით მოაღწია ჩვენამდე და, ა. შანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დიდი ცოდნა, შრომა და გამჭრიახი გონებაა საჭირო, რომ... ტექსტი სათანადოდ შესწორდეს და გაიმართოს“¹.

უამთაღმწერლის თხზულების პირვანდელი რედაქცია შემონახულია „ქართლის ცხოვრების“ ნარიაამისეულ, „მცხეთურ“, თეინუ-რაზისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებში. ოთხივე დასახელებული ნუსხა არსებითად თხზულების ერთნაირ ტექსტს შეიცავს, რომელიც ერთი არქეტიპიდან მომდინარეობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ამ ნუსხების მიხედვით შეუძლებელია თხზულების დამახინჯებული ადგილების შესწორება და მეცნიერულად გამართული ტექსტის დადგენა.

დიდი მუშაობა გასწია „ქართლის ცხოვრების“ შევსებასა და რედაქტირებაზე ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიამ. უამთაღმწერლის ტექსტის ბევრი შერყენილი და ბუნდოვანი ადგილი კომისიამ შეასწორა და გასაგები გახადა². მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ სწავლულმა კაცებმა ვერ შეძლეს ყველა დამახინჯებული წინადადებისა თუ გამოთქმის გასწორება, ამიტომ ზოგი სულ გამოტოვეს, ზოგიც სხვაგვარად გაიაზრეს და ისე შეიტანეს შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“, ადგილ-ადგილ ახალი სიტყვებიც ჩაუმატეს და ა. შ.

* პირველად დაიბეჭდა 1976 წელს (ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლის-თავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 286—292).

¹ ა. შანიძე, დღევანდელი ვითარება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში, „მნათობი“, 1965, № 10, გვ. 116—117 (მეცნიერის სიტყვები ეხება მთლიანად „ქართლის ცხოვრებას“ და, საერთოდ, XV—XVII საუკუნეებში გადაწერილ ისტორიულ თუ ლიტერატურულ ძეგლებს).

² რასაკვირველია, ყველა განსხვავება, რაც „ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქციის დღეს ცნობილ ნუსხებსა და ვახტანგისეულ რედაქციას შორის არსებობს, კომისიას არ მიეწერება. როგორც ირკვევა, ბევრი რამ „ქართლის ცხოვრების“ ჩვენამდე არმოღწეულ ნუსხათა ჩვენებას ემყარება.

თანამედროვე ტექსტოლოგიის მოთხოვნათა შესაბამისად ჟამთააღმწერლის თხზულების (ისევე როგორც ძველი ციკლის „ქართლის ცხოვრების“ სხვა ძეგლების) ტექსტის დადგენისას საფუძვლად უნდა იქნეს აღებული პირვანდელი რედაქციის შემცველი ერთ-ერთი უძველესი ნუსხა, კერძოდ, მარამისეული ხელნაწერი. მისი მცდარი თუ ბუნდოვანი ადგილების გასაწორებლად პირველ რიგში უნდა მოვიშველიოთ ამავე რედაქციის სხვა ნუსხებს კითხვასხვაობანი. ვახტანგისეულ რედაქციას კი ტექსტოლოგმა უნდა მიმართოს მაშინ, როცა აღრინდელი ნუსხები არ იძლევა ტექსტის გამართვის შესაძლებლობას³ (ასეთი შემთხვევები კი, თხზულების ტექსტის მძიმე მდგომარეობის გამო, არ იქნება იშვიათი). როცა „ქართლის ცხოვრების“ ნუსხათა (ვახტანგისეული რედაქციის ჩათვლით) საფუძველზე არ ხერხდება ტექსტის შესწორება, შესაბამისი კონტექსტის შინაარსის ანალიზით, ისტორიული ვითარების გათვალისწინებით, ზოგჯერ სხვა დამხმარე წყაროთა შედარებითი-ისტორიული შესწავლით უნდა აღვადგინოთ ცალკეული აშკარად მცდარი ადგილები, ე. ი. უნდა მივმართოთ ნაწილობრივ რეკონსტრუქციას. ოღონდ აღცილებელია, რომ ყოველი ასეთი გასწორება ტექსტისა, რაკი ის ნუსხების ჩვენებით არ იქნება შემაგრებული, საფუძვლიანად და დამაჯერებლად იყოს დასაბუთებული როგორც ტექსტობრივად, ისე ისტორიულადაც.

დ. ლიხაჩოვის აზრით, ნაწილობრივი რეკონსტრუქციის შედეგად მიიღება შერეული ტექსტი ისტორიული თხზულებისა, როგორც არასოდეს არსებულა⁴. მართლაც, ჩვენს შემთხვევაში, ნაწილობრივ აღდგენილი თხზულება ჟამთააღმწერლისა აღარ იქნება მარამისეული ნუსხის ტექსტი, მაგრამ ასევე ჯერ არ იქნება მისი პრაქტიკ⁵, თუმცა კი შედარებით უფრო ახლოს იქნება მასთან.

³ თუ ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებს უპირატესობას მივანიჭებთ, ან თუნდაც, აღრინდელი რედაქციის ნუსხებთან თანაბარი უფლებით გამოვიყენებთ, მივიღებთ შერეულ, მოზაიკურ ტექსტს. ეს არ იქნება არც პირვანდელი რედაქცია ჟამთააღმწერლის თხზულებისა და არც ვახტანგის კომისიის მიერ რედაქტირებული ტექსტი.

⁴ Д. С. Лихачев, Текстология. На материале русской литературы X—XVII вв., М.—Л., 1962, с. 451; Д. С. Лихачев, Текстология. Краткий очерк, М.—Л., 1964, с. 49.

⁵ ძირითადი ტექსტოლოგიური ტერმინების განმარტებისათვის იხ. С. Н. Азбелев, Текстология как вспомогательная историческая дисциплина, — «История СССР», 1965, № 6, с. 91—103.

ეპოქა აღმწერლის თხზულების (ისევე როგორც ბევრი სხვა ქართული საისტორიო ძეგლის) ტექსტის მძიმე მდგომარეობის გამო ასეთი ნაწილობრივი აღდგენა არათუ დასაშვებია, აუცილებელიც არის. მით უნეტაჲს, რომ ბევრ საბჭოთა წყაროთმცოდნეს ნაწილობრივი რეკონსტრუქცია ტექსტისა მეცნიერული პუბლიკაციის სახესებით მრავალბ ფორმად მიაჩნია⁶.

ზემოთ მოტანილი ზოგადი მსჯელობის საილუსტრაციოდ ჩვენს წერილში წარმოდგენილია განმარტება და აღდგენა რამდენიმე ისეთი ბუნდოვანი ადგილისა, რომლებიც საერთოდ გამოტოვებულა. შევსებული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში.

• • •

ჩინგიზ-ხანის დროს არ დაშთავრებულა შუა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობა. ამიტომ მისმა ვაჟმა და მეშვიდრემ უკედემ (1229—1241) ტახტზე ასვლისთანავე ორმოცათასიანი ლაშქარი გამოგზავნა: ირანში ჩორმაღან ნოინის საარდლობით⁷. ამ ლაშქრობაში ჩორმაღანს თან ახლდნენ სხვა მონღოლი ამირებიც, დუშენებისა და ათასეულთა მეთაურები⁸.

⁶ А. А. Зими н, О приемах научной реконструкции исторических источников X—XVII вв.—«Исторический архив», 1956, № 6; С. Н. Азбелев, Текстология как вспомогательная историческая дисциплина, с. 103—106. ს. შმიდტი ისტორიული წყაროს ტექსტის რეკონსტრუქციის დროს შესაძლებლად თვის მეცნიერული პროვოზირების ელემენტების გამოყენებასაც კი. ოლონდ, რა თქმა უნდა, რეკონსტრუქციის დროს აუცილებელია მაქსიმალურად ზუსტი მეთოდის გამოყენება (С. О. Шмидт, Современные проблемы источниковедения. — Сб. Источниковедение. Теоретические и методические проблемы, М., 1969. с. 44, 45).

⁷ Рашид ад-Дин, Джамн ат-таварих, т. I, ч. I. Критический текст А. А. Ромаскевича, Л. А. Хетагурова, А. А. Ализаде, М., 1965, с. 150—151; Рашид ад-Дин, Сборник летописей, т. I, кн. I. Перевод с персидского Л. А. Хетагурова, М.—Л., 1952, с. 98—99. სხვა ადგილას რაშიდ აღ-დინი მხოლოდ 30 ათას მუომარს ასახელებს (Djami el-tévarikh... par Fadi Allah Raschid ed-Din. Ed. par M. Blochet, t. II, Leyden-London, 1911, p. 18; Рашид ад-Дин, Сборник летописей, т. II. Перевод с персидского Ю. П. Верховского. М.—Л., 1960, с. 20—21).

⁸ Рашид ад-Дин, Джамн ат-таварих, т. I, ч. I, с. 151—157; Рашид ад-Дин, Сборник летописей, т. I, кн. I, с. 99—101; გრიგოლ აკანელი, მოისართა ტომის ისტორია, ნ. შოშიაშვილის გამოც., თბ., 1961,

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ „ვითარ ცნა სრულიად ლტოლვა სულთან ჯალდინისა, მოუწოდეს ოთხთა ერას მთავართა, რომელთა ნოინობით უკმობენ, სახელით ჩორმელნონსა უპირველესა, და მეორესა ჩალადს, არყან ჩალტსა, არამედ ნიონსა ჩალტას, იოხურსა, ბიჩორსა. ათი ათას-ათასი კაცი მოსციეს დედაწულითა მათითა და წარმოავლინეს ძებნად სულტნისა“⁹.

ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვითაც, „სცნეს ძნათა¹⁰ სულთან ჯალდინის ყოფნა თბილს ქალაქს, უბრძანეს ერის მთავრათ, რომელსაც ნოინობით იხმობდნენ, საპკლად ჩორმოლანს პირველსა, მეორეს ჩალტას, არღან და ჩალტა ნონის, და იუსურს, ბაიჩურს“¹¹.

ჟამთააღმწერლის სიტყვები — „არყან ჩალტსა, არამედ ნიონსა ჩალტას“¹² ვახტანგის სწავლულ კაცებს გაუგებარი ეჩვენათ და სულ არ შეიტანეს შეგებულ „ქართლის ცხოვრებაში“¹³. როგორც ჩანს, კომისიის გავლენით, ს. ყაუხჩიშვილმაც ამოიღო ეს სიტყვები ჟამთააღმწერლის თხზულებიდან¹⁴.

რადენადაც ზემოთ მოყვანილი წინადადება არის ძველი „ქართლის ცხოვრების“ ყველა ნუსხაში და ფ. გორგიჯანიძის მიერ გამოყენებულ ხელნაწერშიც ყოფილა, მისი უბრალოდ ამოღება ტექსტიდან არ შეიძლება. ტექსტოლოგმა უნდა სცადოს ფრაზის ბუნდოვანი შინაარსის ამოხსნა და, ამის შესაბამისად, მისი აღდგენაც.

გვ. 15—16; Из истории Вардана. — В кн: История монголов по армянским источникам, вып. II, Перевод К. П. Патканова, СПб., 1873, с. 5—6; Ки-ракос Гандзакечи. История. Перевод с древнеармянского Т. Тер-Григорьяна, Баку, 1946, с. 122—123, 128, 138.

⁹ ქართლის ცხოვრება, მარამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის გამოც., ტფ., 1906, გვ. 589.

¹⁰ იგულისხმებოან ჩინგიზ-ხანის ვაჟიშვილები.

¹¹ ფ. გორგიჯანიძე, საქართველოს ცხოვრება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ე. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწ. № 2140, ფ. 44v.

¹² ეს ფრაზა, უმნიშვნელო სხვაობით, ასევე ბუნდოვანია „ქართლის ცხოვრების“ მცხეთური ნუსხის პირში, თეიმურაზისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებშიც.

¹³ „და ვითარ ცნეს სრულიად ვაქცევა სულთან ჯალდინისი. უთხრა ერისთავთა მთავართა, რომელსა ქართველნი ნოინობით უხმობენ. პირველსა სახელი ქარმლან, მეორისა ჩალატარ, მესამისა იოსერ და მეოთხისა ბიჩუს“ (ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთატხრამეტე საუკუნემდის, I, მ. ბროსეს გამოც., სპბ. 1849, გვ. 358).

¹⁴ ქართლის ცხოვრება, II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 184. გამოშვების აზრით, „ჩალადს არყან“ უნდა ნიშნავდეს „ჩალადარ ყანს“ (იქვე).

უნდა ითქვას, რომ ამჯერად ეს ამოცანა საკმაოდ იოლია და არ ნოითხოვს დიდ შრომას. რამდენადაც ჩვენს ავტორს ადრე ორჯერ ჰყავდა ნახსენები ჩინგიზ-ხანის მგორე ვაჟი ჩალათაი¹⁵, იგი აფრთხილებს მკითხველს, რომ ამჯერად საუბარია სხვა პირზე, ჩალათაი ნოინზე¹⁶.

ამგვარად, სულ მცირე, სავსებით გამართლებული ჩარევის შედეგად, ჩვენთვის საინტერესო ფრაზა შემდეგნაირად გაიმართება: „და მეორესა, ჩალათას, არა ყანა¹⁷ ჩალათას, არამედ ნოინსა ჩალათას“. ამ სახით უნდა შევიღეს ის უამთაღმწერლის თხზულების მეცნიერულად დადგენილ ტექსტში.



სანამ ჰულაგუ-ხანი ირანში მოვიდოდა ლაშქრით და აქ დაიპყრებდნენ ულუსს, ილხანთა სახელმწიფოს შექმნიდა, აქაურობას ადრე განოგზავნილი, ზემოთ ხსენებული მონღოლი ნოინები განაგებდნენ. უამთაღმწერლის სიტყვით, მათში „თაჰჩათა¹⁸ ნოინთა ოთხთა მიერ განეგებოდა ქვეყანა საბრძანებელისა მათისა... ვითარცა ძალთა ოდესმე, შემდგომმა¹⁹ საკადრებელისა რიმოსისა და რომოისონთა²⁰ ქვეყანათა განაგებდეს ოთხნი პატიოსანი“²¹.

როგორც ვხედავთ, ზოგიერთი სიტყვა აქ აშკარად დამახინჯებულია, ხოლო ტექსტი მთლიანად საკმაოდ ბუნდოვანია. შიში აღ-

¹⁵ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 163, 181.

¹⁶ როგორც ჩანს, ასეთი ვაფრთხილება არ იყო უსაფუძვლო. გრიგოლ აცნეცის, მავალითად, აშკარად ერევა ერთმანეთში ჩალათაი ყენი და ჩალათაი ნოინი. უფრო ზუსტად, მან გააერთიანა ეს ორი პირი („ჩალათა, რომელსაც ლანი ეწოდა,“ — გრიგოლ აკანელი, მოისართა ტომის ისტორია, გვ. 16; «Чагатай, названный Ханом», — История монголов инок Магакин. Перевод и объяснения К. П. Патканова, СПб., 1871, с. 12).

¹⁷ ფ. გორგიჯანიძესა და სწავლულ კაცებთან გვხვდება „ყენი“, მაგრამ, როგორც ჩანს, უამთაღმწერლის ტექსტში „ყანი“ ეწერა, რადგან „ქართლის ცხოვრების“ ყველა ვახტანგამდელი ნუსხა ამ ფორმას ადასტურებს.

¹⁸ ამ ტერმინის შესახებ იხ. რ. კიკნაძე, რამდენიმე აღმოსავლური ტერმინი უამთაღმწერლის თხზულებაში. — „აღმოსავლური ფილოლოგია“, III, თბ., 1973, გვ. 86—89.

¹⁹ თეიმურაზისეულ ნუსხაში — შემდგომად.

²⁰ თეიმურაზისეულ ნუსხაში — რომოსიონთა.

²¹ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 647.

დგენა სცადა ჭერ კიდევ ვახტანგის კომისიამ, რომელმაც შეესებულ „ქართლის ცხოვრებაში“ შემდეგი სახით შეიტანა ეს ნაწყვეტი: „რამეთუ პირველ მათ თამჩთა ოთხთა ნოინთა მიერ განეგებოდა ქვეყანა საბრძანებელსა მათისა..., ვითარცა ძველ ოდესმე იონთა ქვეყანასა და რომს გააგებდეს ოთხნი ვპატოსნი“²².

ამგვარად, კომისიამ ზოგიერთი ჩიტყვა გაასწორა (ძალთა — ძველ, პატიოსანი — ვპატოსნი), გაუგებარი „შემდგომად საკადრებელისა რიმოსისა და“ — სულ გამოტოვა, ხოლო „რომოსიონთა“ ორად გაპყო.

ივ. ჭავჭავიძემაც ამჯობინა მრავალწერტილით აღენიშნა გაუგებარი სიტყვები, ხოლო „რომოსიონთა“ ასევე ორად გაპყო და შემდგენაირად გამართა ფრაზა: „ვითარ ძველთა ოდესმე... რომისა [და ი]ონთა ქუეყანათა განაგებდეს ოთხნი ვპატოსნი“²³ ს. ყაუხჩიშვილმა „ქართლის ცხოვრების“ ძველი ნუსხების საფუძველზე ტექსტში დატოვა ჩვენთვის საინტერესო სიტყვები, მაგრამ იქაც კვლავ გაუგებარია, რას ნიშნავს — „შემდგომად საკადრებელისა, რომისა და რომოსიონთა ქუეყანასა განაგებდეს ოთხნი იპატოსნი“²⁴.

აღნიშნული ადგილი აქვს ფარსადან გორგიჯანიძესაც და სწორედ ის იძლევა გასაღებს ბუნდოვანი ტექსტის გასარკვევად და გაასწორებლად. კერძოდ, გორგიჯანიძე წერს: „ამას წინათ ეს საფეფო ოთხის ნონების კელთ იყო, ვითაც ძველთვე, შემდგომად სიკვდილისა რიმოსი, რომოსიანთა ქვეყანასა განდგეს ოთხნი იპატოსნი“²⁵. როგორც ვხედავთ, გორგიჯანიძე ადასტურებს ვახტანგის კომისიის ზოგიერთი განსხვავებული წაკითხვის სისწორეს (ძველ — ძველთვე, ვპატოსნი — იპატოსნი). მის მიერ დაშვებული შეცდომა — „განდგეს ოთხნი იპატოსნი“ — ადვილად სწორდება „ქართლის ცხოვრების“ ნუსხების მიხედვით: „განაგებდეს ოთხნი იპატოსნი“.

დაბოლოვს, რაც მთავარია, ირკვევა, რომ ძველი „ქართლის ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეულ ნუსხებში სიტყვა „საკადრებელისა“ დამახინჯებით არის შემონახული. უნდა იყოს „სიკვდილისა“. ამის შემდეგ გასაგები ხდება, რომ „რიმო“ ტოპონიმი კი არ არის,

²² ქართლის ცხოვრება, მ. ბროსეს გამოც., გვ. 380.

²³ ივ. ჭავჭავიძე, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 258.

²⁴ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 223.

²⁵ ფ. გორგიჯანიძე, საქართველოს ცხოვრება, დასახ. ხელნაწერი, გვ. 59v.

არამედ ადამიანის სახელია და, ალბათ, რომის დამაარსებელს რომულს აღნიშნავს. მთლიანად იხსნება აგრეთვე განსახილველი ნაწყვეტის შინაარსი: „ვითარ ძეულთა ოდესმე, შეემდგომად სიკვდილისა რიშოსა, რომოსიონთა ქუეყანათა განაგებდეს ოთხნი იპატონნი“.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ესამთაღმწერელმა კარგად იცოდა ძველი რომისა და საბერძნეთის ისტორია²⁶. მაგრამ ამ შემთხვევაში მას ზოგიერთი უზუსტობაც აქვს დაშვებული. კერძოდ, 1. თუ „რიშო“ მართლაც რომულია²⁷, მისი სიკვდილის შემდეგ არ გადაშენებულა ძველ რომში მეფობა. პირიქით, რომულით იწყება რომში შვიდი ლეგენდარული მეფის პერიოდი (ძვ. წ. აღ. 754/753—510/509), რომელიც წთავრდება ტარქვინიუს ამაყის განდევნით²⁸. 2. მეფობის მოსაპობის შემდეგ რომს განაგებდა არა ოთხი, არამედ თითო წლით არჩეული ორ-ორი კონსული²⁹ (ს. ყაუხჩიშვილის განმარტებით, იპატოსი იგივე კონსულია³⁰).



დავით ლაშას ძისა და დავით რუსუდანის ძისათვის მონღოლთა ყაენის მიერ საქართველოს მეფობის მიცემის შესახებ ესამთაღმწერელი მოგვითხრობს: „მაშინ ინება ყანმან ყუბილჳან, წარმოავლინნა ორნივე მეფენი ძმასა მისს ულუსა თანა და მიუმცნო

²⁶ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 257—258.

²⁷ არსებობს ვარაუდი, რომ თავდაპირველად რომის დამაარსებლად ლეგენდებში გამოყვანილი იქნებოდა ერთი პირი — რომო, ხოლო ტყუპი ძმების — რომულისა და რემის ლეგენდა მოგვიანებით განვითარდა (ალ. წერეთელი, ძველი რომი, I, თბ., 1957, გვ. 69).

²⁸ Т. Моммзен, История Рима, I, М., 1936, с. 233; ალ. წერეთელი, ძველი რომი, I, გვ. 73—83.

²⁹ Т. Моммзен, История Рима, I, с. 234—239; ალ. წერეთელი, ძველი რომი, I, გვ. 101—102.

³⁰ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 568.

ესრეთ, რათა, უკვე³¹ სთნდეს, ორთავე მისცეს მეფობა, რომელ ყოცა ულო³².

ჯერ კიდევ ივ. ჭავჭავიძემ შენიშნა, რომ ქართველი ისტორიკოსის ეს ცნობა არ დასტურდება სხვა წყაროებით³³. მართლაც, პლანო კარპინისა და ჭუევინის ცნობით, გუიუქ ყანმა (1246—1249) ტახტზე ასვლისთანავე საქართველოს მეფედ დაამტკიცა დავით ლაშას ძე, ხოლო მეორე დავითი მას დაუმორჩილა³⁴.

როგორც ირკვევა, შემთავლემწერილი ამ ვერსიასაც იცნობდა, მაგრამ არ იზიარებდა მას. მისი თქმით, „მოწვეულ არს ესეცა სიტყუა, რომელ სხუა ვინმე ყოველთა აღმწერელი“ იტყვის, ვითარმედ ყარაყურუმს ყოფასა ორთავე მეფეთასა გვეუნა³⁵ ესრეთ გაბჭო, რომე მეფობა ლაშას ძესა დაუმტკიცონ, და ესრეთ წარმოავლინა³⁷. ამის გამო ჩვენი ავტორი გადაჭრით აცხადებს, „მე არა შეივიწყნარებო ამას“, და დასძენს: „პირველად უწყოდეთ, რომელ ყანსა მას არა გაუყო და მან განუყვნა და ულოს მამასა, და მეფობა ორთავე მანგუყანის შვილმან ყუბლიყან მოსცა და ულოვ ყანისასა წარმოავლინა და მანცა ორთავე დაუმტკიცა მეფობა“³⁸.

³¹ ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში — უკეთუ.

³² ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 651.

³³ ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 132.

³⁴ პლანო კარპინი, ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ მონღოლებს ვუწოდებთ, თარგმნა გ. კიქოძემ. — „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1942, ნაკვ. II, გვ. 37; ჭუევინის ცნობები საქართველოს შესახებ, რ. კიქნაძის გამოც., თბ., 1974, გვ. 25. ასეთივე ცნობა აქვს რაშიდ აღდინსაც (Djami el-tévarikh... par Fadl Allah Rashid ed-Din, p. 247; Р а ш и д - а д - Д и н, Сборник летописей, II, с. 120).

³⁵ ამ ყოველთაღმწერელის ვინაობის შესახებ სხვადასხვა ვარაუდი გამოთქმული (იხ. ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, III, 134—135; რ. კიქნაძე, შემთავლემწერლის სპარსული წყაროები. — „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“, II, თბ., 1962, გვ. 154—155).

³⁶ ივ. ჭავჭავიძემ ტექსტის „გვეუნა“ ალადგინა როგორც „გუაქქ ყანმა“ (ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 134). ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაშია — „გუ[იქქ] ყანმა“ (ქართლის — ცხოვრება, II, გვ. 226). ამ საერთოდ მართებული გასწორების გამო უნდა ითქვას, რომ საჭირო არ იყო ტექსტში ხელოვნურად გართულებული სახელის შეტანა, რადგან თვითონ შემთავლემწერთან. ამავე პირის სახელად გვხვდება „ქექქ“ (ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 606), რაც სპარსული كوك-დან უნდა იყოს მიღებული.

³⁷ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 651—652.

³⁸ იქვე, გვ. 652.

ეს ვრცელი ნაწყვეტი (მოწვეულ არს ესეცა — ორთავე დაუმტყიცა მეფობა) ვახტანგის კომისიამ საერთოდ არ შეიტანა შეკვებულ „ქართლის ცხოვრებაში“³⁹. როგორც ჩანს, ივ. ჯავახიშვილმაც ვერ შესძლო შერყენილი ფრაზის სათანადოდ გამართვა და ამჯობინა მრავალწერტილით აღენიშნა გაუგებარი სიტყვები⁴⁰. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში განსახილველი ნაწყვეტი მთლიანად არის დაბეჭდილი „ქართლის ცხოვრების“ ძველი ნუსხების მიხედვით, შეცვლილია მხოლოდ ზოგიერთი სიტყვის დაწერილობა (გვყუნა — გუ[მჟქ] ყაენმა, ყანსა — ყაენსა, მანგუყანის — მანგუ ყაენის, ყუბლიყან — ყუბილ ყაენმან, ულვო ყანისა — ულო ყაენისა)⁴¹. აქვე გამოცემული შენიშნავს, რომ სიტყვები — „რომელ ყაენსა მას არა გაუყო და მან განუყვნა და ულოს მამასა და მეფობა“ — მეტად შერყენილია⁴².

ანალოგიური თხრობა მეფობის მაძიებელი ორი ქართველი უფლისწულის შესახებ აქვს ფ. გორგიჯანიძესაც. ის წერს: „პირველად უწყოდეთ, რომე ყანს არ-გაყოფა ეწადა და არც მე და მანგუ ყაენი, ყუბალს, ჰალაქუს მამასა. მეფობა ორთავე, მანგუ ყაენის შეილმან ყუბარ ყაენმან მოსცა“⁴³. მართალია, ტექსტი აქაც საკმაოდ შერყენილია, მაგრამ შედარებითი ანალიზით ხერხდება ორივე კონტექსტის შინაარსის გარკვევა. კერძოდ, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გასაგები ხდება, რას ნიშნავს „ქართლის ცხოვრების“ ძველი ნუსხების „მან განუყვნა“. მთლიანად კი უამთაღმწერელი ამ ნაწყვეტში შემდეგს გვამცნობს: ამბობენ, თითქოს გუიუქ ყაენმა დავით ლაშას ძეს დაუმტყიცაო მეფობა. მე არ ვეთანხმები ამას. იცოდეთ, რომ გუიუქ ყაენს არ გაუყვია მათთვის მეფობა და არც მანგუ ყაენს, ყუბილაისა და ჰულაგუს მამას⁴⁴. მეფობა ორივეს მანგუ ყაენის შეილმა ყუბილაიმ მისცა.

³⁹ ქართლის ცხოვრება, მ. ბროსეს გამოც., გვ. 382. მ. ბროსემ თეიმურაზისეულო ნუსხის მიხედვით სქოლიოში დაბეჭდა კომისიის მიერ გამოტოვებული ნაწყვეტის ტექსტი (იქვე, შენ. 2).

⁴⁰ „პირველად უწყოდეთ, რომელ... მეფობა ორთავე მანგუ ყაენის შეილმან ყუბილაყან მოსცა“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 135).

⁴¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 226.

⁴² იქვე, შენ. 4.

⁴³ ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 60 რ.

⁴⁴ სინამდვილეში მანგუ, ყუბილაი და ჰულაგუ ძმები იყვნენ, ჩინგიზ-ხანის უმცროსი ვაჟის, თულის შვილები.

ამის შემდეგ უკვე ძნელი არ არის ეამთაღმწერლის ტექსტის რეკონსტრუქცია: „პირველად უწყოდეთ, რომელ ყანსა მას არა გაეყო და არც მანგუ ყანსა, ყუბილის და ულოს მამასა“ და ა. შ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ შავესი შესწორებები თამამად შეიძლება შეტანილ იქნეს თხზულების ტექსტში, რადგან ისინი ემყარება არა შიშველ ვარაუდს, არამედ სავსებით სანდო დამხმარე წყაროთა ჩვენებას და დამაჯერებელ მეცნიერულ არგუმენტაციას.

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ УСТАНОВЛЕНИЯ ТЕКСТА СОЧИНЕНИЯ ГРУЗИНСКОГО АНОНИМНОГО ИСТОРИКА XIV ВЕКА

Р е з ю м е

-В грузинской историографии неоднократно отмечалось, что текст сочинения грузинского анонимного историка XIV века, из-за ошибок допущенных переписчиками, дошел до нас в сильно искаженном виде. Все списки, содержащие древнюю редакцию сочинения восходят к одному архетипу и фактически содержат одинаковый текст. Поэтому по раз-почтениям только этих списков невозможно исправить все непонятные места текста.

Из существующих типов публикации письменных источников И. А. Джавахишвили для грузинских исторических сочинений наиболее приемлемым считал научную реконструкцию текста. Если принять во внимание тяжелое состояние текстов древней редакции «Картлис цховреба», то восстановление их первоначального вида, освобождение от поздних вставок и исправление ошибок переписчиков надо считать первой обязанностью текстолога.

К сожалению, полная реконструкция текста сочинения историка XIV в. представляется неосуществимой, хотя бы по той причине, что в нем имеются значительные лакуны, восполнить которые в настоящее время невозможно. Поэтому не следует отказываться от частичной реконструкции, т. к.

это все-таки будет иметь значение для восстановления первоначального авторского текста.

Большую работу проделала для исправления и редактирования сочинений «Картлис цховреба» комиссия, созданная царевичем Вахтангом. В частности, члены комиссии исправили многие искаженные места сочинения анонимного историка XIV века. Однако, следует отметить также, что комиссия не смогла выправить все испорченные места, поэтому некоторые отрывки были переосмыслены, а некоторые — опущены.

В работе дается разъяснение и восстановление нескольких искаженных и непонятных мест сочинения историка XIV века, с исправлением которых не справилась вахтанговская комиссия и предпочла совсем исключить их из текста.

ერთი გეოგრაფიული სახელის განმარტებისათვის ჟამთააღმწერლის თხზულებაში*

XIV საუკუნის ქართველი უსახელო ისტორიკოსის, ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მათიანე“ საყურადღებო წყაროა XIII—XIV საუკუნეთა საქართველოს ისტორიის შესასწავლად¹. ამ თხზულების ღირსება კიდევ უფრო იზრდება იმის წყალობით, რომ მას მრავალი ორიგინალური ცნობა შემოუნახავს ამიერკავკასიის ქვეყნებს, კერძოდ, აზერბაიჯანისა და სომხეთის, და აგრეთვე ირანის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისთვისაც². ამასთან დაკავშირებით ქართველი ავტორის თხზულებაში ბევრი აღმოსავლური საგადასახადო თუ სამოხელეო ტერმინი, საკუთარი თუ გეოგრაფიული სახელი იხსენიება. ზოგ მათგანს, გვიანდელ გადაწერთა წყალობით, ისეთი დამახინჩებული სახით მოუღწევია ჩვენამდე, რომ ზშირად საკმაოდ ძნელი ხდება მათი პირვანდელი სახით აღდგენა. წინამდებარე წერილი ერთი ასეთი გეოგრაფიული სახელის განმარტებას ეხება.

ჟამთააღმწერელი რამდენიმეჯერ იხსენიებს რაღაც ადგილს საქოს, რომლის ლოკალიზება, იდენტიფიკაცია ან სწორად წაკითხვა, რამდენადაც ვიცით, არავის უცდია.

* პირველად დაიბეჭდა 1973 წელს („ქართული წყაროთმცოდნეობა“, IV, თბ., 1973, გვ. 36—40).

¹ ჟამთააღმწერლისა და მისი თხზულების შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თბ., 1945, გვ. 246—263; ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრების მეორე ტომის შედგენილობა. — წიგნი: ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 021—023; კ. გრიგოლია, ჟამთააღმწერელი და მისი თხზულების სამეცნიერო მნიშვნელობა. — „ქართული ისტორიოგრაფია“, I, თბ., 1968.

² იხ. ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის მასალები ჟამთააღმწერლის თხზულებაში. — კრებ.: მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ნარკვევები, თბ., 1965; რ. კიკნაძე, ჟამთააღმწერლის სპარსული წყაროები. — „კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული“, II, თბ., 1962; მისივე, ყორღოილაჯი — სულ — სულთანე. — კრებ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.

ყამთააღმწერელი მოგვითხრობს რომ სირიასა და ეგვიპტეში ლაშქრობიდან მობრუნებული ჰულაგუ-ხანი „მოიწია საზაფხულოსა სადგურსა თესსა აღატალს და მიერ საქოსა, და შერმე წარვიდა საზამთროსა ადგილსა, რომელსა აწ ყარაბაღობით და მულნობით უკმობენ“³.

ამის შემდეგ საქო კიდევ ორჯერ გვხვდება ყამთააღმწერელთან.

ილხანთა სახელმწიფოსა და ჩრდილოეთის ურდოს გაუთავებელი ბრძოლა და ტერიტორიული დავა ჰქონდათ ურთიერთშორის. ამ ბრძოლის ასპარეზი პირველ რიგში აზერბაიჯანი იყო⁴. ყამთააღმწერლის ცნობით, იმისათვის რომ თავი დაეცვა ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი შემოსევებისაგან, ჰულაგუმ შირვანში, მდინარე ჩალან-უსუნთან ააშენებინა სიმაგრე — სიბა, სადაც ყოველ ზამთარს მორიგეობდნენ მონღოლები და მათთან ერთად ქართველებიც⁵. („და ვითარ მოიწია სთუელი, წარვიდა ყაენი ქუეყანად შარვა [ნ] შასა, საზღვართა საქართველოსათა, ადგილსა, რომელსა უწოდებინ ჩალან-უსუნი, ესე იგი არს თეთრი წყალი, და შეკრეს [ლ]ობითა“

³ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 239—240 (ხაზგასმა აქაც და ქვემოთაც ჩვენსა).

⁴ ამ ბრძოლის შესახებ იხ. А. А. Али-Заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII—XIV вв., Баку, 1956, с. 300—330.

⁵ სხვა წყაროების მიხედვით, სიბა შირვანში ჰულაგუ-ხანის უფროს ვაჟსა და მეგვიდარეს აბალ-ხანს აუგია (P а ш и д - а д - Д и и, Джамы-ат-таварих, III, Баку, 1956, სპარს: ტექსტი, გვ. 104, რუსული თარგმანი, გვ. 69; К и р а к о с Г а н д з а к е ц и, История Армении. Перевод, предисловие и комментарий Л. А. Ханларян, М., 1976, с. 238; იქიდან — В кн.: История монголов по армянским источникам, I. Перевод и объяснения К. П. Патканова, СПб., 1873, с. 27. იხ. აგრეთვე, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 183—184; А. А. Али-Заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана, с. 321).

⁶ „ქართლის ცხოვრების“ ძველი და ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებშია „ჩალანუსური“ და „ობითა“. ასევეა ეს სიტყვები დატოვებული მ. ბროსეს და ე. თაყაიშვილის გამოცემებშიც (ქართლის ცხოვრება, დასაბამითაგან, მეათეხარამეტე საუკუნემდის, I, გამოცემა მ. ბროსესი, სპბ., 1849, გვ. 398; ქართლის ცხოვრება, მარამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის გამოც., ტფ., 1906, გვ. 689). „ჩალანუსური“ და „[ლ]ობითა“ ივ. ჯავახიშვილის კონიექტურებია (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 183). საინტერესოა აღინიშნოს, რომ X VII ს-ის ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე ადასტურებს ივ. ჯავახიშვილის ორივე კონიექტურას. იგი წერს: „და მოახლოვდა სთელის დრო, ყაენი შირვანს მივიდა, საზღვარსა საქართველოსასა, რომელსაც ქართველნი ჩაღოსანს ეძა-

წყლის პირი, რომელსა სიბად უწოდეს. რამეთუ გონებდა გამო-სლვასა ბერქა ყაენისასა. და ამათ ჟამითგან იწყეს სიბას ზედა დგო-მად თათართა და ქართველთა სთელითგან გაზაფხულანდღე და გაზა-ფხულ წარვადიან საზაფხულოთა სადგურთა⁷).

ერთ-ერთი ასეთი მორიგეობის ქაში რომ მოახლოვდა („ვი-თარ მოიწია სთუელი“), ჰულაგუ-ხანი სიბაზე წავიდა და ქართლის მფეფე დავით ლაშას ძეც იახლა. „მოიწია რა გაზაფხული, წარწოვი-და ყაენი საქოსა, და ძე მისი თანქუშ⁸ წარწოვიდა გელაქუნსა, რაწეთუ მას აქუნდა საზაფხულოდ სადგურად გელაქუნი“. მონღო-ლებთან ხანგრძლივად ყოფნით შექირვებული დავით ლაშას ძე შეეხვეწა ილხანის ვაჟს, ეშუანდგომლა მამასთან, როჲ იგი თავის ქვეყანაში გაეშვათ. უფლისწული დათანხმდა და კაცი გაგზავნა ილ-ხანთან, მაგრამ, „ვითარ მიიწივნეს საქორდ, ყაენი ულო აღსრულე-ბულ იყო“⁹.

ეს არის სულ, რასაც გვამცნობს ქამთაღმწერელი ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ გეოგრა-ფიული სახელი საქო ერთნაირად არის შემონახული „ქართლის ცხოვრების“ ძველი და ვახტანგისეული რედაქციების ნუსხებში. (ზნოლოდ თეიმურაზისეულ ნუსხაში ეს სახელი კიდევ უფრო მე-ტად არის შერყენილი — „სააქოსა“, „სააქოს“). როგორც ჩანს, ვახუშტი ბაგრატიონმაც ვერ შეძლო ამ სახელწოდების ახსნა და

ზიან და თურქნი აღსუ[ს] იტყვიან. იქ საზამთროთ ისადგურა და ლობით შვიკა წყლის პირნი“ (ფ. გორგიჯანიძე, საქართველოს ცხოვრება, საქართველოს მეც-ნიერებათა აკადემიის ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწ. H2140, ფ. 195v). ფ. გორგიჯანიძის საისტორიო თხზულების ავტორგრაფულ ხელნაწერში რამდენსამე ადგილას ჩაკერებულია ზედმეტი ფურცლები, სადაც განმეორებით რამდენადმე განსხვავებით არის გადმოცემული XIII საუკუნის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ეპიზოდი. ზემოთ მოტანილი ციტატა სწორედ ასეთი მეორე ვა-რიანტიდან არის აღებული. ძირითადი ტექსტი ცოტათი განსხვავებულია: „იქნა სთველი, წავიდა ყაენი შირვანს, აღსუზედ დაღვა, და გარეთ შემოივლეს თხრილი ღრმა და კიდევ შემოლობეს, რომელსაც სიბათ იქმობდეს“ (იქვე, ფ. 75r).

⁷ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 251.

⁸ რაშიდ აღ-დინის ცნობით, ჰულაგუ-ხანს თოთხმეტი ვაჟი და შვიდი ქალი-შვილი ჰყოლია (P a ш и д - а д - Д и н, Джамш-ат-таварих, III, სპარს. ტექსტი, გვ. 8, რუსული თარგმანი, გვ. 16). როგორც ჩანს, აქ იგულისხმება ჰულაგუს მე-ოთხე ვაჟი თექშინი, რომელიც 1271 წ. 12 სექტემბერს გარდაიცვალა (იქვე, სპარს. ტექსტი, გვ. 10, 140, რუსული თარგმანი, გვ. 17, 88).

⁹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 253.

აქობინა სულ გამოეტოვებინა იგი¹⁰. უცვლელად არის საქო გადატანილი „ქართლის ცხოვრების“ ფრანგულ თარგმანში და ეამთაღმწერლის თხზულების სომხურ თარგმანშიც¹¹.

ამავე დროს, ეამთაღმწერელს საქოს ზოგიერთი ისეთი ნიშანი აქვს გახაზული, რაც ადვილებს მისი სწორი ფორმის აღდგენას და ადგილმდებარეობის დადგენას. კერძოდ, ქართველი ავტორის ცნობებიდან ირკვევა, რომ საქო ილხანის საზაფხულო სადგომი ყოფილა და ჰულაგუ-ხანი იქვე გარდაცვლილა.

ცნობილია, რომ მონღოლი ილხანები მომთაბარულ ცხოვრებას ეწეოდნენ და წელიწადში რამდენიმეჯერ იცვლიდნენ ადგილსამყოფელს. ზამთარს ისინი უპირატესად ქალაქებსა და უფრო თბილ ადგილებში ატარებდნენ, ზაფხულობით კი მაღალმთიან იალალებს მიაშურებდნენ ხოლმე. განსაკუთრებით იზიდავდა ილხანებს აზერბაიჯანი, სადაც შედარებით თბილი ზამთარი იცის და კარგი საზაფხულო საძოვრებიც ბევრია¹².

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ილხანთა საზამთრო და საზაფხულო სადგომების შესახებ რაშიდ ად-დინი. იგი აღნიშნავს, რომ როცა ჰულაგუს უფროსი ვაჟი აბალა ილხანის ტახტზე დაჯდა (1265 წ.), სატახტო ქალაქად მან დაამტკიცა თავრიზი, საზაფხულო სადგომად აირჩია ალათალი და სიაჰქუჰი, ხოლო საზამთრო სადგომად — არანი და ბაღდადი, ზოგჯერ კი ჩალათუ¹³.

როგორც ვხედავთ, ეამთაღმწერლის მონაცემები ილხანის საზაფხულო სადგომების შესახებ მთლიანად ემთხვევა რაშიდ ად-დინის ცნობას. ამგვარაა, რომ საქო ქართველი ავტორის მიერ ტრანსფორმირებული და გადაწერათაგან დამახინჯებული სიაჰქუ-

¹⁰ ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., ტფ., 1885, გვ. 244, 248. გამოტოვებული აქვს ეს ტოპონომი იოანე ბაგრატიონსაც (იო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ისტორია ქართლისა, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწ. H2134, ფ. 671v, 676r—676v).

¹¹ Histoire de la Géorgie, trad. du géorgien par M. Brosset, I, SPb., 1849, p. 557, 571; ქრონოგრაფიისა და გეოგრაფიის (1207 — 1318), რუსთაშვილის მიერ. შიორაიასი, ხეივანი, 1971, გვ. 97, 116, 117.

¹² В. В. Бартольд, Историко-географический обзор Ирана. — Сочинения, т. VII, М., 1971, с. 206; А. А. Али-заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана, с. 317; Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский, И. П. Петрушевский, Л. В. Строева, А. М. Беленицкий, История Ирана с древнейших времен до конца XVIII в., Л., 1957, с. 188.

¹³ Рашид-ад-Дин, Джами-ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 102—103, რუსული თარგმანი, გვ. 68.

პია (ირანის აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, იგივე ყარადაღის მთები). ამ მოსაზრებას შესანიშნავად ადასტურებს ფარსადან გორგიჯანიძე. თავისი თხზულების იმ ნაწილში, ეამთა-აღმწერლის „ასწლოვანი მატეანის“ მიხედვით რომ აქვს გამართული, გორგიჯანიძე გვამცნობს: „ამ დროს დაბრუნდა ჰალაქუ-ხან მისრეთით განარჯვებული. და ქართველნი კარგად ყოფილიყვნენ წინაბრძოლათ შიგან. მოვიდნენ ალადაღის იელახსა, სიაქუს, იქიდამ ყარაბაღს ჩაეიდა საზამთროდ“¹⁴.

რაც შეეხება ეამთაღმწერელთან დამოწმებულ ორ დანარჩენ შემთხვევას „საქოს“ ხსენებისას, პართალია, ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ შესაბამის ადგილებში არ გვხვდება ეს გეოგრაფიული სახელი, მაგრამ, სანაგებროდ, XVII საუკუნის ისტორიკოსი თავის თხზულებაში ორჯერ ზედმეტად ახსენებს ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმს (როგორც ითქვა, ფ. გორგიჯანიძის საისტორიო თხზულების ავტოგრაფულ ხელნაწერში რამდენიმე ადგილას ჩაყრებულია ზედმეტი ფურცლები ე. წ. მეორე ვარიანტის ტექსტით. ერთ-ერთი ხსენება „საქოსი“ სწორედ ამ მეორე ვარიანტში გვხვდება). მოგვყავს სათანადო კონტექსტები ეამთაღმწერლისა და ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებებიდან (ამბავი ხდება დავით VII ლაშას ძის ძეუღლის, დედოფალ ჯიგდა-ხათუნის გარდაცვალებისა და დაკრძალვის შემდეგ¹⁵):

¹⁴ ფ. გორგიჯანიძე, საქართველოს ცხოვრება, ხელნაწერი H2140, ფ. 67 v. ამავე ეპიზოდის მეორე ვარიანტში „სიაქუ“ არ იხსენიება („და მეფეს ანბავი მოუვიდა, რომ უღაო ყვენი მისრეთით გამარჯვებული ალადაღს მოვიდაო, და ქართველნი ნამეტნავად კარგათ ყოფილანო, და მრავალი ნაშოვარიც უქნათო, და საზამთროდ არანსა და ყარაბაღში მოვიდაო“. — იქვე, ფ. 209 v).

¹⁵ ეამთაღმწერლის მიხედვით, ჯიგდა-ხათუნი თითქმის ჰულაგუს ილხანობის პერიოდში გარდაიცვალა, მაგრამ ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს ბევრად უფრო ადრე; დაახლოებით 1250 წელს უნდა მომხდარიყო (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 145—148, 340—341). საინტერესო, ორიგინალური ცნობებებია დაცული ჯიგდა-ხათუნის ვინაობის, ავადმყოფობისა და გარდაცვალების შესახებ იოანე ბაგრატიონის თხზულებაში (ი. ბაგრატიონი, ისტორია ქართლისა, დასახ. ხელნაწერი, ფ. 667r—667v, 670v).

მას ეამსა წარვიდა მეფე დავით ულო ყაენს წინაშე მულანს, რამეთუ იგი აქუნდა სადგურად საზამთროდ, და მიერ წარმოჰყვა სადგურსა საზაფხულოსა, და მუნით წარმოავლინა მეფე ქართლად (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 237).

ძირითადი ტექსტი¹⁶ და მეფე დავით წაბმან- და პალაქუ-ხანსთან¹⁷ სანახაეთ, გაზაფხულისა¹⁸ იელქახს¹⁹ წაიტანა და იქილამენ²⁰ გაისტუმრა ქართლს. (ხელნაწ. H 2140, ფ. 66r).

მეორე ვარიანტი [დავით] წავიდა მულანს ულო ყაენის სანახაეთ ზამთარში. გაზაფხულზედ ულო ყაენ[ი] სიაქუს ვილახათ წავიდა და მეფეც თან წაიყვანა და იქილამენ მრავლის მიცემითა და დიდის წყალობით ქართლს გაისტუმრა.

(ხელნაწ. H 2140, ფ. 208r).

არანაქლებ საინტერესოა ფარსადან გორგიჯანიძის მიერ სიაქუს შესამე ხსენება. ამჯერად ეს ტოპონიმი გვხვდება მისი თხზულებების, საკმაოდ ვრცელ ნაწყვეტში, რომელიც საერთოდ არ არის ჟამთააღმწერელთან²¹. დავით VIII დემეტრეა ძისა (1293—1311) და სადღუნ მანკაბერდელის შვილის ზეტლუბულას შორის მტრობისა და შუღლის აღწერასა გორგიჯანიძე აღნიშნავს, რომ ილხანი ქეილათუ (1291—1295) და მისი ამაღა „აიყარნეს თავრეზითა და სი-

¹⁶ ფ. გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ ლენინგრადულ H23 ნუსხაში, რომელიც ავტოგრაფული ნუსხიდან გადაუწერია ს. ტაბიყეს 1841—1843 წლებში, ხელნაწერის მფლობელს თეიმურაზ ბაგრატიონს ძირითადი და მეორე ვარიანტების შედარების საფუძველზე ზოგიერთი შესწორება შეუტანია ტექსტში.

¹⁷ სქოლიოში თეიმურაზის ხელით გაკეთებულია შენიშვნა: „მეორეს ალაგს ულო ყაენათ სწერა“ (H23, გვ. 144).

¹⁸ H23-ში სტრიქონს ზევით და აშიაზე ჩამატებულია: „სიაქუსს ულო ყაენი წავიდა“ (იქვე).

¹⁹ H23-ში სტრიქონს ზევით ჩამატებულია: „მეფე თან“ (იქვე).

²⁰ H23-ში სტრიქონს ზევით ჩამატებულია: „მრავლის მიცემითა და დიდის წყალობით“ (იქვე).

²¹ ჟამთააღმწერლისა და ფ. გორგიჯანიძის თხზულებათა დეტალური შედარებით გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როცა ჟამთააღმწერელთან თხრობა აშკარად ნაკლებია, ფარსადანს კი შემონახული აქვს სათანადო ეპიზოდები. როგორც ჩანს, გორგიჯანიძეს ხელთ ჰქონდა „ქართლის ცხოვრების“ ისეთი ნუსხა, რომელიც რიგ შემთხვევაში უფრო სრული და უკეთ შენახული იყო, ვიდრე ამჟამად ცნობილი ნუსხებია (ერთი ისეთი შემთხვევის შესახებ იხ. რ. კიკნაძე, ჟამთააღმწერლის თხზულების ერთი ადგილის შევსებისათვის. — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1971, № 4).

ანქოს შივიდნენ, სად იყო სადგომური დიდის ჰალაქუ-ხანისა, რომელიც სახლათ ჰქონებოდა ქაიხოსროვ კემწიფესა“²².

როგორც ჩანს, სიანქო უნდა მივიჩნიოთ სიაქუს პარალელურ კანონიერ ფორმად, რადგან გ ქ კ უკანაენისმიერებთან ნ-ს გაჩენა დამახასიათებელია ქართველური ენებისათვის²³, ხოლო უ და ო ძველქართულ ტექსტებში ხშირად ენაცვლება ერთმანეთს.

ამრიგად, ყამთააღმწერლის მიერ მოხსენიებული ს ა ქ ო იგივე ს ი ა ჰ ქ უ ჰ ი ა. გარკვეულია აგრეთვე მისი მიღების გზაც: სიანქუჰ — სიაქუ — სიაქო (სიანქო) — საქო.

რაც შეეხება ყამთააღმწერლის ცნობას ჰულაგუ-ხანის „საქოს“ (სიაჰქუჰს) გარდაცვალების შესახებ, აქ ქართველ ავტორს (ან მის წყაროს), როგორც ჩანს, შეცდომა აქვს დაშვებული. ყოველ შემთხვევაში, რაშიდ ად-დინის ცნობით, ჰულაგუ გარდაიცვალა საზამთრო სადგომში, მდინარე ჩალათუს ნაპირზე²⁴, 1265 წლის 8 თებერვალს²⁵.

²² ფ. გ ო რ გ ი ჟ ა ნ ი ძ ე, საქართველოს ცხოვრება, დასახ. ხელნაწერი, ფ. 101 v. სათხის და უზურაბეგ ოსთა რატი სურამელთან შეტაკების აღწერას ყამთააღმწერლის „ასწლოვანი მატინის“ ამჟამად ცნობილ ტექსტში მოსდევს თბრობა დავით დემეტრეს მის თუქალთან წასვლის შესახებ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 298). ამავე დროს, ტექსტზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ აქ ბევრი რამ გამოტოვებულია (ხუტლუბუღას სიკვდილით დასჯა, ქეილათუს მოკვლა, ბაილუს გაილხანება და ა. შ.). გორგიჯანიძისთან ეს ადგილი სრულად არის შემონახული და არაერთი საყურადღებო ცნობა დამატებით მოტანილი (იხ. რ. ე ე ნ ა ძ ე, ახალი მასალა XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის.—„მაცნე“, ისტორიის სერია, 1973, № 4).

²³ იხ. ს. ე ლ ე ნ ტ ი, ნ(II) ბგერათა განვითარების საფუძველი მეგრულ-ჭანურში ხშულმსკდომთა წინ.—საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. X, № 7, 1949.

²⁴ რაშიდ ად-დინის სიტყვით, ჩალათუს მონღოლები მდინარე ზარინერულს უწოდებდნენ (Рашид-ад-Дин, Джамин-ат-таварих, III, სპარს. ტექსტი, გვ. 90, რუსული თარგმანი, გვ. 62). ჰამდალაჲ ყაზვინი აღნიშნავს, რომ ეს მდინარე ქურთისტანის მთებიდან იღებს სათავეს, მარალს ელაიეთში მიედინება და არამოს ტბას (ტექსტში—„მლაშე ზღვას“) ერთვის. მისი სიგრძე ოცი ფარსანგია (The Geographical Part of the Nuzhat-al-Qulub composed by Hamd Allah Mustawfi of Qazwin. Ed. by G. Le Strange, GMS, XXIII, 1, Leyden-London, 1915, p. 223).

²⁵ Djami el-tévarith. Histoire générale du monde par Fadl Allah Rashid ed-Din. Ed. par. E. Blochet, GMS, XVIII, 1. Leyden-London, 1911, p. 139; Рашид-ад-Дин, Сборник летописей, II, М.—Л., 1960, с. 82; Рашид-ад-Дин, Джамин-ат-таварих, III, სპარს. ტექსტი, გვ. 93—94, რუსული თარგმანი, გვ. 63.

К РАЗЪЯСНЕНИЮ ОДНОГО ГЕОГРАФИЧЕСКОГО НАЗВАНИЯ В СОЧИНЕНИИ ГРУЗИНСКОГО АНОНИМНОГО ИСТОРИКА XIV ВЕКА

Резюме

В сочинении грузинского анонимного историка XIV века в связи с событиями правления Хулагу-хана (1256—1265) несколько раз упоминается топоним «Сако», идентификацию, локализацию или разъяснение которого никто еще не предлагал. Хотя местность под указанным названием неизвестна, в самом сочинении имеется достаточно материала, который дает возможность уточнить написание топонима и определить его местоположение.

На основании сообщения анонимного историка о том, что «Сако» было летним становищем ильхана, а также данных Рашид-ад-Дина, в работе установлено, что Сако — это трансформированный грузинским историком и искаженный переписчиками Сияхкух (в северо-восточной части Южного Азербайджана, тот же Карадаг). Это соображение подтверждает историк XVII века Парсадан Горгиджанидзе, сохранивший легкоузнаваемое написание топонима — Сиаку.

ჟამთააღმწერლის თხზულების ერთი აღბილის შეხვედრისათვის*

მონღოლური ულუსების პოლიტიკურ ორბიტაში მოქცეულ საქართველოს ხშირად წვდებოდა იქ მიმდინარე სხვადასხვა რიგის მოძრაობათა საკმაოდ მძლავრი ტალღა, რაც არცთუ იშვიათად არსებით გავლენას ახდენდა როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე ცალკეულ მოღვაწეთა ბედ-იღბალზე. მსგავს მოვლენათა შორის საინტერესო ჩანს ვინმე ლალღურის¹ მოქმედება საქართველოში XIII ს-ის 70-იან წლებში. ჟამთააღმწერლის მიხედვით, ხსენებული ლალღური დასავლეთ საქართველოში იწყობებოდა მეფე დავით VI ნარინთან. იქ ის და რაჭის ერისთავი კახაბერი „შეიზრაჩნეს“, რომ დავითს განდგომოდნენ და ილხან აბაღას ხლებოდნენ. შეთქმულებმა სიარულში მოიყვანეს განზრახვა და ჯავახეთის მთაზე ჰდგომი მონღოლი სარდლის აღინაყის შეწევნით ილხანის კარზე მივიდნენ. შემდეგ მათ დავით ნარინის შესაპყრობად მოწყობილ ლაშქრობაშიც მიიღეს მონაწილეობა². ამავე დროს, ქართველი ისტორიკოსის სიტყვებიდანვე ირკვევა, რომ ეს ლალღური არც აბაღას ხანის ერთგული კაცია. ჟამთააღმწერლის ცნობით, განაწყენებულ აბაღას ასეთი სიტყვებით მიუპარტავს თავისი ერთ-ერთი სარდლისათვის: „მეფე დავით ესეოდნთა განდგომილებას იქმს, მისა არა კმა

* პირველად დაიბეჭდა 1971 წელს („მაცნე“, ისტორიის სერია, 1971, № 4, გვ. 115—123).

¹ „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში ეს სახელი სხვადასხვანაირად არის შემონახული: ლალღურ, ალაღურ ალაღარ, აღღარ, ლალხურ, იალხურ, აღღურ (ვახუშტისთან — ალაღურ).

² ჟამთააღმწერელი. — წიგნში: ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარაჩტი, ე. თაყაიშვილის გამოც., ტფ., 1906, გვ. 712—713; ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 268—269.

იყოფს და ყოველთა განდგომილთა ჩვენთა თანა შეეწევის, ვითარ თეგუდარს³, და აწ ღალღურს⁴.

როგორც ვხედავთ ქამთაღმწერლის მონათხრობიდან გარკვევით არ ჩანს, საბოლოოდ ვისი მომხრეა და ვის ებრძვის ღალღური. თავის დროზე ივ. ჭავჭავიძე იკარაუდობდა, რომ „ღალღურ თუ იალღურ ყაენის განდგომილი მოწინააღმდეგე ყოფილა... დავით მეფეს კვლავ ყაენის მტრისა და აჯანყებულისათვის თავშესაფარი და სახიზნარი მიუტია“⁵. უკანასკნელ ხანს ამავე საკითხით საგანგებოდ დაინტერესდა ი. სიხარულიძე. იგი მივიდა დასკვნამდე, რომ „სინამდვილეში ეს პირი (ღალღური.—რ. კ.) უფრო განდგომილების ნიღაბს შეფარებული აგენტი ჩანს, ვიდრე საილხანოდან ჭეშმარიტად ღლღური პოლიტიკური დამნაშავე“⁶.

მკვლევრებმა ყურადღება მიაქციეს აგრეთვე საკითხსაც, თუ როგორ აღმოჩნდა ღალღური დასავლეთ საქართველოში. ამასთან დაკავშირებით ივ. ჭავჭავიძე აღნიშნავდა, რომ „იმ წყაროში, საითგანაც ქამთაღმწერელს თავისი ცნობები ამოულია, დასავლეთ საქართველოს შესახებ საგანგებოდ ყოფილა საუბარი და საფიქრებელია იქ საქმის მთელი გარემოებაც იქნებოდა მოთხრობილი, თუ როგორ მოხდა, რომ ღალღური თუ იალღური დასავლეთ საქართველოში შეიხიზნა და თავი დავით რუსუდანის ძესთან შეაფარა. ქამთაღმწერელს ამის შესახებ კარავითარი ცნობები არ მოუპოვება და მისი მოთხრობა მარტო ამ იალღურის უკანასკნელ საქციელს გვისურათებს“⁷. ი. სიხარულიძემ უფრო ჩაღრმავებული კვლევის შედეგად დაასკვნა, რომ ღალღურის იმერეთს შეხიზვნა „საილხანო კარის იმავე პოლიტიკას უკავშირდება, რომლის ერთ-ერთი ეპიზოდია თათართა ელჩების ჩასვლა დას. ევროპაში“⁸.

³ თეგუდარის (ან, უფრო სწორად, ნეგუდარის) აჯანყების შესახებ იხ. P a ш и д - а д - Д и и л, Джамн ат-таварих, III, Баку, 1957, სპარს. ტექსტი, გვ. 111—113, რუსული თარგმ., გვ. 72—73; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 257—267.

⁴ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 712; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 268.

⁵ ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 202.

⁶ ი. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII—XIV სს-ში, თბ., 1967, გვ. 146.

⁷ ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 202.

⁸ ი. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII—XIV სს-ში, გვ. 147. ავტორს იმდროინდელი საერთაშორისო ვითარების ფონზე აქვს შეფასებული დავით ნარინისა და აბაღა-ხანის ურთიერთობა და ილხანის მიერ ახალი ჭვაროსნული ლაშქრობის მოსაწყობად მიღებულ ზომათა

როგორც ვხედავთ, ლალღურთან დაკავშირებით ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია ერთმანეთის გამომრიცხველი ორი ვარაუდი: 1. ლალღური ილხანის განდგომილი პირია. 2. ის ილხანის მიერ საქართველოში შემოგზავნილი აგენტი⁹. გარკვეული არ არის აგრეთვე ისიც, თუ როდის და რა გზით ნოხვდა ლალღური დასაველეთ საქართველოში.

შეთქმულების ამბავს რომ გადმოგვცემს, ქამთააღმწერელი აღნიშნავს: „ზემოქსენებული ლალღურ და რაქის ერისთავი კახაბერი შეიზრახნეს“¹⁰. მაგრამ თუ კახაბერის სახელი აღრეც გვხვდება ქამთააღმწერელთან¹¹, ლალღური თხზულების დღეისათვის ცნობილ ტექსტში მანამდე არსად იხსენიება. ამ გარემოებას ყურადღება მიექცია ჭერ კიდევ ივ. ჭავჭავიძემ და აღნიშნა, რომ ქამთააღმწერლის მიერ გამოყენებულ წყაროში ლალღური უთუოდ ზემოთაც იქნებოდა მოხსენიებული¹². ამგვარად, მეცნიერს შესაძლებლად მიაჩნდა, რომ ქამთააღმწერელს თავისი წყაროს გავლენით, უნებურად, ანგარიშმიუცემლად ეხმარა ლალღურის მიმართ სიტყვა „ზემოქსენებული“. მსგავსი შემთხვევა, მონღოლი სარდლების ჭებესა და სუბუდაის ხსენებას რომ ეხებოდა, ჩვენც შევნიშნეთ ქამთააღმწერლის თხზულებაში და ამის გამო ვწერდით: „რომ ავტორს მართლაც არ ჰყოლოდა ისინი ნახსენები, არა გვეგონია, ასე დაეწერა. ჩვენი ავტორი, საერთოდ, დაკვირვებული ადამიანია. თავის თხზულებაში იგი არაერთხელ გვპირდება ამა თუ იმ ამბის შესახებ საუბრის დროს — „ვითარცა ქვემოჩე სიტყვამან ცხად ყოს“-ო,

რიგში განიხილავს ლალღურის შესვლას დასაველეთ საქართველოში (იქვე, გვ. 145—146).

⁹ ი. სიხარულიძეს ლალღურის საქართველოში დაზვერვითი საქმიანობის საკმარისი მართლი სურათი აქვს დახატული. მისი სიტყვით, „ლალღური ილხანის კაცი ჩანს და სპეციალური დავალებით მისგანვე შეგზავნილი იმერეთში. დავით ულუს, ზაქარია მხარგრძელის, თეგუდარის თუ სხვათა პრეცედენტით საილხანოს კარზე კარგად იყო დნენ დავით ნარინის დამოკიდებულება ამგვარი პირებისადმი, ამიტომ, მეფესთან ბრძოლის ახალი გზა აირჩიეს და ცრუგანდგომილი შეუგზავნეს. ლალღურმა შეიწავლა საქმის ვითარება, იმერეთის გზები, კავშირი გააბამეფის მოწინააღმდეგე ძალებთან (კერძოდ, რაქის ერისთავთან) და შემდეგ წაუძღვა თათრებს ქუთაისზე (ი. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII—XIV სს-ში, გვ. 147).

¹⁰ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 268 (ხაზგასმა ჩვენია).

¹¹ იქვე, გვ. 243.

¹² ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 202.

და თითქმის ყოველთვის ასრულებს დაპირებას¹³. ჩვენ ახლაც ვფიქრობთ, ჟამთააღმწერელს ბრმად კი არ გადმოუწერია ეს სიტყვები თავისი წყაროდან, არამედ მართლაც ჰყავდა ზევით ნახსენები ლალღური (ნაევე, როგორც ადრე ჯებე და სუბუდაი), მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ დღეისათვის ცნობილ ნუსხებს არ შემოუნახავთ სათანადო ადგილები. ამ ვარაუდს სავსებით ადასტურებს XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე.

ფ. გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ ე. წ. მეორე, ჯერაც გამოუცემელი ნაწილი¹⁴, რომელშიც XII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XIII ს-ის ისტორია არის გადმოცემული, „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი მატიანეების მიხედვით („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანე“) არის გამართული. ფარსადან გორგიჯანიძეს, რომელიც ირანში მოღვაწეობდა სეფიანი შაჰების კარზე და იქვე წერდა თავის თხზულებას, როგორც ჩანს, ხელთ ჰქონდა „ქართლის ცხოვრების“ საკმაოდ შერყენილი ნუსხა. ამის გამო, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ მკვლევრები, ისტორიკოსს ცოტა შეეძლოა როდი მოსვლია ამ ნაწილში. მაგრამ ამავე დროს მის მიერ გამოყენებულ ნუსხაში ბევრი ადგილი უფრო სწორად და სრულად ყოფილა გადმოცემული. ვიდრე „ქართლის ცხოვრების“ ამჟამად ცნობილ ნუსხებშია. სწორედ იმით არის ჩვენთვის საყურადღებო ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ მეორე ნაწილი, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება „ისტორიათა და აზმათა“ და ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანის“ არაერთი შერყენილი, ნაკლები თუ გაუგებარი ადგილის აღდგენა, გასწორება, დაზუსტება და შეესება¹⁵.

ერთ-ერთი ასეთი ადგილია ლალღურის საქართველოში მოქმედების ამბავი, რაც, როგორც ვნახეთ, ნაკლებად შემოუნახავთ

¹³ რ. კიკნაძე, ჟამთააღმწერლის სპარსული წყაროები. — „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“, II, თბ., 1962, გვ. 150—151.

¹⁴ ფ. გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ ნაწილების შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 291—298.

¹⁵ იხ. რ. კიკნაძე, კიდევ ერთი ქართული წყარო ლაშა გიორგის ისტორიისათვის. — „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966; რ. კიკნაძე, ფ. გორგიჯანიძის ერთი ქართული წყაროს შესახებ. — „მაღნე“, ისტორიის სერია, 1971, № 2; რ. კიკნაძე, ფ. გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, თბ., 1975.

„ქართლის ცხოვრების“ ნუსხებს, მაგრამ, სამაგიეროდ, სრულად აქვს დაცული ფარსადან გორგიჯანიძეს. უნდა ითქვას ისიც, რომ გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ ავტოგრაფულ ნუსხაში, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული¹⁶, სამ ადგილას ჩაყვრებულია ზედმეტი ფურცლები (სულ 21 ფურცელი). ამ ჩანართ ფურცლებზე რამდენადმე განსხვავებით, ხელმეორედ არის გადმოცემული ერთხელ უკვე მოთხრობილი ამბები XIII ს-ის საქართველოს ისტორიისა¹⁷. ზოგჯერ განსხვავება ძირითად ტექსტსა და ამ მეორე ვარიანტს შორის საკმაოდ დიდია. ამიტომ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ გორგიჯანიძეს „ქართლის ცხოვრების“ ორი სხვადასხვა ხელნაწერთი უსარგებლია. ასეთი ე. წ. მეორე ვარიანტი აქვს ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ნაწყვეტსაც.

თეგუდარის (ნეგუდარის) აჯანყების ჩაქრობის ამბის მოთხრობის შემდეგ ეპითაღმწერელი აღნიშნავს, რომ „ყენშან აბალა მრავალნი ნიჭნი და ძღუენი წარავლინა, მეფესა დავითს წინა, და ქართლს მრავალნი სოფელნი და ატენი მისცნა“¹⁸.

ზუსტად ამავე გადმოგვცემს ფარსადანიც: „ამას უკან აბალა ყენსთან პატივი იპყრეს თავთარისაგან, მრავალი ნიჭნი და ძღუენი გაუგზავნეს მეფეს დავითს წინ და ქართლში მრავალი სოფლები მისცეს, ატენი და გარემომონი თენი მისნი“¹⁹. ამათ მოსდევს ვრცელი თხრობა, რომელიც არ მოიპოვება ეპითაღმწერლის თხზულების დღეისათვის ცნობილ ტექსტში. რამდენადაც ამ, ჭერაც გამოუქვეყნებელ, ნაწყვეტში ბევრი საყურადღებო ცნობაა შემონა-

¹⁶ ეს ნუსხა შემთხვევით ორად არის გაყოფილი და სხვადასხვა ნომრით აღწერილი (იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, H ფონდი, ტ. V, თბ., 1949, № 2140, 2492). აქედან გადაწერილი ორი ნუსხა დაცულია ლენინგრადში. იხ. P. P. O p b e ლ ი. Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР, вып. I, М.—Л., 1956, № 5, (H 23), 6 (H 41).

¹⁷ ლენინგრადულ H 23 ნუსხაში, რომელიც თემურაზ ბაგრატიონისთვის გადაუწერია სეიმონ ტაბიძეს 1841—1843 წლებში, ჩანართი ფურცლები ბოლოშია გატანილი საერთო სათაურით: „ამ ისტორიის დედანშია შუა და შუა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ეს თათრების ამბავი იყო. ამისთვის არ დაუტევეთ, რომ გამოდგება ისტორიისათვის“.

¹⁸ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 267.

¹⁹ ფ. გორგიჯანიძე, საქართველოს ცხოვრება, ხელნაწ. H 2140, ფ. 84 v. შდრ. მეორე ვარიანტი: „და აბალ ყენშან თავთარის აღარ შევლისათვის რუსულანძის დავითს მრავალი წყალობა უყო ოქრო-ვერცხლითა; და ქართლში ატენის ხეობა თავისის გარეშე სოფლებით უბოძა“ (იქვე, ფ. 232r).

ხული და, ამავე დროს, პირველსა და მეორე ვარიანტებს შორის ზოგჯერ თვალსაჩინო რედაქციული სხვაობაა, მოგვეყავს ორივე ვარიანტის ტექსტი:

მას ეამს ყოველს წელს სამემოდგომოთ წავიდინან ქართველნი და თათარნიც, მათთან მეფე დავით და სპა მისი, მივიდინან ყაბალის ბოლოს, სამძღვარსა საქართველოსასა, საცა შარვაქანიანნი ღობეს შემოაგლებდენ წყლის პირსა, რომელსაც სიბათ იხმობდეს. და ზამთქარს იქ იქნებოდენ და გაზაფხულისას აიყრებოდენ. ამ ქირში იყვნენ მეფე და ყოველნი ქართველნი.

აწე ასტყდა სხუა შფოთვა, რომე ზემორსხენებული ყაენის შვილ[ის] თანანანი თათარნი დარჩომილიყენენ, რომელსაც საყელად აღნარობით იხმობდენ. ამათი თავადი იყო საყელათ იელღურ. წამოვიდა ბარგითა, დედა-წულთა, სიმდიდრითა მათითა, გარდიარნეს მთანი ლეხისანი და მივიდნენ არგვეთს მეფეს დავითს თანა. მეფე კარგად დახვდა, მრავალი ნიჭი უბოძა და სარჩოთ გაუჩინა ქვეყანა რაჭისა. სენა აბალამ შესვლა აღნარის ლეხტ-იმერითს, ეწყინა და მეფეს დაემღურა, და წაქართვა ატენი და რომელიც ქვეყანა მიეცათ. ამისმან მცნობელმან დავით მეფემან უბრძანა იელღურსა და სპასა მისსა დარბევა ქართლისა. მათაც დაიწყეს რბევა, ხოცა და ტყვეთ წასხმა, ოჩრება ცხეთამდისინ.

ქართლის მეფე, გიორგი მეფის ლაშის შვილი დავით დაბერებულიყო და თათართ ლაშქრობისაგან შეზარებულიყო, ნამეტნაეად სიბაზე წასვლისა აღარ აქონდა ღონე. მისწერა ზემორე ხსენებულთა ოსთა, შეგროვდენ ყველანი. სურამელის გრიგოლის საქმით და მისის შვილის ბევას რჩევით, მისცა გორის ციხე და ქალაქი, დაუყენა წინ საომრათ იელღურსა და იმერლებსა, დაიციონ ქართლი. უწინარეს ამას მოუყენა თათარი თანღუთ, საყელათ ჭანას, მყოლებელი

ამ ეამს ყოველს წელს, შემოდგომით გაზაფხულამდისინ თათარნი და მეფე დავით ქართველთ ჭარით შირვანს მივიდინან მცველთ, ყაბალის ბოლოს დადგიან, საღ სამძღვარია ქართლისა, საღ თხრილითა და ღობით ვით ციხე სახიზრათ გაემარებინა ბერქაქანთ გამოსვლის შიშითა და სიბას ეძახდენ. ამ საქმით შეღონებულიყო მეფე დავით.

აღოძრა საქმე ესე, რომე ზემორე ხსენებული ყაენის შვილთა თანაქანი თათარნი დარჩომილ იყენეს, რომელსა აღნარობით იხმობდენ. ამათში თავადი იყო, საყელათ ერქვა იაღღურ. წამოვიდნეს ცოლ-შვილთა და ბარგითა და ყოვლითა სიმდიდრითა მათითა, გარდვიდნეს მთასა ლეხისასა, მივიდნენ არგვეთს. მივიდნენ მეფეს დავითს წინ. მეფე კარგად დახვდა, გაუჩინა სარჩოთა და საღმურათ ქვეყანა რაჭისა. აბალ ყაენს მოახსენეს შესვლა იელღურისა იმერეთს. უწყინა ყაენმან შეშევა მისი მეფეს დავითს და წაქართვა ატენის კეობა. მეფემანც უბრძანა იელღურსა და თვითაც ჭარი მიაწველა დარბევაქლ ქართლისა. ააოხრეს ცხეთამდისინ.

და მეფე დავით შეწყენილი და მოუცელი იყო შირვანის მცველათ სიბასათა და აღარ იყო ღონე. აცნობა ზემოხსენებულთ ოსთა, შეჰკრან ყოვლი გზანი. გაზრახვითა სურამელისათა გრიგოლისათა უბოძა გორის ციხე-ქალაქი და სამკვიდრო მისნი, და დახვდენ იელღურსა და იმერელთა, დაიციონ ქართლი და ამათაც არბიონ რაქა და იმერეთი. და უწინ ამისას მოუყენა თიღუნთ ნათესავი, მყოლებელი ხუთასის კაცისა სახელით ჭასან, ბევასვე გაზრახვითა, რომე მან და ბეგამ დაიციან კარ

მკედრის ხუთასისა, იმავე ბეგას გაძრახვითა, რომე მანვე დაიკვა კარი დარაღანისა და გზანი დვალეთისა და ოსეთისა, რომე ეს კეთილათ იქნა... მათ ეამად დაიკვა ქვეყანა ოსთაგან, რომელთა მთავარნი იყვნენ ძმანი ორნი, უფროსნი ფარანჯენ და უმცროსი ბალათარ, ზემორე ხსენებულის ლიშავაჩის ძენი (დასახ. ხელნაწერი, ფ. 84v—85r).

დარაღანისა და გზა დასავლეთისა. და გაუჩინა საზქამთროთ სადგომათ მუჯრანი და საზაფხულოთ მთიულეთი. ეს კარგად იქნა და ამას უკან ოსთაგან დაიკვა ქვეყანა. რომელიც თავადობდა, იყვნენ ორნი ძმანი, უფროს[ს] ერქვა ფარეჩან და უმცროს[ს] ბალათარ, ლიშავაჩის ძენი (დასახ. ხელნაწერი, ფ. 232r—232v).

როგორც ვხედავთ, ამ საკმაოდ ვრცელ ნაწყვეტში რამდენიმე საინტერესო, სრულიად ახალი ცნობაა მოტანილი.

ჯერ ერთი, ზუსტად არის ნაჩვენები საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი. ეამთაღმწერლის მიხედვით, პოლიტიკური საზღვარი საქართველოსა და შირვანს შორის გადიოდა მდინარე ჩალან-უსტუნზე, შამახის ნითს ძირას²⁰. საქართველოს ეთნიკური საზღვარი კი უფრო დასავლეთით, გიშის წყალზე იდო²¹. ქვეყნის ეთნიკურსა და სახელმწიფო საზღვრებს შორის მოთავსებულ მხარეს ყაბალა ერქვა²². როგორც ვნახეთ, გორგიჯანიძეც ამასვე აღნიშნავს, საქართველოს საზღვარი ყაბალის ბოლოში გადიოდაო.

ფარსადან გორგიჯანიძის თბუღლებაში მიკვლეული ახალი ცნობები შესაძლებლობას იძლევა საბოლოოდ გაირკვეს ლალღური იალღურის ვინაობა და მისი დასავლეთ საქართველოში მოხვედრის მიზეზებიც დადგინდეს.

ირანში მოსულ ჰულაგუ-ხანს მონღოლთა სხვადასხვა ულუსების წარმომადგენელი უფლისწულები ახლდნენ თან. მათ შორის ჩრდილოეთის ანუ ოქროს ურღოდან იყვნენ ყული, ბოლა (ბალაღა, ბალაყან) და თუთარ—ჩინგიზ-ხანის უფროსი ვაჟის ჯუჩის შვილიშვილები²³. ეამთაღმწერლის სიტყვით, ისინი მოსულან, „რათა ქუეყანა

²⁰ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 207—208; მ. ბერძენიშვილი, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები XIII საუკუნის დამდეგს.—კრებ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 55.

²¹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფ., 1919, გვ. 13—14.

²² მ. ბერძენიშვილი, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები XIII საუკუნის დამდეგს გვ. 55.

²³ The Tarikhi-Jahan-Gusha of Ala ud-Din Ata Malik-i-Juwaini. Ed. by M. Qazwini, GMS, XVI, 3, Leyden-London, 1937, p. 91; Djami el-tévarikh... par Fadh Allah Rashid ed-Din. Éd. par E. Blochet, Leyden-London, 1911, p. 137; Рашид-ад-Дин, Сборник летописей, II, М.—Л., 1960, с. 81.

მათი წილხდომილი ყაენის შვილთა დაიპყრან, და ხარაჯასა იგინი აი-
ლებდენ²⁴. კირაკოს განძაკეცის ცნობით, ეს უფლისწულები ილხა-
ნის ხელისუფლებაშიც ერეოდნენ თურმე²⁵, რის გამოც, ჰულაგუს
ბრძანებით, სანივე დახოცეს²⁶. მათმა მხლებლებმა²⁷, ალათემურის
მეთაურობით²⁸. დიდი გაპირვებით გაიკვლიეს გზა²⁹, ბრძოლით გა-
დაიარეს საქართველო და ოქროს ურდოში გადავიდნენ³⁰.

ფარსადან გორგიჯანიძის მიერ შემონახული ცნობებიდან ირ-
კვევა, რომ თუთარის, ყულისა და ბოლღას მხლებელთაგან ყველა არ
გაპყროლა ალათემურს ჩრდილოეთში. ჭერჭერობით გაურკვეველი
მიზეზების გამო, მონღოლთა ერთი ჯგუფი ვინმე იელღურის (ღალ-

ქათაღმწერელს ეს უფლისწულები სხვადასხვა ულუსების წარმომადგენლები ჰყო-
ნია: თუთარ („ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქციის ტექსტებშია ტ უ რ, ხო-
ლო ვახტანგისეულ რედაქციაში — ტ უ თ ა რ) — ბათოსი, ყული — ჩალათაის,
ხოლო ბოღა—თელისა. სინამდვილეში, ჩალათაის ულუსიდან ჰულაგუსთან თე-
გუდარი (ნეგუდარი) იყო მოუღწეილი (ჭ უ ვ ე ი ნ ი, დასახ. გამოცემა, III, გვ.
91), თელის სახლის წარმომადგენელი კი თვითონ ჰულაგუ იყო.

²⁴ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 223.

²⁵ Киракос Гандзакци, История Армении. Перевод, пре-
дисловие и комментарии Л. А. Ханларян, М., 1976, с. 236.

²⁶ იქვე: ქართლის ცხოვრება, II, გვ. 251; რაშიდ ად-დინი ისე მოგვითხრობს
ამ ამბავს, თითქმის ჰულაგუ სრულად უდანაშაულო იყო ჭუჩიანი უფლისწულების
დახოცვაში (Djami el-tévarikh.. Ed. par E. Blochet, p. 138—139; Р а ш и д - а д -
Д и н, Сборник летописей, т. II, с. 81—82; Р а ш и д а д - Д и н, Джами
ат-таварих, III, სპარს. ტექსტი გვ. 77, რუსული თარგმანი, გვ. 54). სრულად
განსხვავებულ ვერსიას მოგვითხრობს გრიგოლ აენეცი (გ რ ი გ ო ლ ა კ ა ნ ე -
ლ ი, მოისართა ტომის ისტორია, ნ. შოშიაშვილის გამოც., თბ., 1961, გვ. 35—36,
41—42).

²⁷ გრიგოლ აენეცის ცნობით, მათი რიცხვი 12 ათასს უდრიდა, გორგიჯანიძე
კი მხოლოდ სამას კაცს ასახელებს (გ რ ი გ ო ლ ა კ ა ნ ე ლ ი, მოისართა ტომის
ისტორია, გვ. 42; ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, საქართველოს ცხოვრება, დასახ.
ხელნაწერი, ფ. 75 r).

²⁸ გრიგოლ აენეცისთან — არადაშური (გვ. 42).

²⁹ ქათაღმწერლის ცნობით, მონღოლთა: ეს რაზმი მცირე აზიაში („საბერძ-
ნეთს“) მდგარა დედაწულანად (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 251).

³⁰ მონღოლთა ამ რაზმის მოძრაობის შესახებ ვრცლად მოგვითხრობს ქათა-
ღმწერელი (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 251—253). კირაკოს განძაკეცის, გრი-
გოლ აენეცის და რაშიდ ად-დინს მოკლედ, თითქმის გაკვირით აქვთ ეს ამბავი აღნიშ-
ნული (Киракос Гандзакци, История Армении, с. 236; გ რ ი -
გ ო ლ ა კ ა ნ ე ლ ი, მოისართა ტომის ისტორია, გვ. 42—43; Р а ш и д - а д -
Д и н, Джами-ат-таварих, III, სპარს. ტექსტი: გვ. 77, რუსული თარგმანი,
გვ. 54).

დურის) მეთაურობით აღმოსავლეთ საქართველოში დარჩენილა დედაწულიანად. შესაძლებელია, ისინი ჰულაგუ-ხანის მონღოლებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს ჩამოსცილდნენ ძირითად ძალას და ჩრდილოეთში გადასასვლელი გზაც მოჭრილი აღმოაჩნდათ. რაკი აღმოსავლეთ საქართველოში დარჩენა საშიში იყო, იელღურის (ღალღურის) რაზმმა ლიხის მთა გადაიარა და გადავიდა დასავლეთ საქართველოში, სადაც, როგორც ცნობილი იყო, დავით VI ნარინი თავშესაფარს აძლევდა ხოლმე ილხანის მოწინააღმდეგეებს. დავით ნარინმა მართლაც კარგად მიიღო ლტოლვილები, სარჩო გაუჩინა მათ და რაჭაში დააყენა. ერთ ხანს იელღური დავით ნარინს ემსახურებოდა და ქართლიც დაარბია მისი დავალებით. ეს უნდა მომხდარიყო 1268—1269 წლებში. ამასობაში დაახლოებით ერთი წელი გავიდა; დავით VII ულუ გარდაიცვალა. მისი ვაჟის დემეტრეს II-ის ტახტზე ასვლისთანავე მოხდა ის ამბები, წერილს დასაწყისში რომ შევეხეთ, ე. ი. „ზემოქსენებულნი ღალღურ და რაჭის ურისთავი კახაბერი შეიზარახნეს ურთიერთას, რათა განუდგენ მეფესა დავითს, რუსუღანის ძეს...“ და ა. შ.

✓ ამგვარად, ახლა უკვე დანაშვილებით ვიცით თუ ვინ არის „ზემოხსენებული“ ღალღური. ის არც ილხანის განდგომილი კაცია და არც, მით უმეტეს, მისი აგენტი. იგი ოქროს ურდოდან არის ნოსტლი საქართველოში, ჰულაგუ-ხანის მიერ დახოცილი ჭეჩიანი უფლისწულების მახლობელია და ამიტომაც არის, რომ ქართველ მეფესაც ებრძვის და არც ილხანთან აქვს კარგი დამოკიდებულება.

ფარსადან გორგიჯანიძის ამავე ცნობების საფუძველზე ბევრი სხვა საინტერესო საკითხის გარკვევაც შეიძლება.

ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ „გადამდგარს რაჭის ერისთავს კახაბერ კახაბერიძეს ნულამ ყაენის კარზე ყოფნა არ შეეძლო და რადგან მისი მოღალატური მოღვაწეობის მიზანი მიუღწეველი აღმოჩნდა, ისევ საქართველოში მოუხდა დაბრუნება. მაგრამ ლიხთ იმერეთს მას მოსვლა, რასაკვირველია აღარ შეეძლო და თავშესაფარი ამიერსაქართველოში უნდა ეძებნა“³¹. გართლაც, უნდა აღნიშნავდეს სიტყვით, „რაჭის ერისთავი კახაბერი იყო ქართლს, და აქუნდა ქუეყანა ატენისა“³². მაგრამ ამავე ისტორიკოსის ცნობიდან ვიცით, რომ სულ რამდენიმე წლის წინ ილხანმა ახალამ აჯანყებული თეგულდარის (ნეგულდარის) შეპყრობაში დახმარებისათვის

³¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 204.

³² ქართლის ცხოვრება, II, გვ. 275.

ატენი დავით ნარინს უბოძა. წინააღმდეგობა უამთააღმწერლის ამ ორ ჩვენებას შორის მოიხსობა თუ გავითვალისწინებთ ფ. გორგიჯანიძის ჩანართ ცნობას იმის შესახებ, რომ ელლურის (ღალღურის) იმერეთში მიღებით განარისხებულ აბალას მალე წაურთმევია ატენი დავითისთვის („წაართვა ატენი და რომელიც ქვეყანა მიეცათ“) და, როგორც ჩანს, შემდეგ მისივე მოსისხლე მტრისათვის, რაჟის ერისთავისთვის უბოძებია. ამით განაწყენებულმა დავით ნარინმა აბალას ჯავრი იმითლა იყარა, რომ ელლურა და მისი რაზმი ქართლს შეუესია და იქაურობა ააოხრებინა.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ფარსადან გორგიჯანიძე ამ მძიმე ვითარებაში დავით VII ლაშას ძის მოქმედების შესახებ. დაძაბუნებულ დავით VII-ს ძალა არ შესწევდა იელღურის გამკლავებისა, ამიტომ გადაწყვიტა, ოსები გამოეყენებინა მის წინააღმდეგ. გორგიჯანიძის სიტყვით, მან „მისწერა ზემორე ხსენებულთა ოსთა, შეგროვდენ ყველანი“. ვინ არიან ეს ზემოხსენებული ოსები?

დაახლოებით XIII საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს, „გარდამოვიდეს ბერქას ყაენისგან ლტოლვილნი, დედაკაცი საყრველი, სახელით ლიპაჩავ, და მან მოიტანა შვილნი ნცირენი, ნათესავით ახასარფაკაიანნი, პირშოო ფარეჯნ და უმრწამესი ბაყათარ, და სხუნი თავადნი მრავალნი, გამოვლეს კარი დარუბანდისა³³ და მოვიდეს მეფეს წინაშე“³⁴. როგორც ვხედავთ, ამ ტექსტში ოსები საერთოდ არ იხსენიებიან, მაგრამ „ქართლს ცხოვრების“ ყველა ნუსხაში, როგორც ძველი რედაქციის, ასევე ვახტანგისეული რედაქციისა, წერია — „გარდამოვიდეს ბერქას³⁵ ყაენისგან ლტოლვილნი ორნი...“³⁶. ბუნებრივია, რომ ასევე შევიდა ეს სიტყვა „ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქციის ტექსტის ე. წ. მარიამისეული ნუს-

³³ უამთააღმწერლის ცნობას ლტოლვილთა დარუბანდის კარით მოსული თაობაზე არ ეთანხმება ფარსადან გორგიჯანიძე. მისი აზრით, ლტოლვილნი დარიალით ვადმოსულან: „...გარდამოვიდნენ დარალამის კარითა და მოვიდნენ მეფეს წინ“ (დასახ. ხელნაწერი, ფ. 75r). შტრ. მეორე ვარიანტი: „გამოიარეს კარი დარიელითა, მოვიდნენ მეფესთან“ (იქვე, ფ. 195v). ვახუშტი საერთოდ არ აჩვენებს გზას, ზოლო იოანე ბაკრატიონი, გორგიჯანიძის მსგავსად, დარიალს ასახელებს: „ამავე წელსა შინა ვადმოვიდნენ მთასა დარიელისასა ბერქასგან [ლ]ტოლვილნი“ (იოანე ბაკრატიონი, ისტორია ქართლისა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H2134, ფ. 675 v).

³⁴ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 251.

³⁵ ძველი რედაქციის ტექსტის შემცველ ნუსხებში — „გარდამოვიდა ბერქას“.

³⁶ ხაზგასმა ჩვენია. ს. ყაუხჩიშვილმა ეს სიტყვა არ შეიტანა ტექსტში.

ხისა და ვახტანგისეული რედაქციის ტექსტის პუბლიკაციებში³⁷. გ. თოგოშვილმა მართებულად შენიშნა, რომ წყაროს ტექსტი აქ შერყევნილია, „ორნი“ ს ნაცვლად უნდა იკითხებოდეს „ოსნი“³⁸. ამ მოსაზრებას ადასტურებს ფარსადან გორგიჯანიძეც. იგი წერს: „ამ ქაშს გარდმოვიდნენ ოსნი, ბერქას ყაენს წამოსვლოდეს“³⁹. დავით ლაშას ძემ კარგად მიიღო ლტოლვილი ოსები და ჰულაგუ-ხანთან გაგზავნა ისინი. ქაშთაღმწერლის მიხედვით, „ყაენმან შეიწყნარა ფრიად“ და ისევე საქართველოში დააბრუნა. მეფე დავით VII-მ ოსები ქალაქში⁴⁰, დმანისსა და ჟინვანში დაასახლა⁴¹. სწორედ ესენი არიან ის „ზემოხსენებული ოსები“, რომელთაც დავით VII-მ იელღურის (ღალღურის) წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა. ამასთან ერთად, დავითი იძულებული გაჩნდა, გრიგოლ სურამგლისა და მისი ვაჟის ბეგას რჩევით, გორი მიეცა ოსებისათვის⁴² (თითქმის აქე-

³⁷ ქართლის ცხოვრება, მარამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 689; ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთხცხრამეტე საუკუნემდის, ტ. I, გამოცემა მ. ბროსესი, სპბ., 1849, გვ. 398.

³⁸ გ. თოგოშვილი, საქართველოს-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, სტალინობი, 1958, გვ. 196. შენ. 1 („ოსისა“ და „ორის“ გადამწერთავან აღრევის შემთხვევები სხვაგანაც გვხვდება ქაშთაღმწერლის თხზულების ტექსტში. იხ. ქართლის ცხოვრება, მარამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 750, 761; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 297, 306).

³⁹ ფ. გორგიჯანიძე, საქართველოს ცხოვრება, ხელნაწ. H2140, ფ. 75რ, აგრეთვე, ფ. 195V (მეორე ვარიანტი). ვახუშტი და იოანე არც „ოსს“ იხსენიებენ და არც „ორს“. ამასთან, თანეს ცნობით, ჩრდილოეთიდან თითქოს მხოლოდ დედაქალები გადმოსულან. სამაგიეროდ იოანე ბაგრატიონი ლტოლვილთა გარეგნობის საინტერესო აღწერას იძლევა: „ხოლო დედაქანი იყუნენ შესახედავთ საკვირველნი სახისანი, შავგერმანნი ფერთ, ცვირმოკლენი და ფუნჯი ნესტონი, თუაღამჭკრალნი და წვრილთვალნი, პირდიდნი, თმაგრძელნი, და მამაცი და კარგი ცხენოსანნი“ (ხელნაწ. H2134, ფ. 675V).

⁴⁰ ჩვენი აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს არა თბილისი, არამედ გორი.

⁴¹ ქაშთაღმწერლის „ასწლოვანი მატანის“ ძველი რედაქციის ტექსტში იხსენიება მხოლოდ დმანისი და ჟინვანი, „ქალაქს“ კი უმატებენ ვახტანგისეული რედაქციის ნუსხები. ამის გამო ს. ყაუხჩიშვილმა ეს სიტყვა არ შეიტანა ტექსტის პუბლიკაციაში. ამავე დროს, „ქალაქს“ ახსენებს გორგიჯანიძეც („მეფემანც ზოგნი ქალაქს დაასახლა და ზოგნი დმანის[ს] დააყენა და ზოგნი ენოანს გაგზავნა“, ფ. 75რ; „და მეფემ სამთ ვაკყო, ზოგნი დმანის[ს] დააყენა, ზოგნი ქალაქს და ზოგნი ენოანს“, ფ. 195რ, მეორე ვარიანტი). როგორც ჩანს, ეს სიტყვა („ქალაქი“) ვახტანგის კომისიის მიერ კი არ არის „ასწლოვანი მატანის“ ტექსტში შეტანილი, არამედ „ქართლის ცხოვრების“ ძველ ნუსხებშიც ყოფილა დამოწმებული.

⁴² ამის შემდეგ გასაგები უნდა იყოს ოსების შემდგომი პრეტენზიები ქალაქ გორზე და ქაშთაღმწერლის გამოთქმებიც — „ოსნი რომელ სხდეს გორს“ და „ოსნი გორს მსხდომნი“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 306, 318).

დანაც ჩანს, რომ დავით ლაშას ძეს ოსები იმთავითვე გორში დაუ-
სახლებია და არა თბილისში).

იმ ხანებში, როგორც ჩანს, გრძელდებოდა ჩრდილოეთიდან
ლტოლვილი ოსების მოძალება ქართლში. დავით VII იძულებული
განხდარა მათ წინააღმდეგაც მიეღო გადამქრელი ზომები. იმავე ბე-
გას რჩევით, მას ხუთასი მონღოლი მხედარი დაუყენებია მუხრან-
ში⁴³ ვინმე ჯანასის (თუ ჯასანის) მეთაურობით და მათთვის დაუცა-
ლებია დარიალის კარისა და ოსეთისა და დვალეთის⁴⁴ გზების დაც-
ვა. ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, „ეს კარგად იქნა და აწას
უკან ოსთაგან დაიკცა ქვეყანა“.

ამგვარად, თითქოს გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა და-
ვით ლაშას ძემ მოხერხებულად გამოიყენა ორივე გარეშე ძალა.
ღალღურის მონღოლთა რაზმის თარეში მან ოსების შემწეობით მო-
იგერია, ხოლო ჯანასის მონღოლების დახმარებით საიმედოდ გა-
დაუკეტა ოსებს ქართლში გადმოსასვლელი გზები.

ასეთია, ძირითადად, რიგი საკითხებისა, რომელთა შესახებ
მსჯელობის საშუალებას იძლევა ფარსადან გორგიჯანიძის ზემოთ
მოტანილი ცნობები. თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი „ჩანართი“
ადგილები (ნამდვილად კი თხზულების ორგანული ნაწილები) გორ-
გიჯანიძესთან საეპოქოდ ბევრია, გასაგები გახდება მისი საისტორიო
ნაწარმოებთ ე. წ. მეორე ნაწილის დიდი მნიშვნელობა ეპითაღმ-
წერლის „ასწლოვანი მატიანის“ სამეცნიერო ტექსტის დადგენისა
და XIII საუკუნის საქართველოს ისტორიის არაერთი საკითხის
შესწავლის საქმეში.

⁴³ მუხრანში მსხდომი მონღოლები (თათრები) ეპითაღმწერელთანაც იხსე-
ნიებიან შედარებით უფრო გვიან მომხდარი ამბების აღწერის დროს (ქართლის
ცხოვრება, II, გვ. 296, 305).

⁴⁴ ფ. გორგიჯანიძეს ამავე ნაწყვეტის მეორე ვარიანტში „დვალეთის“ ნაცვლად
უწერია „დასავლეთის გზა“ („დაიკცან კარი დარალანისა და გზა დასავლეთისა“).
ეს იძლევა გასაღებს ეპითაღმწერლის თხზულების ტექსტში დაშვებული მსგავსი
შეცდომის გასასწორებლად. ეპითაღმწერლის ცნობით, აქანყებული დავით ლაშას
ძის პატივებს რომ ითხოვდა, დედოფალ ტონღუზ-ხათუნს ასეთი სიტყვებით მიემარ-
თავს თავისი მეუღლის კულაგუ-ხანისთვის: „და ესეცა უწყყოდ, რომელ ძმა შენი
დიდისა ყაენისაგან ბათოს შვილი მრავალსა მოქიცულსა უგზავნის და დიდთა ნი-
ქთა აძლევს (დავითს—რ. კ.), რათა მისცეს გზა დარიალისა და დასავლეთისა. რამე-
თუ ორივე კელთა შინა მისთა არს“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 245. იხ. აგრეთვე,
ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 681). როგორც ვხედავთ,
„დასავლეთის გზა“ აქ სრულიად უადგილო და გაუგებარია. უნდა იყოს — „გზა-
დარიალისა და დვალეთისა“ (დვალეთის გზის შესახებ იხ. ნ. ბერძენიშ-
ვილი, გზები ბრუნთაველის ეპოქაში, თბ., 1966, გვ. 25—26.).

К ВОСПОЛНЕНИЮ ОДНОГО МЕСТА В СОЧИНЕНИИ ГРУЗИНСКОГО АНОНИМНОГО ИСТОРИКА XIV ВЕКА

Р е з ю м е

В грузинской историографии распространено мнение, что т. н. вторая часть «Истории Грузии» историка XVII века П. Горгиджанидзе составлена исключительно по материалам «Картлис цховреба» и поэтому как исторический источник лишена научного значения. На основе сравнительного изучения текстов выяснилось, что Горгиджанидзе пользовался списком «Картлис цховреба», который в ряде случаев был полнее, чем дошедшие до нас списки. В частности, в сочинении Горгиджанидзе полностью представлены эпизоды, отсутствующие в «Столетней летописи» грузинского анонимного историка XIV века, без которых повествование носит отрывочный характер. На основе сочинения Горгиджанидзе можно составить представление о некоторых недостающих фактах «Столетней летописи» и восполнить рассказ историка XIV века.

В сочинении анонимного историка XIV века имеется подробный рассказ о действиях в Западной Грузии некоего Галгура, находившегося при дворе Давида VI Нарина. К сожалению, невозможно понять, кто такой этот Галгур, как он попал в Грузию, на чьей он стороне и против кого ведет борьбу.

В грузинской историографии высказаны два взаимоисключающих друг друга предположения 1. Галгур был противником ильхана Абага-хана, бежал от него и укрылся в Западной Грузии (И. А. Джавахишвили). 2. Галгур был агентом Абага-хана, засланным в Западную Грузию с разведывательной целью (Ю. М. Сихарулидзе).

В «Истории Грузии» Горгиджанидзе сохранилось подробное повествование, из которого выясняется, что Галгур был среди воинов, сопровождавших джучидских царевичей

Кули, Болгу и Тутара, прибывших в Иран вместе с Хулагу-ханом. По сведениям источников, золотоордынские царевицы вмешивались в государственные дела, за что были осуждены и казнены, а сопровождавшие их воины, под предводительством Алатемура, преодолев большие трудности, вернулись в Золотую Орду. Из сообщения Гергиджанидзе выясняется, что часть монголов под предводительством Галгура, отстав от основных сил, укрылась в Западной Грузии, где Давид VI Нарин охотно предоставлял убежище противникам ильхана. Некоторое время Галгур служил Давиду VI и даже совершил по его приказанию опустошительный поход в Картли (приблизительно в 1268 — 1269 г.). Но вскоре, после смерти Давида VII Улу, в царствование в Восточной Грузии Дмитрия II, Галгур и эристав провинции Рача Кахабер отложились от царя Давида VI и прибыли к Абагу-хану. Таким образом, окончательно выясняется, что Галгур не был связан с Абага-ханом, не бежал от него и не был его агентом.

В этой же «вставке» Гергиджанидзе имеется и ряд других важных фактов, что еще раз свидетельствует о том, что т. н. вторая часть его сочинения имеет опромное значение как для установления критического текста «Столетней летописи», так и для изучения многих вопросов истории Грузии XIII века.

რამდენიმე აღმოსავლური ტერმინი „ჟამთააღმწერლის თხზულებაში“

XIV საუკუნის ქართველი ანონიმური ისტორიკოსის, ჟამთა-აღმწერლის თხზულებაში აღმოსავლური წარმოშობის მრავალი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ტერმინი გვხვდება. ამ ტერმინთა ერთი ნაწილი იმდენად შერყენილია გვიანდელ გადამწერთა მიერ, როგორც თანამედროვე მკითხველს (ზოგჯერ სპეციალისტსაც კი) ხშირად უჭირს მათი გაგება. წინამდებარე წერილში სამი ასეთი ტერმინის განმარტებაა მოცემული.

I

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ მონღოლთა სახელმწიფოს უზენაეს მბრძანებელს მანგუ ყაენს „ესხნეს ძენი ორნი, უხუცესი ვითარიმე ყუბლიყან, უმცირესი ულო, რომელსა ეჯნობითა ცა უწოდეს“¹.

გამდგარი დავით ლაშას ძისა და ილხანს შორის მოლაპარაკებაზე საუბრის დროს ჟამთააღმწერელი აღნიშნავს, რომ მონღოლები პირობას უდებდნენ ქართველთა მეფეს: „უკეთუ დავით მეფემან იხილოს ყან ულო, რომელსა ეჯნობითა ცა უწოდეს, ხოჯა აზიზცა მისცეს კელთა მეფეისათა“².

¹ პირველად დაიბეჭდა 1973 წელს („აღმოსავლური ფილოლოგია“, III, თბ. 1973, გვ. 84—91).

² ქართლის ცხოვრება, მარამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის გამოც., ტფ., 1906, გვ. 643. მ. ბროსეს გამოცემაში — „რომელსა ეჯნობითა ცა უწოდეს“ (ქართლის ცხოვრება, დასაბამთიანი შეათცხრამეტე საუკუნემდის, I, სპბ., 1849, გვ. 379). ს. ყაუხჩიშვილის მიერ დადგენილ ტექტში — „რომელსა ეჯნობითა ცა უწოდეს“ (ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 221. ხაზგასმა აქაც და ქვემოთაც ჩვენია).

³ ქართლის ცხოვრება, მარამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 679. ასევეა მ. ბროსეს (გვ. 393) და ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში (გვ. 244).

ამჟამად ჩვენთვის საინტერესო სიტყვა, რომელიც ჰულაგუ-
ხანის (ულოს) ზედსახელი ყოფილა, კიდევ რამდენიმეჯერ გვხვდებ-
ა უამთაღწერელთან, ამასთან, აღსანიშნავია, რომ მომდევნო
ღამ შემთხვევაში ქართველი ავტორი პირდაპირ ამ სახელით იხსენ-
იებს ჰულაგუს („წარვიდეს ეჯანს...“, „მოუვლინა აეჯანის
კოლსა“, „ზივიდეს მეფე დავით ეჯანს წინაშე“)³.

„ეჯან“ ერთ სომხურ წყაროშიც იხსენიება როგორც საკუთარი
სახელი. სამუელ ანეცის ისტორიის (XII ს.) გაგრძელებაში, რო-
ბელიც XV საუკუნის დამდეგამდეა მოყვანილი, აღნიშნულია, რომ
1257 წელს ეჯანმა აიღო ბაღდადი და ცამეტ წელიწადს გამგებლობ-
და იქ, ხოლო 1264 წელს ეჯანი გარდაიცვალა⁴. მართალია, თარიღები
აქ მთლად ზუსტად არ არის ნაჩვენები⁵, მაგრამ აშკარაა, რომ
საუბარია სწორედ ჰულაგუ-ხანზე. თუმცა კი, ანონიმურმა გამგებე-
ლებელმა, როგორც ჩანს, არ იცის, რომ ეჯანი იგივე ჰულაგუ-ხანია⁶.
ყოველ შემთხვევაში, ჰულაგუს შიერ ბაღდადის აღებას იგი ხელ-
მეორედ ეკამცნობს 1275 წ. (!) თარიღით⁷.

უამთაღწერლის თხზულების ფრანგულ თარგმანში ჰულაგუ-
ხანის ეს ზედწოდება მოტანილია Ehdjin, Edjin, Eldjin სახით⁸,
სომხურ თარგმანში კი გვხვდება „ეჯნ“ და „ეჯნი“ (էջն, էջნი)⁹.

³ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 679, 680. მ. ბროსეს
და ს. ყაუხჩიშვილის გამოცემებში—ეჯნს, ეჯნის, ეჯნს (ქართლის ცხოვრება, დასა-
ბამითგან მეთაფრებზე საუკუნემდის, I, გვ. 394; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 244,
245. შტრ. იქვე, საკუთარ სახელთა საძიებელი: „ეჯნი (ეჯინი?)“.

⁴ Армянские источники о монголах. Перевод с древнеармянского, предис-
ловие и примечания А. Г. Галстяна, М., 1962, с. 82.

⁵ ცნობილია, რომ მონღოლებმა ბაღდადი 1258 წელს აიღეს, ხოლო ჰულაგუ
1265 წ. 8 თებერვალს გარდაიცვალა (Рашид-ад-Дин, Джамхи ат-таварих, III,
Баку. 1957, სპარსული ტექსტი, გვ. 59, 93, რუსული თარგმანი, გვ. 44, 63).

⁶ ასევე არ იცის ეს წყაროს მთარგმნელ-კომენტატორმა ა. გალსტიანმა, რომელ-
საც ეჯანი ბაღდადის გამგებელი ჰგონია (Армянские источники о монголах; სა-
კუთარ სახელთა საძიებელი, გვ. 149).

⁷ საერთოდ, ამ „გაგრძელებაში“ ბევრი სხვა მცდარი თარიღიც გვხვდება. ა.
გალსტიანის აზრით, სამუელ ანეცის გამგებლებლები გაუნათლებელი აღამიანები
ყოფილან, რის გამოც ბევრი მოვლენა უთავბოლოდ აქვთ გადმოცემული, ხოლო
თარიღები ყოველთვის როღო შეესაბამება სინამდვილეს (იქვე, გვ. 129, შენ. 210).

⁸ Histoire de la Géorgie, traduite du géorgien par M. Brosset, I, SPb.,
1849, p. 538, 561, 562.

⁹ Արայ ժամանակագրութիւն (1207 — 1318). Քարպանուրուրը Գ.
Մուրադյանի, Լիբիան, 1971. გვ. 97, 116, 117.

ჩამდენადაც ვიციტ მკვლევართაგან მხოლოდ მ. ბროსემ სცადა ამ ტერმინის ახსნა, ჰაგრამ უშედეგოდ. მან Edjin—Eldjin, სრულად უმართებულოდ, ირანის მონღოლ მბრძანებელთა ტიტულს — ილხანს დაუკავშირა¹⁰.

ამავე დროს ჟამთააღმწერელი თვითონ გვაძლევს გასაღებს ამ ტერმინის განმარტებისათვის. კერძოდ, როგორც ვნახეთ, მას ჰულაგუ მანგუ ყაენის უმცროს შვილად მიაჩნია¹¹.

ბევლი მონღოლური ადათ-წესებთა მიხედვით, უნეროსი ვაჟი მამის ძირითადი ქონების მემკვიდრე იყო, მას ოჯახია კერძა დაცვა ევალებოდა და ამის გამო ეწოდებოდა ოდჩიგინ (ცეცხლის მცველი) ან ეჯენ (პატრონი, მეუფე)¹².

ჩამიდ აღ-დინი მხოლოდ „ოთჩიგინს“ იცნობს და ჩამდენიმეჯერ განმარტავს კიდევ მას. კერძოდ, ის აღნიშნავს, რომ „ოთჩიგინის მნიშვნელობაა უნეროსი ვაჟი, რომელიც სახლსა და იურთში რჩება, ან ცეცხლისა და იურთის მეუფე“¹³. სხვა ადგილას იგივე ავტორი განმარტავს, რომ ოთჩიგინ ტერმინი თურქული წარმოშობისაა, ოთ ცეცხლს ნიშნავს, ხოლო თეგინ — ანირა. ამით ხაზი ესმება, რომ ის ცეცხლის ანირი და მეუფეა. ხოლო რაკი მონღოლთა ენაზე თეგინ სწორად ვერ გამოდის, ისინი ოდჩიგინს ამბობენ¹⁴.

როგორც ჩანს, ი. ბერეზინს ოდჩიგინ და ეჯენ ტერმინები სინონიმებად მიაჩნდა. ყოველ შემთხვევაში, „ისტორიათა კრებულის“ სპარსულ ტექსტში მოხსენიებულ ოთჩიგინს (اوتجکين ، اتجکن) ის ეჯენად თარგმნიდა¹⁵.

¹⁰ Histoire de la Géorgie, I, p. 539, n 1.

¹¹ ნამდვილად, მანგუ, ყუბილაი და ჰულაგუ ძმები იყვნენ, ჩინგიზ ყაენის უმცროსი ვაჟის თულისა და მისი უფროსი ცოლის სორყუყათანი-ბიქის შვილები. თანაც, ჰულაგუ არ ყოფილა უმცროსი ვაჟი. თულის ათ ვაჟს შორის იგი მეხუთე იყო, ხოლო თულისა და სორყუყათანი-ბიქის ვაჟებში — მესამე. იმაზე უმცროსი იყო არიუ-ბუქა (Djami el-tévarikh... par Fadl Allah Rashid ed-Din. Ed. par E. Blochet, t. II, Leyden-London, 1911, p. 199 — 205; Рашид-ад-Дин, Сборник летописей, II, М.—Л., 1960, с. 103).

¹² Б. Я. Владимирцов, Общественный строй монголов, Л., 1934, с. 49, 54—55.

¹³ Рашид-Эддин, Сборник летописей. История Чингиз-хана до восшествия его на престол. Персидский текст и русский перевод И. Н. Березина. — ТВОРАО, ч. XIII. СПб., 1868, с. 47.

¹⁴ Djami el-tévarikh... Ed. par. E. Blochet, t. II, p. 213. Рашид-ад-Дин, Сборник летописей, II, с. 107.

¹⁵ Рашид-Эддин, Сборник летописей. — ТВОРАО, XIII, რუსული თარგმანი, გვ. 30, 60. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ადგილებს

. შეიძლება გვეფიქრა, რომ უამთაალმწერელმა თვითონ იცოდა, რომ უმცროს ვაჟს მონღოლურად ეჭენი ერქვა და, რაკი ჰულაგუ: მანგუ ყაენის უმცროს ძედ მიაჩნდა, ამიტომ უწოდა მას ეჭანი. მაგრამ ამავე ტერმინ-სახელის სომხურ ძეგლში ხმარების ფაქტი იმა-საც გვაფიქრებინებს, რომ მსგავსი ცნობა შემონახული ყოფილა რო-ნელილაც უფრო ადრინდელ წყაროშიც, საიდანაც უსარგებლიათ ქართველ და სომეხ ისტორიკოსებს.

II

ჩინგიზ ყაენი ისე გარდაიცვალა, რომ საბოლოოდ არ დაუმორ-ჩილებია შუა და მხლობელი აღმოსავლეთის ქვეყნები. მისმა შემ-ცვლელმა უგედეი ყაენმა საგანგებო ყურადღება მიაქცია ირანისა და აზიურკავკასიის დაპყრობას და რაზმები გამოჰყო დასავლეთში სალაშქროდ ჩორმალან ნოინის მეთაურობით¹⁶. უამთაალმწერლის ცნობით, ყაენმა „მოუწოდა ოთხთა ერისმთავართა, რომელთა ქართველნი ნოინობით უქმობენ, სახელით: ჩორმაჯანსა უპირვე-ლესსა და მეორესა ჩალატას, იოსურასა, ბიჩოსას“¹⁷.

ჰულაგუ-ხანი რომ ირანში მოვიდა 1256 წელს, მას შეზღუნენ ადრე გამოგზავნილი მონღოლი სარდლები, რომელთაც „თანა წა-რიტანნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი... და მიეგებ-ნეს აიდარბაგანს. და შეკრბეს ორნივე თათარნი, პირველ მოსრულ-ნი, რომელთა თამაშობით უწოდეს, [და] ულო ყანს თანა მოსრულნი“¹⁸. ილხანმა „იხილნა და კეთილად შეიწყნარნა“ ქარ-თველი წარჩინებულნი. აქედან იგი ალათაღს მივიდა. „და ილოცეს წესისაებრ მათისა და უწოდეს ყაენად“. შემდეგ უამთაალმწერელი შენიშნავს, რომ მანამდე „თამაშობითა ნოინთა ოთხთა მიერ განე-

იმოწმებს ბ. ვლადიმირკოვი ეჭენის მნიშვნელობის განსამარტავად (В. Я. Владимирцов, Общественный строй монголов, с. 54—55, 111).

¹⁶ Djami el-tévarikh... Ed. par. E. Blochet, t. II, 18; Рашид-ад-Дин, Сборник Летописей, II, с. 20—21.

¹⁷ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 184.

¹⁸ ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებიდან ეს ფრაზა დადიანისეულ და ქალაქილისეულ (ახალი ნაწილი) ნუსხებში გვხვდება, ისიც დამახინჯებით. მ. ბროსემ სქოლიოში თეიმურაზისეული ნუსხის მიხედვით დაბეჭდა: „შეკრბეს ორნივე თათარნი, პირველ მოსრულნი, რომელთა თამბობით უწოდეს, ულო-ყანს თანა მოსრულნი“ (გვ. 379, შენ. 2). ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში თეიმურაზისეული ნუსხის „თამბობა“ მიღებული (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 222).

გებოდა ქუეყანა საბრძანებლისა მათისა“, ხოლო, როდესაც ჰულაგუ მოვიდა, თვითონ დაიწყო ქვეყნების მართვა-გამგებლობა¹⁹.

ზემოთ მოყვანილ ციტატებში მოხსენიებული ორივე ტერმინი ირანსა და ამიერკავკასიაში ჰულაგუ-ხანზე ადრე მოსულ მონღოლებს ეხება. „ქართლის ცხოვრების“ იმ ნუსხებში, რომლებმაც ვანტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ რედაქცია გაიარეს, ზემოხსენებულ მონღოლ სარდალთა შესახებ აღნიშნულია: „რომელთა თ უ მ ო ჩ ი ა - ნ ო ბ ი თ უკმობდეს“²⁰.

მ. ბროსემ შენიშნა კავშირი ჟამთააღმწერლის თხზულების სხვადასხვა ნუსხებში მოხსენიებულ „თამბ“-სა და „თამჩთა“-ს შორის²¹, მაგრამ მანვე „თუმოჩიანი“, სრულიად ნებისმიერად, „თუმანჩის“ (ათიათასისთავს) დაუკავშირა²².

საგანგებოდ შეეხო ჟამთააღმწერლის „თამჩთა“-ს ივ. ჭავჭავიძე. მისი შეხედულებით, „თამჩთა“ მონღოლურად არ არსებობს, არის თაიჩუთ, რაც თავადს, აზნაურს ნიშნავს“. მკვლევარმა გამოთქვა ვარაუდი, რომ „ულუს-ნოინის შემდგომ ნოინთა შორის პირველი ადგილი როგორც ეტყობა „თაიჩუთთა ნოინთა“ უნდა ჰკუთვნებოდა. ქართული ისტორიკოსის სიტყვით, ულო ყაენის დროს „თაიჩ[უ]თ[თ]ა“ ნოინთა ოთხთა მიერ განეგებოდა ქვეყანა საბრძანებლისა მათისა“²³.

უნდა აღინიშნოს, რომ მონღოლთა შორის თაიჩის²⁴ წოდებულებას ატარებდნენ მხოლოდ ჩინგიზ ყაენის საგვარეულოს წევრები. ბ. ვლადიმირცოვი საგანგებოდ გაახიზავს, რომ მხოლოდ ესუგაი-

¹⁹ ქართლის ცხოვრება, მარამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 647. ასევეა მ. ბროსეს გამოცემაში (გვ. 380). ს. ყაუხჩიშვილთან: „თ ა ი ჩ უ თ თ ა ო თ ხ თ ა ნ ო ი ნ თ ა მიერ განეგებოდა ქვეყანა საბრძანებლისა მათისა“. ვარიანტებში აღნიშნულია, რომ ნუსხების ჩვენებაა „თამჩთა“, ხოლო „თაიჩუთთა“ ივ. ჭავჭავიძის კონიექტურაა (გვ. 223).

²⁰ ქართლის ცხოვრება, დასაბამითაჲნ მუათხბრამეტე საუკუნემდის, I. გვ. 380.

²¹ Histoire de la Géorgie, I, p. 541, n. 1.

²² ი ქ ე ე, გვ. 540, შენ. 2.

²³ ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 94—95. ეს მოსაზრება გაიზარეს ს. ყაუხჩიშვილმა (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 223, 566), ი. ცინცაძემ (იხ. მისი მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები, თბ., 1960, გვ. 71) და პ. მურადიანმა. მის მიერ შესრულებულ სომხურ თარგმანში „თაიჩუთთა“-ს ნაცვლად გვხვდება „თაიჩუთთა“ (թաიլუთთა — დასახელებული თარგმანი, გვ. 98).

²⁴ ეს სიტყვა მონღოლებს ჩინურიდან შეუთვისებიათ. ჩინურად „თაი ცზი“-მემკვიდრეს, უფლისწულს ნიშნავს.

ბაჰადურისა²⁵ და ჩინგიზ ყაენის შთამომავალნი იწოდებოდნენ თაი-
ჯიებად და არავის სხვას არავითარ შეძლებევაში არ ჰქონდა ამ წო-
დების ტარების უფლება²⁶. ამდენად ვფიქრობთ, რომ „თამჩთა ნო-
ინთა“ მაგიერ „თაიჩუთა ნოინთა“ წაკითხვა სრულიად გაუმარ-
თლებელია.

დასახელებული მონღოლი სარდლები რომ მართლაც თაიჯიე-
ბი ანუ ჩინგიზ ყაენის შთამომავალნი ყოფილიყვნენ, მაშინ „თაი-
ჩუთა ნოინებს“ (თუკი ასეთი კატეგორია საერთოდ იარსებებდა),
იერარქიულად „ულუს-ნოინის“ შემდგომ კი არ უნდა სქეროდათ
ადგილი, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, არამედ იმა-
ზე წინ. მაგრამ, ცნობილია, რომ ზემოხსენებულ მონღოლ სარ-
დალთაგან არცერთი არ ეკუთვნოდა ჩინგიზ ყაენის საგვარეულოს,
ე. ი. არცერთი არ იყო თაიჯი²⁷.

უგედეი ყაენის მიერ დასავლეთში გამოგზავნილი რაზმების
შესახებ მონღოლურ, სომხურ და სპარსულ წყაროებშიც გვხვდებ-
ა ცნობები.

1240 წ. შედგენილ მონღოლურ ქრონიკაში ჩორმალანს თანმა-
ჩი ეწოდება²⁸. ამავე წყაროს მიხედვით, თანმაჩიები დაუნიშნავთ
როგორც წინა აზიის ქვეყნებში, ასევე ჩინეთშიც. დაპყრობილ
ქვეყნებში თანმაჩიების გაბწესება ნაწილი იყო იმ ღონისძიებებისა,
რომლებიც უგედეი ყაენმა გაატარა სახელმწიფოში წესრიგის დამ-
ყარების მიზნით²⁹.

²⁵ ჩინგიზ ყაენის მამის.

²⁶ Б. Я. Владимирцов, *Общественный строй монголов*, с. 143.

²⁷ „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული ნუსხების მიხედვით, „ესე ოთხ-
ნივე ნოინნი ყაენის შვილები იყუნეს“ (ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთ-
ცხრამეტე საუკუნემდის, I, გვ. 358. იგივე ვარიანტია შეტანილი ს. ყაუხჩიშვილის
მიერ დადგენილ ტექსტშიც. — გვ. 184). მაგრამ ეს აშკარა შეცდომაა. ვახტანგის
წინარე ხანის ვარიანტში იკითხება: „ესევე ოთხნი ამა ოთხთა ყანის შვილთა ყანთა-
ნი იყუნეს“ (ქართლის ცხოვრება, მარამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 589). ფ. გორგჯა-
ნიძე კიდევ უფრო გარკვევით აღნიშნავს, რომ ეს ნოინები „თითო თითომ ყაენის
შვილებმან უთავეს ლაშქარს“ (საქ. მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტი-
ტუტი, H2140, ფ. 45r): რაშიდ აღ-დინის ცნობით, ჩორმალანი სუნითის ტომს
ეკუთვნოდა, ბაიჩუ—აისუთის ტომს, ისაური — ყურალასის, ხოლო ჩალათაი —
ორლათის ტომს (Р а ш и д - а д - Д и н, Джамии ат-таварих, I, I, М., 1965, с.
150—151, 153, 155. Р а ш и д - а д - Д и н, Сборник летописей, I, I, с. 98—
100).

²⁸ С. А. К о з и н, *Сокровенное сказание. Юан чао би ши*, М.—Л.,
1941, с. 193.

²⁹ იქვე, გვ. 197—198. ამავე რიგის ღონისძიებათა შორის იყო საგადასახლო
საქმის მოწესრიგება და საფოსტო სადგურების — იამების დაარსება.

გრიგოლ აკნეცი (XVIII ს.) ირანსა და ამიერკავკასიაში ადრე მოსულ მონღოლებს ძველი მხედრებისა და თემაჩების სახელით იხსენიებს³⁰.

რაშიდ ად-დინი ჩორმაღანის მეთაურობით დასავლეთში გაგზავნილ ლაშქარს თამას (تاما) უწოდებს³¹. მისივე ცნობით, უგედეი ყაენმა ჩორმაღანი ოთხი დუმენი მეომრით ლაშქარ-თამად დანიშნა და ირანში გაგზავნა. „ლაშქარ-თამა ის არის. — განმარტავს რაშიდ ად-დინი, — ვისაც ლაშქრის მეთაურად დანიშნავენ, ათასეულიდან და ასეულიდან ამორიცხავენ და რომელსამე ვილაიეთში გაგზავნიან, რათა მუღმივად იქ იმყოფებოდეს“³². ამ განმარტების გამო ა. სემიონოვი შენიშნავს, რომ თამა სავსებით ზუსტად აღნიშნავდა იმ მონღოლურ კორპუსებს, რომლებიც ამა თუ იმ ოლქში იგზავნებოდნენ, რათა მუღმივად იქ მდგარიყვნენ გარნიზონებად, და ამიტომ ასეთი ჯარების მეთაური (ლაშქარ-თამა) ამორიცხებოდა ცენტრალური ლაშქრის ერთეულებიდან (ათასეული, ასეული, ათეული)³³.

ვ. ბარტოლდის აზრით, რაშიდ ად-დინთან სიტყვა თამა იხმარება იმ რაზმების მიმართ, რომლებიც ადრევე გაიგზავნენ დასავლეთში, დამორჩილებული ქვეყნების დასაპყრობად და დასაცავად. ხოლო თამაჩი (تاماجی) აღნიშნავდა იმ მეომრებს, ვისაც თამას სამსახური, ე. ი. დაცვა ევალებოდა. იგივე სახელწოდება ვრცელდებოდა აგრეთვე უფრო მაღალ მონღოლებზეც³⁴.

ქ. პატკანოვმა ჯერ კიდევ ამ ასი წლის წინ დაუკავშირა ერთმანეთს სომხური, ქართული და ჩინური წყაროების სათანადო მონაცემები და განმარტა, რომ თანმაჩი ეწოდებოდათ მონღოლების იმ რაზმებს ან მათ მეთაურებს, რომლებიც მონღოლთა საბრძანებლის ოთხ ულუსად გაყოფამდე გაიგზავნენ შორეული ქვეყნების დასაპყრობად და დასაცავად³⁵.

³⁰ გ რ ი გ ო ლ ა კ ა ნ ე ლ ი, მოსართა ტომის ისტორია. ნ. შოშაშვილის გამოც., თბ., 1961, გვ. 40; История монголов эпохи Магакни. Перевод и объяснения К. П. Патканова, СПб., 1871, с. 30.

³¹ Рашид-ад-Дин, Джамн ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 21, რუსული თარგმანი, გვ. 21; Рашид-ад-Дин, Сборник летописей, I, 2, с. 279.

³² Рашид-ад-Дин, Джамн ат-таварих, I, 1, с. 150—151.

³³ Рашид-ад-Дин, Сборник летописей, I, 1, с. 99, прим. 2.

³⁴ В. В. Бартольд, Сочинения, т. I, М., 1963, с. 534, прим. 4.

³⁵ История монголов эпохи Магакни, с. 89—91, прим. 55.

ანგვარად, ჟამთააღმწერლის თავდაპირველ ტექსტში, როგორც ჩანს, ყოფილა „თამაჩობით“ და „თამაჩათა“, მაგრამ შემდეგ გადაწერებს დაუმახინჯებიათ მათთვის უცნობი სიტყვები.

III

დემეტრე II-ს, ქართველი ავტორია ცნობით, „თანა შეეწეოდა ნონინ დიდი ბულა, რომელსა პატივად ოინგი ყანობა მისცა ყანჯან“³⁶.

ნონინ ბულა, ვისაც ისეთი წოდება ჰქონია ყაენისაგან მინიჭებული რომ, ჟამთააღმწერლის სიტყვით, „ყოველთა პატივთა უმეტეს არს“, ილხანთა სახელმწიფოს ერთ-ერთი დიდი ამირი იყო. ის ჯერ კიდევ აბალა-ხანის დროს (1265—1282) დაწინაურდა სახელმწიფო სამსახურში. მოგვიანებით, ბულამ დიდ დახმარება გაუწია არღუნს ილხანის ტახტის დაკავებაში. ამის გამო არღუნ-ხანი განსაკუთრებით სწყალობდა მას და მთელი სახელმწიფოს საქმეთა მართვა-გამგებლობაც ჩააბარა³⁷. იმდენად გაძლიერდა ბულა, რომ, როგორც ჟამთააღმწერელი შენიშნავს, „ყაენი კელთა შინა ბულასათა იყო“³⁸.

მიუხედავად ამგვარი განდიდებისა, ბულა ნონინისათვის ასეთი წოდების მინიჭება მაინც უცნაური ჩანს. აშკარაა, რომ ტექსტი შერყვნილია და „ჩინგი ყანობის“ ნაცვლად რაღაც სხვა ტერმინია საგულეზელი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჟამთააღმწერელი ბულას „ჩინქიშან ბულასაც“ უწოდებს³⁹. ეს სახელი ჟამთააღმწერელთან მხოლოდ ერთხელ გვხვდება, მაგრამ ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა, რომ ჩვენი ავტორის თხზულებაში ბულას ამბების თხრობის დროს „რამ-

³⁶ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 735. მ. ბროსეს გამოცემაში — „ჩინგი ყანობა“ (გვ. 421); ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში — „ჩინგი ყანობა“ (გვ. 286).

³⁷ Рашид-ад-Дин, Джамии ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 180—194, 200, რუსული თარგმანი, გვ. 109—113, 116; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 285; Армянские источники о монголах, с. 39—41; А. А. Али-заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII—XIV вв., Баку, 1956, с. 276—277; Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский, И. П. Петрушевский, Л. В. Строева, А. М. Беленицкий, История Ирана с древнейших времен до конца XVIII в., Л., 1958, с. 193.

³⁸ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 285.

³⁹ იქვე, გვ. 290.

დენსამე ადგილას აზრის მიმდინარეობას ნახტომები ემჩნევა და ამის გამო სტილისტიკურადაც აქა-იქ შეუსაბამობაა და შინაარსიც დამახინჯებულია... ცხადი ხდება, რომ აქ შუაში ბევრი რამ უნდა აკლდეს⁴⁰. მართლაც, XVII ს-ის ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო ნაწარმოების იმ ნაწილში უამთაღმწერლოს თხზულების მიხედვით რომ არის გამართული, ნაკლები თხრობა მნიშვნელოვანწილად შევსებულია და „ჩინქაშან ბულაც“ შედარებით უფრო ხშირად იხსენიება⁴¹. ცხადია, რომ ორსავე შემთხვევაში ერთ ტერმინთან გვაქვს საქმე და „ჩინგი ყანობა“-სა და „ჩინქიშან-ჩინქაშან“-ში ერთი და იგივე წოდებაა ნაგულისხმევი.

ჩინქსან-ჩინგსანგს უწოდებენ ბულას სომხური⁴² და სპარსული წყაროები⁴³. ამასთან, „ისტორიათა კრებულში“ ბულა ნონისათვის ამ წოდების ბოძების ზუსტი თარიღიც არის ნაჩვენები. კერძოდ, იქ აღნიშნულია, რომ 1286 წ. 23 თებერვალს ამირი ურდუყია მოვიდა ირანში და მოიტანა ყუბილაი ყაენის იარლიყი ბულასათვის ჩინგსანგის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ⁴⁴. სწორედ ამ შემთხვევას გულისხმობს უამთაღმწერელი, როდესაც წერს, ბულას „პატივად ჩინგი ყანობა“ მისცაო ყაენმა.

ჩინგსანგობა უმაღლესი სამოხელეო წოდება იყო მონღოლთა სახელმწიფოში. ეს სიტყვა მონღოლებს, ჩინელებისაგან ჰქონიათ შეთვისებული (ჩინურად „ჯენსიან“ მინისტრს ნიშნავს). რაშიდ ად-დინის სიტყვით, უფროს ამირებს, რომლებიც შეიძლებოდა ნაიბები და ვეზირები ყოფილიყვნენ, ჩინგსანგებს უწოდებდნენ⁴⁵. XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსების განმარტებით, ჩინქსანი მთავართა მთავარს ნიშნავს⁴⁶.

⁴⁰ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 223.

⁴¹ ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 94v—96r.

⁴² Из истории Стефана Орбелиан. — История монголов по армянским источникам, I, СПб., 1873, с. 52; Армянские источники о монголах, с. 30, 84.

⁴³ Р а ш и д - а д - Д и н, Джами ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 205, 206, რუსული თარგმანი, გვ. 119. ჩინგსანგად იხსენიებს ბულას ივ. ჯავახიშვილიც (იხ. მისი ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 222—224).

⁴⁴ Р а ш и д - а д - Д и н, Джами ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 205, რუსული თარგმანი, გვ. 119.

⁴⁵ Djami el-tévarikh... Ed. par. E. Blochet, t. II, p. 470; Р а ш и д - а д - Д и н, Сборник летописей, II, с. 177—178.

⁴⁶ История монголов по армянским источникам, I, с. 52; Армянские источники о монголах, с. 40.

მონღოლთა სახელმწიფოში პირველად უგედეი ყაენს დაუნიშნავს ორი ჩინგსანგი. ყუბილაი ყაენს ჯერ ერთი ჩინგსანგი ჰყოლია, მერე — ოთხი და ხუთი⁴⁷.

ბ. ვლადიმირცოვი აღნიშნავს, რომ მონღოლეთში ჩინგსანგის (cingsang) ტიტულს ატარებდნენ უპირატესად ყაენის მიერ გამგებლებად დანიშნული მსხვილი ევოდალები⁴⁸. ჩინგსანგები ხელმწიფის თანამემწენი იყვნენ ყველა საქმეში; მათ ეპყრათ ხელში მთელი ადმინისტრაციული ძალაუფლება⁴⁹.

როგორც ვხედავთ, ჩინგსანგის საპატიო წოდება სავსებით შეეფერებოდა იმ მაღალ მდგომარეობას და გავლენას, ბუღას რომ ჰქონდა მოპოვებული ილხან არღუნის კარზე.

ყამთააღმწერლის თხზულების ფრანგულ თარგმანში მ. ბროსემ „ჩინგი ყაენობა“ დასტოვა („le titre de Tchingi-Qaen“), სქოლიოში კი, სენ-მარტენის ნაშრომის მიხედვით, აღნიშნა ბუღასთვის ჩინგსანგის წოდების მინიჭება 1286 წელს. ამავე დროს მ. ბროსემ ვარაუდი გამოსთქვა: ალბათ ქართველმა ავტორმა ბუღას ეს წოდება ჩინგიზ ყაენის ტიტულს დაუკავშირაო⁵⁰.

უნდა ითქვას, რომ ასეთი ვარაუდი საფუძველს მოკლებულია. რაკი უანთააღმწერელი ჩინგსანგ ტერმინს ჩინქიზან ფორმით იცნობდა, ტექსტში მას „ჩინქიზანობა“ უწერებოდა⁵¹. გვიანდელმა გადაწერამ, რომელმაც აღარ იცოდა ამ სიტყვის მნიშვნელობა, ნუსხურში შ-სა და ყ-ს მსგავსების გამო „ჩინქიყანობა“ წაიკითხა. შემდეგ (ამჯერად, ალბათ, მართლაც „ჩინგიზ ყაენის“ იგავლინით) ქ გამჟღერდა და მივიღეთ „ჩინგი ყანობა“.

⁴⁷ В. В. Бартольд, Сочинения, т. V. М., 1968, с. 384, прим. 20.

⁴⁸ Б. Я. Владимирцов, Общественный строй монголов, с. 141.

⁴⁹ В. В. Бартольд, Сочинения, т. V, с. 385, прим. 20.

⁵⁰ Histoire de la Géorgie, I, p. 602, n. 2. ასე გაიგო ტერმინი პ. მურადიანმა, რომელმაც სომხურ თარგმანში შეიტანა „ჩინგიზხანობა“ (չինգիզխանութիւն, — დასახ. თარგმანი, გვ. 154).

⁵¹ ეს რომ ნამდვილად ასე იყო, მოწმობს ფ. გორგიჯანიძეც, რომელსაც შესაბამის ადგილას უწერია: „უდიდესი საკელოა ყოველს ყაენის კარის საკელოთა ჩინქიზან ბუღაობა“ (დასახ. ხელნაწერი, ფ. 94v).

ТОЛКОВАНИЕ НЕКОТОРЫХ ВОСТОЧНЫХ ТЕРМИНОВ АНОНИМНОГО ИСТОРИКА XIV ВЕКА

Резюме

В сочинении грузинского анонимного историка XIV века встречается большое количество социальных, экономических и политических терминов восточного происхождения, смысл которых не всегда ясен современному читателю. Некоторые из этих терминов до такой степени искажены переписчиками, что трудно понятны даже для специалистов. В статье дается разъяснение нескольких редко встречающихся терминов и восстанавливается их правильное написание.

I. Анонимный автор передает, что у верховного властителя монгольского государства Мангу каана «было два сына, старший Кубил каан и младший Уло, которого звали также Эджан». Историк еще несколько раз упоминает это прозвище Хулагу-хана (Уло).

В работе отмечается, что по монгольским обычаям младший сын считался основным наследником отцовского имущества, он являлся хранителем очага и назывался «эджен» (владыка, хозяин). Поскольку грузинский историк ошибочно считает Хулагу младшим сыном Мангу каана (в действительности они были братьями, а среди своих братьев Хулагу не был младшим), по этой причине он и называет ильхана Эджаном.

II. Когда Хулагу-хан с войском прибыл в Иран (в 1256 г), по словам грузинского автора, здесь его встретили раньше посланные на запад монголы. Историк далее замечает, что до того эти страны управлялись четырьмя нойонами, а после прибытия Хулагу, он сам стал заботиться о владениях. Название этих отрядов и их предводителей, дважды упоминаемое грузинским автором, искажено в списках «Қартлис цхозреба» («тамаш», «тамб», «тамч»). В историографии было несколько попыток объяснения этого термина. В последнем издании сочинения анонимного историка XIV века, на ос-

нове предположения И. А. Джавахишвили, термин восстановлен в виде «тайчут» и разъяснен в словаре как «князь», «дворянин».

На основе данных источников и специальной литературы в работе показано, что в сочинении грузинского автора имеется в виду термин «тамачи». Так назывались воины и командиры отрядов, отправляемых в какую-либо страну для завоевания и несения там охранной службы.

III. По словам анонимного историка, к грузинскому царю Димитрию II «благоволил великий нойон Буга, которому каан пожаловал титул «чинги кана» («чинги каноба»).

Буга, один из великих эмиров ильханского государства, был сильно возвеличен Аргун-ханом, который поручил ему ведение всех государственных дел. Несмотря на это, все же кажется странным присвоение ему подобного титула, который иногда склонны были даже связывать с именем Чингизхана.

В работе разъясняется, что в действительности речь идет о присвоении Буге Кубилай кааном в 1286 году почетного звания чингсанга, высшего титула для сановников в монгольском государстве.

XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან*

XIII საუკუნის საქართველოს ისტორიის ბევრი მოვლენის ქრონოლოგია ჯერაც არ არის სათანადოდ გამოკვლეული და დადგენილი. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ, როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, „ქართველ ისტორიკოსებს ქრონოლოგიური ცნობებისათვის მაინცდამაინც თავი არ შეუწუხებიათ“¹. საქმარისია ითქვას, რომ XIV საუკუნის ქართველი ისტორიკოსის, ეპიტაქანის თხზულებაში, რომელიც ძირითადი წყაროა XIII ს-ის საქართველოს ისტორიის შესასწავლად, არც ერთი თარიღი არ არის პირდაპირ ნაჩვენები? (ამის გამო ი. სიხარულიძემ „ქრონოლოგიის მოძულებ“ კი უწოდა ისტორიკოსს²). მართალია, ჩვენს ავტორს მოეპოვება თავისებური ქრონოლოგიური მინიშნებანი, რომელთა დახმარებით ზოგჯერ ხერხდება ამა თუ იმ თარიღის დადგენა, მაგრამ, ამავე დროს იგი ხშირად უხეშად არღვევს მოვლენათა თანა-

* პირველად დაიბეჭდა 1973 წელს („მაცნე“, ისტორიის სერია, 1973, № 4, გვ. 141—150).

¹ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ. 1945, გვ. 193—194. „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ დიდ ნაკლად თ. ყორღანას ის მიაჩნდა, რომ „ჩვენი მატანე თითქმის სრულიად მოკლებულია ქრონოლოგიას“ (ქრონიკები, I, ტფ., 1892, გვ. LII, შდრ. გვ. LIV).

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 144, 155, 188, 195, 204; ნ. შოშიაშვილი, XIII ს-ის საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიისათვის. — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII-ნ, თბ., 1954, გვ. 113; დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII—XIV სს.), თბ., 1962, გვ. 291; გ. მკედელიძე, ქრონოლოგია ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში. — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XXIV, ქუთაისი, 1962, გვ. 181.

³ ი. სიხარულიძე, მონღოლთა მფლობელობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან. — „მაცნე“, 1966, № 1, გვ. 114.

მიმდევრობას⁴, რაც აძნელებს ქრონოლოგიის აღდგენას და არასწორი დათარიღების წყაროდაც იქცევა.

უამთაღმწერელთან მოთხრობილი ბევრი ამბავი სომეხს, არაბ და ირანელ ისტორიკოსებსაც აქვთ აღწერილი. მათი ცნობების მოშველიებით ძირითადად შესაძლებელი გახდა XIII საუკუნის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის აღდგენა⁵, მაგრამ ავტორის მიერ დაშვებული ანაქრონიზმების გამო ზოგიერთი მოვლენა დღესაც არასწორად არის დათარიღებული.

ამჯერად ჩვენ დემეტრე II-ის მეფობის ხანის რამდენიმე თარიღს შევეხებით და მათი დაზუსტების ცდაცაა წარმოვადგენთ. უამთაღმწერელს, ჩვეულებრივ, ამ პერიოდის არც ერთი თარიღი არა აქვს დასახელებული. მისი ქრონოლოგიური ჩარევების შევსება ვერც ვახუშტი ბაგრატიონმა შესძლო⁶. შედარებით ხშირად ასახელებს თარიღებს იოანე ბაგრატიონი⁷, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ქრონოლოგიური მონაცემების დიდი ნაწილი მცდარია.

დემეტრე II-ის ამბების თხრობაში არის რამდენიმე მტკიცე ქრონოლოგიური საყრდენი — უცხოურ წყაროებში ზუსტად დათარიღებული რამდენიმე ცნობა, რომელთა მეშვეობით შესაძლებე-

⁴ ივ. ჭავჭავაძის ქართული ერის ისტორია, III, გვ. 54, 144, 158, 165, 168, 176, 181, 195, 212, 213, 214; რ. კიკნაძე, უამთაღმწერლის სპარსული წყაროები. — „კავკასიურ-ახლომოსავლური კრებული“, II, თბ., 1962, გვ. 137, შენ. 29; ი. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII—XIV საუკუნეებში, თბ., 1967, გვ. 103—104. განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული გ. მკვლიძეს. კერძოდ, მას მიაჩნია, რომ, პირიქით, მოვლენათა აღწერაში უამთაღმწერელი მკაცრად იცავს ქრონოლოგიურ თანამდებობას და ანაქრონიზმებიც ძალიან იშვიათად გვხვდება მასთან (Г. Л. Мчедлидзе, Хронология в древнегрузинской исторической литературе. Автореферат диссертации, представленной на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб., 1963, с. 21—22).

⁵ იხ. ივ. ჭავჭავაძის ქართული ერის ისტორია, III, გვ. 211—226.

⁶ თ. კორძანია აღნიშნავდა, რომ „ვახუშტიმ პირველმა მიიღო თავისთავზე მძიმე შრომა ქ-ცხბის ცნობათა ქრონოლოგიურად განმარტვისა, ეს შრომა ვახუშტომ, ბროსეს მოწმობით, ჩინებულად შეასრულა ფუთ ქ-ცხბის შინაურ ნიშნების მიხედვით და უცხო ერთა ისტორიასთან ჩვენის მატრიანის შედარებით“ (ქრონიკები, I, გვ. LIV—LV). მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ისტორიაში ვახუშტიმ სულ რამდენიმე თარიღი შემოიტანა (იხ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., ტფ., 1885, გვ. 250—260).

⁷ იოანე ბაგრატიონი, ისტორია ქართლისა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H2134, ფ. 679r—687r.

ლი ხდება მოვლენათა სწორი თანამიმდევრობის დადგენა და ზოგიერთი მკვლარი თარიღის დაზუსტება. კერძოდ, ჟამთააღმწერელი დემეტრეს მეფობის დასაწყისშივე მოგვითხრობს ეგვიპტის სულთან ფუნდუყდარსა და მონღოლთა სასაზღვრო რაზმს შორის მომხდარი ბრძოლის შესახებ⁸. ეს ბრძოლა, რომელშიც მონღოლებმა მარცხი განიცადეს, ზუსტად თარიღდება 1277 წლით. ფუნდუყდარის სალაშქროდ წაქეზება დაბრალდა რუმის გამგებელ ფარვანეს⁹. რომელიც აბალას ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს¹¹ (სპარსული და სომხური წყაროებით, იმავე 1277 წელს)¹². ამის შემდეგ ჟამთააღმწერელი აღნიშნავს, „ვითარცა აღიზარდა“ დემეტრე, სახელმწიფოს მართვას შეუდგაო („იყო საურაეთა საქმეთა კეთილ განგებად“) და აღწერს მის გარეგნობას, პირად თვისებებსა და ლეთსმოშიშობას¹³.

მერე ისტორიკოსი უბრუნდება დემეტრეს ბავშვობის აპბავს, გვამცნობს, მეფე „კელთა შინა სადუნისთა იყო“-ო, მოგვითხრობს, როგორ „იურვა“ სადუნმა თელავი და ბელაქანი, და დასძენს, რომ იგი „კეთილად განაგებდა საქმეთა საქართველოსათა“¹⁴. ამას მოს-

⁸ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 270—271.

⁹ P a ш и д - а д - Д и н, Джамии ат-таварих. т. III. Составитель научно-критического текста на персидском языке А. А. Али-заде, перевод с персидского А. К. Арендса, Баку, 1957, სპარსული ტექსტი, გვ. 144; რუსული თარგმანი, გვ. 90; Из «Летописи» Степанося епископа.—Армянские источники о монголах. Перевод с древнеармянского, предисловие и примечания А. Г. Галстяна, М., 1962, с. 37; ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 216.

¹⁰ მოინ აღ-დინ ფარვანე მცირე აზრის სელჩუკიან სულთანთა ვეზირი იყო. იგი მონღოლებს მიემხრო და ჰულაგუ-ხანისაგან საგამგებლოდ მიიღო რუმის მხარე (P a ш и д - а д - Д и н, Джамии ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 91, რუსული თარგმანი, გვ. 62). ვ. გორდლევის სიტყვით, მონღოლთა ბატონობის ხანაში შეიქმნა ტიპი თავნება დიქტატორ ვეზირისა, რომელიც მხოლოდ ხანის წინაშე აგებდა პასუხს (В. А. Гордлевский. Государство Сельджукидов Малой Азии. — Избранные сочинения. т. I, М., 1960, с. 67). ამიტომაც არის, რომ ჟამთააღმწერელს ფარვანე „საბერძნეთის სულტანი“ ჰგონდა (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 270, 271. ტექსტის ამ გამოცემაში „ფარმან || ფარმანა“ იხსენიება, მაგრამ ნუსხების დიდი ნაწილი „ფარვანას“ აჩვენებს).

¹¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 271.

¹² P a ш и д - а д - Д и н, Джамии ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 146, რუსული თარგმანი, გვ. 91; Армянские источники о монголах, с. 37..

¹³ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 271—272.

¹⁴ ი ზ ვ ე, გვ. 272.

დევს თხოვრა იმის შესახებ, რომ „მეფემან დაიწყო სიბასა წარსლ-
ვად, და აღაშენა ქუეყანანი მოოჯრებულნი“; მერე ურდოში წავი-
და, სადაც მოსთხოვეს „საფასე ურიცხვ“; დემეტრე იძულებული შე-
იქნა სადუნისათვის დაეთმო დმანისი და მისი სანახები; სადუნმა
სხვა ბევრი ქვეყანაც იყიდა, კარაც მიიღო მეფისაგან და ახალციხე-
ლის ასულიც შეირთო; დემეტრეს ცოლად შერთეს ტრაპიზონის მე-
ფის ასული და მალე ვაჟიც შეეძინა; არღუნ ამირმა მეორედ აღწერა.
ქვეყანა; მეფემ თავისი და მიათხოვა არღუნის ვაჟს; დემეტრეს მე-
ორე ვაჟი შეეძინა; სამცხეში ძლიერი მიწისძვრა მოხდა; არღუნ
ამირი გარდაიცვალა; მეფის და სადუნმა იყიდა და ცოლად შეირ-
თო¹⁵ და ა. შ.

იმის გამო, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ამბები ფუნდუყდარის
შემოსევისა და ფარვანეს დასჯის შემდეგ აქვს ეამთაღმწერელს
მოთხრობილი, მათი უმეტეობა ქართულს ისტორიოგრაფიაში 1278
წლით არის დათარიღებული. ამავე დროს წყაროების მონაცემები
მოწმობენ, რომ ყველა აღნიშნული მოვლენა დემეტრეს მეფობის
პირველ წლებში, სახელდობრ 1276 წლიდან უნდა მომხდარიყო.

ჟერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ „თავის წყაროთგან
ამოღებული ცნობა დიმიტრი მეფის ჯვარისწერის შესახებ ეამთაღ-
მწერელს გადაუსვამს და ამის გამო ისტორიულ შემთხვეულობათა
თავდაპირველი წესრიგი და ქრონოლოგიური კავშირი დარღვეული
უნდა იყოს“¹⁶. მკვლევრის აზრით, „ეამთაღმწერელის წყაროში ყრმა
დიმიტრის დაქორწინებია ამბავი მოთხრობის წესრიგით გამე-
ფების ამბავს ან უშუალოდ მისდევდა, ან ცოტა ხნის შემდგომ.
ქრონოლოგიურადაც ეს შემთხვეულობა ასევე უნდა ყოფილიყო ნა-
გუსლისმცეცი და საქმეთა თანამიდევილობა მხოლოდ ეამთაღმ-
წერელის მიერ ფანდაკდარ-ფარვანეს ამბავის შუაში ჩართვამ
არია“¹⁷. ამის გამო ივ. ჯავახიშვილმა დემეტრეს პირველი ქორწი-
ნება ივარაუდა 1272—73 წელს, როცა ის მართლაც „ჯერეთ ყრმა
იყო“¹⁸.

მართლაც, თუ ვირწმუნებთ, რომ ეამთაღმწერელს მისთვის
ჩვეული ანაქრონიზმი მოსვლია და ცნობები ფუნდუყდარის შემო-

¹⁵ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 272—278.

¹⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 213.

¹⁷ იქვე.

¹⁸ იქვე. ივ. ჯავახიშვილმა მხოლოდ დემეტრეს ქორწინების თარიღი ამოიღო მოვ-
ლენათა ეამთაღმწერლისეული რიგიდან და სწორადაც განსაზღვრა ის. სხვა თარი-
ღების სისწორის საკითხი მას არ დაუსვამს.

სევასა და ფარვანეა დასჯაზე, ისევე როგორც დემეტრეს სრულწლოვანების შესახებ (იხ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 270₁₁—272₄) უადგილო აღვილას, რანდენამე წლით აღრე ჩაურთავს, მთელი დანარჩენი მოთხრობა საყმაოდ მწყობრ ქრონოლოგიურ სახეს მიიღებს.

დავით ულუს გარდაცვალების შემდეგ (1270—71 წ.)¹⁹, „შეკრბეს ყოველნი ღიღებულნი საქართველოსანი“ და მცირეწლოვანი დემეტრე აბალა-ხანთან წაიყვანეს მეფედ დასამტიკებლად. ილხანმა მას „მოცა ყოველი სამეფო... და წარმოატანა თანა სადუნი, რომელსა უბოძა მეფემან დიმიტრი ათაბაგობა“²⁰. ურდოში მისვლას, იქ სავარაუდო ლოდინს, გარკვეული ცერემონიალის შესრულებას და უკან დაბრუნებას მცირე დრო როლი დასჭირდებოდა. ამიტომაც არის, რომ წყაროები დემეტრეს გამეფებას (და, ამდენად, სადუნისათვის ათაბაგობის ბოძებასაც²¹) 1272 წლით ათარიღებენ²².

საქართველოს სამეფო ტახტზე დასმული მცირეწლოვანი დემეტრე „ქელთა შინა სადუნისთა იყო, რამეთუ ფრად განდიდა სადუნი ყაენმან“. ათაბაგ-ამირსპასალარმა მოხერხებულად ისარგებლა შექმნილი ვითარებით, უწლოვან მეფეს თელავი და ბელაქანი გამოსტყუა²³ და ბევრი სხვა ქვეყანაც მიიღო. ყველაფერი ეს მოხდა დემეტრეს მეფობის დასაწყისში, ე. ი. იმავე 1272 წელს, როცა საქართველოს მედროვე სადუნ მანკაბერდელი განაგებდა²⁴.

ნიუხედავად იმისა, რომ დემეტრე მცირეწლოვანი იყო, მას როგორც საქართველოს მეფეს ევალებოდა ქართველთა რაზმით სიბაზე

¹⁹ Из «Летописи» Себастаци. — Армянские источники о монголах, с. 28; Из «Летописи» Степаноса епископа, იქვე, გვ. 36; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 188, 212.

²⁰ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 269—270.

²¹ პ. ინგოროვა 1271 წლიდან ვარაუდობს სადუნის ათაბაგობას (პ. ინგოროვა, რუსთველიანის ეპილოგი. — თხზულებათა კრებული, I, თბ., 1963, გვ. 582).

²² Из Истории князя Стефана Орбелнак. — История монголов по армянским источникам. Перевод и объяснения К. П. Патканова, вып. I, СПб., 1873, с. 49; Армянские источники о монголах, с. 28, 36; ეახუშტი, საქართველოს ისტორია, გვ. 251; იოანე ბაგრატიონი, ისტორია ქართლისა, დასახ. ხელნაწერი, ფ. 679 v.

²³ ფ. გორგიჯანიძის ცნობით, „მეფეს მიცემა არ უნდოდა, მაგრა ღონე არა ჰქონდა, მისცა“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H2140, ფ. 88r).

²⁴ ივ. ჯავახიშვილის აზრით, თელავი და ბელაქანი სადუნს 1278 წელს მიუღია (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 220; ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, XI—XV სს., თბ., 1949, გვ. 157; იხ. აგრეთვე, ნ. ბერძენიშვილი და სხვ., საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, I, თბ., 1958, გვ. 242).

მორიგეობა. ანტირომაე იყო, რომ ყამთააღმწერლის. სიტყვით, მან „დაიწყო სიბასა წარსლვად“²⁵. პირველად ეს უნდა მომხდარიყო იმავე 1272 წლის შემოდგომაზე რადგან სიბაზე დგომა მორიგე ლაშქარს ევალეზოდა „სთულითგან გაზაფხულამდე“, ხოლო „გაზაფხულ წარვიდიან საზაფხულოთა სადგურთა“²⁶. როგორც ჩანს, 1273 წლის გაზაფხულზე, დემეტრე სიბიდან პირდაპირ „წარვიდა ურდოსა“²⁷, ილხანის საზაფხულო სადგომში²⁸. იქ საქართველოს მეფეს მოსახოვეს, „განზრახვითა სადუნისითა“, დიდი თანხა, რომლის გადახდა მას არ შეეძლო²⁹. ამიტომ დემეტრე იძულებული შეიქნა დმანისი დაეთმო სადუნისათვის, რომელმაც გადაუხადა მონღოლებს სათანადო თანხა³⁰. ჩვენს ისტორიოგრაფიაში სადუნისათვის დმანისის გადაცემაც 1278 წლით არის დათარიღებული³¹.

²⁵ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 272.

²⁶ იქვე, გვ. 251.

²⁷ მანამდე ყამთააღმწერელს აღნიშნული აქვს, რომ დემეტრემ „აღაშენა პალატა შინა მონასტერი, ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღმრთისშობელისა, შეამკო განგებითა დიდითა, და შესწირნა სოფელნი და ზუარნი, და განუჩინა მონაზონთა საზრდელი და სამოსელი“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 272). თუ ჩვენს ისტორიკოსს აქაც უფრო გვიანდელი ამბავი არა აქვს ვადმოცემული, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ იმ დროს მხოლოდ დაიწყებდნენ ტაძრის მშენებლობას, რაც რამდენიმე წელიწადს მანაც გაგრძელდებოდა. ვ. ბერძის აზრით, მეტეხის ტაძარი 1278—1289 წწ. შორის უნდა იყოს აგებული (ვ. ბერძე და სხვ., თბილისის მეტეხის ტაძარი, თბ., 1969, გვ. 12).

²⁸ რაშიდ აღ-დინის ცნობით, აბაღ-ხანის საზაფხულო სადგომები იყო ალათალი და სიპქუბი (P а ш и д - а д - Д и н, Джамии ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 102, რუსული თარგმანი, გვ. 68).

²⁹ იოანე ბაგრატიონი მოგვითხრობს, რომ „მეფე დიმიტრი წარვიდა სიბას, და დაუწყო მუნ შენობა აოხრებულთა ქვეყნებსა, რომელიც ბერქა ყაენისაგან იყო აოხრებული, ვარნა მეფესა დააკლდა საფასე შენობისათეს, და ღონესა ცდილობდა. შოენისასა. მაშინ სადუნმან სთხოვა მეფესა დაბნისის ხეობა, და აღუთქვა მიცემად საფასისა, ხოლო მეფემან მისცა დაბნისი, და მან გარდუხადა საფასე იგი. და მიერიდგან უმეტეს განდიდდა სადუნ“ (ისტორია ქართლისა, დასავ. ხელნაწერი, ფ. 680r—680v).

³⁰ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 272. შტრ. ფ. გორგოჯანიძე: „თვით ყაენთან წავიდა და ყაენმან სამეფოს ფასი სთხოვა მეფეს დემეტრეს, მრავალი და ურიცხვი. და ესრეც ითქვა, ფასის თხოვნა სადუნის სწავლებით იქნაო, და მართალიც იყო, ამისთვის, რომე სადუნ მეფეს ასრე მოახსენა: თუ დმანისს მამცემ, რასაც ყაენი გთხოვსო ქვეყნის ფასათაო, მე მივსცემო. უღონოთ ქნილმან მეფემ მისცა დმანისი სადუნსა და ქვეყანა[ა] დმანისის გარეშემოსი, და გამდიდრ[ა] სადუნი“ (დასავ. ხელნაწერი, ფ. 88r—88v).

³¹ ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 220; ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, საქართველოს ისტორია, XI—XV სს., გვ. 157; ნ. ბერძენი-

ყამთააღმწერლის ცნობით, სადუნ მანკაბერდელმა ბევრი სხვა ქვეყანაც იყიდა და იმასაც ბიალწია, რომ მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი კარი მიიღო მეფისაგან და მისი მიმდგომი ქვეყანაც შეიმატა. ამავ დროს მან ახალციხელის ასული შეირთო ცოლად³². ეს სადუნის მეორე ქორწინება იყო. მისი პირველი ცოლი, როგორც ახლახან გაირკვა, საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი ხოჯა-აზიზის და ყოფილა³³. ყველა ეს ამბავი წინ უსწრებს ქრონოლოგიურად ზუსტად განსაზღვრულ მოვლენებს და ასევე 1273 წლით თარიღდება³⁴.

უზოდან მობრუნებულ დემეტრეს ცოლი შერთეს ქართველმა დიდებულებმა. ყამთააღმწერელ ალნიშნავს, რომ „დაღათუ ჭეთ ყრმა იყო, არამედ ინებეს ჯა წარავლინეს კაცი პონტოდ მეფის ბერძენთასა კომნიანოსისა, რომელი იყო ნათესავად დიდნა კოსტანტინესა, და მოიყვანეს ასული კომნიანოსისა, ნეფისა ტრაპიზონელისა დიდებითა და საკურკლითა დიდითა, და ქნეს ქორწილი სამეფოთა წესისაებრ“³⁵. ივ. ჯავახიშვილმა მცდარად ჩიიჩნია

შ ე ი ლ ი და სხე., საქართველოს ისტორია, I, გვ. 242. ც. კახიანის აზრით, სადუნმა დმანისი 1271—1272 წლებში მიიღო (ც. კ ა ხ ი ა ნ ი, დმანისის არაბული წარწერები, თბ., 1965, გვ. 14).

³² ქართლის ცხოვრება, II, გვ. 273.

³³ რ. კ ი კ ა ძ ე. ახალი მასალა XIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის. — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1973, № 2, გვ. 169—170.

³⁴ ლ. მუსხელიშვილის აზრით, სადუნმა 1271 წ. ახლო ხანებში შეირთო ახალციხელის ასული და კარის მიმდგომი ქვეყანაც „მოიყვარა“ (ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები მაშაერის ხეობაში, თბ., 1941, გვ. 72).

³⁵ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 274. ი. სიხარულიძის აზრით, დემეტრეს კოსტანტინეს ასული შეურთავს ცოლად (ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII—XIV სს., გვ. 155). მაგრამ ჭერ კიდევ მ. ბროსემ შენიშნა, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს ასული გიორგისა, რომელიც „ტრაპიზონის ქრონიკის“ მიხედვით, 1266—1280 წწ. მეფობდა (Histoire de la Géorgie, I, SPb., 1849, p. 591, n. 1. იხ. აგრეთვე, ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, გვ. 253, შენ. 1. შდრ. ა. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, მიქელ პანარეტოსის ტრაპიზონის ქრონიკა. — „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 33, თბ., 1960, გვ. 17. 55). საინტერესოა ალინიშნოს, რომ ფარსადან გორგიჯანიძის ცნობითაც, დემეტრეს გიორგის ასული შეურთავს ცოლად: „ჭერეც უმაწილი იყო, მონღოლს უმათა მისთა დაქორწილება პატრონისა; ვაჯაენეს კაცი პონტოსა, ბერძენთისასა კომნიანოს მეფეს გიორგის წინაშენ, რომელსაც იტყოდენ დიდს კოსტანტილუ ჭეშვიფესა ნათესავად მისსა. მოიყვანეს ასული მისი, კომნიანოს მეფის ტრაპიზონელისა, დიდებით და საკურკლითა, ქნეს ქორწილი სამეფოს წესისებრ“ (დასახ. ხელნაწერი, ფ. 89r).

ვახუშტისა და მ. ბროსეს მიერ დემეტრეს ქორწინების თარიღად მიღებული 1277 წელი და სამართლიანად ივარაუდა, რომ მცირე-წლოვანი მეფე დაახლოებით 1272—73 წელს უნდა დაექორწინებინათ³⁶. მართლაც, სტეფანოს ეპისკოპოსს მოეპოვება ცნობა, რომ ტრაპიზონის მეფემ 1273 წელს გაათხოვა ქალიშვილი³⁷.

„ამათ ყამთა (დემეტრეს ქორწინების შემდეგ — რ. კ.) კჳალად მოვიდა იგივე არღუნ, რომელსა აღერიცხვნეს ყოველნი საბრძანებელნი ყოველთა ყაენთანი, რათა აღთუალოს ქვეყანა და ცნას ვითარძი ქუეყანა აღშენდა, გინა აოკრდა“³⁸. სპეციალურ ლიტერატურაში ამ აღწერის თარიღადაც 1278 წელია მიღებული³⁹ (იოანე ბაგრატიონი 1277 წელს ასახელბეს)⁴⁰. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ამ წელს არღუნს არაფრით აღარ შეეძლო აღწერა ქვეყანა, რადგან უკვე სპი წლის მკვდარი იყო⁴¹. სტეფანოს ეპისკოპოსის ცნობით,

³⁶ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 213. იოანე ბაგრატიონი 1276 წლით ათარიღებს ამ ქორწინებას (დასახ. ხელნაწერი, ფ. 680v).

³⁷ Армянские источники о монголах, с. 36. ცნობა შერყენილია. სტეფანოსი წერს, 722 (1273) წელს ტრაპიზონის მეფემ თავისი ქალი დითოფალს მიათხოვა (იგულისხმება: დედოფლად გაათხოვა, ე. ი. საქართველოს მეფეს შერთო ქალი). სომხურ ტექსტში ქართული სიტყვის ჩართვა მოწმობს, რომ სწორედ ქართველი მეფე ქორწინებაზეა საუბარი. აღსანიშნავია, რომ „დედოფალი“ უთარგმნელად გვხვდება აგრეთვე XVII ს-ის სომხურ, სპარსულ და თურქულ წყაროებშიც (A p a k e l D a v r i j e c h i, Книга историй. Перевод с армянского, предисловие и комментарии Л. А. Ханларян, М., 1973, с. 134—136; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თბ., 1969, სპარსული ტექსტი, გვ. 54, ქართული თარგმანი, გვ. 69; იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჩიქამ, თბ., 1964, თურქული ტექსტი, გვ. 19, ქართული თარგმანი, გვ. 43; შენიშვნები, გვ. 116—119).

³⁸ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 274.

³⁹ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 213, 221; დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII—XIV სს.), გვ. 248; ე. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის მასალები ეამთაღმწერლის თხზულებაში.—კრებ.: მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები, თბ., 1968, გვ. 62.

⁴⁰ იო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ისტორია ქართლისა, ფ. 680v.

⁴¹ რაშიდ აღ-დინის ცნობით, არღუნ-აღა 673 წ. ზულ-ჰიჯას თვეში (1275 წ. 28. V — 26. VI) გარდაიცვალა (P a ш и д - а д - Д и н, Джамии ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 143, რუსული თარგმანი, გვ. 89). იხ. აგრეთვე, Армянские источники о монголах, с. 37.

ხალხის მეორე აღწერა საქართველოსა და სომხეთში არღუნმა 1273 წელს ჩაატარა⁴².

თბილისში ყოფნის უამს არღუნ ამირმა სთხოვა დემეტრეს, მისი ვაჟისათვის მიეთხოვებინა თავისი და თამარი. „ვითარ ესმა მეფესა, დაუძიბდა და დიდსა კმუნვასა შთაეარდა“, მაგრამ სხვა გზა არა ჰქონდა, „და მისცეს ცოლად შვილსა არღუნისსა“⁴³. არღუნი ურდოში დაბრუნდა ხოლო შვილი და რძალი საქართველოში დასტოვა. რამდენადაც ხალხის აღწერას რამდენიმე თვე მაინც დასჭირდებოდა, თამარის გათხოვების თარიღად შეიძლება 1274 წლის დამდეგი ვივარაუდოთ (და არა 1278 წ.)⁴⁴. ამის შემდეგ უამთაღმწერელს აღნიშნული აქვს დემეტრეს მეორე ვაჟის ვახტანგის დაბადება⁴⁵. რაკი ეს ამბავი ხალხის მეორე აღწერის შემდგომ არის ნახსენები ივ. ჯავახიშვილს შესაძლებლად მიაჩნდა, ესეც ისევ და ისევ 1278 წელს მომხდარიყო, თუმცა იქვე შენიშნავდა, „თუ აქაც უამთაღმწერელს თავისი წყაროს თხოობისა და ქრონოლოგიური წესი დარღვეული არა აქვს“-ო⁴⁶. ივ. ჯავახიშვილის აზრით, დემეტრეს უფროსი ვაჟი დავითი 1273—74 წელს უნდა დაბადებულიყო⁴⁷, ვახტანგი ალბათ 1275 წ. დამდეგს იქნებოდა დაბადებული, ხოლო რუსუდანი დაახლოებით იმავე წლის მიწურულს⁴⁸.

1275 წლის გზაფხულზე „ხემოკსენებული იგივე არღუნ წარმოემართა სამცხეს ხილვად სარგის ჯაყელისა“. იგი „უგრძნულად გვიდა სამცხეს და დადგა აწყუერს“, სადაც ეახლნენ სარგისი და მისი ძე ბექა. არღუნმა „სარგის წარიტანა ურდოს და ბექა დაუტევა სამცხეს“⁴⁹. ამის შემდეგ უამთაღმწერელი იხსენიებს სამცხეში მომხდარ ძლიერ მიწისძვრას, რომელიც აღდგომის წინ, დიდ ოთხშაბათს დაწყებულა და ოთხ დღეს გრძელდებოდა⁵⁰. მიწისძვრის აღწერას უამთაღმწერელთან უშუალოდ მოსდევს ცნობა არ-

⁴² Армянские источники о монголах, с. 36.

⁴³ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 274.

⁴⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 221. ვახუშტი და იოანე 1278 წელს სდებენ ვახტანგის დაბადების თარიღად (ვახუშტი, საქართველოს ისტორია, გვ. 253; იოანე ბატონი, ისტორია ქართლისა, ფ. 679v—680r).

⁴⁵ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 274.

⁴⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 213—214.

⁴⁷ იქვე, გვ. 213.

⁴⁸ რუსუდანის დაბადებას უამთაღმწერელი საერთოდ არ იხსენიებს.

⁴⁹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 277.

⁵⁰ იქვე, გვ. 277—278.

ლუნის სიკვდილის შესახებ⁵¹, ხოლო იოანე ბაგრატიონი პირდაპირ წერს, „წელსა ამაჲვე შინა (ე. ი. იმ წელს, როცა მიწისძვრა მოხდა — რ. კ.), რა მივიდა ყაენთან არლუნ, დღისა რაოდენისამე შემდგომად მოკუდა არლუნ“⁵². როგორც ვნახეთ, მიწისძვრა სამცხეში მომხდარა არლუნის სიკვდილის წელს, აღდგომის წინ. არლუნი 1275 წლის ივნისში მოკვდა (იხ. ზემოთ, შენიშვნა 41), ხოლო აღდგომა ამ წელს 14 აპრილს იყო. ამგვარად, შესაძლებელი ხდება სამცხის დიდი მიწისძვრის ზუსტად დათარიღება: მიწისძვრა მომხდარა 1275 წლის ვნების კურიაკეს⁵³. დიდ ოთხშაბათს, 10 აპრილს, „შეიძრა მძაფრად ქუეყანა“; ხუთშაბათს, 11 აპრილს, „მცირედ შეიძრა“; პარასკევს, 12 აპრილს, „კულაღცა შეიძრა ქუეყანა“, ხოლო შაბათს, 13 აპრილს, დღის სამ საათზე, „საფუძველითურთ შეიძრა ქუეყანა და შეიძრუნდა ესოდენ. რომელ დაიქცეს საყდარნი და მონასტერნი, ეკლესიანი, ციხენი, სახლნი, ნაშენებნი მოოჯრდეს, მთანი და ბორცუნი მალაღნი დაიზულეს, კლდენი სახედ მტუერისა დაიგალნეს, და მიწა განიპო, და შავი წყალი მსგავსი კუპრისა აღმოიქრა, ხენი მალაღნი დაეცინან და ირყეოდინ ძრვასა ქუეყანისასა“.

არლუნ-აღას სიკვდილის შემდეგ მისი შვილი საქართველოდან წავიდა, ცოლი კი „დაუტევა ტფილისს“. სადუნმა რომ ეს გაიგო, „დაევაჰრა, რათა მოჰყიდოს დაჲ მეფისა, და ევედრა ყაენს აბალას⁵⁴, ხოლო იგი ერჩდა და მოჰყიდა“⁵⁵. ივ. ჭავჭავაძის სიტყვით, „ისტორიკოსის ნათქვამი ცოტა ბუნდოვანია და მკაფიოდ აღნიშნული არ არის, თუ ვინ მიჰყიდა მეფის და თამარი“. მეცნიერი ფიქრობდა, რომ საუბარე უნდა ყოფილიყო ქმარზე, ხოლო ილხანი სადუნს ეხმარებოდა, რათა არლუნის ვაჟი ცოლის გაყიდვაზე დაეთანხმებინა⁵⁶. ამ ვარაუდს საესეებით ადასტურებს ფარსადან გორ-

⁵¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 278.

⁵² იო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ისტორია ქართლისა, ფ. 682 v.

⁵³ ვახუშტი და იოანე 1273 წლით ათარიღებენ მიწისძვრას (ე ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, გვ. 254; იო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ისტორია ქართლისა, ფ. 681v).

⁵⁴ ივ. ჭავჭავაძის შემთავაზებულ ტექსტში „აბალას“ შემდეგ კითხვის ნიშნით ჩაუმატებია „ძე“ (ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 221: „ევედრა ყაენს აბალას [ძეს?]). ეს ჩამატება სრულიად ზედმეტია, რადგან იმ დროს ნამდვილად აბალა იყო ილხანი (გარდაიცვალა 1282 წ.), მისი ვაჟი არლუნი მხოლოდ 1284 წელს ავიდა ტახტზე.

⁵⁵ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 278.

⁵⁶ ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 221.

გიჯანიძე. ის წერს: „სცნა სადუნმან შეტულევა ცოლ-ქმართა; გეფის და შეევაკრა ქმარსა შიხაა და აბალა ყაენს შეეხვეწა და მანც ნება დართო. მისცა ფაი მრავალი ქმარსა და იყიდა გეფი და“⁵⁷. ეს იყო სადუნ მანკაბერდელის მესამე ქორწინება 1275 ან 1276 წელს⁵⁸.

ჩვენი აზრით, ამას უნდა მოსდევდეს თხრობა ფუნდუყდარის შემოსევისა და დემეტრეს სრულწლოვანების შესახებ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 270₁₁—272₄), ე. ი. 1277 წლის აპრილი, ხოლო შემდეგ გაგრძელება ისევ ქამთააღმწერლის მიხედვით: სარგისისა და ბექას დასასჯელად ბუღას ძმის არუხას გამოგზავნა, ამასიის ბრძოლა, მანგუ-დემურის, სადუნისა და აბალას გარდაცვალება, ხუტლუ-ბუღასათვის სპასპეტობის ბოძება და სხვ.

ცნობა სარგისისა და ბექას განდგომისა და სამცხის მოსაოხრებლად არუხას (არყ ბექას) გამოგზავნის შესახებ სხვა წყაროებში არ გვხვდება. მაგრამ მონღოლთა ამ ოცდლიანი თარეშის აღწერის შემდეგ ქამთააღმწერელი გვამცნობს, რომ „ერთარ გარდაცდა წელიწადი, ინება ყაენმან აბალა წარსლვა ეგუბტელ, ანუ დაიპყრას, ანუ მოხარკე ყოს“⁵⁹. ამას მოსდევს თხრობა ამასიის (ჰემანის) მარცხიანი ბრძოლის შესახებ, რომელშიც მონღოლებთან ერთად ბევრი ქართველიც დაიღუპა. რამდენადაც ამ ბრძოლის თარიღი (1281 წ. 29 ოქტომბერი⁶⁰) კარგად ცნობილია, სარგისისა და ბექას განდგომის ერთი წლის წინ, ე. ი. 1280 წ. ჰქონია ადგილი.

ქამთააღმწერლის მიერ ჩამოთვლილი შემდგომი მოვლენებიც ასევე ზუსტად განსაზღვრულია ქრონოლოგიურად. „კუალად ეგულებოდა აბალას წარსლვად და შურისგებად სულტანსა ზედა“, მაგრამ მანგუ-დემური გარდაიცვალაო, — მოგვითხრობს ქართველი ისტორიკოსი. ცოტა ხნის შემდეგ სადუნიც მომკვდარა და მალე აბალაც მიჰყოლია⁶¹. რაშიდ აღ-დინის მიხედვით, ჯერ აბალა მომკვდა-

⁵⁷ ფ. გოგიაძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 90რ.

⁵⁸ იოანე ბაკრატიონი ქმრის მიერ თამარის გაყიდვაზე არაფერს ამბობს, თანაც ის სადუნის მეოთხე ცოლად მიაჩნია (ისტორია ქართლისა, ფ. 682რ).

⁵⁹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 279.

⁶⁰ Рашид-ад-Дин, Джами ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 162, რუსული თარგმანი, გვ. 98; იხ. აგრეთვე, Армянские источники о монголах, с. 29, 37.

⁶¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 281.

რა (1282 წ. 1. IV), შემდეგ კი მანგუ-დემური (1282 წ. 26. IV)⁶². რაკი სადუნნი მანგუ-დემურის სიკვდილის „მცირედისა შენდგომად მოკულა“, მისი გარდაცვალება (და ხუტლუ-ბულას ამირსპასალარად დანიშვნაც) 1282 წელს უნდა ვივარაუდოთ⁶³. სტეფანოს ეპისკოპოსსაც აქვს აღნიშნული, 731 (1282) წელს ათაბაგი სადუნნი და მისი მეუღლე თამარი დაიხოცნენ, რამაც დემეტრე ძალიან დაამწყხრაო⁶⁴.

ივ. ჭავჭავაძის გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ სადუნ მანკაბერდელის სიკვდილის შემდეგ დემეტრემ ათაბაგობა უწყალობა არა ხუტლუ-ბულას, არამედ მის ერთ-ერთ მეტოქეს ტარსაიკობელს⁶⁵. ნ. ბერძენიშვილიც ფიქრობდა, რომ „სადუნით თავმოებზრებულმა დინიტრიმ ათაბაგობა მის „სახლში“ (ხუტლუბულა, მანგასარი) კი არ დატოვა, არამედ „ერთგულ ყმას“ და „მეფის მორქმგანდიდებისათვის მრავალფერად ნაშასხურ“ ტარსაიკს მიუბოძა“⁶⁶. ეპითაღმწერელს საამისო ცნობა არ მოეპოვება. ის მხოლოდ აღნი-

⁶² Рашид-ад-Дин, Джамии ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 164, რუსული თარგმანი, გვ. 99.

⁶³ სპეციალურ ლიტერატურაში სადუნის გარდაცვალების თარიღად ძირითადად 1281 წელს მიღებული (ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 221; ივ. ჭავჭავაძე, საქართველოს ისტორია, XI—XV სს., გვ. 160; ნ. ბერძენიშვილი და სხვ., საქართველოს ისტორია, I, გვ. 243; დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII—XIV სს.), გვ. 249, 257; პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 582, 583; ი. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII—XIV სს.-ში, გვ. 129). მაგრამ გვხვდება აგრეთვე 1280 (ელ. შეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის თბ., 1962, გვ. 172) და 1284 წლებიც (Л. О. Бабабян, Социально-экономическая и политическая история Армении XIII—XIV вв., М., 1969, с. 138, прим. 75; 180, 181). იოანე ბაგრატიონი 1287 წელს აჩვენებს (ისტორია ქართლისა, ფ. 683v).

⁶⁴ Армянские источники о монголах, с. 38. აღსანიშნავია, რომ მ. ბროსესა და თ. ჯორდანიასაც 1282 წ. მაჩნდათ სადუნის გარდაცვალების თარიღად (Histoire de la Géorgie, I, p. 597, n. 2; ქრონიკები, II, ტფ., 1897, გვ. 168).

⁶⁵ ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 226; ივ. ჭავჭავაძე, საქართველოს ისტორია, XI—XV სს., გვ. 160, 168; იხ. აგრეთვე, დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII—XIV სს.), გვ. 249, 257.

⁶⁶ ნ. ბერძენიშვილი, ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XIII ს. საქართველოში. — საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 111. უდრ. ნ. ბერძენიშვილი და სხვ., საქართველოს ისტორია, I, გვ. 243.

შნავს, რომ საღუნის სიკვდილის შემდეგ, „მიუბოძა ძესა მისსა ხუტლუბულას ნეფემან მამული მისი, და სპასპეტობისა პატივსა აღიყვანა“⁶⁷.

მოსაზრება ტარსაიკი ორბელის ათაბაგობის შესახებ სტეფანოს ორბელიანის თხზულებას ემყარება. სტეფანოსი მოგვითხრობს, რომ ილხანის ტახტზე ახლად ასულმა არღუნმა⁶⁸ შეიყვარა დემეტრე და მისცა მას სომხეთი, ავაგის სახლი, შაჰანშაჰის სახლი, გაგელი და საღუნის შვილები⁶⁹. ეს უნდა მომხდარიყო საჰებ-დივან შამს ად-დინ მოჰამედ ჭუევიჩის სიკვდილით დასჯის შემდგომ (1284 წ. 16.X⁷⁰). მას ცოლად ჰყავდა ავაგის ასული ზეაშაჰი, ავაგ ათაბაგის სახლიც ეკირა და ანისიც. ურლოდან გამობრუნებულ დემეტრეს შარურში შეეგება ტარსაიკი და ძვირფასი საჩუქრები მიართვა. მეფემ ავაგის მამულში წაიყვანა ტარსაიკი და დანიშნა იგი თავისი სამფლობელოების ათაბაგად თბილისიდან ანისსა და კარამდე. ამგვარად, დასძენს სტეფანოსი, ტარსაიკი სომხეთის ათაბაგი გახდა⁷¹. ამავე დროს, დემეტრეს ტარსაიკი თავისი შვილების, დავითისა და მანოელის აღმზრდელადაც დაუნიშნავს⁷². უამთაღმწერელიც აღნიშნავს, რომ არღუნმა „კეთილად შეიწყენარა“ დემეტრე და, ამირ ბულას ჩაგონებით⁷³, „მოსცა ყოველი სამეფო მისი და სახლი ავაგ ათაბაგისა, რომელი აქუნდა საჰიბდივანს... და წარვიდა შინა მშვიდობით განმარჯუებული, და წარავლინა ძე მისი დავით მცირე სახლსა ზედა ათაბაგისასა, რათა მუნ იზრდებოდეს და აქუნდეს საღფლისწულოდ“⁷⁴.

ამგვარად იჩვენება, რომ საღუნ მანკაბერდელის სიკვდილის შემდეგ (1282 წ.) დემეტრემ მის შვილს მხოლოდ ამირსპასალარობა

⁶⁷ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 281.

⁶⁸ რაშიდ ად-დინის ცნობით, არღუნი ილხანად გახდა 1284 წ. 11 აგვისტოს (P a ш и д - а д - Д и н, Джамии ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, 198—199, რუსული თარგმანი, გვ. 115).

⁶⁹ История монголов по армянским источникам, I, с. 50; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 210; Л. О. Б а б а я н, Социально-экономическая и политическая история Армении XIII—XIV вв., с. 141.

⁷⁰ P a ш и д - а д - Д и н, Джамии ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 204, რუსული თარგმანი, გვ. 118.

⁷¹ История монголов по армянским источникам, I, с. 50.

⁷² იქვე.

⁷³ „რამეთუ ყანი კელთა შინა ბულასათა იყო, და ბულა მოყუარეცა იყო და მზახალი მეფისა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 285).

⁷⁴ იქვე.

უბოძა. დაახლოებით ორნახევარი წლის შემდეგ (1284 წლის მიწურულს) დემეტრე II-მ არლუნ-ხანისაგან მიიღო ათაბაგის „სახლი“ და მის გამგებლად და თავისი ორი ვაჟის აღმზრდელად გაამწესა ტარსაიჭ ორბელი. საფიქრებელია, რომ როგორც ავაგის სიკვდილის შემდეგ დავით ლაშას ძემ არავენ დანიშნა ათაბაგად⁷⁵, სადუნისაგან მართლაც თავმოებზრებულ დენეტრესაც მის შემდეგ არავენ დაუყენებია ამ თანამდებობაზე⁷⁶. ტარსაიჭი რომ მთელი საქართველოს ვაზირი — ათაბაგი ყოფილიყო, ეს მის ძმას, ისტორიკოს სტეფანოს ორბელიანს მაინც ეცოდინებოდა. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, სტეფანოსი ხაზგასმით ამბობს, ტარსაიჭი სომხეთის ათაბაგი გახდაო.

ასეთია ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის გამო. როგორც ვნახეთ, დემეტრე II-ის ხანის საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში, მეტადრე ქრონოლოგიაში, ბევრი რამ ყოფილა დასაზუსტებელი. უკვე კარგად ცნობილი წყაროების გულდასმითი ანალიზით შესაძლებელი ხდება ამ პერიოდის ბევრი თარიღის გასწორება და მეზობელი ქვეყნების ისტორიის ქრონოლოგიასთან შეთანხმება.

ИЗ ХРОНОЛОГИИ ИСТОРИИ ГРУЗИИ ВТОРОЙ ПОЛОВИНЫ XIII ВЕКА

Резюме

В сочинении грузинского анонимного историка — основного источника для изучения истории Грузии XIII века — полностью отсутствуют прямые хронологические данные, чем и объясняется тот факт, что большинство дат истории Грузии указанного периода все еще нуждается в специальном исследовании.

В результате сравнительного изучения исторических источников И. А. Джавахишвили удалось установить основные даты истории Грузии XIII века. Однако, из-за анахронизмов, допущенных в сочинении анонимного историка XIV века,

⁷⁵ ნ. ბერძენიშვილი, ეპიზოდი ფეოდალურ სავაჭრეულოთა სამაჟულო ბრძოლიდან XIII ს. საქართველოში, გვ. 103.

⁷⁶ პ. ინგოროყვა 1281 — 1284 წლებში სარგის I ჯაყელ-ციხისჯვარელს ვარაუდობს ათაბაგად (პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 582).

некоторые события все еще неверно датированы в грузинской историографии.

В работе рассмотрены несколько дат истории Грузии периода царствования Димитрия II (1271—1289). При изложении истории этого периода анонимный историк обычно не указывает ни одной даты, но зато имеется несколько прочных хронологических опор — точно датированные в иностранных источниках факты, при помощи которых становится возможным восстановление правильной последовательности событий и уточнение некоторых неверных дат.

В результате анализа грузинского текста и изучения иностранных источников в работе установлено, в частности, что малолетний Димитрий уступил Садуну Манкабердели Телави и Белакани в 1272 году, а Дманиси — в 1273 г. (а не в 1278 году, как принято в грузинской историографии). В том же 1273 году Садун получил от царя и Карс. Димитрия женили на дочери трапезунтского царя в 1273 г. Проведенная эмиром Аргуном в Грузии перепись также датируется в грузинской историографии 1278 годом. Но Аргун не мог в этот год провести перепись, т. к. он умер еще в 1275 году. Перепись в Грузии и Армении проведена Аргуном в 1273 году. Сильное землетрясение в Самцхе, обычно также датируемое 1278 годом, в действительности произошло 10—13 апреля 1275 года.

ახალი მასალა XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის*

ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულება პირველხარისხოვანი წყაროა XVII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ისტორიის შესასწავლად. ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, რომელიც აღნიშნავდა, რომ „რაკი ფარსადან გორგიჯანიძეს სპარსეთის სამეფო კარზე დიდი ადგილი ეჭირა და საქართველოს საქმეებიც ზედმიწევნით უნდა სცოდნოდა, ამიტომ მისი თხზულების უკანასკნელ ნაწილს საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს და ძვირფას ცნობებს გვაძლევს“¹. არანაკლებ საყურადღებო მასალა მოიპოვება ფარსადანის ნაშრომის იმ ნაწილში, სადაც სპარსული წყაროების გამოყენებით მოთხრობილია საქართველოს ისტორია XIV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან მოკიდებული XVII ს-ის პირველი ნახევრის ჩათვლით. ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, ფ. გორგიჯანიძემ „თითქმის ორი საუკუნის წინათ შეასრულა ის შრომა, რომელიც ხელმეორედ აკადემიკოსებმა ბროსსებმა და დორნმა გასწიეს სპარსულ ისტორიკოსთა ცნობების შეკრებით საქართველოს შესახებ“².

ჩვენს ისტორიოგრაფიაში გავრცელებული იყო შეხედულება, თითქოს ფ. გორგიჯანიძის საისტორიო ნაწარმოების ე. წ. მეორე ნაწილი, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს ემყარება და XII საუკუნის დამლევისა და XIII ს-ის საქართველოს ისტორიას გადმოგვცემს, მოკლებული იყოს ყოველგვარ მეცნიერულ ღირებულებას. მაგრამ, როგორც ამ ბოლო ხანებში გაირკვა, ფარსადანს, როცა ის სეფიანთა სახელმწიფოს სატახტო ქალაქ ისფაჰანში წერდა თავის თხზულებას, ხელთ ჰქონია „ქართლის ცხოვრების“ ისეთი

* პირველად დაიბეჭდა 1973 წელს („მაცნე“, ისტორიის სერია, 1973, № 2, გვ. 165—179).

¹ ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 288.

² იქვე, გვ. 297.

ნუსხა, რომელიც რიგ ადგილებში უფრო ვრცელი, სრული და უკეთ შენახული ყოფილა, ვიდრე ამჟამად ცნობილი ნუსხებია³. გამორიცხული არ არის აგრეთვე რომ მას დამატებით სხვა წყაროებითაც ესარგებლა⁴. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ XIV ს-ის ანონიმური ავტორის, ქაშთალმწერლის თხზულების დღეს ცნობილი ტექსტის ზოგიერთი აშკარად ნაკლები ადგილი ფ. გორგიჯანიძესთან უფრო სრულად არის შემონახული⁵. წინამდებარე ნაშრომში რამდენიმე ასეთი „ჩანართი“ ცნობა ქვეყნდება მცირე შენიშვნებით.



ქაშთალმწერელი საკმაოდ დაწვრილებით გადმოგვცემს მონღოლთა სამსახურში დაწინაურებულ მეღროვეთა — სადუნ მანკაბერდელისა და მისი ვაჟის ხუტლუ-ბულას თავგადასავალს. (ფარსადანი ძირითადად იმეორებს ამ ცნობებს, მაგრამ ამავე დროს საყურადღებო დეტალებით ავსებს ქაშთალმწერლის თხრობას (მეტადრე ხუტლუ-ბულას შესახებ))

დავით ლაშას ძირ გარდაცვალების შემდეგ, „მეფე დიმიტრი მცირე იყო, და არა ძალ-ედეა მეფობა. ამისთვის უმრავლესნი წარვიდეს და მსახურებდეს ყაენსა, რამეთუ ვერცა დავით მეფემან სწუართნა ერისთავნი, შიშისათჳს ყაენისა“, — მოგვითხრობს ქაშთალმწერელი⁶. ასეთი ვითარება, როგორც ჩანს, ქარგა ხანს გაგრძელებულა. მართალია, მოგვიანებით („ვითარცა აღიზარდა მეფე დიმიტრი“), „დარბაისელნი ქართველნი და სომხითარნი და ჰერ-კახნი მეფეს წინაშე იყენეს“⁷, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა ქარ-

³ თუმცა კი, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ადგილი ფარსადანის ნუსხაშიც უშელოდ ყოფილა შერყენილი.

⁴ რ. კიკნაძე, კიდევე ერთი ქართული წყარო ლაშა გორგის ისტორიისათვის. — კრებ.: საქართველო რუსთაველის ხანაში. თბ., 1966.

⁵ ერთი საამისო მავალითისათვის იხ. რ. კიკნაძე, ქაშთალმწერლის თხზულების ერთი ადგილის შევსებისათვის. — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1971, № 4.

⁶ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 268. შტრ. ფ. გორგიჯანიძე: „მეფე დემეტრე ყმაწვილი დარჩა მამასა და გარიგების შეძლება არა ჰქონდა. ამისთვის უფროსიერთთ თავგაშობიდავობა დაიწყეს და ყაენის კარს წავიდნენ და ყაენს ემსახურებოდნენ. ვერც დავით მეფემ გამოსცვალის ყაენის ში[ში]თ მეფეთა და ერისთავთა თავიანთ ადგილითა“ (საქართველოს მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწ. H2140, ფ. 85v).

⁷ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 273.

ოველი დიდებული როდი ემორჩილებოდა ახალგაზრდა მეფეს. ყოველ შემთხვევაში, 1284 წელს, როცა უკვე სავსებით მოწიფულმა დემეტრემ ქართველთა რაზმით დახმარება გაუწია ილხან აჰმედ თეგუდარს (1282—1284) მისივე ძმისწულის არლუნის წინააღმდეგ ბრძოლაში, „ყაენმან დიდად დაუშალა მეფესა თანახლება ხუარასანს, და პატივიცა უყო დიდი, და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი მოსცნა“⁸. დაახლოებით ამასვე იმეორებს ფ. გორგიჯანიძეც, მაგრამ იქვე უმატებს საყურადღებო ცნობას, საიდანაც ირკვევა, რომ სადღეს მანკაბერდელის სიკვდილის შემდეგ ამიტაკასალად დანიშნული ხუტლუ-ბულაყ არ ემორჩილებოდა თურმე მეფეს, განდგომია მას და ილხანის კარზე იმყოფებოდა. ამის გამო დემეტრემ, როგორც ჩანს, ჩამოართვა ხუტლუ-ბულას ადრე მისთვის ბოძებული მამისეული მამული და მხოლოდ შერიგების შემდეგ დაუბრუნა.

ყაენმან დიდად დაუშალა მეფესა ზორასანს თანხლებისათვის და მოსცა მთავარნი საქართველოსანი, რომელნიც არ ემორჩილებდეს ყაენის შიშით მეფესა. მაშინ სადუნის წვილი ხუტლუ-ბულაყ მოსცეს კელთ მეფესა, დააპატიმრა. და ევედრა მეფესა ფიცით ერთგულობასა და იაჟა უენებლობასა. და უსმინა სახვეწარი მეფემან დემეტრემ, მისცა საფიცარი უენებლობისა და ქვეყანანი მისის მამის ნაქონი, სადუნისა¹⁰.



შემდეგი „ჩანართი“ ადგილი ფ. გორგიჯანიძის თხზულების 1288 წლის ამბებს ეხება და რამდენიმე მნიშვნელოვან ცნობას შეიცავს.

რაშიდ აღ-დინი მოგვითხრობს, რომ 687 წ. რაბი აღ-აჟალის თვის ბოლო დღეს (1288 წ. 4 მაისს) ქ. ბილასუეარში მყოფ არლუნხანს (1284—1291) ამბავი მოუტანეს, თამა თოყთა-მურთადი დარუბანდიდან გამოვიდა და ურტალები და ვაჰრები გაძარცვაო. არლუნი მეორე დღესვე დაიძრა მის წინააღმდეგ. მან მტკვარი გადალახა, 3 მაისს შემახაში მივიდა და რამდენიმე ამირი და უფლისწული გაგ-

⁸ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 285.

⁹ ფ. გორგიჯანიძის ხელნაწერში, „ქართლის ცხოვრების“ მაჩაბლისეული ნუსხის მსგავსად, გვხვდება „ხუტლუ ბულა“. ჩვენ ვასწორებთ „ხუტლუ-ბულა“-დ, ოღონდ ცალ-ცალკე აღარ აღვნიშნავეთ ყველა შემთხვევას.

¹⁰ ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 93v—94r.

ზავნა მეწინავედ. ოთხი-ხუთი დღის შემდეგ მათ აზბავი მოიტანეს, მოწინააღმდეგე უკან გაბრუნდაო¹¹. ამგვარად, რაშიდ ად-დინის მიხედვით, ბრძოლა ჩრდილოეთის ულუსის მბრძანებლისა და ილხანის ჯარებს შორის ანჭერად საერთოდ არ მომხდარა. ეპითაღმწერელი კი მოგვითხრობს, რომ არღუნმა გაძღვარ დარუბანდელთა წინააღმდეგ გაილაშქრა და მეფე დემეტრეს თან წაიყვანა. დარუბანდელეზი „ვერ წინააღმდეგს“ და ერთ ციხეს შეათარეს თავი. არღუნმა ქართველებს უბრძანა ციხის აღება. ქართველებმა ძლიერად იბრძოლეს „და წარუღეს ციხე, და თავადნი მათნი დაკოცნეს“¹², და წარმოიღეს ტყუე და განძი და დედაწული მათი ურიცხვ, და ციხე დაწუეს“¹³. ყოველივე ამას ხედავდა ილხანი, მაგრამ „თვთ მეფისა აქუნდა მტერობა“, ამიტომ, მადლობისა და წყალობის ნაცვლად, „სახოვა ჯაჳვ სახელოვანი და მსწრაფლ მიანიჳა მეფენან, და წარმოვიდეს შინა“¹⁴. ფ. გორგიჯანიძის ცნობით, „ცხადივ დიდი ქება ბრძანა ყაენმან ქართველთა, მაგრამ გულსშიგ ავი იყო მეფისა. ჯაჳვი სახოვა, რომელიც მეფეს ტანს ეცვა სახელო[ვ]ანი. და ფიცხლავ გაიხადა“¹⁵ მეფემან და თვითან მიუტანა ყაენსა“¹⁶.

ამის შემდეგ ეპითაღმწერელი პირდაპირ ბულა ჩინგისანგის სიკვდილით დასჯის ამბავს მოგვითხრობს, ფარსადანი კი ჰყვება, თუ როგორ გამოსთხოვა ხუტლუ-ბულამ მეფის აბჯარი („ჯაჳვი“) ილხანს და აღწერს დემეტრეს, ხუტლუ-ბულას, ბულა ნოინისა და არღუნ-ხანის ურთიერთობის ამბებს.

ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა, რომ ბულას დასჯის ამბის გადმოცემისას ეპითაღმწერელს თხზულებაში „რამდენსამე ადგილას აზრის მიმდინარეობას ნახტომები ემჩნევა... ცხადი ხდება, რომ აქ შუაში ბევრი რამ უნდა აკლდეს“¹⁷. მართლაც, სრულიად გაუგებარია, რატომ „მოივლინა ყაენმან ნოინი“ თავისი ერთგული ბულას შესაპყრობად და რატომ „ბრძანა განუკითხავად მოკლვა

¹¹ Рашид-ад-Дин, Джамхи ат-таварих, III, Баку, 1957. სპარსული ტექსტი, გვ. 207—208, რუსული თარგმანი, გვ. 120.

¹² ფ. გორგიჯანიძე მათ სახელებსაც გვაძენობს: „აიღეს ციხე და დაირჩინეს თავადნი მათნი ჩიმაქარ და ბან, მთავარი დარუბანდისა, დაკოცეს და ქონება და ტყვენი მათნი წამოიღეს და ციხე დასწევს“ (დასახ. ხელნაწერი, ფ. 94v—95r).

¹³ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 286.

¹⁴ იქვე.

¹⁵ ხელნაწერი: გაიხადადა.

¹⁶ ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 95 r.

¹⁷ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1965, გვ.

მისი და ძისა მისისა“¹⁸. ფ. გორგიჯანიძესთან შესაბამისი ადგილი სრულად არის დაცული და საყურადღებო ცნობები მოიპოვება როგორც საქართველოს, ისე ირანის ისტორიისათვის.

რა სცნა ხეტლუ-ბულამ მანკაბერდელმან¹⁹, რომე მეფის ჯაჭვი ყაენმან გამოართვა, იმან ყაენს სთხოვა და ყაენმან მას ჯოჰა ჯაჭვი იგი. იწყინა მეფემან, მივიდა ჩინქაშან ბულასთან, შესივლა ხეტლუ-ბულას ურჩობისაგან და უმეტესობისაგან, რომ არ დარიდა მეფის ჯაჭვის თხოვნას. რა მეფის საჩივარი გაიგონა ჩინქაშან ბულამან, მოვიდა, ყაენს მოაქსენა. ყაენმან ხეტლუ-ბულა მეფეს ხელთ მისცა და გაგზავნა საქართველოში პატიმრად. შემოეხევეწა მეფესა და შეშინდა და უენებლობისათვის დმანისი მეფეს უძღენა. და მეფემ შეიწირა და ფიცით უბრძანა და ნიშანიც უბოძა უენებლობისა. და სხვანი მოკვლას ურჩევდეს, და არვის დაუჭირა და შეუწინა დანაშაუებო, და ტკბილის გულით შეიწყალა, მისცა საფიცარი და მეორეთ ნიშანი უენებლობისა.

გამოიარა შვანელ მცირეთი ზანი და ერთობრათ. ნოქენები გაუაღდენ ჩინქაშან ბულასა, დაუწყეს ბეზლობა სიმართლისათვის²⁰. თავს არ შეიღვა ამისთვის ვითაც, რომე არც თვითონ უზემდე ძლს თემსა და ქვეყანასა, სოფლებსა და ქალაქებსა, და არც ყაენს აქნევიებდა და ვერცა ნოქენები უზემდეს მისის შიშითა. ამისათვის გაუაღდენ ნოქენები, აბეზლებდეს ყაენსთანა. სცნა ხეტლუ-ბულამან, დაივიწყა ფიცი, მშით მივიდა სამცხეს, მთავარსა ბექასასა. მან კეთილათ შეიწყალა, ასული მისი ცოლათ მისცა²¹ და მზესიძეთ²² სახლსა მისას ამყოფა.

მოაკლეს პატივნი ჩინქაშან ბულასა²³, სცნა ეს ბექამან და გაგზავნა კაცი არღუნ ყაენსთანა და სთხოვა ციხე-ქალაქი ხეტლუ-ბულასათვის მამის მისის ნაქონი მათი. მოსცეს დმანისი და თელავი, და მეფეს წაქართვეს ავაქის ნაქონი მამულნი²⁴, ისიც ხეტლუ-ბულას მისცეს. აბეზლეს ბედეს ყაენსთან მეფესა; სთხოვა

¹⁸ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 286—287.

¹⁹ ხელნაწერში: მანკაბურდელმან.

²⁰ რაშიდ აღ-დინის ცნობით, ბულა ნოინი მეტისმეტად გაამაყდა თავისი მაღალი მდგომარეობისა და სიმდიდრის გამო, აღარაეინ არაფრად მიანდა და ავდებულად ექცეოდა არღუნ-ხანის დაახლოებულ ამირებსაც კი. ამით განაწყენებული ამირები დაემდურნენ ბულას, აბეზლებდენ და ყოველნაირად ცდილობდენ სახელი გაეტეხათ მისთვის ილხანის წინაშე (P a ш и д а. д. Д и н, Джаман-ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 209—210, რუსული თარგმანი, გვ. 121).

²¹ თუ ეს ცნობა სარწმუნოა, მაშინ გამოდის, რომ ხეტლუ-ბულას დემეტრე მეფის ცოლისდა შეურთავს.

²² უთუოდ საინტერესო ჩანს ფ. გორგიჯანიძის მიერ „ზე-სიძის“ თავისებური გაზარება. ამ სიტყვის შესახებ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ასული და ჩემი ძეო.—გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1964, 25. XII, № 52.

²³ მრავალგზის დაბეზლების შედეგად ილხანს მართლაც გული ააყრევიენს ბულაზე, აღარ ენდობოდა და ავადმყოფობის შემდეგ სახელოც ჩამოუშტრო მას (P a ш и д - а д. Д и н, Джаман ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 210—211, რუსული თარგმანი, გვ. 122).

²⁴ 1284 წელს დემეტრე ილხანის ტახტზე ახლად ასულ არღუნს ეახლა. მან „კეთილად შეიწყინარა, და მოსცა ყოველი სამეფო მისი და სახლი ავაგ ათაბაგისა, რომელი აქუნდა საპიბდიენს“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 285).

ათასი ჯორი, სამასი ათასი აქლემი, ჯოგი და ნახირი, ცხვარი; ჯაჭვი და იარაღი სხვაეც მრავალი. და ამებს ჩინქაშან ბულის ჯაერით იქმოდეს ამისთვის, რომ ეგების მეფეს დანაშაუებულობა უპო[ო]ნ რამე და საყვედური ჩინქაშან ბულას დაადან.

•აქა მეორეთ დაბეზლება ჩინქაშან ბულისა ყაენსთანა მეფის მოყვრობისათვის

ნო[ი]ნებმან მოაქსენეს არღუნ ყაენსა, შინი წახდენა უნდაო [ბულას], ყაენათ სხვა უნდა დასვასო²⁵. მარტის ათორმეტს იქნება ნაჯრულობა და შორ მყოფნი თავადნი იმ დღეობას ყაენის კარს მოვლენ[ო]. ამ დღეს ყაენის ბძანებით ნო[ი]ნები დაესხნენ თავს ჩინქაშან ბულასა, დაიჭირეს, თვითან ყაენს მოკვარეს და მისი ქონება და სახლი აუკლეს. გაუკითხავად ბრძანა ყაენმან მოკვლა ჩინქაშან ბული-სა. მოკვეთეს თავი მამა-შვილთა და ყველგან აქოჯრეს კერძი მისი²⁶.

როგორც ვნახეთ, ბულა ჩინგისანგის შესახებ ფარსადან გორგიჯანიძის მიერ დამატებით მოწოდებული ცნობები დასტურდება რამიდ აღ-დინის მასალებითაც. ანდენად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისი სხვა მონაცემებიც (კერძოდ, ხუტლუ-ბულას შესახებ) ასევე მარწმუნო უნდა იყოს.

ბულა ნოინის სიკვდილით დასჯის შედეგ „წარავლინეს ყოველგან კაცი, საბერძნეთს, შამს და ხუარასანს, და მრავალი დიდნი ნოინნი მოსწყუნდნეს“²⁷. დემეტრეც გამოიძახეს ურდოში. იქ მას მოსთხოვეს, „რათა აღწეროს ყოველი სიმდიდრე მისი, საქურკლე, ზროხა და ცხოვარი, და ყოველი საქონელი მისი“²⁸. დემეტრემ „აღწერა, რაცა აქუნდა სიმდიდრე ფრიადი, წარმოგზავნეს კაცნი და წარიღეს

²⁵ ბულას მართლაც ჰქონია განზრახული არღუნ-ხანის ტახტიდან ჩამოგდება და მის მაგიერ უფლისწულ ჯუშაბის დასმა (Рашид-ад-Дин, Джамин ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 212, რუსული თარგმანი, გვ. 122—123).

²⁶ ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 95r—95v. ეამთააღმწერელთან: „და ვითარცა გარდაცდეს ეამნი მრავალნი და რაჟამს წელიწდისა თავი მოიწვეის, რომელსა ურდისნაგად უწოდეს, რომელ არს ენითა მათითა, რომელი იქმნების მარტას ათხუთმეტსა...“ (ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის გამოც., ტფ., 1906, გვ. 735). ამის გამო ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „უეჭველია ვითარცა გარდაცდეს ეამნი მრავალნი“-ს შემდგომ უნდა მოთხრობლი ყოფილიყო ის გარემოება, რომელმაც ბულას შეპყრობის განკარგულება გააუქმინა ყაენს. მარიამ დედოფლისეული ქცის ხელნაწერსა და სხვებშიაც კი ამაზე არაფერია ნათქვამი და ზემოთყვანილ სიტყვებს უშუალოდ მოსდევს ნაკვეთი „და რა ეამს წელიწდისა თავი მოიწვეის“ და შემდეგი, რომელიც არც გრამატიკულად და არც აზრით წინადადების წინა ნაწილს არ უდგება“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 223). ფ. გორგიჯანიძის თხზულების ხელნაწერში გამოკლებილი თხრობა ბულა ჩინგისანგის შესახებ საესებოთ ადასტურებს ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას.

²⁷ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 287.

²⁸ იქვე, გვ. 289.

ყოველნი“. ამის შემდეგ უამთააღმწერელი დასძენს, — „ხოლო იტყუან ამასცა: ხოჯა-აზიზის შვილი, რომლისა მამა მოეკლა მეფესა დავითს, ხუტლუბულა და იგი, ორნივე მტრობად შეითქუნეს მეფისა“²⁹. ფ. გორგიჯანიძე უამთააღმწერლის ცნობას უმატებს მნიშვნელოვან განმარტებას, საიდანაც ირკვევა, რომ ხუტლუ-ბულა ხოჯა-აზიზის შვილიშვილი ყოფილა დედის მხრით და ამიტომაც მტრობდა დემეტრეს. „ასეც ითქვა, — შენიშნავს ფარსადანი, — ხოჯა-აზიზ რომ მეფეს მოეკლა, მისი შვილი იელ-ხუტლუ³⁰ და ხუტლუ-ბულა ამისთვის იყვნენ მეფის მტერნი, იელ-ხუტლუ³⁰ დედის ძმა იყო ხუტლუ-ბულასა, მესისხლობით მტერნი იყვნენ მეფისა“³¹.

1289 წლის 12 მარტს საქართველოს მეფე დემეტრე II მონღოლებმა სიკვდილით დასაჯეს ურდოში. ილხანმა არღუნმა დავით ნარინის ვაჟს „ვახტანგს მოსცა მეფობა ყოვლისა საქართველოსი, და დადო თსი ოლჯათ ცოლად“³². ვახტანგ მეფემ „აღიყვანა პატივსა ათაბაგობისასა და ანირსპასალარობისასა ხუტლუბულა, და მიუბოძა ორივე ქელი და განგება სამეფოთა“³³. ამას უამთააღმწერელთან მოსდევს დემეტრე II-ის შვილების ამბავი, ფარსადანი კი დამატებით რამდენიმე ცნობას გვაწვდის ხუტლუ-ბულაზე.

ივ. ჭავჭავიძის აღნიშნავდა, რომ „ხუტლუ-ბულას ნიჭისა და სხვა თვისებების შესახებ, რომლითაც მისი მამა სადღუნ მანკაბერ-

²⁹ იქვე. ივ. ჭავჭავიძის აღნიშნავდა, რომ „თანამედროვეებს, შესაძლებელია, ხუტლუბულაზე უფრო მეტი საფუძველი ჰქონოდათ, ეჭვი შეეტანათ, რადგან ყველამ იცოდა, თუ რამდენად ნაწყენი იყო იგი, როცა მამის, სადღუნ მანკაბერდელის, სიკვდილის შემდეგ, ათაბაგობა დემეტრე II-ემ მას კი არა, როგორც ის მოელოდა, არამედ მის ერთ-ერთ მეტოქეთაგანს, ტარსაიკ ორბელს უწყალობა“ (ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 226).

³⁰ ხელნაწერში: იელ ხუტლუ.

³¹ ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 97r.

³² ივ. ჭავჭავიძის აღნიშნავდა, რომ „რამდენად მართალია ჩვენი ისტორიკოსის ცნობა ვახტანგისათვის ოლჯათის ცოლად მიცემის შესახებ, ჭერ კიდევ გამოსარკვევია, რადგან არც ერთ სხვა წყაროში ამგვარი ცნობა არ მოიპოვება“ (ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 234). სათანადო ცნობა აქვს რაშიდ ად-დინს, რომელიც წერს, აბაღ-ხანის მეექვსე ქალიშვილი (ე. ი. არღუნის და) ოლჯათი ცოლად მისცეს საქართველოს მეფის დავითის ვაჟს (P а ш и д - а д - Д и н. Джами ат-таварих, III. სპარსული ტექსტი. გვ. 99, რუსული თარგმანი, გვ. 66). ასეთსავე ცნობას გვაწვდის სტეფანოს ეპისკოპოსი (Армянские источники о монголах, М., 1962, с. 42).

³³ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 293.

დელი იყო დაჯილდოვებული, ცნობები არ მოგვეპოვება³⁴. ახლა, ფ. გორგიჯანიძის წყალობით, ზოგიერთი ახალი შტრიხი ემატება ხუტლუ-ბულან დახასიათებას:

და ამ ვახტანგ აიყვანა პატივსა ათბაგობისასა [და] ამირსპასალარობა ხუტლუ-ბულან უბოძა, ორიუ საეკლო დიდი. და არიგებდა ხუტლუ-ბულა საქმეთა სამეფოთა, მაგრამ იყო კაცი აწყი და აპარტაქ[ანი] და უმეტესობას მოყვარე, დიდთა საქმეთა შემბუღავი. ამისთვის სძულდა სრულ ქართველთა, ნამეტნავად ამისთვის უფრო, რომ მეფის დემეტრეს მოკვლაში ერიაჲს.

უნდა ითქვას, რომ ხუტლუ-ბულა დიდხანს როდი დარჩა ვახტანგის ერთგული. „ხუტლუ-ბულანათვის, ეტყობა, თვით ვახტანგ მეფისთანა სათნო აღამიანთანაც კი ხანგრძლივი შეთანხმება აღვილი არ იყო“, — შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი³⁵. ორი წელიც არ იყო გასული, რომ „ინება ხუტლუ-ბულა, რათა დავით მეფე ყოს“³⁷. დემეტრე II-ის ლტოლნი ვაჟი დავითი მამის სიკვდილის შემდეგ „დაშთა თათართა შინა ტაჩარ ნოინისთა“³⁸, კირთა და იწროებათა შინა“³⁹. ახლა ხუტლუ-ბულა ვახტანგს გადაუდგა და მისი გამეფება მოინდომა. ესამთაღმწერლის ცნობით, „ტაჩარ თანა-შეეწეოდა დავითს, და ოვსთა მეფის ძე, სახელით ფარეჯან. იგიცა ძლიერად შეეწეოდა დავითს“. მიუხედავად ამისა, მას მანევ არ მისცეს მეფობა, რადგან „სხუათა მთავართა ქართველთა არა სთნდა მეფობა დავითისა, რაჟეთუ მტკიცედ დგეს ერთგულობასა ზედა ვახტანგისსა“⁴⁰.

ამგვარად, ესამთაღმწერლის მიხედვით, ქართველ დიდებულთ თითქოს მხოლოდ იმიტომ არ სურდათ დავითს გამეფება, რომ ვახტანგის ერთგულნი იყვნენ. ფ. გორგიჯანიძეს კი მიაჩნია, რომ

³⁴ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, XI—XV საუკუნეები, თბ., 1949, გვ. 161. იქვე ავტორი შენიშნავს, რომ „შურისმაძიებლობით ის თავის ყოვლად ძლიერ მშობელს არ ჩამოუვარდებოდა“. შდრ. აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 226.

³⁵ ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 99r.

³⁶ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, XI—XV საუკუნეები, გვ. 173.

³⁷ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 294.

³⁸ როგორც ჩანს, იგულისხმება თოლაჩარი, არღუნ-ხანის ერთ-ერთი უფროსი ამირი.

³⁹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 293.

⁴⁰ იქვე, გვ. 294.

„უფროსიერთ არ უნდოდან მეფობა დავითისა მათისავე შეცოდები-
სათვის, ამისთვის მოუდგნენ ვახტანგს ერთგულათ, არ მიაცემინეს
მეფობა დავით[ი]სათვის“. როგორც ჩანს, ამის შემდეგ ხუტლუ-ბუ-
ლასა და ფარეჯანს საქართველოში ვახტანგთან დაბრუნების პირი
აღარ ჰქონდათ. ამიტომ „დაჩინეს ხუტლუ-ბულა და ფარეჯან ოსი
დავითსთანა“⁴¹.



არღუნის სიკვდილის შემდეგ მონღოლმა უფლისწულებმა და ნოი-
ნებმა მისივე უმცროსი ძმა ქეილათუ მოიყვანეს რუმიდან, „დასუექს
ტახტსა და ჯელთ უგდეს ყოველი საყაენო“⁴². უამთაღმწერელი ამის
შემდეგ ვახტანგის მეფობის აშბავს ყვება, ფარსადანი კი გვამცნობს,
რომ ქეილათუ „ელგან ნო[ი]ნის შვილი, სიქანდურის ძმა აღბულა.
ნჯედართმთავრად ქნა, არღუნისაგან დაჩაგრულნი გაამდიდრა ამის-
თვის, რომე არღუნს თავისი ნათესაენი სრულ ამო[ე]წყვიტათ, სხვა
მრავალნი უბრალონი დაეხოცა“⁴³. აღსანიშნავია, რომ ელგაი („ელ-
გონ“) ნოინის შვილებს შორის მართლაც იყვნენ შიქთურ („სიქან-
დურ“) და აღბულა. ეს უკანასკნელი ქეილათუს უფროსი ამირი და
სიმამრიც იყო⁴⁴.

ქეილათუ (1291—1295) ილხანად დაჯდა 690 წ. რაჯაბის თვის
24-ში (1291 წ. 23 ივლისს). მისი გამეფებისთანავე „განდგა ქალაქი
საბერძნეთისა ტუნდუზალო“⁴⁵. ქეილათუ „მოუწოდა ყოველთა სპა-
თა მისთა“, დავით დემეტრეს ძე იახლა და რუმს მიაშურა. ფ. გორგი-

⁴¹ ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 99რ.

⁴² ქართლის ცხოვრება, II, გვ. 295.

⁴³ ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 99ვ.

⁴⁴ Рашид-ад-Дин, Джамии ат-таварих, I, I, М., 1965, სპარსული, ტექსტი, გვ. 136, 138; Рашид-ад-Дин, Сборник летописей, I, I, М.—Л. 1952, გვ. 94, 95; Рашид-ад-Дин, Джамии ат-таварих, III, სპარსუ-
ლი ტექსტი, გვ. 231; რუსული თარგმანი, გვ. 132.

⁴⁵ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 296. მ. ბროსე და ივ. ჯავახიშვილი ფიქრობ-
დნენ, რომ უამთაღმწერელმა აჯანყებული ნოინის სახელი მიიჩნია ქალაქის სახელ-
წოდებად, რადგან ასეთი ქალაქი მცირე აზიაში თითქოს არ არსებობს (Histoire de
la Géorgie, I, p. 611, n. 2; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია,
III, გვ. 237—238). ქალაქი ტონდუზალო || ტონდუზლუ (თანამედროვე დენიზ-
ლი, ანტიკური ლაოდიცეა) იხსენიება სპარსულ, არაბულ და სომხურ წყაროებშიც.
ტონდუზალოს აჯანყების საკითხს ჩვენ სხვა დროს შევეხებით საგანგებოდ.

ჯანიძის სიტყვით, ქეილათუმ „დავით, ძე მეფის დემეტრესი, თან წაი-
ყვანა მკირის ფარეჯანის“⁴⁶ ოსითა, ერთგულნი მეფისა დავითისა“⁴⁷.

ყამთაალმწერლის ცნობით, რუმს ჯალაშქრების წინ ქეილათუმ
„შევედრა ტახტი და ცოლი მისი და ხათუნნი ნოინსა ელგონს. ხოლო
ხუტლუ-ბულა და სხუანი მთავარნი საქართველოსანი დაუტყვნა
მულანს, რამეთუ ეშინოდა გამოსლვისათვის ბერქალნთასა“⁴⁸.
1291 წ. აზბებში ელგა ნოინის ხსენება, რა თქმა უნდა, ანაქრონიზმია.
თვით ყამთაალმწერლის თხზულებიდანაც ვიცით, რომ ელგა იმ
დროს კარგა ხნის გარდაცვლილი იყო⁴⁹. ფ. გორგჯანიძე შესაბამის
კონტექსტში იხსენიებს ელგა ნოინის შვილს სიქანდურს, გვარად
ჯალაირს⁵⁰. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ელგას მართლაც ჰყავდა
შვილი, სახელად შიქთურ („სიქანდურ“). ამავე დროს ცნობილია
რამდენიმე, რომ როდესაც ქეილათუმ რუმს გამგზავრება გადაწყვიტა,
თავის სრულუფლებიან მოადგილედ ირანში მართლაც შიქთური
დანიშნა⁵¹. ოღონდ ეს შიქთური ელგა ნოინის შვილი კი არა, ერთ-
ერთი უხუცესი მონღოლი ნოინი იყო და ჭერ კიდევ ჰულაგუ-ხანს ემ-
სახურებოდა. ქეილათუმ დროს იგი უკვე ძაბუნნი მოხლცი იყო და
ამიტოა წინამძღოლად ითვლებოდა⁵². შიქთურ||სიქანდური ყამთა-
ალმწერელთანაკვ რამდენიმეჯერ იხსენიება ბარაყ-ხანთან ბრძოლის
აღწერაში (1270 წ.)⁵³.

ივ. ჯავახიშვილი გაკვირვებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ
რუმის ლაშქრობაში ქეილათუმ უფლისწული დავითი წაიყვანა თან,
ხოლო ვახტანგ მეფეს ყამთაალმწერელი საერთოდ არ იხსენიებს ამ
აზბებში. მკვლევარს მიაჩნდა, რომ „ვერავითარი გამამართლებელი
მოსაზრება ჯერ მოეებნება ვახტანგ მეფის შესახებ ყამთაალმწე-

⁴⁶ ხელნაწერში: ფარანჯის.

⁴⁷ ყამთაალმწერლის შემდგომი თხრობიდანაც ჩანს, რომ ფარეჯანი იმ დროს სა-
ქართველოში არ იმყოფებოდა: „ხოლო მუნ ყოფასა ფარეჯანისა, იწყეს ოესთა ოჯრე-
ბად, კოცად და რბევად, და ტყუენად ქართლისა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ.
296; იხ. აგრეთვე: ვ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის
ისტორიიდან, სტალინირი, 1958, გვ. 198).

⁴⁸ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 296.

⁴⁹ იქვე, გვ. 254.

⁵⁰ ფ. გორგჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 100გ.

⁵¹ Рашид-ад-Дин, Джамии ат-таварих, III, სპარსული ტექსტი,
გვ. 234; რუსული თარგმანი, გვ. 134.

⁵² იქვე, სპარსული ტექსტი, გვ. 233, რუსული თარგმანი, გვ. 133.

⁵³ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 282, 283, 284.

რლის დუმილს იქ, სადაც რუმის გამდგარი ქალაქის დასამორჩილებლად გალაშქრებულზე აქვს მას საუბარი⁵⁴.

ჩვენი აზრით, ვახტანგის მოუხსენებლობა ამ შენთხვევაში სრულიად ბუნებრივია და იმით უნდა აიხსნას, რომ ქეილათუს საერთოდ არ გაუწვევია საქართველოდან არც მეფე და არც აქაური ლაშქარი. როგორც ვნახეთ, დავითი, ხუტლუ-ბულაღა და ფარეჯანიც ურდოში იმყოფებოდნენ იმ დროს და სწორედ ისინი იხსენიებიან სათანადო კონტექსტში. დავითი და ფარეჯანი თან წაიყვანა ილხანმა, ხოლო ხუტლუ-ბულას ჩრდილოეთიდან გადმოსასვლელი გზის დაცვა დაევალა. აღსანიშნავია ისიც, რომ, ფარსადანის მიხედვით, რუმში ლაშქრობის დროს დავითს საერთოდ არ ხლებიან ქართველები, მას მხოლოდ ოსთა მცირე რაზმი ჰყოლია თან⁵⁵.

ქეილათუმ 1291 წ. 31 აგვისტოს გადაწყვიტა რუმის მხარეში გამკვლავება⁵⁶, ტონლუხალის აჯანყების ჩაქრობას თითქმის ხუთი თვე დასჭირდა⁵⁷, ირანში კი ილხანი მომდევნო, 1292 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა⁵⁸. ამასობაში, როგორც ჩანს, ვახტანგი გარდაიცვალა, „სამ წელ ოდენ მეფე ყოფილი“⁵⁹, და ქეილათუმ დავითს უბოძა საქართველოს მეფობა. ამავე დროს „მოსცა ყაენმან ღამისი ოღჯათ, რომელი ვახტანგს ცოლად ესუა“⁶⁰.

⁵⁴ ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 238.

⁵⁵ ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 100 რ.

⁵⁶ P a ш и д - а д - Д и н, Джамн ат -таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 234; რუსული თარგმანი, გვ. 134.

⁵⁷ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 296.

⁵⁸ P a ш и д - а д - Д и н, Джамн ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 236; რუსული თარგმანი, გვ. 135.

⁵⁹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 295.

⁶⁰ ივ. ჭავჭავაძის მიხედვით ამ ცნობის გამო შენიშნავდა, რომ „ოღჯათ მართლაც აბალა ყაენის ასული, მაშასადამე ქელათუს და იყო, მაგრამ სპარსული წყაროების ცნობებით ის ჭერ თუქალის, მერმე ყუთლულის ცოლად ყოფილა, ხოლო ვახტანგ მეფეზე და დავითზე რომ გათხოვილიყო, ამაზე იქ არაფერია ნათქვამი“ (ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 339). ეს მსჯელობა მთლიანად ემყარება მ. ბროსეს შენიშვნას (Histoire de la Géorgie, I, SPb., 1849, p. 612. n. 3. იხ. აგრეთვე, ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., ტფილისი, 1885, გვ. 262, შენ.1). უნდა ითქვას, რომ მ. ბროსესა და ივ. ჭავჭავაძის მხედველობაში ჰყავთ არა აბალას, არამედ არღუნის ასული, რომელიც მართლაც ჭერ თუქალს ჰყოლია ცოლად, ხოლო შემდეგ ყუთლულშაჰს (იხ. P a ш и д - а д - Д и н, Джамн ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 198, რუსული თარგმანი, გვ. 115.). ეპითელაშვილის ცნობაში კი დასახელებულია აბალას ასული, ე. ი. არღუნისა და ქეილათუს და (იხ. ზემოთ შენიშვნა 32).

მერე ეამთაღმწერელი ჰყვება დავითის მეფობის დასაწყისისა და ოსებთან ურთიერთობის ამბებს, ხოლო რატი სურამელსა და ოსთა შორის შეტაკების აღწერის შემდეგ გვამცნობს: „ხოლო მოვიდა მწოდებელი ყაენ თუქალისი წინაშე დავით მეფისა და წარვიდა დავით წინაშე თუქალისა, რომელი იდგა მთათა არაჩატისათა... დაამტკიცეს ერთობა, და წარმოვიდა მეფე შინა, და მისცა ღმანისი, რომელ აქუნდა ხუტლუბულას, ძმასა მანგასარისსა“⁶¹. მომდევნო აბზაციდან ირკვევა, რომ აღწერილი ამბავი ხდება უკვე ბაილუს ილხანობაში, 1295 წელს.

ეამთაღმწერლის ზემოთ მოტანილ ცნობაში რამდენიმე უზუსტობაა. ჯერ ერთი, თუქალი არ ყოფილა ყაენი⁶². იგი ერთ-ერთი მონღოლი ნოინი იყო, ცოლად ჰყავდა არღუნ-ხანის ასული ოლჯეი-თემური. არღუნის გარდაცვალების შემდეგ მხარს უჭერდა ილხანის ტახტზე ბაილუს დასმას. მეორეც, სრულიად გაუმართლებელია თხზულებაში არაერთგზობა ნახსენები და მკითხველისათვის კარგად ნაცნობი ხუტლუ-ბულას, უცნობი პირის, მანგასარის მეშვეობით გაცნობა („რომელ აქუნდა ხუტლუბულას, ძმასა მანგასარისსა“). თანაც ეამთაღმწერლის ცნობიდან კარგად არ ჩანს თუ ვინ ვის მისცა ღმანისი („და წარმოვიდა მეფე შინა, და მისცა ღმანისი“). უნდა ითქვას კი, რომ მონღოლ ნოინს, რომელსაც საჭართველო მხოლოდ სადგომად ჰქონდა მიჩენილი, არც ექნებოდა უფლება ამირსპასალართაბაგისათვის ჩამოერთმია ქალაქი და მეფისათვის ებოძებინა ის. და ბოლოს, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ხუტლუ-ბულა იმ დროს უკვე ორი წლის მკვდარი იყო.

მეორე ხნის შემდეგ, როცა უფლიწულმა ყაზანმა და მისმა მომხრეებმა ბრძოლა გააჩაღეს ბაილუს წინააღმდეგ, ამ უკანასკნელმაც შეკრიბა ლაშქარი. თუქალიც სასწრაფოდ გაემართა მის დასახმარებლად, „ვერლარა მიიცადეს მეფე“ დავით. „აქაცა დაიცვა ღმერთმან, რომე არა დახუდა“, — შენიშნავს ეამთაღმწერელი⁶³. სიტყვა „აქაცა“ გვაფიქრებინებს, რომ ადრეც ყოფილა მსგავსი შემთხვევა, როცა დავითი ილხანთა სახელმწიფოში ამტყდარ შინაურ ბრძოლას გადაურჩა. სამწუხაროდ, „ქართლის ცხოვრების“ დღეს ცნობილ არცერთ ნუსხაში ეს ადგილი აღარ არის ისევე, როგორც არაფერია თქმული ხუტლუ-ბულას სიკვდილზე, ქეილათუს მოკვლასა და

⁶¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 298.

⁶² ყაენი ჰგონიათ თუქალი ვახუშტისა და იოანე ბაგრატიონისაც.

⁶³ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 298.

ბაიდუს გაილხანებზე და ა. შ.⁶⁴ მაგრამ, როგორც ირკვევა, „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ხელნაწერს სრულად შემოუნახავს შე-
საბამისი მონაკვეთი, ამ ხელნაწერით უსარგებლია ფარსადან გორ-
გიჯანიძეს და მისი წყალობით შესაძლებელი ხდება გავიცნოთ ეამ-
თაალმწერლის თხზულებების ნაკლები ადგილის შინაარსი.

აქა სუნბატ ბულან ნამეტნავად გამდიდრებულიყო, ვითაც მეფენი იქცეოდა. მრავალი სოფლები და ქვეყანანი მეფის დავითისაგან [მიეღო, ყაენ]მანაც მისცა. და [მეფე] უფროსიერთს ხანს კარხედ იყვის, ამისთვის სთმობდა საქმესა და ნა-
ქმარსა ხუტლუ-ბულისასა. და ურდოს მიმავალი [დავით] უკმოიქცა, მივიდა სახლ-
სა და საბეფოსა თავისასა და გაგზავნა კაცი ყაენსთან, მისწერა თუ, „დავანებე
ყოვლი სამეფო ჩემი ხუტლუ-ბულასა, მოველი ყაენისაგან, რომ ჩემი მეფობა მას
უბოძოს და მე მას ვემსახურები“. ამისთვის, რომე ყაენის შიშით ვერა სცვლიდენ
მეფენი ერისთავთა. მიაწია მოციქულმანნ ყაენს წინ და მოახსენა მეფის დანავედ-
რი სიტყვანი ყაენსა. ხუტლუ-ბულა იქ ყოფილიყო და ყაენს საქართველოში გა-
ეგზავნა და სამეფო ყოველი მისთვის მიეზარებინა. რა მოვიდა მოციქული მე-
ფისა, გამოგზავნეს კაცი, მოსწიეეს შამქორსა. ხუტლუ-ბულა შეიპყრეს, მიიყვან-
ნეს ყაენსთან, და მეფეც კარს იჭმეს, რომ მათი საქმე გაბრკონ. მიე[ი]და
მეფე ბილალანს და. იქ დახვდა ხუტლუ-ბულა, რომელსაც შეეწ[ე]ოდა ნო[ი]ნი
დიდი აღბულა.

რა ნახა ყაენმან მეფე დავით, დიდი პატიენი მიაპყრო და მეფემანც მრავა-
ლი საქურკლე ძვირფასისა მიართვა: კურკელნი ოქროსა და ვერცხლისანი, სარ-
ტყელი იგი ზეით თქმული ძვირფასისა, რომელსაც გააკვირდა ყაენი⁶⁷.

გაიარა ცოტა დღენი, იხმეს სამდივნოსა მეფე და ხუტლუ-ბულა. და აჩინეს
სიტყვის მთქმელათ ბურსელი ხუტლუნს. მრავალს იტყოდენ [ო]რნივე. სცნა აღ-
ბულამა ნო[ი]მან, რომელი იძლეოდა მას ხუტლუ-ბულა. ადგა ნო[ი]ნი დივნით,
თან წაიტანა ხუტლუ-ბულა, დაიხსნა იქით. რა სცნა ყაენმან, რომ აღბულა ხუტ-
ლუ-ბულას კერძია, თვით მასთან იპყრა აღბულა. აიყარნეს თავრებითა და სიან-
ქოს⁶⁹ მივიდნენ, სად იყო სადგმური დიდის ჰალაქუ-ხანისა, რომელიც

⁶⁴ იხ. რ. კიკნაძე, ერთი გეოგრაფიული სახელის განმარტებისათვის
ეამთაალმწერლის თხზულებაში.— „ქართული წყაროთმცოდნეობა“, IV, თბ., 1973,
გვ. 40, შუნ. 22.

⁶⁵ მართალია, ხელნაწერშია „სუნბატ ბულა“, მაგრამ შემდგომი თხრობიდან აშ-
კარა ხდება, რომ საუბარია ხუტლუ-ბულას შესახებ.

⁶⁶ ხელნაწერში: მოციქულნი.

⁶⁷ ამ ძვირფას სარტყელს მართლაც იხსენიებენ ადრე ეამთაალმწერელი და ფ.
გორგიჯანიძე (ავრეთვე ვახუშტი და იოანეც). დავითმა რომ საქართველოს მეფობა
მიიღო, ბექამ „წარმოუვლინა ძე თვისი პირშო, სამცხის სპასალარი სარგის, და
ყოველი ნამარხევი, რომელ აქუნდა მეფის დიმიტრისაგან შევედრებული, და სარ-
ტყელიცა იგი დიდფასისა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 297; შდრ. ფ. გორგი-
ჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 100v).

⁶⁸ ხელნაწერში: ხუტლე.

⁶⁹ ილხანთა ამ საზაფხულო სადგომის შესახებ იხ. რ. კიკნაძე, ერთი
გეოგრაფიული სახელის განმარტებისათვის ეამთაალმწერლის თხზულებაში.

სახლათ და პალატათ ჰქონებოდა ჭიხოსროვ კემწიფესა. იქ იყვნენ ორ თვის და ყაენი ეშურებოდა ხეტლუ-ბულისა და აღბულის ჭაერის ამოყრასა. ყაენმან სანადირროთ წასვლა მოინდომა, ბრძანა არ წასვლა სანადირროსა ხეტლუ-ბულისა ყაენსთანა.

[ხეტლუ-ბულამ] ჰკითხა აღბულასა, წავიდეს შორს აღგილსა, ნო[ი]ნის ვისმესთან, რათა⁷⁰ ოქრო მოიღოს მისგან. და ერთი მისანდო კაცი გაატანა. დაიკვადრო და გაპარვით წავიდა საქართველოს ამისთვის, რომ ყაენის რისხვას ელოდა. მის[ი] გაპარვა აღბულას დააბრალებს და, რასაც იმას სთხოვდეს, აღბულას დაქაბრალეს და კიდევ აზღვევინეს. გაგზავნეს კაცი ხეტლუ-ბულასთანა, რომ მოიღოს ოქრო, და თან გაატანეს საკელათ ყურუმში. მივიდნენ საქართველოში, რომ სად იყო სადგუმური ნო[ი]ნისა. თქვა ყმამან აღბულისამან: უგზოთ რასთვის მივიღივართო, რომე შეიპყრა ყაენმან აღბულა. ამის მთქმელს ფიცხლავ კელბი შეუკრეს და პირიყ აუკრეს. იქნა ღამე, და მართალს გზას არ მიდიოდნენ. უთქრა კაცმან ყურუმშისამან: არ არის გზა ეს საქართველოსიო. არ ვიცი, განგებ იქთო თუ გზას დაძეღარჯართო. შე თქვენთვის ავი არ მინდაო. არ დაუჭერეს ნათქვამი. გათენდა, ადგა ქარი მიკრე და გარდაჰყარა ნისლი. და ნახეს თავიანთ ბარგთან გამოქცეული თათარი ერთი, პერობილთაგან გამოპარული. მივიდა თათრებსთანა, დაიწყო აღბულას კაცების დაპირვა. და ხეტლუ-ბულა გაციკა⁷¹ სამასის კაცითა. ასრე იქნა ხეტლუ-ბულის წახდენა და აოჯრება მისი; მოაკვდინეს და აიღო ფასი, რაც მას დემეტრე მეფისათვის ექნა. სხვაე აქონდა, რომე ვალს გარდახდა უნდა. ამ ხეტლუ-ბულასაც ამას წინად ორნივე ძმანი აბულეთიძენი დაეხოც⁷². ახლა იხმო ყმანი და უთქრა მათ: თუ შევებნით, ყველას დაგვხოცენო, თუ არადა, მარტო მე მამკვლენო. მაშ, სჯობს, მივსცე თავი ჩემიო და თქვენ შევიღობით იხსნათო. აღარ გაიძრეს კელი. ხეტლუ-ბულა და ყმანი მისნი შეიპყრნეს თათართა, მიუსხეს ქულათო ყაენსა. უბრძანა მეფესა: აპა, რომელიც გიქადე, რომ შენ მოგცემო ხეტლუ-ბულასაო. მეღემ თაყვანი სცა და გარეთ გამოვიდა.

შეიქნა ღამე, ადგა ყაენი და მივიდა ლაშქრით. იყო ეს ქულათ ყაენი ღვინის მოყვარული, მსუბუქი, და ცრუ, მამათა ბოროტი, აცოთაგან საძულელი. ნახა კარავში სანთელი ანთებული. იცოთხა, კარავი ვისი არისო? მოახსენეს: ხეტლუ-ბულას ყმანი არიანო. თავიანთ რჯულის წესით ილოციდეს. მსახურთ-უხუცეს[ი] ხეტლუ-ბულისა ოთარი⁷³ ხატს ეაჭებოდეს ღამისთევითა და საკმეველითა. ბრძანა გამოყენა ოთარისა. მოიყვანეს ყაენს წინ. უბრძანა: შენ კაცო, რათ გამაპარე ხეტლუ-ბულაო! ოთარმან მოახსენა: ისმინე თქმული ჩემიო, ბედნიერ ყა-

⁷⁰ ხელნაწერში: რათ რათ.

⁷¹ ხელნაწერში: ხეტლუ ბულის გაქცევა.

⁷² „ორნივე ძმანი აბულეთის ძენი, საღენისაგან გარდმოხვეწილინი, ხეტლუ-ბულამ დახოცა“ (ფ. გორგოჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 92v. იხ. აგრეთვე, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 281—282; Из истории князя Стефана Орбелиан. — История монголов по армянским источникам, I, СПб., 1873, с. 49; Из «Летописи» Степаноса Епископа. — Армянские источники о монголах, 1962, с. 38).

⁷³ ხელნაწერში: საბასი და ოთარის. ფ. გორგოჯანიძის მიერ „საბას“ და, ცოტა ქვემოთ, „სუნბატის“ უადგილოდ ხსენება მოწმობს, რომ მის მიერ გამოყენებულ ხელნაწერშიც ზოგი რამ დამახინჯებული უნდა ყოფილიყო.

ენო. მე გაზდილი ვარ ხუტლუ-ბულისაგანო, თვით უბრალო არისო, მე გაგა-
პარეო, მე ვარ შემცოდეო, არათუ ისიო. რა ესმა ყაენს ნათქვამი ოთარის, ბძანა
მოკელა ოთარისა. მოჰყვეთის თავი. სცნა სიკვდილი ოთარისა მეფემან და სუნ-
ბატისა, ეწყინა და შექმნა ტირილი და მოიგონა ნამს[ა]ხური მათი.

და ყაენმან წინ იხმო ხუტლუ-ბულა და უბრძანა: შენ აღბულის სიტყვით წა-
მიხველო? და მან პასუხი⁷⁴ არ ვასცა. მოსცეს მეფეს დავითს კელთა და უბრ-
ძანა მოკვდინება ხუტლუ-ბულისა. და ის შემოგხვეწა მეფესა, რომ არ მოჰკლ[ა]ს.
მეფემა უბრძანა: არ მინდა მოკელა შენო, მაგრამ ბრძანება გამოსულა ყაენისაო,
თუ არადა, მეწყალეო სიმხნისა და სიკბაბუისათვისო. გაუწყდა ღონე [ხუტლუ-
ბულას], ილოცა და ეზიარ[ა]. და თვითან მეფემ⁷⁵ შემოჰკრა კმალი და ორად
გაჰყვეთა⁷⁶. დაილია საქმე ხუტლუ-ბულასი. შეილი არა ჰყვანდა, სამი ძმა დარ-
ჩნეს. უბრძანა [მეფემ] წაღება თავიანთ სასაღლაოსა⁷⁷, მიიტანეს გესამ[ა]წინის და
ოთარი — სამცხეს.

ცოტას ხანს უკან ყაენმან მეფე გაისტუმრა და ყოველი ნაქონი ხუტლუ-
ბულასი მეფეს მისცა, და მოვიდა დმანისს და არიგებდა საქართველოსა.

ამ ეჟის მოვიდნენ ქართლსა დიდნი ნო[ი]ნეზნი თუქალი და ყონჩიბალი, რომ
დასთვალონ⁷⁸ საქართველო. სცნა მეფემ მოსვლა მათი ჰერეთს⁷⁹, წინ მიეგება,
რომლისთვისაც დიდად მადრიოლნი იყვნენ იო[ი]ნეზნი, და მოვიდნენ ქართლსა, რომ
დასთვალონ ქვეყანანი საქართველოსანი. ამ დროს იმერეთით ანბავი მოუვიდა,
რომ წარმოვიდა ლაშქარი აფხაზეთისა თქვენად საბრძოლათო. სწრაფათ აიყარნენ
და თრიალეთ[ს] ავიდნეს [ამ] აქმბით. ღმერთმან დაიხსნა ქვეყანა.

და შემოდგომად მეფე წავიდა ურდოსა, ყაენს წინ მივიდა ბილაღანს. იხილა
ყაენმან მეფე, იამა დ გათქარა და დიდი პატივი სცა. მოახსენეს: უკვიდგა თუქა-
ლიო, დალატიო მოკელა სწადიან თქვენიო, რომ ყაენათ მოიყვანოს ბიძაშენი
ბაილუქ. მაშინ უბრძანა ყაენმან მეფეს დავითს: ვიცეო, რომ გაქვს ჩემი სიყვა-
რულიო, ვითაც რომე მიყვარხარო და ამოვადღე მტერი შენიო, საცა იყვენო.
აწე შენც სწრაფად მიდი სამეფოსა თქვენსაო, თქვენი ლაშქრით ადრე მამეშვე-
ლეო, რომ მინდა მივიდე ორგულსა და უკუდგომილს თუქალს ზედანო. ფიცხლავ
რა მოვიდა, ლაშქარი შემოიყარა [დავითმა] და ადრე მოვიდა ქულათს ყაენს წი-
ნაშენ, მაგრამ თუქალმან დაასწრო და და[ა]ქესხა ქულათოს ყაენს თავსა და დაიჭირა.

⁷⁴ ხელნაწერში: პას პასუხი.

⁷⁵ ხელნაწერში: მემეფემ.

⁷⁸ რაშიდ ად-დინის ცნობით, სადღუნ ქართველის ვაჟი ხუტლუ-ბულა სიკვდი-
ლით დასაჯეს 692 წ. შა'ბანის თვის მიწურულს — 1293 წ. აგვისტოს დამდევს (P a-
sh и d - a d - Д и н, Джами ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 238,
რუსული თარგმანი, გვ. 136).

გაუგებარია, რას ემყარება ლ. ბაბაიანის მტკიცება, რომ თითქოს ხუტლუ-
ბულა სომეხ და ქართველ ფეოდალთა ანტიმონოლოღურ მოძრაობას მეთაურობდა
და ამის გამო დასაჯეს სიკვდილით (Л. О. Б а б а я н, Социально-экономичес-
кая и политическая история Армении в XIII—XIV вв., М., 1969, с. 165).

⁷⁷ ხელნაწერში: სასფლოვასა.

⁷⁹ ხელნაწერში: დასთვალოს.

⁷⁸ ხელნაწერში: ჰერათს.

თავსაკრავით დაქარჩო⁸⁰, ნო[ი]ნი იგი დიდიც მო[ა]კვდინა აღბულა ყონჩიბალმა⁸¹ და ალინაყის შვილი ბულა⁸². გაგზავნეს კაცი ბაიდუქს წინ, რომელიც იყო პალაქუ-ხანის შვილი, აბალას ძმა უმცროსი, რომელიც ქრისტიან შექმნილიყო, წ[ე]ესტორიანთ რჯული დაეპირა⁸³.

აქა თუქალი დაესხა ქულათოს ყაენსა, დაიჭირა, და[ა]რჩო და ბიძამისი ბაიდუქან⁸⁴ ყაენათ დასვა

მიართვეს ტახტი და საყაენო მორთულობა და ქონება, გაუგზავნეს ელჩი მეფეს დავითს და დაუმადლეს რომ არ დახვდა ქულათოს სიკვდილსა. მლთის წყალობით დაფარული იქნა მეფე და სპანი მეფისანი. თუ დასწრებოდენ, ქართველთ საქმე წამხდარი იყო⁸⁵.

მოვიდა მანვეელი თუქალისა, წავიდა მეფე თუქალსთანა, რომელიც არ-თაჰნის მთას იდგა. იხილა თ[უ]ქალმან მეფე დავითი, დიდი პატივი სცა, შეჰფიცეს ერთმანერთსა სიყვარულისათვის, დაქმტკიცეს ფიცი ერთობისა; თავისი და მოსცა, რომელიც ედგა ხეტლუ-ბულასა ძმასა მანგასარს. მანც მეფეს თავისი და მოსცა, და წამოვიდა შინ⁸⁶.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ფ. გორგიჯანიძეს ხელთ ჰქონია „ქართლის ცხოვრების“ ერთი და ისიც ნაკლებული და დამახინჯებული ხელნაწერი, ვერ მოუხერხებია მისი გარ-

⁸⁰ რაშიდ აღ-დინის მიხედვით, ეს მოხდა 1295 წ. 24 მარტს (P а ш и д - а д - Д и н, Джамн ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 244, რუსული თარგმანი გვ. 139).

⁸¹ ხელნაწერი: ყონჩიბალი. რაშიდ აღ-დინის ცნობით, აღბულა ყუნჩუბალის (ყონჩიბალის) მოთხოვნით დასაჯეს სიკვდილით ბაიდუს მომხრე ამირებმა 1295 წ. მაისის თვეში (P а ш и д - а д - Д и н, Джамн ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 291, რუსული თარგმანი, გვ. 163).

⁸² ხელნაწერი: ბულამ. ემთააღმწერელიც აღნიშნავს, რომ ალინაყის შვილის ყურუმჩის „ძმა ბულა მოეკლა თუქალს“ (ქართლის ცხოვრება, III, გვ. 298).

⁸³ ბაიდუ ქულაგუ-ხანის შვილიშვილი იყო, მისი მეხუთე ვაჟის თარალის ძე (P а ш и д - а д - Д и н, Джамн ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 11, რუსული თარგმანი, გვ. 17—18). ცნობა ბაიდუს ქრისტიანობის შესახებ სტეფანოს ორბელიანთანავე გვხვდება (История монголов по армянским источникам, I, с. 56).

⁸⁴ შესაძლებელია, უნდა იყოს ბაიდუ ქოუნ (ემთააღმწერლის განმარტებით, ქოუნ მონღოლურად ვაჟიშვილს ნიშნავს. — ქართლის ცხოვრება, II, გვ. 223; იხ. აგრეთვე Б. Я. В л а д и м и р ц о в, Общественный строй монголов, Л., 1934, с. 61).

⁸⁵ ამ სიტყვების შემდეგ გასაგები ხდება, რას გულისხმობს ემთააღმწერელს, როცა დავითის შესახებ შენიშნავს, „აქაც დაიცვა ღმერთმან, რომე არა დახვდა“-ო.

⁸⁶ ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 101რ—103რ.

ჩვეა და ამის გამო არაერთი შეცდომა მოსვლია⁸⁷. განსაკუთრებით ბევრი შეცდომა გვხვდება ფარსადანის თხზულებას იმ ნაწილში, რომელიც „ისტორიათა და აზმათა“ მიხედვით არის გამართული. ეს გასაგებიც არის, რადგან თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში საერთოდ მეტად დამახინჯებული სახით მოაღწია ჩვენამდე⁸⁸. ჟამთააღმწერლის ტექსტიც არ ყოფილა დაზღვეული შეცდომებისაგან და ერთი ხელნაწერის ამარა დაარჩენილ ფარსადანს ყოველთვის ვერ მოუხერხებია მისი სწორად გაგება. ზემოთ მოტანილი ვრცელი ნაწყვეტიდანაც ჩანს, რომ ჩვენი ავტორის მიერ გამოყენებულ წყაროში ყველაფერი ერთნაირად გამართული და გასაგები არ იყო. ამის გამო ფარსადანთანაც გვხვდება ზოგიერთი ბუნდოვანი, გაუგებარი ადგილი, შეცდომა და ა. შ. მაგრამ, ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ აქვე მოტანილია ახალი საყურადღებო მასალა, რომლის ერთი ნაწილი (განსაკუთრებით ის, რაც ილხანთა სახელმწიფოს ისტორიას ეხება) სხვა წყაროებითაც დასტურდება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია შეხედულება, რომ დემეტრე II-ის მიერ მასი მეფობის პირველსავე წლებში სადღუნ მანკაბერდელისათვის იძულებით მიცემული მნიშვნელოვანი სავაჭრო და სახელოსნო ცენტრი დმანისი მხოლოდ 1295 წელს დაუბრუნა თუქალ ნონმა დავით VIII-ს⁸⁹. ეს მოსაზრება ემყარება ჟამთააღმწერლის თხზულების სათანადო ადგილს. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ჟამთააღმწერლის თხრობა სწორედ ამ ნაწილში არასრული, ნაკლები და ბუნდოვანია. კერძოდ, მისი ცნობიდან („და წარმოვიდა მეფე შინა, და მისცა დმანისი, რომელ აქუნდა ხუტლუბულას, მას მანგასარისსა“) სულაც არ გამოდის, რომ თუქალმა დავითს დაუბრუნდა დმანისი.

ახლა, ფ. გორგიჯანიძის მიერ შემონახული ცნობების საფუძველზე ირკვევა, რომ დმანისი რამდენიმეჯერ გადასულა ხელიდან ხელში. ჯერ კიდევ 1288 წელს ხუტლუ-ბულამ, თავის დახსნის მიზნით, „უვნებლობისათვის დმანისი შეფეს უძღვნა“. მცირე ხნის შემ-

⁸⁷ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. — „საისტორიო მოამბე“, II, ტფ., 1925, გვ. 202.

⁸⁸ ფ. გორგიჯანიძის დამოკიდებულებას „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტთან ჩვენ საგანგებოდ ვიხილავთ სხვა ნაშრომში (იხ. რ. კ ი კ ნ ა ძ ე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, თბ., 1975).

⁸⁹ ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, XI—XV საუკუნეები, გვ. 175—176; დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII—XIV სს.), თბ., 1962, გვ. 277.

დევ, როცა „მოაკლეს პატივნი ჩინქაშან ბულასა“, ბექა ჭაყელის თხოვნით, არღუნ-ხანმა ხუტლუ-ბულას დაუბრუნა დმანისი და თელავი. და ბოლოს, ხუტლუ-ბულას სიკვდილით დასჯის შემდეგ, 1293 წელს, ილხანმა ქეილათუმ მთელი მისი ქონება დავით VIII-ის უბოძა. ის „მოვიდა დმანისა და არიგებდა საქართველოსა“.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ქამთაღმწერლის ცნობაში თუქალ ნოინის მიერ დავითისათვის დმანისის დაბრუნების თაობაზე რანდენიზე უზუსტობაა. ფ. გორგჯანიძისა და ქამთაღმწერლის თხზულებათა სათანადო ადგილების შედარებით ისეთი შთაბეჭდილება იქნება, რომ XIV ს-ის ავტორის დღეისათვის ცნობილ ტექსტში თითქოს ორი სხვადასხვა ცნობაა გაერთიანებული. ქამთაღმწერლის მიხედვით, თუქალმა დავითს მისცა დმანისი, რომელიც ეკუთვნოდა ხუტლუ-ბულას, მანგასარის ძმას. ფარსადანი კი გვამცნობს, რომ თითქოს დავითმა მისცა თუქალს თავი და, რომელიც მანამდე ცოლად ჰყოლია მანგასარს, ხუტლუ-ბულას ძმას⁹⁰. ხოლო თუქალს, თავის მხრით, თავისი და მიუცია მეფისათვის და არა დმანისი. ბუნებრივად ისმება კითხვა: ქამთაღმწერლის სიტყვები — „და წარმოვიდა მეფე შინა, და მისცა დმანისი“, ხომ არ უნდა გაეიგოთ ისე, რომ დავით მეფემ თუქალს „მისცა და მისი“⁹¹ ეს მით უმეტეს საფიქრებელია, რომ როგორც გაირკვა, ხუტლუ-ბულა იმ დროს ორი წლის მოკლული იყო⁹² და მას ვეღარაფერს ჩამოართმევდნენ, დმანისი კი უკვე დავით მეფეს ეკუთვნოდა.

აქანდე სხვადასხვა წყაროებით ცნობილი იყო, რომ მონღოლებმა ორჯერ ჩაატარეს საქართველოში აღწერა XIII საუკუნის 50-იან

⁹⁰ თუ ეს ცნობა დავითის დას რუსუდანს ეხება, მაშინ გამოდის, რომ ბულა ჩინგისა და მისი ვაჟის სიკვდილით დასჯის შემდეგ დაქვრივებული რუსუდანი ხუტლუ-ბულას ძმას შეურთავს; 1295 წელს ის თუქალს მიათხოვეს, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 299) საქართველოში დაბრუნდა და ოთხი ფანასკერტელს მისთხოვდა (ელ. შერთაველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 85, 102, 136—137; პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი. — თხზულებათა კრებული, ტ. I, თბ., 1963, გვ. 752—753). ანდა, შესაძლებელია, ამ ცნობაში იგულისხმებოდეს დავითის მეორე და, ჯიგდა, რომელიც დემეტრე II-ს მონღოლ ქალთან შეეძინა.

⁹¹ ამ ვარაუდს მხარს უჭერს წინადადებაში ნახშირი „მისცა“ (თუ დავითისათვის ბოძებაზე იქნებოდა საუბარი, მოსალოდნელი იყო „მოსცა“).

⁹² როგორც ითქვა, რაშიდ ად-დინის ცნობით, ხუტლუ-ბულა სიკვდილით დასაჯეს 1293 წ. აგვისტოს თვის პირველ რიცხვებში (იხ. ზემოთ შენიშვნა 76). პ. ინგოროყვას აზრით, ხუტლუ-ბულა 1296 წელსაც ცოცხალი იყო (პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 583, 705, 757).

და 70-იან წლებში. ფ. გორგიჯანიძემ შემოგვინახა ცნობა, საიდანაც ირკვევა, რომ მონღოლი ნოინები თუქალი და ყუნჩუყბალი (ყონჩიბალი) 1294 წლის პირველ ნახევარშიც მოსულან საქართველოს აღსაწერად. მაგრამ ამჯერად მათ ვერ შეძლეს აღწერის ჩატარება, რადგან დასავლეთ საქართველოდან ლაშქრის წამოსვლის ამბავი შეიტყვეს და იძულებული შეიქნენ გასცლოდნენ იქაურობას. „ღმერთმან დაიხსნა ქვეყანა“, — შენიშნავს ფარსადან გორგიჯანიძე. ეს სიტყვები კიდევ ერთხელ მოწმობს თუ რაოდენ მაინე შედეგები მოსდევდა მოსახლეობისათვის ქვეყნის ყოველ ახალ აღწერას.

როგორც ვხედავთ, ფარსადან გორგიჯანიძემ შემოგვინახა უნიკალური მასალა XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის, რომელიც ნაწილობრივ უცხოური წყაროებითაც დასტურდება. ამდენად, ფ. გორგიჯანიძის თხზულების ე. წ. მეორე ნაწილს დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც „ქართლის ცხოვრების“ („ისტორიათა და აზმთა“, ეპითაღმწერლის ნაშრომის) სამეცნიერო ტექსტის დადგენის, ისე აღებულნი ხანის საქართველოს ისტორიის საკითხების კვლევის საქმეში.

НОВЫЙ МАТЕРИАЛ ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ ВТОРОЙ ПОЛОВИНЫ XIII ВЕКА

Р е з ю м е

Неоднократно высказываемое в грузинской историографии мнение о том, что т. н. вторая часть «Истории Грузии» Парсадана Горгиджанидзе, основанная на сочинениях «Картлис цховреба», будто лишена всякого научного значения, основано лишь на беглом просмотре текста источника. В последнее время отношение к названной части труда Горгиджанидзе заметно изменилось. В результате сравнительного текстологического анализа в сочинении Горгиджанидзе выявлен богатый материал, имеющий важное значение для установления текстов «Истории и восхваления венценос-

цев» первого историка царицы Тамар и «Столетней летописи» анонимного историка XIV века. В частности, выяснилось, что использованный историком XVII века список «Картлис цховреба» был полнее, чем известные ныне списки.

В работе публикуется несколько отрывков из второй части «Истории Грузии» Горгиджанидзе, касающиеся событий второй половины XIII века. Соответствующие фрагменты не сохранились в известном сегодня тексте «Столетней летописи».

Анонимный историк XIV века подробно рассказывает о временщиках, выдвинувшихся в Грузии в эпоху монгольского господства, атабаге и амирспасаларе Садуне Манкабердели и его сыне Хутлу-Буге. Горгиджанидзе, повторяя все основные сведения анонимного историка, одновременно существенно дополняет их. В повествовании анонимного историка о монгольском нойоне Буге Чингсанге имеются значительные пробелы. В частности, из сочинения невозможно понять, почему Аргун-хан вдруг приказал схватить и казнить преданного ему эмира Бугу. Рассказ Горгиджанидзе в данном случае полнее и содержит дополнительные сведения о Хутлу-Буге, заговоре эмира Буги, его казни и т. д. Поскольку сведения Горгиджанидзе о Буге Чингсанге подтверждаются и показаниями Рашид ад-Дина, надо полагать, что другие его данные также заслуживают доверия.

В сочинении анонимного историка XIV века имеются и другие лакуны, из-за чего повествование местами носит отрывочный характер. Так, например, в сочинении ничего не сказано о казни Хутлу-Буги, убийстве ильхана Гейхату и возведении на престол Байду и т. д. Без этих эпизодов трудно понять некоторые места текста и восстановить логический ход событий. Горгиджанидзе в полном объеме сохранил недостающие в сочинении историка XIV века фрагменты, благодаря чему можно судить и о содержании соответствующей части «Столетней летописи».

ჟამთააღმწერლის თხზულების ერთი აღბილის დაზუსტებისათვის*

ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლთა ტექსტების გამო-
საცემად მომზადების მეთოდის საკითხებზე ამ ბოლო ხანებში რამ-
დენივე სპეციალური წერილი გამოქვეყნდა¹. ამ ნაშრომებში მო-
ცემულია არაერთი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური მითითება, რო-
მელთა გათვალისწინება აუცილებელია ქართული საისტორიო
წყაროების პუბლიკაციის დროს. სახელდობრ, მხედველობაში უნდა
იქნეს მიღებული, რომ 1. ქართული საისტორიო მწერლობის ძეგ-
ლები (მათ შორის, „ქართლის ცხოვრებაში“ შესული თხზულებე-
ბიც) უნდა გამოიცეს ცალ-ცალკე, ვრცელი გამოკვლევითა და კო-
მენტარით. 2. „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა რედაქციის
ტექსტები უნდა დაიბეჭდოს ასევე ცალ-ცალკე. არ შეიძლება მათი
ერთმანეთში შექანიჭურად შერევა, რის შედეგადაც მიიღება ახალი
ტექსტი, რომელიც ორივე რედაქციის ცალკეულ ნიშნებს აერთიან-
ებს, მაგრამ რეალურად არც ერთს აღარ ეკუთვნის.

* პირველად დაიბეჭდა 1977 წელს („მაცნე“, ისტორიის სერია, 1977, № 4, გვ. 103—106).

¹ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ივ. ჯავახიშვილის მეტად საყურადღე-
ბო წერილი ქართული საისტორიო წყაროების გამოცემის თაობაზე, რომელიც
1936 წ. 6 თებერვლით არის დათარიღებული, მაგრამ მხოლოდ ახლა დაიბეჭდა
(ივ. ჯავახიშვილი, ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის
შესახებ, — „მრავალთავი“, V, თბ., 1975); იხ. აგრეთვე, С. С. Какабаძე,
Установление критического текста начальной части «Картлис цховреба»,
— «Палестинский сборник», 15 (78), М., 1966; ს. კაკაბაძე, „ქართლის
ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ტექსტოლოგიური შესწავლის საკითხები. — „მაც-
ნე“, ისტორიის სერია, 1977, № 2, რ. კიკნაძე, ჟამთააღმწერლის თხზულების
ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი. — ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლის-
თავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976; რ. კიკნაძე, რამ-
დენიმე დაკვირვება ჟამთააღმწერლის თხზულების ტექსტზე. — „მაცნე“, ისტორიის
სერია, 1976, № 2.

გარკვეულია აგრეთვე, რომ ძველი ციკლის „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ ნაწარმოებთა, კერძოდ, აწვერად ჩვენთვის საინტერესო უამთააღმწერლის თხზულების ტექსტის გამოცემას საფუძვლად უნდა დაედოთ ვახტანგამდელი რედაქციის ნუსხები. მაგრამ იმის გამო, რომ ამ თხზულების პირვანდელი რედაქციის შემცველი ყველა ცნობილი ნუსხა ერთი არქეტიპიდან მომდინარეობს² და თითქმის ერთნაირად დამახინჯებულ ტექსტს შეიცავს, მართო ამ ნუსხების საფუძველზე ვერ ხერხდება ყველა გაუგებარი ადგილის გამართვა. ასეთ შემთხვევაში ტექსტოლოგმა უნდა მიმართოს ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებს და მათი ჩვენებების მიხედვით სცადოს ტექსტის აღდგენა. როცა არც ვახტანგის რედაქცია იძლევა საჭირო მასალას ტექსტის შერყვნილი ადგილის აღსადგენად, კონკრეტული ისტორიული ვითარების ანალიზითა და ლოგიკური მსჯელობით შეიძლება მოვახდინოთ მისი რეკონსტრუქცია³. როგორც ჩანს, ტექსტოლოგი ყველა შემთხვევაში ერთნაირად ვერ იქნება დარწმუნებული საკუთარი კონიექტურის საბოლოო სისწორეში. მაგრამ მისი აღდგენები, ალბათ, მაინც უფრო ახლოს იქნება ქვნიშობასთან, ვიდრე ჩვენამდე მოღწეული ნუსხების აშკარად შერყვნილი ჩვენებანი. ზოგიერთი აზრობრივ-ლოგიკური რეკონსტრუქცია კი სავსებით დამაჯერებელი, უტყუარი და აუცილებელია და მათი შეტანა თამამად შეიძლება თხზულების მეცნიერულად დადგენილ ტექსტში.

ქვემოთ მოტანილია მსაკვის ლოგიკური რეკონსტრუქციის ერთი მაგალითი უამთააღმწერლის თხზულებიდან.

თხზულების ბოლო ნაწილში, სადაც საუბარია ილხან ოლჯეთუს მიერ საქართველოს მეფედ გიორგი VI-ის გამოგზავნის შესახებ, ავტორი წერს: „ამან ოლჯათ სულტანმან წარმოავლინა მცირე გიორგი მეფედ, და ზაალ მელიქი ვინმე სპარსი ხუარასნელი, და ახრუნჩი, მამის ძმა ჩოფანისა, თანა წარმოიტანა, რათა ყოველი საქართველო ერთად შეკრიბონ მეფობასა შინა გიორგისა, და, აჩინეს ამათ შანშე მკარგრძელი და ზაქარია, ავაგის ასულის ხუაშავის

² საურმაგ კაკაბაძე მათ „მცხეთური ციკლის“ ნუსხებს უწოდებს (С. С. Какабадзе, Установление критического текста начальной части «Картлис цховреба», с. 174; ს. კაკაბაძე, „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ტექსტოლოგიური შესწავლის საკითხები, გვ. 49—50).

³ ა. პროშტეინის აზრით, ერთი ხელნაწერის საფუძველზე შეიძლება წყაროს ტექსტის შერყვნილი ნაწილის რეკონსტრუქცია ლოგიკურ-აზრობრივი ანალიზის მეთოდით (А. П. Пронштейн, Методика исторического источниковедения, Ростов н/Д, 1976, с. 141—142).

ნაშობი⁴. შენდევ ისტორიკოსი მოგვითხრობს მცირე აზიაში მომხდარი აჯანყების შესახებ და გვამცნობს, რომ ილხანმა ჩოფან ამირი გაგზავნა აჯანყებულთა წინააღმდეგ. მოსივე ცნობით, „წარჰყვა გოორგი⁵ ჩოფანს. ხოლო გოგაზილა მალაქ, შანშე და ზაქარია არა წარჰყვეს თანა“⁶.

მოყვანილ ნაწყვეტში ჩვენ ამჟამად საგანგებოდ გვინტერესებს „გოგაზილა მალაქ“, რომელიც, როგორც ჩამს, ადამიანის საკლთარი სახელი უნდა იყოს. აშკარაა აგრეთვე, რომ ეს სახელი დამახინჯებულია გადანწერთა მიერ.

უნდა აღინიშნოს, რომ „ქართლის ცხოვრების“ უძველეს ნუსხებში ეს ადგილი არ არის შემონახული. ა. კლიმიაშვილის მიერ მოპოვებულ 1697 წლის ნუსხაში ტექსტი გაცილებით უფრო ადრე წყდება⁷, მარიამისეულ ნუსხაში კი ბოლო ფურცელი ძლიერ დაზიანებულია და მხოლოდ რამდენიმე სიტყვა იკითხება. ამის გამო, ჩვენთვის საინტერესო ნაწყვეტი ე. თაყაიშვილმა თეიმურაზისეული ნუსხის მიხედვით დაბეჭდა⁸, ხოლო ს. ყაუხჩიშვილმა მაჩაბლისეული და თეიმურაზისეული ნუსხების მეშვეობით აღადგინა⁹.

ვახტანგის კომისიამ ვერ შეძლო დამახინჯებული ადგილის გასწორება. ეპითალწერლის თხზულების ვახტანგისეული რედაქციის ნუსხეში ეს სახელი თითქმის უცვლელად არის გადატანილი (გოგაზლა მალაქი)¹⁰. ასევე დამახინჯებულად არის წარმოდგენილი ეს სახელი ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების თხზულებებშიც (გოგაზალ მელიქი¹¹, გოგ ზალ მელიქი¹²).

⁴ ე ა მ თ ა ლ მ წ ე რ ე ლ ი, — ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 324.

⁵ იგულისხმება გიორგი V, შემდგომში ბრწყინვალედ წოდებული.

⁶ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 324.

⁷ ა. კლიმიაშვილი, „ქართლის ცხოვრების“ ერთი ახალი ნუსხა 1697 წლისა, — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXIV, № 3, 1960, გვ. 374.

⁸ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1906, გვ. 782—785.

⁹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 323—325.

¹⁰ ქართლის ცხოვრება, დასაბამიდან მეთცხრამ. ტე საუკუნემდის, მ. ბროსეს გამოც., I, სპბ., 1849, გვ. 447.

¹¹ ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., ტფ., 1885, გვ. 275.

¹² იო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ისტორია ქართლისა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H2134, ფ. 703r.

რამდენადაც ვიცით, მკვლევართაგან არავის უცდია ამ სახელის აღდგენა-გასწორება. მ. ბროსემ ფრანგულ თარგმანში შეიტანა Gogazla-Malouk¹³. სომხურ თარგმანშიც ეს სახელი უცვლელად და უშენიშვნოდ არის გადატანილი¹⁴. ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების უკანასკნელი გამოცემის საკუთარ სახელთა საძიებელში მითითებულია, რომ გოგზალ მელიქი ქართველი მოღვაწეა¹⁵.

ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ ამ სახელის საიდუმლოებაში გარკვევა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. საამისოდ საკმარისაა მოეპოვება თვითონ უამთაღმწერელს.

პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ როდესაც ჩოფანი მცირე აზააძე გაგზავნეს აჯანყების ჩასახშობად, მას თან გაჰყვა გიორგი V-ც. იმათ შორის, ვინც არ გაჰყოლია ჩოფანს, დასახელებული არიან გოგაზილა მალაქ, შანშე და ზაქარია რაკი ვიცით, რომ შანშე და ზაქარია გიორგი მცირეს ახლდნენ („და აჩინეს ამათ შანშე მკარგრძელი და ზაქარია, ავაგის ასულის ხუაშაგის ნაშობი“), „გოგაზილა მალაქ“-იც ამავე ჯგუფში უნდა ვეძებოთ. თუ გავიხსენებთ იოანე ბაგრატიონის სიტყვებს, რომ „გოგ ზაალ მელიქი, ზაქარია და შანშე არა წარჰყვენენ გიორგის“¹⁶, აშკარა გახდება, რომ უამთაღმწერლის ტექსტში მოხსენიებული „ზილა მალაქ“ არის გიორგი მცირეს ერთ-ერთი მხლებელი „ზაალ მელიქი, ვინმე სპარსი ხუარასნელი“.

გასარკვევი გვჩნდება, ვინ არის „გოგა“. ჩვენთვის ცნობილია, რომ გიორგი მცირეს ახლდნენ ზაალ მელიქი, ახრუნჩი, შანშე და ზაქარია. ახრუნჩის ისე დამახინჯება, რომ „გოგა“ მივიღოთ, ძნელი წარმოსადგენია. რჩება თვითონ გიორგი. მართლაც, „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეულ ნუსხაში წერია, რომ გიორგი მცირეს თან გამოატანეს ზაალ მელიქი და ახრუნჩი, რა ყლი საქართველო ერთათ შეკრიბონ მეფობასა შა გოგასა¹⁷.

როგორც ვხედავთ, გიორგი მცირეს სახელი ერთ-ერთ ხელნაწერში დაქარაგმებულია როგორც „გოგა“ (სხვა ნუსხებშია: გიორ-

¹³ Histoire de la Géorgie. trzd. par. M. Brosset. I, SPb., 1894. p. 642.

¹⁴ Արայ ժամանակագրութիւն (1207—1318). Քարգանակայանը Պ. Մուրայանի, Երևան, 1971, გვ. 97.

¹⁵ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1973, გვ. 996.

¹⁶ იოანე ბაგრატიონი, ისტორია ქართლისა. დასახ. ხელნაწერი, ფ. 703r.

¹⁷ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 784.

გისა, გიორგისსა). აშკარაა, რომ „გოგაზილა მალაქ“ ორი სრულიად სხვადასხვა პირის სახელს აერთიანებს — ქართველი მეფის გიორგი მცირისა და სპარსელი ზაალ მელიქის.

ამგვარად, ჩოფანი და გიორგი V რომ მცირე აზიაში სალაშქროდ გაემართნენ, გიორგი მცირე, ზაალ მელიქი, შანშე და ზაქარია „არა წარჰყვეს თანა, წარვიდეს და ააყარნეს, და ტფილისს შევიდეს“.

ამის შემდეგ ძნელი აღარ არის ეპითაღმწერლის ტექსტში სათანადო შესწორების შეტანა: „წარჰყვეა გიორგი ჩოფანს, ხოლრ გიორგი მცირე, ზაალ მელიქ, შანშე და ზაქარია არა წარჰყვეს თანა“.

К УТОЧНЕНИЮ ОДНОГО МЕСТА В СОЧИНЕНИИ ГРУЗИНСКОГО АНОНИМНОГО ИСТОРИКА XIV ВЕКА

Р е з ю м е

За последние годы опубликовано несколько работ о принципах и приемах издания грузинских исторических источников. Выдвинутые в них основные требования можно сформулировать следующим образом: 1. Памятники грузинской исторической литературы (в том числе и сочинения, вошедшие в сборник «Картлис цховреба») должны быть изданы каждый в отдельности. 2. Тексты разных редакций «Картлис цховреба» надо издавать также отдельно; нельзя смешивать их механически, в результате чего получается фактически новый текст, который никогда реально не существовал. 3. Некоторые поврежденные части текста, не поддающиеся восстановлению на основе показаний списков, можно реконструировать методом логически-смыслового анализа. Это последнее положение в работе иллюстрируется конкретным примером из сочинения грузинского анонимного историка XIV в.

По словам анонима, когда в 10-х годах XIV века в Малой Азии произошло восстание, ильхан Улджайту направил для его подавления эмира Чобана. Вместе с ним выступил и Георгий V. Далее следует фраза: «А Гогазила Малак, Шанше и Закариа не пошли с ним». «Гогазила

Малак» — явно искаженное переписчиками имя собственное — с некоторой незначительной разницей упоминается также в трудах Вахушти и Иоанна Багратиони в частях, основанных на сочинении анонимного историка XIV в.

В работе установлено, что под этими словами подразумеваются два имени: написанное под титулом имя царя Георгия VI младшего и прибывшего вместе с ним из Ирана перса Заала Мелика.

ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე აღნიშნულია, რომ XIV ს-ის ქართველი ანონიმური ისტორიკოსის — ჟამთააღმწერლის თხზულება საყურადღებო წყაროა არა მარტო XIII—XIV სს. საქართველოს, არამედ მეზობელი ქვეყნების, კერძოდ, სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიისათვისაც. გარდა ამისა, ქართველი ავტორის საისტორიო ნაწარმოებში მოიპოვება საინტერესო მასალა როგორც საკუთრივ მონღოლთა, ისე მათ მიერ ირანში შექმნილი ილხანთა სახელმწიფოს ისტორიისათვის. ამასთან ერთად, ჟამთააღმწერელმა შემოგვინახა ისეთი რიგის ცნობებიც მონღოლთა ისტორიისათვის, როგორც ჭერჭერობით არ შეგვხვედრია ჩვენთვის ცნობილ სხვა საისტორიო ნაწარმოებებში. როგორც ჩანს, ჩვენს ავტორს ხელთ ჰქონია ისეთი წყაროებიც, რომელთაც ან არ მოუღწევიათ ჩვენამდე, ან ჭერ არ არიან გამოვლენილი და სათანადოდ შესწავლილი.

ცნობილია, რომ ჟამთააღმწერლის თხზულების ტექსტი საკნაოდ არის შერყვნილი გვიანდელ გადაწერთა გაუწაფაობისა უფურადღებობის შედეგად. შედარებით უფრო ხშირია შეცდომები ქართველ გადაწერთათვის უცხო სამყაროს — აღმოსავლეთის ქვეყნების ამბების აღწერის დროს, განსაკუთრებით აღმოსავლური ტერმინების, პირთა და გეოგრაფიული სახელების გადმოცემისას¹.

წინამდებარე წერილში განხილულია ჟამთააღმწერლის თხზუ-

* პირველად დაიბეჭდა 1966 წელს (კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 257—264).

¹ რა თქმა უნდა, ბევრი შეცდომა თუ უზუსტობა შეიძლება თვითონ ჟამთააღმწერლის მიერაც იყოს დაშვებული უცხოურ წყაროებში უცნობი სახელების ამტკითხვის დროს. ორიოდ სამისო მაგალითი იხ. წერილში: რ. კ ი ვ ნ ა ძ ე, ჟამთააღმწერლის სპარსული წყაროები. — „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებულები“, II, თბ., 1962.

ლებს ერთი ადგილი და რამდენიმე აღმოსავლური სახელის განმარტება-გასწორებაა წარმოდგენილი.

ქართველი ავტორი მოგვითხრობს, რომ როდესაც ირანის ილხანთა დინასტიის წარმომადგენელი სულთანი ოლჯეთუ („ულჯათ სულტანი“) გარდაიცვალა, „იგი მიასუენეს და დაფლეს ქალაქსა, რომელსა ეწოდების ყორღოილანგი, რომელი მან აღაშენა და განავრცო უმეტეს თავრებისა და უწოდა სახელად სულ“².

როგორც ცნობილია, ქამთალმწერლის თხზულების ტექსტი სამჯერ არის გამოცემული³ და მისი ფრანგული და სომხური თარგმანებიც არსებობს⁴. გარდა ამისა, ამ საისტორიო ნაწარმოების ბოლო ნაკვეთი „ახალი ქართლის ცხოვრების“ დასაწყისად აქვთ დაბეჭდილი მ. ჯანაშვილს და ივ. ჯავახიშვილს⁵.

ამგვარად, ქამთალმწერლის თხზულების ზემოთ მოტანილი ნაწილები უმნიშვნელო კითხვასხვაობებით ხუთგზის არის გამო-

² ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 324—325.

³ ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან შეათცხრამეტე სუქუნემდის, I, გამოცემა მ. ბროსესი, სპბ., 1849, გვ. 339—447 (იგივე ტექსტი განმეორებით გამოცემა ზ. კოჭინაძემ 1897 წ.); ქართლის ცხოვრება, მარიაშ დედოფლის ვარიანტი, გამოც. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1906, გვ. 536—785; ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 151—325.

⁴ Histoire de la Géorgie, trad. du géorgien par M. Brosset, I, SPb., 1849, p. 481—644; *История Грузии* (1207—1218). *Сочинения* И. М. С. ყაუხჩიშვილის, სტამბუღი, 1971.

⁵ მ. ჯანაშვილი, დასახ. ნაშრომი, ტფ., 1907, გვ. 15 — 17; ბერძენი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 1 — 5. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა სავსებით სწორად განსაზღვრა ქამთალმწერლის თხზულების მოცულობა და მის დასასრულად მიიჩნია ცნობილი ფრაზა: „იწყობ მთიებთან აღმოქუთრებდალ...“ (ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ტფ., 1916, გვ. 193, 195; იხ. აგრეთვე მეორე-შესამე გამოც., თბ., 1945, გვ. 246—247). მაგრამ „ახალი ქართლის ცხოვრების“ გამოცემისას მან მაინც ანგარიში გაუწია ჯანაშვილისეული ნუსხის არშიაზე უცნობი პირის მიერ გაკეთებულ მინაწერს („სამას ქვემო ამ წიგნში ყველა სწორედ არ უწერათ. ღწ მიუტეოს ეგნატაშვილს ბერს იმდენი შურით და მტერობით სიცრუე...“) და დასაშვებად მიიჩნია ბერი ეგნატაშვილის ნაწარმოების დასაწყისად გამოქვეყნებინა ქამთალმწერლის თხზულების ბოლო ნაწილი, თუმცა კი, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა, რომ ამ ნაწილების არსებობა ვახტანგის წინაღობის დროს ნუსხაში გამორიცხავდა მისი სწავლულ კაცთა კომისიისათვის მიკუთვნების შესაძლებლობას (შდრ. კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 266—267, 268, შენ. 1).

ქვეყნებული ქართულად (მ. ბროსე, მ. ჯანაშვილი, ე. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი) და თითოჯერ ფრანგულ და სომხურ ენებზე⁶. მაგრამ არც ერთ გამოცემაში ზემოხსენებული გეოგრაფიული სახელწოდებანი („ყორლოილანგი“, „სულ“) სათანადოდ ახსნილი და განმარტებული არ არის. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, ამ სახელწოდების ქალაქი არ არსებობს ირანში, მაგრამ როგორც მონღოლთა ბატონობის პერიოდის, ისე მომდევნო ხანის აღმოსავლურ, უპირატესად სპარსულ, წყაროებში მდიდარი მასალა მოიპოვება ილხანთა სახელმწიფოს ქალაქების ისტორიისათვის. ამ წყაროების მონაცემების საფუძველზე ძნელი არ არის უამთააღწერლის თხზულების ნუსხებში დატული შერეული ფორმის გასწორება და ქართული ავტორის მიერ ნაგულისხმევი ქალაქის ზუსტად მინიშნება.

ჩვენ უკვე იგეჟონდა შემთხვევა აღგვენიშნა, რომ ირანის ილხანები გარკვეულ ინტერესს იჩენდნენ საქალაქო მშენებლობისადმი, მაგრამ ეს მშენებლობა თავისებური ხასიათისა იყო. უპირატესი ყურადღება ექცეოდა ილხანთა სატახტო ქალაქების, სასახლეთა თუ ტაძრების აგებას, მონღოლთა შემოსევების დროს აოხრებული ადგილების აღდგენაზე კი არავინ ფიქრობდა⁷. რაშიდ ად-დინის სიტყვით, სამფლობელოთა მხოლოდ ერთი მეათედი იყო კეთილმოწყობილი, დანარჩენი კი დანგრეული რჩებოდა. ისტორიკოსის ცნობებიდან ირკვევა, რომ პირველი ილხანები საერთოდ ნაკლებად ზრუნავდნენ დანგრეულის აღდგენაზე, ხოლო თუ ზოგჯერ იწყებდნენ ამა თუ იმ ადგილზე ქალაქის ან სასახლის აგებას, ამის გამო სხვა ოლქები კიდევ უფრო მეტად ოზრდებოდა. მშენებლობაზე უზარმაზარი თანხები იხარჯებოდა, გლეხები ძალით გაჰყავდათ ბეგარაზე, მაგრამ თითქმის არც ერთი მშენებლობა ბოლომდე არ მიუყვანიათ⁸, ხოლო რაც დაამთავრეს, იმდენად ცუდად იყო ნაგები, რომ მოკლე ხანში ინგრეოდა⁹.

ისტორია უამთააღწერლის მიერ მოხსენიებული ქალაქისა არ-ლუნ-ხანის (1284—1291) დროს იწყება. ყაზან-ხანისა და სულთან

⁶ «Pour lui, on déposa son corps dans la ville Qorgholngi, qu'il avait embellie et rendue plus grande que Tauriz et nommée Sough» (Histoire de la Géorgie, I, p. 643); *Արաց ժամօնակագրություն*, გვ. 188.

⁷ რ. კ. ოკნაძე, ქალაქები ილხანთა ირანში. — წიგნი: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 184.

⁸ Рашид-ад-Дин, Джами ат-таварих, III, Баку, 1957, სპარს. ტექსტი, გვ. 410, 558, რუს. თარგმ., გვ. 232, 320.

⁹ იქვე, სპარს. ტექსტი, გვ. 410, რუს. თარგმ., გვ. 232.

ოლჯეთითუს მამას არღუმს, რაშიდ ად-დინის თქმით, განსაკუთრებული მისწრაფება ჰქონია დიდი მშენებლობისადმი¹⁰. მან თავრიზის დასავლეთით საფუძველი ჩაუყარა დიდ ქალაქს, რომელსაც არღუნე უწოდა სახელად. მანვე გააგრძელა ჰულაგუ-ხანის მიერ დაწყებული მშენებლობა ქალაქ ხაბუშანისა, ალათალში ააგო საზაფხულო სასახლე და ა. შ.¹¹ გარდა ამისა, არღუნ-ხანმა გადაწყვიტა კიდევ ერთი დიდი ქალაქი აეგო და ადგილის შერჩევას შეუდგა მშენებლობისათვის. სახელმწიფოს დიდებულებმა და მახლობლებმა ბევრი ადგილი დაასახელეს და მათი ღირსება-ნაკლოვანებებიც თქვეს. ბოლოს არჩევანი შეაჩერეს შარვიაზია ანუ ყუნყურულანგის ველზე, რომელიც ძალიან კარგი საზაფხულო სადგომი იყო¹². ილხანის ბრძანებით, აბპარსა და ზენჯანს შორის, შარვიაზის ველზე ქალაქის მშენებლობას შეუდგნენ და სარწყავი არხები და წყაროები გაიყვანეს იქ¹³. ახალი ქალაქისთვის დაუწყიათ გალავნის შემოვლება, რომლის სიგრძე 12 ათას ნაბიჯს უდრიადა¹⁴.

შარვიაზის ანუ შარვიაზის მალღობი პლატო, რომელიც ზღვის დონიდან 1500—1700 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, განსაკუთრებით იზიდავდა მონღოლებს გრილი ჰავით, კარგი წყლით, ნოყიერი საძოვრებითა და ნადირის სიმრავლით. ამ ადგილს მონღოლებმა ყუნყურულანგი (قنقور اولانگ)¹⁵ ანუ „ზერდაგი ცხენების ველი“ დაარქვეს¹⁶ და ზოგჯერ ამავე სახელით იხსენიებდნენ იქ დაარსებულ ქალაქსაც¹⁷.

¹⁰ იქვე, სპარს. ტექსტი, გვ. 223, 229, რუს. თარგმ., გვ. 128, 353.

¹¹ იქვე, სპარს. ტექსტი, გვ. 223, 229, შენ. 1, რუს. თარგმ., გვ. 128, 353 შენ. 48.

¹² ქ ა ფ ე ზ - ე ა ბ რ უ, ზეილე ქაში ათ-თავარიზ-ე რაშიდი, თეირანი, 1938, გვ. 8.

¹³ Рашид-ад-Дин, Джамі ат-таварих, III, სპარს. ტექსტი, გვ. 228 29, შენ. 1, რუს. თარგმ., გვ. 128, 353, შენ. 48.

¹⁴ The Geographical Part of the Nuzhat-al-Qulub. composed by Hamd-Allah Mustawfi of Qazwin. Ed. by G. Le Strange, GMS, XXIII, 1, Leyden — London, 1915, p. 54.

¹⁵ წყაროებში ეს ტოპონიმი სხვა ფორმითაც გვხვდება: قنقور اولانگ, قنقر الانگ, قنقر الانگ, قنقران, قنقرام.

¹⁶ V. Minorsky, Sultaniya. — EI, IV, p. 548.

¹⁷ The Tarikh-i-Jahan-Gusha of Ala ud-din Ala Malik-i-Juwaini. Ed. by M. Qazwini, GMS, XVI, 1, Leyden — London, 1912. შ. ყაზვინის წინასიტყვაობა, სპარს. ტექსტი, გვ. 39, შენ. 1, ინგლ. თარგმ., გვ. XXXV, შენ. 1.

ამგვარად, უამთაღმწერლის მიერ მოხსენიებული ყო რ ლ ო -
ლ ა ნ გ ი ა რ ის არღუნ-ხანის მიერ ირანის ურავში, შარვაიზის ველ-
ზე დაარსებული ქალაქი ყ უ ნ ყ უ რ უ ლ ა ნ გ ი.

არღუნმა დიდძალი სახსრები მოახმარა მშენებლობას, მაგრამ
ვერ მოესწრო მის დამთავრებას¹⁸. მისი უფროსი ვაჟიშვილის ყაზან-
ხანის დროს (1295—1304), როგორც რაშიდ ად-დინი მოგვითხრობს,
განსაკუთრებული ზომები მიუღიათ დანგრეულ-აოხრებული ადგი-
ლების აღსადგენად. ილხანის ბრძანებით შეადგინეს ჩასატარებელ
სამუშაოთა ზუსტი ხარჯთაღრიცხვა, ხოლო ფული და, საერთოდ,
მშენებლობის საქმე, სანდო ნიხლეებს ჩააბარეს¹⁹. ყურადღება მია-
ქციეს აგრეთვე მონღოლთა შემოსევების დროიდან მოშლილი სარ-
წყავი სისტემის აღდგენას და ახალი არხების გაყვანას²⁰.

ყაზან-ხანის დროს არღუნის მიერ ყუნყურულანგში დაწყებუ-
ლი მშენებლობა კვლავ დაუმთავრებელი რჩებოდა. სამაგიეროდ
ყაზანმა საგანგებო ზომები მიიღო თავრიზის კეთილმოსაწყობად,
რომელიც მრავალი შესანიშნავი ნაგებობით დამშვენდა²¹. ქალაქის
მოსახლეობა იმდენად გაზრდილა, რომ ხალხი გალავანს გარეთაც
სახლდებოდა, რის გამოც, ჰამდალაჰ ყაზვინის სიტყვით, ქალაქის
თითოეულ კართან (ამავე ავტორის ცნობით, თავრიზს მაშინ ათი

¹⁸ Рашид-ад-Дин, Джами ат-таварих, III, სპარს. ტექსტი, გვ. 223, 229, შენ. 1, რუს. თარგმ., გვ. 128, 353, შენ. 48; ქ ა ფ ე ზ - ე ა ბ რ უ , გვ. 8; მ ი რ ხ ო ნ დ ი , როუზათ ას-საფა, ტ. V, თეირანი, 1960, გვ. 427.

¹⁹ Рашид-ад-Дин, Джами ат-таварих, III, სპარს. ტექსტი, გვ. 410—411, რუს. თარგმ., გვ. 232.

²⁰ Рашид-ад-Дин, Джами ат-таварих, III, სპარს. ტექსტი, გვ. 411—412, რუს. თარგმ., გვ. 232—233.

²¹ იქვე, სპარს. ტექსტი, გვ. 413 შმდ., რუს. თარგმ., გვ. 234 შმდ.; Letters of Rashid-ad-Din Fandl Allah. Persian text ed. by Khan Bahadur Mohammad Shafi', Lahore, 1947, p. 317—321; The Geographical Part of the Nuzhat-al-Qulub, p. 77; В. Бартольд, Историко-географический обзор Ирана, СПб., 1903, с. 146—147; V. Minorsky, Tabriz, — EI, IV, p. 586; И. П. Петрушевский, Городская знать в государстве Хулагуидов. — «Советское востоковедение», V, 1949; რ. კ ი კ ნ ა ძ ე , ქალაქები ილხანთა ირანში, გვ. 185—188; Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский, И. П. Петрушевский, Л. В. Строева, А. М. Белецкий, История Ирана с древнейших времен до конца XVIII в., Л., 1958, с. 204—205.

კარი ჰქონია) თვითონ ქალაქზე უფრო დიდი დასახლებები გაჩნდა²². ილხანის ბრძანებით თავრიზს ექვსკარიანი ახალი გალავანი შემოვლეს, რომლის სიგრძე 25 ათას ნაბიჯს უდრიდა²³. ქალაქის განაპირას გაშენებული ბაღ-ვენახები და ახალშენები გალავნის შიგნით მოქცა. ყაზან-ხანმა გააგრძელა აგრეთვე არლუნის მიერ თავრიზის მახლობლად, შამში დაწყებული მშენებლობა. ახალ ქალაქს ყაზანიე ან შამბე-ყაზანი ეწოდა საბუნლად. აქ აგებულ იქნა ილხანის აკლდამა, რომლის გარშემო განლაგდა სხვადასხვა საქველმოქმედო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი (საკრებულო მეჩეთი, ორი მედრესე, ობსერვატორია, საავადმყოფო, წიგნსაცავი, დერვიშთა და სეიდების თაღშესაფრები, დახურული წყალსაცავი და სხვ.)²⁴.

ყაზან-ხანის შემდეგ ილხანად დაჯდა მისი უმცროსი ძმა ოლჯეითუ, რომელსაც გამუსლიმანების შემდეგ სულთან მოჰამედ ხოდაბანდუ დაერქვა. მის სახელთანაც ასევე რამდენიმე ქალაქის მშენებლობა არის დაკავშირებული. კერძოდ, ოლჯეითუს დაუარსებია ქალაქი სულთანაბადი ბისუთუნის მთის ძირას და აგრეთვე სულთანაბადი მულანში, კასპიის ზღვის სანაპიროზე²⁵.

1305 წელს თავისი ვაჟის აბუ საიდის დაბადების აღსანიშნავად²⁶ ოლჯეითუმ გააგრძელა მამამისის მიერ ყუნყურულანგში დაწყებული მშენებლობა. მას ქალაქისთვის ახალი გალავნის შემოვლება დაუწყია, რომლის სიგრძე, ჰამდალას ყაზვინის ცნობით, 30 ათას ნაბიჯს უდრიდა²⁷. სახელმწიფოს დიდებულებსაც დიდი გულმო-

²² The Geographical Part of the Nuzhat-al-Qulub, p. 76. იხ. აგრეთვე, Рашид-ад-Дин, Джамии ат-таварих, III, სპარს. ტექსტი, გვ. 413, რუს. თარგმ., გვ. 234.

²³ The Geographical Part of the Nuzhat-al-Qulub, p. 76.

²⁴ Рашид-ад-Дин, Джамии ат-таварих, III, სპარს. ტექსტი, გვ. 416—420, რუს. თარგმ., გვ. 235—238. იხ. აგრეთვე, რ. კოენაძე, ქალაქები ილხანთა ირანში, გვ. 186.

²⁵ The Tarikh-i-Guzida of Hamdullah Mustawfi-i-Qazwini. Ed. by E. G. Browne, GMS, XIV, 1, London—Leyden, 1910, p. 596; მონი ალ-დინ ნათანზი, მონთახაბ ათ-თავარიხ-ე მონი, თეირანი, 1957, გვ. 141 (ნათანზი მულანში აგებულ ქალაქს ოლჯეითუბადს უწოდებს).

²⁶ J. Kramers, Olçaitu Khudabanda.—EI, III, p. 975; V. Minor-sky, Sultaniya, p. 548.

²⁷ The Geographical Part of the Nuzhat-al-Qulub, p. 55. ამავე ავტორის ცნობით, გალავნის მშენებლობა ვერ დაუმთავრებიათ ილხანის გარდაცვალების გამო (იქვე). კასტილიის მეფის ელჩი კლაიხო, რომელმაც XVს-ის დამდეგს ინახულა იქაურობა, აღნიშნავს, ქალაქს ზღუდე არა აქვსო (Рюи Гонзалес де

დგინება გამოუჩენიათ ამ საქმეში და მოკლე დროში ყუწყურულანგში დიდი ქალაქი აშენდა²⁸.

ოლჯეითუს ბრძანებით ქალაქში თლილი ქვისაგან ააგეს ციხე, რომელსაც ორი ათასი ნაბიჯის სიგრძე ზღუდე ჰქონდა შემოვლებული²⁹. ზღუდეს ერთი კარი და თექვსმეტი კოშკი ჰქონდა დატანებული³⁰. ეს კედელიც თლილი ქვით ყოფილა ნაგები და ისეთი სქელი იყო თურმე, რომ ზედ ოთხ მხედარს შეეძლო გვერდი-გვერდ ცხენის გაქენება³¹. ციხის ტერიტორიაზე აშენდა აგრეთვე დიდი სასახლე, დივანხანა, მეჩეთი, საავადმყოფო, მედრესე, სეიდთა თავშესაფარი და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებანი, რომლებსაც ილხანმა დიდი ქონება შესწირა³². მონღოლმა ამირებმა და სხვა დიდებულებმაც ააგეს შენობები ციხის ტერიტორიაზე³³. გარდა ამისა, მათ ქალაქის სხვა ნაწილების მშენებლობაშიც მიუღიათ მონაწილეობა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ცნობილმა ისტორიკოსმა და სახელმწიფო მოღვაწემ, ყაზანისა და ოლჯეითუს ვაზირმა რაშიდ ად-დინმა. მას მთელი უბანი აუშენებია ქალაქისა, სადაც ათასი სახლი იდგა. იქვე აგებულ იქნა მედრესე, საავადმყოფო და ხანაკა³⁴.

ქალაქის მშენებლობა 1313 წელს დამთავრდა³⁵ და დიდი ზეიმით აღინიშნა. სულთანმა ოლჯეითუმ მას სულთანიე (سلطانيه) უწოდა სახელად³⁶ და თავის საზაფხულო დედაქალაქად გამოაცხა-

К л а в и х о, Дневник путешествия ко двору Тимура в Самарканд в 1403—1406 гг. Подлинный текст с переводом и примечаниями под ред. И. И. Срезневского, СПб., 1881, с. 176).

²⁸ The Tarikh-i-Guzida, სპარს. ტექსტი, გვ. 596; ნათანზი, გვ. 141; ქაფეზ-ე აბრუ, გვ. 9.

²⁹ The Geographical Part of the Nuzhat-al-Qulub, გვ. 55. ქაფეზ-ე აბრუსა და მირხონდის ცნობით, ზღუდეს კვადრატის ფორმა ჰქონია, რომლის გვერდის სიგრძე 500 წერათს უდრიდა (ქაფეზ-ე აბრუ, გვ. 9; მირხონდი, V, გვ. 428).

³⁰ ქაფეზ-ე აბრუ, გვ. 9; მირხონდი, V, გვ. 428.

³¹ ქაფეზ-აბრუ, გვ. 9; მირხონდი, V, გვ. 427—428.

³² ნათანზი, გვ. 155; ქაფეზ-ე აბრუ, გვ. 9; მირხონდი, V, გვ. 428.

³³ ქაფეზ-ე აბრუ, გვ. 10; მირხონდი, V, გვ. 428.

³⁴ იქვე.

³⁵ H. Howarth, History of Mongols, pt. III. The Mongols of Persia, London, 1888, p. 582; V. Minorsky, Sultaniya, p. 548.

³⁶ მირხონდი, V, გვ. 428; Рашид-ад-Дин, Джамии ат-тава-рух, III, სპარს. ტექსტი, გვ. 229, შენ. 1, რუს. თარგმ., გვ. 353, შენ. 48 (რო-214

და. ირანის სხვადასხვა ვილაიეთებიდან ძალით აპყარეს ათასობით მცხოვრები, უპირატესად ვაჭარ-ხელოსნები, და სულთანეში და-
სახლეს. სულთანიე ირანის პოლიტიკური და შავაქრო ცენტრი
გახდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჰაზინაჰ ყაზვინი სწორედ
სულთანეში უყრის თავს ქვეყნის ექვს მთავარ მაგისტრალს, ე. წ.
შაჰრაჰებს, რომლებიც რადიკალურად კვეთდნენ ირანის ტერიტო-
რიას და უცხო ქვეყნებთან აკავშირებდნენ მას³⁷. საქარავნო გზებ-
ზე ასეთი მდებარეობის წყალობით სულთანიე მნიშვნელოვან როლს
ასრულებდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობაში. სულთა-
ნიეს, ისევე როგორც თავრიზსაც, საერთაშორისო ბაზრის წინშენე-
ლობა ჰქონდა³⁸. კლავიხოს სიტყვით, ქალაქი ფართო ვაჭრობას ეწე-
ოდა და დიდ მოგებას აძლევდა ხელმწიფეს: განსაკუთრებით ბევრი
ვაჭარი იყრიდა თავს სულთანეში ზაფხულის თვეებში. აღმოსავ-
ლეთის სხვადასხვა ქვეყნებიდან, ისევე როგორც ირანის ოლქები-
დან და ქალაქებიდან, აქ შემოჰქონდათ უცხო სანელებლები, აბრე-
შუმში, ძვირფასი ქსოვილები, ბამბეული, მარგალიტი, ლალი, ფი-
რუზი და სხვა საგნები³⁹.

ჰაზინაჰ ყაზვინის ცნობით, შავაქრო გადასახადის — თამლის
შემოსავალი სულთანეიდან, როცა ილხანის ურდო იქ იმყოფებო-
და, საკმაოდ დიდ თანხას, 30 თუმანს შეადგენდა, სხვა დროს კი 20
თუმანს⁴⁰.

გორც ცნობილია, რაშიდ აღ-დინის „ისტორიათა კრებული“ არ შეიცავს სულთან
ოლჯეთუს ილხანობის აღწერას, მაგრამ ამ თხზულების პარიზისა და ლენინგრადის
ნუსხებში მოიპოვება გვიანდელი ჩანართი, სადაც აღნიშნულია, რომ არღუნ-
ხანის მიერ ყუნყურულანგში დაარსებული ქალაქის შვენებლობა ოლჯეთუმ და-
ამთავრა და უწოდა სახელად სულთანიე).

³⁷ The Geographical Part of the Nuzhat-al-Qulub, p. 164—189. ე. მინორს-
კის აზრით, ჰაზინაჰ ყაზვინის გაზვიადებული აქვს სულთანიეს მნიშვნელობა რო-
გორც ირანის ცენტრისა. ის ფიქრობს, რომ სწორედ ქალაქის მოუხერხებელი მდებ-
არეობა გახდა მიზეზი მისი სწრაფი დაცემისა (V. Minor sky, Sultaniya,
p. 548).

³⁸ W. Heyd, Histoire du commerce du Levant, II, Leipzig, 1923,
p. 108.

³⁹ К л а в и х о, Дневник путешествия ко двору Тимура, с. 177—180;
W. Heyd, Histoire du commerce du Levant, II, p. 108. სულთანიეს სავა-
ქრო მნიშვნელობის შესახებ იხ. აგრეთვე, Я. А. М а н а н д я н, О торговле
и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, Ереван,
1954, с. 263, 287, 300.

⁴⁰ The Geographical Part of the Nuzhat-al-Qulub, p. 56.

ოლჯეითუს განზრახული ჰქონია ნეჯეფიდან და ქერბელადან სულთანიეში გადმოესვენებინა შიიტების სათაყვანო ხალიფა აღისა და იმამ ჰუსეინის ნეშტები⁴¹. ამით მას სურდა კიდევ უფრო მეტად გაეზარდა ახალი სატახტო ქალაქის მნიშვნელობა და რელიგიურ ცენტრად ექცია იგი⁴². ამ მიზნით ციხის ტერიტორიაზე აგებულ იქნა რვაკუთხედის ფორმის გრანდიოზული შენობა, რომელიც 120 წყრთის სიმაღლე გუმბათით იყო დამშვენებული⁴³. თანამედროვეთა ცნობით, დედამიწაზე არც ერთ ქვეყანაში არ არსებობდა ასეთი დიდებული ნაგებობა⁴⁴, რომელიც სპეციალისტთა მიერ მსოფლიო არქიტექტურის ერთ-ერთ შესანიშნავ ქმნილებად არის აღიარებული⁴⁵.

სანამ აკლდამის მშენებლობა დამთავრდებოდა, ოლჯეითუ კვლავ სუნიზმისკენ გადაიხარა და, ამდენად, შიიტი წმინდანების სულთანიეში გადმოსვენების გეგმაც განუხორციელებელი დარჩა. ამასობაში ილხანი გარდაიცვალა კიდევ (1316 წლის დეკემბერში) და აღისა და ჰუსეინისათვის მომზადებული დიდებული აკლდამა სათანადო რეკონსტრუქციის შემდეგ მისივე ნეშტის დასასვენებლად იქნა გამოყენებული⁴⁶.

ამგვარად, როგორც ვნახეთ, არლუნ-ხანის მიერ შარვიაზში აწუ ყუნყურულანგში დაწყებული მშენებლობა მისმა უმცროსმა ვაჟმა ოლჯეითუმ დაასრულა. მან ქალაქს სულთანიე უწოდა სახელად და თავის სატახტო ქალაქად გამოაცხადა. ოლჯეითუ ამავე ქალაქში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს⁴⁷.

⁴¹ V. Minorsky, Sultanija, p. 548, A Survey of Persian Art, II, London and New York, 1939, p. 1342.

⁴² ოლჯეითუ ბავშვობაში დედამისმა ქრისტიანული წესით მოანათვლინა. როდესაც წამოიზარდა, სუნიტი მუსლიმი გახდა, მერე კი შიიტობა მიიღო. მან სცადა შიიზმის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ირანში, მაგრამ ვერ შესძლო ეს ირანელი სასულიერო და სამოხელეო არისტოკრატიის მძაფრი წინააღმდეგობის გამო.

⁴³ ქ ა ფ ე ზ - ე ა ბ რ უ, გვ. 9.

⁴⁴ ნ ა თ ა ნ ზ ი, გვ. 141; ქ ა ფ ე ზ - ე ა ბ რ უ, გვ. 9. ჰამდალამ ყაზვინიც აღნიშნავს, ამდენი მაღალი შენობა თავრიზს გარდა არც ერთ სხვა ქალაქში არ არისო (The Geographical Part of the Nuzhat-al-Qulub, p. 55).

⁴⁵ A Survey of Persian Art, II, p. 1339.

⁴⁶ ი ქ ე ე, გვ. 1342.

⁴⁷ მ. ბროსეს „ქართლის ცხოვრების“ ფრანგული თარგმანის შენიშვნაში დ'ოსონის თხზულებაზე დაყრდნობით მითითებული აქვს; რომ ოლჯეითუ გარდაიცვალა და დაიკრძალა მის მიერვე „ყულურულანში“ დაარსებულ ქალაქ სულთანიეში, მაგრამ მას არ უცდია სულ — Souh ტომონიმის განმარტება (Histoire de la Géorgie, I, p. 643, n. 2. იხ. აგრეთვე, ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., ტფ., 1885, გვ. 272, შენ. 1).

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ შეიძლება მტკიცედ ითქვას, რომ ეპითაღმწერლის მიერ მოხსენიებული სულ არის ქალაქი სულთანიე. ახლა უკვე ძნელი არ არის იმის წარმოდგენაც, თუ როგორ გაჩნდა ქართულ ტექსტში „სულ“ ფორმა. როგორც ჩანს, ეპითაღმწერლის თხზულების ერთ-ერთ უძველეს ნუსხაში (ან, იქნებ დედანშიც, რაზდენადაც ამჟამად ცნობილი ყველა ნუსხა ამ ფორმას იმეორებს) ფურცლის დაზიანების შედეგად დაიკარგა სიტყვის უკანასკნელი სამი მარცვალი, ხოლო ლ-ს (ან ა-ს) ბოლო ნაწილი ჩამოსცილდა. შედეგად, სულთანიეს (ან სულთანიას, როგორც „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებებში გვხვდება⁴⁸) ნაცვლად დარჩა სულ.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ქართველი ისტორიკოსის თხზულებაში საყურადღებო ცნობები მოიპოვება სულთან ოლჯეითუს შესახებ. ეპითაღმწერელი საინტერესოდ აღწერს მის ილხანობაში მომხდარ ბევრ მნიშვნელოვან მოვლენას. ქართველმა ავტორმა იცის ოლჯეითუს მეტსახელი „ხარბანდა“⁴⁹, მოეპოვება ცნობა მისი გარეგნობის შესახებ⁵⁰, დაწერილებით, აღმოსავლური წყაროებისაგან რამდენადმე ივანსხევეებით გადმოსცემს გილანის დაპყრობის ამბავს⁵¹. აღწერილი აქვს სირიაში ლაშქრობა და რაჰბეს ციხის გა-

⁴⁸ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 371, 521.

⁴⁹ „ხოლო შემდგომად მისსა (ყაზან-ხანისა — რ. კ.) დასუეს ტახტსა ყაენთა-სა მჲა მისი, სახელით ხარბანდა“ (ქართლის ცხოვრება, II, 318. იხ. აგრეთვე იქვე, გვ. 320, 322). ოლჯეითუს ამ მეტსახელის შესახებ, რაც „სახედრის მონას“ ნიშნავს, წყაროებში სხვადასხვა შეხედულებებია გამოთქმული. მათ შესახებ იხ. E. G. Browne, A Literary History of Persia, III, Cambridge, 1928, p. 46—47; ჰაფეზ-ე აბრუ, გვ. 3—5 (გამომცემლის შენიშვნა).

⁵⁰ „რომელ ერთითა თუალითა არა მხედველ იყო“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 318).

⁵¹ იქვე, გვ. 318—320. საინტერესოა აღინიშნოს, რომ აღმოსავლური წყაროების მიხედვით, ილხანთაგან ოლჯეითომ პირველმა სცადა გილანის დაპყრობა. მირხონდი იმსაც კი აღნიშნავს, ჩინგიზ-ხანის შთამომავალთაგან, ვისაც კი ირანში უბატონია, თლჯეითუ სულთანამდე არაეის უდღაო გილანის დაპყრობა ძნელად სავალი გზებითა და ხშირი ტყეების გამოო (მირხონდი, V, გვ. 440). ამავე დროს ეპითაღმწერელს მოეპოვება საკმაოდ ვრცელი თხრობა აბალა-ხანის დროს გილანის დასაპყრობად მოწყობილი ლაშქრობის შესახებ, რომელიც მარცხით დამთავრებულია (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 276). ჩვენს ავტორს აქ იმდენად საყურადღებო ცნობები და ისეთი დამახასიათებელი დეტალები აქვს მოტანილი, რომ მისი თხრობა უთუოდ რომელიღაც თანადროულ წყაროზე უნდა იყოს დამყარებული.

რეპოცვა⁵² და ა. შ.⁵³ ქართველი ისტორიკოსის ამ ცნობებს, როგორც უკვე ითქვა, გარკვეული მნიშვნელობა აქვს ილხანთა სახელმწიფოს ისტორიის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის შესასწავლად.

⁵² ემთაღმწერლის თხზულების პუბლიკაციებში შეტანილია „რაბაშანი“, „ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქციის ნუსხებში კი გვხვდება „რაბაშამა“ და „რაბაშამა“. როგორც ჩანს, ჩვენი ავტორის მიერ გამოყენებულ აღმოსავლურ ტექსტში ეწერა **محب شاه** — რაბე-ე შამ, ე. ი. შამის (სირიის) რაბე, რაც მან რაბაშამად წაიკითხა (რაბე მდ. ეფფრატის ნაპირზე მდებარე ქალაქია. წყაროებში ხშირად იხსენიება როგორც შამის რაბე).

⁵³ აქვე შევნიშნავთ, რომ ემთაღმწერლის თხზულების უკანასკნელ გამოცემაში ნუსხების ვარიანტები ყოველთვის მართებულად ვერ არის შერჩეული ტექსტოსათვის. მაგალითად, ემთაღმწერელი ხშირად ახსენებს მონღოლ მხედართმთავარ ხუტლუ-ბულას (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 299, 301—309, 316—320, 322). ეს მონღოლი სარდალი იხსენიება აგრეთვე ფარსადან გორგჯანიძესთან (ხუტულ ბულა) და ვახუშტი ბაგრატიონთან (ხუტლუ ბულა). ამავე დროს, სპარსული წყაროებით ცნობილია, რომ ნოვრუზ ამირის სიყვდილით დასჯის შემდეგ ილხანთა სახელმწიფოს ულუსის ამირად და მთავარსარდალად დაინიშნა ყულულუშაპ ნოინი და სწორედ მის შესახებ არის საუბარი დასახელებულ ქართულ წყაროებში. ამ სახელის გაქართულებული ფორმა „ხუტლუშა“ (ან შ-სა და ბ-ს აღრევის შედეგად მიღებული „ხუტლუბა“, „ხუტლუბა“) გვხვდება ნუსხების დიდ ნაწილში (აგრეთვე „ქართლის ცხოვრების“ ბროსესეულ და თაყაიშვილისეულ გამოცემებში) და სწორედ მას უნდა მისცემოდა უპირატესობა.

იგივე შეიძლება ითქვას ოლჯეთუს ერთ-ერთი ვაჟის სახელის შესახებაც, „ბარტამად“ რომ იხსენიება ემთაღმწერლის თხზულების ვახტანგისეულ რედაქციაში (ძველი რედაქციის ნუსხებში ეს ადგილი გამოტოვებულია). სპარსული წყაროებით მას ერქვა „ბასტამ“ (**بستان**). ასეთივე სწორი ფორმა სახელისა დაცულია „ქართლის ცხოვრების“ ბარათაშვილისეულ, სხვიტორულ და დადიანისეულ ნუსხებში.

КОРГОИЛАНГ — СУГ — СУЛТАНИИЕ

Р е з ю м е

Сочинение пружинского анонимного историка XIV века является важным источником не только по истории Грузии, XIII — начала XIV вв., но и соседних с ней стран, в частности, Азербайджана и Армении. Кроме того, сочинение

содержит материал как по истории монголов, так и по истории созданного ими в Иране государства Ильханов. Особо следует отметить, что грузинский автор сохранил ряд таких сведений о монголах, какие не встречаются в других исторических источниках. По-видимому, наш автор располагал такими источниками, которые до нас не дошли или пока не выявлены.

Текст сочинения анонимного историка XIV века довольно сильно искажен в списках «Картлис цховреба». Сравнительно чаще встречаются ошибки в повествовании о незнакомых для переписчиков странах, особенно, в передаче восточных собственных имен и географических названий.

Анонимный историк передает, что когда ильхан Улджайту умер, «его тело отвезли и похоронили в городе, именуемом Коргоиланг, который он сам построил и расширил больше Тебриза и стал называть Суг». Хотя город под вышеуказанными названиями не существует в Иране, все же данные источников позволяют точно локализовать его и исправить искаженный в грузинском тексте топоним. В частности, в работе выяснено, что упомянутый грузинским историком «Коргоиланг» это основанный Аргун-ханом в Иранском Ираке, на Шервнязской равнине город Кункуруланг. Начатое Аргуном строительство завершил его младший сын Улджайту, который назвал новый город Султанийе и сделал его своей летней резиденцией. Некоторое время город играл большую роль во внутренней и внешней торговле. Улджайту умер в Султанийе и был похоронен там же.

В работе утверждается, что упомянутый в сочинении анонимного историка «Суг» соответствует городу Султанийе. Это дает полное право восстановить в грузинском тексте правильное написание топонима.

ზ ვ მ კ ლ ე ბ ა ნ ი

- ГрузФАН — Грузинский филиал Академии наук СССР.
ДАН — «Доклады Академии наук».
ЖМНП — «Журнал Министерства народного просвещения»,
СПб.
ИРАН — «Известия Российской Академии наук», Пг.
МАК — «Материалы по археологии Кавказа», М.
СИЭ — «Советская историческая энциклопедия», М.
СМОМПК — «Сборник материалов для описания местностей
и племен Кавказа», Тифлис.
ССИА — «Сборник статей по истории Азербайджана», Баку.
ТВОРАО (ТВО) — «Труды Восточного отделения имп. Рус-
ского археологического общества», СПб.
УЗ ИВАН — «Ученые записки Института востоковедения
АН СССР», М.—Л.
EI— „The Encyclopaedia of Islam“, Leyden—London.
GMS— „E. J. W. Cibb Memorial“ series.
HJAS— „Harvard Journal of Asiatic, Studies“, Cambridge, Mass.

ს ა კ ი ე ბ ლ ე ბ ი

პირთა სახელები

- აბალა-ხანი (აბალა ყაენი)** 65, 66, 80, 134, 136, 141, 142, 145, 146, 149, 150, 161, 169, 171, 172, 176, 177, 188, 192, 197, 217
აბგაეარ (აფქარ) 36
აბუ ბაქრი 46, 48
აბულაძე ი. 25
აბულეთის ძე 195
აბუ საიდი 213
აბუსერიძე 53
ადარნასე ბაკურის ძე 40
აევა მხარგრძელი — იხ. მხარგრძელი აევა
ალათემური (არაღამური) 148
ალექსანდრე მაკედონელი 64
ალექსიძე ზ. 40, 117
ალი 216
ალინაყი 141, 196
ამირ-მირანი 46, 48
არიყ-ბუქა (არუხა) 157, 177
არსენ ივალთოელი 20
არლუნ ამირი 66, 67, 86, 170, 174—176
არლუნ-ხანი 66, 161, 170, 176, 180, 184—187, 189, 190, 192, 193, 199, 210—213, 215, 216
არჩილი (VIII ს.) 14
არჩილი, მეფე-პოეტი 112
ასამ (უსამ) 36, 37, 39
აღბულა ნოინი 194—197
აღბულა, ელვა ნოინის შვილი 190
ახრუნჩი 203, 205
აჰმედ-თეგუდარი 66, 184

ბაან 185
ბაბაიანი ლ. 196
ბაგრატ (შამა ბაგრატიონინთა) 36
ბაგრატ V 56
ბაგრატიონი ეახუმტი 43, 47, 91, 92, 135, 150, 151, 168, 173—176, 193, 194, 204, 205, 218
ბაგრატიონი თეიმურაზ 107, 137, 145
ბაგრატიონი იოანე 43, 47, 92, 101, 115, 136, 137, 150, 151, 168, 172, 174—177, 193, 194, 204, 205
ბადი (ბადე, ბად) 72, 74—76, 84
ბათო (ბათო-ხანი) 44, 148, 152
ბაიღუ 138, 193, 194, 196, 197
ბაიჩურ (ბიჩო) 125, 158
ბაქურ 37, 39, 40
ბარამიძე ალ. 33
ბარაყ-ხანი 191
ბარტოლდი ვ. 68, 80, 81, 161
ბარჩუე (სარჩუე) 77, 84
ბასილი ეზოსმოდლეარი 26
ბასტამ 218
ბაქრაძე დ. 5, 9—11
ბალათარ (ბაყათარ) 147, 150
ბაქრამ (ბაქარ) ჩუბინი 37, 39
ბეგა სურამელი — იხ. სურამელი ბეგა
ბერეზინი ი. 157
ბერი მღვიმელი 63
ბერიტაშვილი ი. 20
ბერიძე ვ. 172
ბერქა ყაენი 135, 150, 151, 172
ბერძენიშვილი ნ. 9, 13, 15, 54
ბერძნიშვილი მ. 44
ბექა ჭაყელი — იხ. ჭაყელი ბექა
ბექა აღ-დინი 67
ბოგვერაძე ა. 13, 25
ბოილი ჟ. 72, 74, 76, 80, 85

ბოლლა (ბალაღა) 147, 148
ბროსე მ. 5, 9, 10, 43, 45, 72, 107, 130,
134, 155—159, 162, 164, 168, 173,
174, 178, 182, 190, 192, 205, 210,
216
ბროუნი ედ. 69
ბურთე ფუჯინი 80
ბურსელი ხუტლუ 194
ბულა, ალინაყის ძე 197
ბულა ჩინგსანგი 162—164, 177, 179,
185—187, 199
ბუყუ-ხანი 78
ბუხარი, აჰმედ 87
ბაბაშვილი ე. 33, 54, 58
გაგელი ვარამ 115, 116
ვალსტიანი ა. 156
გამრეკელ თორელი—იხ. თორელი გამ-
რეკელი
გერიტიშვილი დ. 33, 54
გიბი ჰ. 69
გიორგი III 26, 27, 46
გიორგი IV (ლაშა გიორგი) 26, 27, 42, 47
52, 90—101, 115, 146
გიორგი V ბრწყინვალე 27, 54—56, 62,
204—206
გიორგი VI შირე 203, 205, 206
გიორგი, დავით VII-ის ძე 111
გიორგი, ტრაპიზონის მეფე 173
გორდლევსკი ვ. 169
გორგიჯანიძე ფარსადან 8, 22, 24, 34—
40, 93—96, 98—101, 108—111, 113,
114, 125—127, 130, 134, 135, 137,
138, 144, 145, 147—152, 160, 163,
164, 171—173, 176, 182—191, 194,
195, 197—200, 218
გორ ხანი (გურ-ხანი) 77
გრიგოლ აკნეცი 126, 148, 161
გრიგოლ სურამელი — იხ. სურამელი
გრიგოლ
გრიგოლია კ. 14, 54, 55
გუარამ (გურამ) 36, 38, 39
გუიუქ ყაენი 67, 85, 86, 88, 129, 130
გურგუზი 67

ღადიანი ცოტნე 116
დავით IV აღმაშენებელი 17—21, 24,
25, 91
დავით VI, რუსუდანის ძე (დავით ნა-
რინი) 85, 86, 88, 105, 107—109,
128, 129, 141, 142, 145, 146, 149,
150, 188
დავით VII, ლაშას ძე (დავით ულუ) 85,
86, 88, 100, 111, 115, 128—130,
135, 137, 143, 146, 149—152, 155,
156, 171, 180, 183
დავით VIII, დემეტრეს ძე 55, 138, 175,
179, 189—193, 195—199
დავით IX 56
დავითი (ბიბლ.) 36, 38
დავითის ისტორიკოსი 23, 49
დემეტრე (დიმიტრი) I 12, 25, 26
დემეტრე (დიმიტრი) II თავდადებული
55, 149, 162, 168—175, 177—180,
183—191, 194, 195, 198
დონდუა ვ. 104
დორნი ბ. 182
დ'ოსონი კ. 216
მგარსლან (ეგასლან) ბაქურციხელი 108—
117
ენატაშვილი ბერი 209
ელგა (ელგონ) 190, 191
ერქე-ყარა (ერქე-ხარა) 75
ესუგაი ბაჰადური 159
ეჟანი — იხ. ჰულაგუ-ხანი
მარაზვარდ 36, 39
ვარამ გაგელი — იხ. გაგელი ვარამ
ვარდანი, სომეხი ისტორიკოსი 87
ვასალი 67, 81
ვახტანგ გორგასალი 13, 14, 34, 35
ვახტანგ II, დავით ნარინის ძე 188—
190, 192
ვახტანგ III, დემეტრე II-ის ძე 175
ვახტანგ VI 10
ვახუშტი ბაგრატიონი — იხ. ბაგრატიო-
ნი ვახუშტი
ვეზან 37—39
ვლადიმირცოვი ბ. 62, 85, 158, 159, 164

წალ მელიქი 203, 205, 206
წაქარია მხარგრძელი — იხ. მხარგრძე-
ლი წაქარია
წაქარია, ხვაშაქის ძე 203—206
წია აღ-მელქი 45

წამა თოლთა მურთადი 184
წამარ მეფე 17, 26, 27, 31, 33, 46, 47,
90, 93, 95, 96, 100, 101, 117
წამარ, დემეტრე 11-ის და 175—178
წამარის გორე ისტორიკოსი 12, 26, 43,
47, 49
წამარის პირველი ისტორიკოსი 12, 21—
24, 26, 27, 37, 42, 43, 47, 49, 197
წარალაი 197
წაყა ფანასკერტელი — იხ. ფანასკერ-
ტელი წაყა
წაყაიშვილი ე. 5, 40, 134, 204, 210
წებ-თენჯარი — იხ. ქოქეჩუ
წეგულარი (ნეგულარი) 142, 145, 148,
149
წემურაზ ბაგრატიონი — იხ. ბაგრა-
ტიონი თემურაზ
წემური (თემურ ლენგი) 45, 56
წემუჩინი (თემურჩი, თემუჩინი) 71—
75, 78 — იხ. აგრეთვე ჩინგიზ-ხანი
წექშინ (თანქუშ) 135
წეპრანი. სეიდ ქალა აღ-დინი 69
წეგველი სარგის 115
წეგოშვილი გ. 151
წორელი გამრეკელი 116, 117
წოლაჩარი 70, 189
წუთარ 147, 148
წული 64, 69, 70, 79, 82, 83, 130, 148,
157
წუმანოვი კ. 54, 58
წუქალი 135, 192, 193, 196—200
წუში — იხ. ჭუჩი

წაყუბოვსკი ა. 61
წაკუთი 44
წამა — იხ. ჭებე
წინ აღ-ასირი 44, 68
წიდი-ყუთ 84
წიელ-ხუტლუ 188
წესო ქრისტე 38

წესუნჯინ (სევენჯი) 79, 80, 84
წიყუე 75
წივანე მხარგრძელი -- იხ. მხარგრძელი
წივანე
წიზ აღ-დინ ქეიქაუს I 86
წიღიგთაი 65, 86
წინგორუყა პ. 13, 54, 55, 57, 105—
107, 199
წიონანე ბაგრატიონი — იხ. ბაგრატიონი
წიონანე
წიონანე დეკანოზი 13
წიონანე პეტრიწი 20
წიორდანიშვილი ს. 106, 107
წიქანდერ მუნში 93
წიულა (ბიბლ.) 38
წიუსურ (იოსურ) 125, 158

წაკაბაძე სარგის 5, 11, 22, 25, 33—35,
94, 107
წაკაბაძე საურმაგ 12, 25, 52, 117, 203
წაკაპინი პლანო 129
წაკახბერი 141, 142, 149
წაკახიანი ც. 173
წაკეელიძე კ. 12, 23, 25, 43, 47, 48, 54,
91, 92
წაკინაძე ე. 55
წაკირაკოს განძაკეცი 44, 109, 148
წაკლავისო 213, 215
წაკლიშიაშვილი ა. 204
წაკონსტანტინე, ტრაპიზონის მეფე 173

წალა გიორგი — იხ. გიორგი IV
წალა გიორგის დროინდელი მემატიანე
12, 25, 26, 49, 91, 95
წალენტი გროველი 11, 13, 14, 21, 23,
24, 49
წალესტრენჯი გ. 45
წალმეაჩ (ლიმეაჩე) 147, 150
წალხაჩოვი დ. 57, 123
წალლაშვილი ი. 106
წალორთქიფანიძე მ. 15, 54, 58

წალიქშაპი 45
წანვასარ 178, 193, 197—199
წანგუ ყაენი 67, 82, 129—131, 155, 157
წანგუ-დემური 177, 178

მანკაბერდელი საღუნ 138, 169—173,
176—180, 183, 184, 188, 195, 196,
198

მანველ — იხ. სამოელ I

მანოელ, დემეტრე II-ის ძე 179

მარიამ დედოფალი 24, 37

მასულ-ბეგი 86

მაჰმუდ იალაყაჩი 86

მელიქიშვილი გ. 14

მინორსკი ვ. 45, 215

მირიან მეფე 34

მირხონდი 70, 71, 217

მოსე, მღვდელ-მონაზონი 55

მოჰამედ ხორეზშაჰი 67

მურადიანი პ. 117, 159, 164

მესხელიშვილი ლ. 173

მუშელ (მუშიელ) 36

მკედლიძე გ. 168

მხარგრძელი ავაგ 105—109, 115—117,
179, 180, 186, 203

მხარგრძელი ზაქარია 143

მხარგრძელი ივანე 96—98

მხარგრძელი შანშე (შანშა), ზაქარიას ძე
105, 107—109, 115—117

მხარგრძელი შანშე, ივანეს ძე 203—
206

ნასირ ად-დინ ტუსი 69

ნეგუდარი — იხ. თეგუდარი

ნერსეს 37, 39

ნესაევი 44, 68, 83

ნიზამ ალ-მულქი 45

ნოვრუზ ამირი 218

ოთარი 195, 196

ოლჯათ (ოლჯათი), აბალა-ხანის ასუ-
ლი 188, 192

ოლჯათი-თემური, არღუნ-ხანის ასული
193

ოლჯათი (ეღჯათ სულტანი, სულთან-
მოჰამედ ხოდაბანდა) 203, 210,
211—218

ონხანი (ონ-ხანი) 72—76, 82

ორბელი ი. 44

ორბელი ტარსაიკი 178—180, 188

ორბელიანი სტეფანოს 179, 180

ოქროფა (ოქოთა) — იხ. უგედვი ყაენი
ოჩიგინი, ჩინგიზ-ხანის უმცროსი ძმა 75

პატკანოვი ქ. 9, 161

პახომოვი ე. 48

პეტრუშევსკი ი. 68

პრონოშტინი ა. 203

შამთაღმწერელი 4, 12, 21—24, 26, 27,
31—34, 37, 48, 49, 52—59, 61—65,
70—81, 83—86, 88, 91, 92, 94—
100, 104—106, 108—118, 122—126,
128—131, 133—139, 141, 143—145,
147, 148, 150—152, 155—159, 162—
164, 167—170, 172—173, 175,
177—179, 183, 185, 187—191, 193,
194, 197—204, 206, 208—210, 212,
217, 218

უორდანია თ. 5, 11, 25, 52, 53, 58,
59, 167, 168, 178

რამაზანი მოჰამედ 69

რატი სურამელი — იხ. სურამელი
რატი

რაქაელ 36

რაშიდ ად-დინი 65, 67, 68, 73, 78, 80,
83, 86—88, 124, 135, 136, 139,
148, 157, 161, 163, 172, 174, 177,
179, 184—188, 197, 199, 210—
212, 214, 215

რეზი 128

რიზო (რომული) 126—129

როსტომ მეფე 24, 32, 37

როჰან ად-დინ ხორეზაჰი 67

როჰან ად-დინ ყილიჩ არსლან IV 86

რუსთაველი შოთა 100, 101, 107

რუსუდან მეფე 27, 100, 105, 108,
110, 116

რუსუდან, დემეტრე II-ის ასული 175,
199

სადუნ მანკაბერდელი — იხ. მანკაბერ-
დელი სადუნ

სათხის 128

სამადავლა 111

სამოელ I 35, 36

სამოელ 111 36, 37
 სამოელ IV 38
 სანგუნი (სანგუმო) 75
 სანპიანა (სალპიანი) — იხ. სუბუდაი
 სამუელ ანეცი 155
 სარგის თმოგველი — იხ. თმოგველი
 სარგის
 სარგის ჭაყელი — იხ. ჭაყელი სარგის
 საპაკ 37, 39, 40
 სეინჭი — იხ. იესუნჭინ
 სემიონოვი ა. 161
 სენკოვსკი ო. 9
 სენ-მარტენი 164
 სიქანდურ — იხ. შიქთურ
 სიხარულიძე ი. 55, 142, 143, 167, 173
 სორაყუყთან-ბიჭი 157
 სტეფანოზ I 40
 სტეფანოს ეპისკოპოსი 174, 178, 188, 197
 სუბუდაი (სუბუდაი, სანპიანა) 83, 99,
 143, 144
 სუმბატ დავითის ძე 12, 21, 23, 24, 26,
 27, 36—40
 სუნბატ-ბულა — იხ. ხეტლე-ბულა
 სუნჯაყ-ალა 66
 სურამელი ბეგა 146, 147, 151, 152
 სურამელი გრიგოლ 115, 116, 146, 151
 სურამელი რატი 138, 193
 ტაბიძე ს. 137, 145
 ტარსაიჭ ორბელი — იხ. ორბელი ტარ-
 საიჭ
 ტარქვინიუს ამაყი 128
 ტაჩარ — იხ. თოლაჩარ
 ტერ-გრიგორიანი ტ. 44
 ტონლუზ-ხათუნი 152
 შგედეი ყაენი (ოქროფა, ოქოთა) 79, 81,
 82, 124, 158, 160, 161, 164
 უზურაბეგ 138
 უთქინ, ონხანის ძმა 72, 75
 ულო — იხ. ჰულაგუ-ხანი
 ურდუყა 163
 ურია (ბიბლ.) 38
 შანასკერტელი თაყა 199
 ფარეჯან 147, 150, 189, 190—192
 15. რევაზ კიქნაძე

ფარეჯანე, შონ ად-დინ 169—171
 ფარსადან გორგიჯანიძე — იხ. გორგი-
 ჯანიძე ფარსადან
 ფუთურიძე ვ. 94
 ფულად ჩინსანგი 87
 ფუნდუყდარი 169, 170, 177
 ჭათიბ ჩელები 45
 ქაიხოსროე ქელშიფე 138, 195
 ქაწანი, აბდალაჰ 87
 ქეილათუ (ქელათო) 138, 190—193,
 195—197, 199
 ქოლაქ, ონხანის ძე 72, 73, 75
 ქოლაქ — იხ. ყიშლიყ
 ქოქეჩუ (თებ-თენგრი) 78, 79
 ლალღურ (ალღურ, იალღურ) 141—
 144, 146—152
 შაზან-ხანი 87, 193, 210, 212—214, 217
 ყაზვინი, შირზა შოჰამედ 65, 69, 72,
 74, 76, 80, 83
 ყაზვინი, შამდალაჰ 17, 18, 44, 68, 212,
 213, 215
 ყაუხჩიშვილი ს. 5, 12, 20, 43, 47, 48,
 54, 57, 64, 107, 109, 110, 111, 113,
 125, 127—130, 151, 155, 156, 158—
 160, 162, 204, 210
 ყვარყვარე ჭაყელი — იხ. ჭაყელი ყვარ-
 ყვარე
 ყიშლიყ (ქიშლიხ, ქოლაქ) 72, 75, 76, 84
 ყუბილაი ყაენი (ყუბილ, ყუბლიყან) 129,
 130, 131, 155, 157, 163, 164
 ყუთლულშაჰი (ყუთლული, ხეტლუშა)
 192, 218
 ყული 147, 148
 ყუნჩეყბალი (ყონჩიბალი) 196, 197, 200
 ყურუშმი 195
 ყურუშჩი, ალინაყის ძე 197
 შანიძე ა. 42, 122
 შანშე შხარგრძელი — იხ. შხარგრძელი.
 შანშე
 შარაფ ად-დინ ალი იეზდი 45, 93
 შებანგარაი, შოჰამედ 81—83
 შირინი 34

შიქოტურ (სიქანდურ) ნოინი 191
შიქოტურ (სიქანდურ), ელგა ნოინის ძე
190, 191
შმიდტი ს. 124
შოთა კუპარი (კუპარი, კაპარი) 105—108
შოთა რუსთაველი — იხ. რუსთაველი
შოთა
შოშიაშვილი ნ. 26

ჩალათა (ჩალტა) ნოინი 63, 64, 125, 158
ჩალათაი, ჩინგიზ-ხანის ძე 79—82, 125,
126, 148
ჩიმაქარ 185
ჩინგიზ-ხანი (ჩინგიზ ყანი) 64, 67—72,
74—84, 98, 123, 125, 126, 130, 147,
157, 158, 160, 164, 217 — იხ. აგ-
რეთვე თემუჩინი
ჩინ-თემური 67
ჩორმადანი 124, 125, 158, 160, 161
ჩოფან ამირი 203—206
ჩუბინაშვილი დ. 5, 32, 94

ცაგარელი ა. 5
ცინცაძე ი. 63, 85, 159
ცოტნე დადიანი — იხ. დადიანი ცოტნე

წულაია გ. 54, 58

ჰალაშვილი ერაჭ 25
ჰიკინაძე ზ. 209

ზახანაშვილი ა. 5
ზემაქ (ზეუშაქ) 179, 203, 205
ზონდემირი 70, 71
ზოსროვი 34
ზოჯა-აზიზი 155, 173, 188
ზუტლუ-ბულა 138, 177—179, 183—199

ზუაიხიშვილი იე. 11, 14, 16, 21—23, 25,
26, 31—35, 43, 47, 48, 53, 54, 56—
58, 61—63
ჭალალ ად-დინი 44, 67, 71, 125
ჭანაშვილი მ. 5, 11, 53, 209, 210
ჭასან (ჭანას) 146, 152
ჭაქამბუ (ჭახაქამბუ) 75
ჭაყელი ბექა 53, 175, 177, 186, 194, 199

ჭაყელი სარგის (სარგის I) 53, 175, 177
ჭაყელი სარგის (სარგის II) 194
ჭაყელი ყვარყვარე 115, 116
ჭებე (იაშა) 83, 99, 143, 144
ჭიგდა, დემეტრე II-ის ასული 199
ჭიგდა-ხათუნი 137
ჭუნშერი 11, 13, 14, 21, 23, 40
ჭუეეინი, ალა ად-დინ ათა მალიქი 61,
65—74, 77—79, 81, 83—86, 129
ჭუეეინი, შამს ად-დინ მოჰამედი 64—66,
179
ჭუზჯანი 68, 70, 83
ჭუშქაბი 187
ჭური (თუში) 79—82, 84, 147

ჰამდალაკ ყაზვინი — იხ. ყაზვინი, ჰამ-
დალაკ
ჰასან საბაჰი 67
ჰასან ჭალალი 44
ჰულაგუ-ხანი (პალაქუ, ულო) 65—67,
80, 82, 83, 115, 125, 129, 130, 131,
134—139, 147—149, 151, 152,
155 — 159, 169, 191, 194, 197, 211
ჰუსეინი 216

გეოგრაფიული სახელები

აბპარი 211
აგდამი 46
აზადვარი 66
აზერბაიჯანი (აიდარბაგანი) 46, 61, 82,
83, 86, 115, 133, 134, 136, 137,
158, 208
აკანა 44
ალამუთის ციხე 82, 113
ალანთა ქუეყანა 82
ალათალი (ალატალი) 134, 136, 137, 158,
172, 211
ალმალიყი 81, 84
ამასია (ქემსი) 177
ამიდი 44
ამიერკავკასია 45, 133, 158, 159, 161
ამუ-ღარი 69, 82
ანისი 179

არაბეთის ერაყი 65, 66
არანი 43—45, 47—50, 97, 136, 137
არარატის შთა 193
არაქსი — იხ. არეზი
არგვეთი 146
არეზი(არაზი, არაქსი) 44, 45, 48, 49, 96
არზრუმი (აზრუმი) 96
ართაჰნის შთა 197
არშენია, მცირე 85
არლუნე 211
ასკერანის ხეობა 44
ატენი 145, 146, 149, 150
აფხაზეთი 36, 85, 196
აღსუ 135
აწყური (აწყურე) 56, 175

ბაილყანი (ბალუყანი, ბელაყონი, ბი-
ლაღანი) 44, 46—50, 194, 196
ბალიყი 78, 79
ბალჭუნე (ბლაჭუნე) 73, 75, 76, 84
ბარდაეი (ბარდა) 45—47, 49, 97
ბასიანი 26
ბაღდადი 66, 69, 136, 156
ბელაქანი 169, 171
ბიზანტია 19, 20, 58
ბილასუეარი 184
ბილაღანი — იხ. ბაილყანი
ბისუთუნის შთა 213
ბოლღარი (ბულღარი) 81, 82
ბულგარეთი 58
ბუხარა 80—82

ბანჯა (განძა) 47, 49, 96—99
გელათი 19, 20
გელაქუნი 42, 135
გესამანია 196
გიღანი 217
გიღანის ზღვა 36
გიშის წყალი 147
გორი 146, 151, 152
გრემი 20
გურჯისტანი 110

ღარღუზის ხევი 45
ღარიღალი (ღარღალმი) 146, 150, 152
ღარღუზანდი 98, 150, 184, 185

ღენიზლი 190
ღვალეთი 147, 152
ღიარბექერი 85
ღმანისი 151, 170, 172, 186, 193, 196,
198, 199
ღური 99

ეგვიპტე (მისრი, მისრეთი) 82, 134, 137,
169, 177
ეეროპა 82, 142
ეფრათი მდ. 218
ეკლეცი 36
ემელი 82
ერაყი 96

ზარინერელი მდ. 139
ზენჯანი 211
ზიადის ციხე 44

შაერიზი (თაერეზი) 136, 138, 194, 209,
211—213, 215
თბილისი (ტღილისი) 38, 71, 82, 97—99,
125, 151, 152, 176, 179, 206
თეირანი 69
თელავი 19, 169, 171, 186, 199
თრიალეთი 196
თურქესტანი 70, 86

იშერეთი 142, 153, 146, 150, 196
ინღოეთი 86
ირანი (ერანი) 45, 61, 62, 65, 66, 68, 82,
83, 96, 97, 100, 101, 115, 124, 126,
133, 144, 147, 157—159, 161, 186,
192, 208, 209, 210, 215, 216
ირანის აზერბაიჯანი 45, 137
ირანის ერაყი 212
ისანი 172
ისთაპანი 24, 101, 182
იყალთო 19, 20

კამბეჩიანი 37, 39, 110
კარი 170, 173, 179
კარკარი (კარქარი, ყარყარი, გარგარი,
ყარყარის ქვეყანა) 42—46, 48, 50
კარნუ ქალაქი 116
კასპიის ზღვა 213

კასტილია 213
კახეთი 37, 39, 40, 109, 110
კლარჯეთი 55
კობტასთავი 114

ლაოდოკეა 190
ლენინგრადი 35, 145, 215
ლიხთ-იმერეთი (ლებტი-იმერითი) 146,
149
ლიხის მთა (ლების მთა) 146, 149
ლურა 86

მავერანნაჰრი 86
მაზანდარანი 66, 67
მალათია 44
მარანდი 45
მარალა 139
მახლობელი აღმოსავლეთი 90, 124, 158
მერკი 70
მესხეთი 56
მთიულეთი 147
მისრი (მისრეთი) — იხ. ეგვიპტე
მონღოლეთი 66, 115, 164
მოსული 85
მტკვარი მდ. 184
მულანი 137, 191, 213
მუხრანი 147, 152
მცირე აზია 44, 45, 61, 148, 169, 190,
203, 206
მცხეთა (ცხეთა) 26, 27, 35, 36, 146

ნახკევანი 45
ნეჭეფი 216
ნიშაბური 64, 69, 70, 71

ოპიზა 55, 56
ოსეთი (ოესეთი) 81, 147, 152

პარიზი 215
პონტო 173

შინვანი 151

რაბაშამა — იხ. რაპბეს ციხე
რაჰა 141, 143, 146, 149, 150
რაქსი — იხ. არეზი
რაქსის პირი 49

228

რაპბეს ციხე (რაბაშამა) 217, 218
რომი 127, 128
რუმე 85, 115, 169, 190—192
რუსეთი 58, 81, 82

საბერძნეთი 128, 169, 187, 190
სამარყანდი 81, 82
სამცხე 116, 170, 175—177, 186, 194,
196

საქართველო 4, 5, 9, 10, 11, 16—21, 23,
28, 31—25, 40, 56, 59, 61, 71, 82,
83, 85, 90, 91, 93, 96—98, 100,
101, 104, 105, 108, 110, 114, 115,
117, 128, 129, 133—135, 141—143,
145—149, 151, 152, 158, 167—169,
171, 172, 174—176, 180, 182, 184,
186, 190, 191, 193—196, 199, 200,
208

საქო — იხ. სიაქუქი
საყიჩაყეთი 81
საყსინი 81
სიაქუქი (საქო, სიაქუ, სიანქო) 133—
139, 172, 194

სირია (შამი) 82, 134, 187, 217, 218
სომხეთი 61, 133, 175, 179, 180, 208
სომხითი 36, 99
სპარსეთი 182

სულთანაბადი 213
სულთანე 208—210, 214—217
სუმაისატი 44
სულ — იხ. სულთანე

ტონღუზალო (ტონღუზლუ) 190, 192
ტრაპიზონი 170, 174
ტფილისი — იხ. თბილისი

უილურეთი (უილურთა ქვეყანა) 66, 81,
82
ურმიის ტბა 139

შარსი 86
ფილისტიმი (ფილისტანი) 36

ჭართლი 24, 31, 33, 34, 36, 108, 135,
138, 145, 146, 149, 150, 152, 196
ქარქარ-ჩაი 44, 46

- ქერბელა 216
 ქერმანი 86
 ქუთაისი 19, 143
 ქურთისტანის მთები 139
 შაბალა 146, 147
 ყაზვინი 82
 ყაილიყი 81
 ყარაბალი 134, 137
 ყარადაღის მთები 137
 ყარაყორღი 67, 82, 85, 129
 ყარა-ხითაი 77
 ყარყარი (ყარყარის ქვეყანა) — იხ. კარ-
 კარი
 ყობაყი (ყუბაყი) 82—84
 ყორღოღილანგი — იხ. ყუნყურულანგი
 ყუიასი 81
 ყუნყურულანგი 209—216
 შამაზიის მთა 147
 შამი — იხ. სირია
 შამბ-ე ყაზანი 213
 შამი, თავრიზის გარეუბანი 213
 შამქორი (შანქორი) 43, 194
 შარვიანი (შაპრუიანი) 211, 212, 216
 შარური 179
 შემახა 184
 შირვანი 86, 134, 135, 146, 147
 შუა აზია 61
 შუა აღმოსავლეთი 124, 158
 ჩარაბერდი 44
 ჩალათუ 136, 139
 ჩალან-უსუნი 134, 147
 ჩინეთი 82, 86, 98, 160
 წინა აზია 160
 ხაბუშანი 211
 ხაჩიანი (ხაჩენი) 42—44, 46
 ხორასანი (ხუარასანი) 64, 66, 67, 69, 96,
 98, 184, 187
 ხორეზმი (ხეარაზმი) 81, 98
 ხუზისტანი 66
 ჯაეახეთი 116
 ჯაეახეთის მთა 141
 ჯულფა (ჯულა) 45
 ჰალაბი 85
 ჰერეთი (ერეთი) 105, 110, 196

ს ა რ ჩ ე ვ ი

| | |
|--|-----|
| წი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა | 46 |
| „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის ისტორიიდან | 9 |
| Из истории изучения «Картлис цховреба» | 28 |
| თარსადან გორგიჯანიძის ერთი ქართული წყაროს შესახებ | 31 |
| Об одном грузинском источнике Парсадана Горгиджанидзе | 40 |
| „ისტორიათა და აზმათა“ რამდენიმე გეოგრაფიული სახელის განმარტებისათვის | 42 |
| Разъяснение некоторых географических названий «Истории и восхваления венценосцев» | 50 |
| ემათაღმწერლის თხზულების დასათუარების საკითხისათვის | 52 |
| К вопросу о заглавии сочинения грузинского анонимного историка XIV века | 59 |
| ემათაღმწერლის სპარსული წყაროები | 61 |
| Персидские источники грузинского анонимного историка XIV века | 88 |
| კიდევ ერთი ქართული წყარო ლაშა გორგის ისტორიისადვის | 96 |
| Еще один грузинский источник по истории Георгия Лаша | 101 |
| რამდენიმე დაკვირება ემათაღმწერლის თხზულების ტექსტზე | 104 |
| Несколько наблюдений над текстом сочинения грузинского анонимного историка XIV века | 118 |
| ემათაღმწერლის თხზულების ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი | 122 |
| Некоторые вопросы установления текста сочинения грузинского анонимного историка XIV века | 131 |
| ერთი გეოგრაფიული სახელის განმარტებისათვის ემათაღმწერლის თხზულებაში | 133 |
| К разъяснению одного географического названия в сочинении грузинского анонимного историка XIV века | 139 |
| ემათაღმწერლის თხზულების ერთი ადგილის შევსებისათვის | 141 |
| К восполнению одного места в сочинении грузинского анонимного историка XIV века | 153 |
| რამდენიმე აღმოსავლური ტერმინი ემათაღმწერლის თხზულებაში | 155 |
| Толкование некоторых восточных терминов грузинского анонимного историка XIV века | 165 |
| XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან | 167 |

| | |
|---|-----|
| Из хронологии истории Грузии второй половины XIII века | 180 |
| ახალი მასალა XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის | 182 |
| Новый материал по истории Грузии второй половины XIII века | 200 |
| ქართალმწერლის თხზულების ერთი ადგილის დაზუსტებისათვის | 202 |
| К уточнению одного места в сочинении грузинского анонимного историка XIV века | 206 |
| ყორლოიანგი — სულ — სულთანი | 208 |
| Коргоиланг — Суг — Султанье | 218 |
| შ ე მ ე ლ ე ბ ა ნ ი | 220 |
| ს ა ძ ი ე ბ ლ ე ბ ი | 221 |